

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ირმა გაბინაშვილი

მედიაპოლიტიკის კულტუროლოგიური და

ლიტერატურათმცოდნეობითი

ასპექტები პოსტსაბჭოთა რეგიონული ბეჭდური მედიის

მაგალითზე

(ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი)

სპეციალობა - ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ინგა შამილიშვილი

ბათუმი

2021

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი დისერტაციის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირმა გაბინაშვილი



1.11. 2021

(თარიღი)

სარჩევი:

შესავალი 3 -16

თავი I. მედიაპოლიტიკის გაგებისთვის
..... 17-39

1.1. მედიაპოლიტიკა და მედიის დისკურსი
..... 17-28

1.2. დარწმუნების ხელოვნებიდან უნიფიცირებულ ზეგავლენებამდე 28-39

თავი II. კულტუროლოგიური და ლიტერატურული დისკურსი
..... 40 -49

თავი III. მედია, კულტურა და რეალობა ქვეყანასა და რეგიონში
..... 50 -124

3.1. პოსტსაბჭოთა პერიოდის სოციო-კულტურული ანალიზი და მიმდინარე პროცესების
პუბლიცისტური ნარატივი რეგიონულ მედიაში
..... 50 - 79

3.2. „ახალი წარსულიდან ახალ მომავლამდე“ - სახელების, სახეების, მოვლენების და თარიღების
რეპრეზენტაცია..... 79 -98

3.3. რეგიონული პრესის პოლიტიკური დისკურსის გავლენები მხატვრულ-
ლიტერატურულ ნარატივებზე 99 -124

**თავი IV. მედიაპოლიტიკის ასპექტებიდან ცნობიერების ტრანსფორმირების
სტრატეგიებამდე 125 -154**

4.1. ტექსტის, დისკურსის, ჟანრის გაგება და მათი შინაარსობრივი ცვლილებები
..... 123-142

4.2. მედიატექსტის არქიტექტურა სტრატეგიული კომუნიკაციის კონტექსტში..... 142 -154

ზოგადი დასკვნები 155 -158

ბიბლიოგრაფია 158-165

გამოყენებული ლიტერატურა 158 -163

ელექტრონული რესურსები 164 -165

გამოყენებული სამეცნიერო ნაშრომები, კვლევები, პუბლიკაციები 165

შესავალი

„ყველა თეორია, რომელიც შეისწავლის ურთიერთობას მედიას, კულტურას, საზოგადოებას შორის, მიუხედავად კონცეპტუალური განსხვავებულობისა, განსხვავებული საკვლევე პირობებისა და ანალიზის სხვადასხვა დონეებისა, თანხმდება იმაში, რომ მედიას შეუძლია მოემსახუროს საზოგადოების როგორც გათავისუფლებას, გაერთიანებას, ისე-მის ფრაგმენტაციას, დანაწევრებას; როგორც განვითარებას, წინ წაწევას, ისე უკან დახევას. მიუხედავად ერთგვარი განუსაზღვრელობისა, თითქმის უეჭველია, რომ სწორედ მედია, რომელიც აყალიბებს და ასახავს, აირეკლავს საზოგადოებას, არის ძირითადი გზავნილი საზოგადოების შესახებ, რომ სწორედ მედია ხდება ცოდნის გამავრცელებელი, ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით“ (მაკჟული, 2005: 81)- ამ სიტყვებით ბრიტანელი მედიათეორეტიკოსი დენის მაკჟული XX საუკუნის მედიის მიერ დასახული მიზნების მრავალფეროვნებას და მის მრავალგვარობას ახასიათებდა, კანადელი ფილოსოფოსი მარშალ მაკლუენი კი ცნობილი ნაშრომით „გუტენბერგის გალაქტიკა: ბეჭდვითი კულტურის ადამიანის შექმნა“, საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს მედიის ისტორიის ევოლუციური ეტაპების კომუნიკაციების განვითარებასთან დაკავშირებას სთავაზობდა: „გუტენბერგის გალაქტიკის“ (ბეჭდვითი მედია) „მარკონის თანავარსკვლავედით“ (ელექტრონული მედია) ჩანაცვლებამდე, „მედიუმის“ როლს ვერბალური კომუნიკაციის უძველესი ფორმა ასრულებდა (მაკლუენი, 1962)

დღეს „გუტენბერგის გალაქტიკა“ შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის, კულტურის, ხელოვნების, გამოცდილების და ცოდნის აკუმულირებულ სამყაროდ, სადაც ყოველი საკომუნიკაციო ტექნოლოგია განიხილება კონკრეტული პერიოდის კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით. მარშალ მაკლუენი ამტკიცებდა, რომ “მედია თავისი ბუნებით, ტრანსლირებული შინაარსისგან დამოუკიდებლად, შეუქცევად გავლენას ახდენს ადამიანსა და საზოგადოებაზე“ (მაკლუენი, 1964) და მაგალითად მოჰყავდა პირველყოფილი ადამიანის მიერ სამყაროს უშუალოდ სმენით, ყნოსვით, შეხებით, მხედველობითა და გემოთი აღქმის ფაქტები, რითაც მათი შეგრძნებების გონებასთან ჰარმონიზაციის მიუხედავად, ევოლუციური პროცესების თანამდევ ახალ გამოწვევებთან გამკლავებას იწყებდა. „ტექნოლოგიური გამოგონებები, მართალია,

აფართოებს ადამიანთა შესაძლებლობებს, მაგრამ გრძნობათა ბალანსს არღვევს, რაც, თავის მხრივ, თვით ამ ტექნოლოგიის შემქმნელ საზოგადოებას ცვლის“ (მაკლუენი, 1962). მაკლუენის აზრით, ისტორიაში სამი ძირითადი ტექნოლოგიური ინოვაცია იყო:

1. ფონეტიკური ანბანის შექმნა, რომელმაც დაარღვია ტომის ადამიანის გრძნობათა დაბალანსებული და ჰარმონიული სისტემა და „უპირატესობა მიანიჭა“ თვალებს;
2. XVI საუკუნეში საბეჭდი დაზვის შექმნა, რომელმაც ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა;
3. 1844 წელს ტელეგრაფის გამოგონება, რომელიც ელექტრონული რევოლუციის წინამორბედი იყო და ადამიანი ტომურ, პირველყოფილ მდგომარეობაში დააბრუნა, ალადგინა მისი გრძნობათა სისტემის ბალანსი. (მაკლუენი, 1962)

მარშალ მაკლუენი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ხელნაწერი წიგნი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-V საუკუნეში გაჩნდა, ხოლო საბეჭდი დაზვა მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის XV საუკუნეში გამოიგონეს. ფილოსოფოსი მანუსკრიპტს საკრალურ კულტურას მიაკუთვნებდა, ხოლო ნაბეჭდ წიგნს, მასობრივი წარმოების პროდუქტს – საერო კულტურას. წერილობით და ბეჭდურ ტრადიციას ავტორი ინდივიდუალისტურად მიიჩნევდა, რადგან კომუნიკაციის ეს ფორმა არ მოითხოვდა ადამიანთა ჯგუფის ურთიერთქმედებას. მაკლუენი ვერ მოესწრო იმ დროს, როცა ოჯახის ყველა წევრისთვის ტელევიზორი ნორმად იქცა. თავის მხრივ, ინტერნეტმაც შექმნა მარტოხელა ადამიანთა ახალი სახეობა, რომლებიც ვირტუალურ სამყაროში „მიდიან“ და მინიმუმამდე დაჰყავთ გარე სამყაროსთან კონტაქტი. მაკლუენის აზრით, ბეჭდვითი კულტურა ხელს უწყობს ნაციონალიზმისა და ინდივიდუალიზმის განვითარებას (წიგნები, გაზეთები და ჟურნალები სხვადასხვა ენაზე გამოიცემა) რაც შეეხება მედიის მომავალს, გლობალიზაციასთან და „გლობალური სოფლის“ (მაკლუენი, 1962) გაფართოებასთან ერთად, მაკლუენი წინასწარმეტყველებდა ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით სამყაროს გაიდებას, რადგან სამყაროს განვითარების დინამიკურ პროცესს იგი მხოლოდ პოზიტიურ ჭრილში განიხილავდა.

ადამიანებს შორის ურთიერთობა და, შესაბამისად, საკომუნიკაციო ფორმები ჩვენი სოციალური ყოფის განუყრელი ნაწილია. მაგრამ თუ მათგან ერთ-ერთ აქტუალურს, „პოლიტიკურ კომუნიკაციას“ სპეციფიკურად საზოგადოებრივი ურთიერთობების იმ ფორმად განვიხილავთ, რომელშიც ძირითადი ელემენტი ძალაუფლებაა, ხოლო გზავნილის მიმწოდებელი ოდითგანვე გზავნილის მიმღების დარწმუნებას, ან სულაც,

მანიპულირებას ცდილობდა, ცხადი ხდება, რომ „ეს ყოველივე სწორედ ძალაუფლების მოპოვებას და განმტკიცებას ემსახურება“ (მაკლუენი, 1964). ამ ტიპის კომუნიკაციების პროპაგანდისტული ბუნება სრულიად აშკარაა. ცხადია ისიც, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასეთი ტიპის კომუნიკაციებზე ძირითადად, სახელისუფლებო წრეებს ჰქონდათ მონოპოლია და ამიტომ, ისინი ცალმხრივ ხასიათს ატარებდნენ. ამასთან, შესაბამისი ტექნიკური საშუალებების არარსებობის გამო, წარსულში ხელისუფლების მიერ მიწოდებული გზავნილის შესაფასებლად ვერც „საზოგადოებრივი აზრის“ მყისიერი გაზომვა და ვერც ამის შესატყვისი სოციოლოგიური ანალიზი ვერ ხორციელდებოდა. გუტენბერგის გამოგონებამ, უამრავ სხვა ეპოქალურ სიახლესთან ერთად, რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია კულტუროლოგიური თვალსაზრისითაც. მარშალ მაკლუენი 1960-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებულ და აწ უკვე საკულტოდ ქცეულ წიგნებში: „მედიის გასაგებად“ და „გუტენბერგის გალაქტიკა“ წერდა, რომ „ტიპოგრაფიულმა „აფეთქებამ“ წარმოქმნა დიალოგი მსოფლიოს მასშტაბით და ეპოქებს შორის ხიდი გადო“ (მაკლუენი, 1962). ამ პროცესის შედეგად, ტიპოგრაფიამ, როგორც საინფორმაციო რეზერვუარმა, სივრცესა და დროში „სოციალურად და ფსიქოლოგიურად“ მოშალა რეგიონალიზმი და ტრიბალიზმი, რითაც გლობალიზაციის ნაკადებს და მედიის განვითარების მრავალფუნქციურ სტრატეგიებს დაუდო სათავე. ჩვენ მიერ დაგეგმილი კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დატვირთვა მაკლუენის ამ სიტყვებმა მიიღო: „ტიპოგრაფია, ერთი მხრივ, ადგილობრივი ენების მასმედიად გარდასახვის, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების ცენტრალიზების საკითხში უფრო ძლიერ ინსტრუმენტად იქცა, ვიდრე სხვადასხვა დროს ანბანისა და პაპირუსის გამოგონება, ან რომაელთა მიერ ქვაფენილიანი გზების მშენებლობა იყო“ (მაკლუენი, 1962).

ჰეგელი ამბობდა: „გაზეთის კითხვა თანამედროვე რეალისტი კაცის დილის ლოცვაა“ და ამით, თითქოს, მარშალ მაკლუენის ცნობილ თეორიას ანმტკიცებდა. კაცობრიობის ისტორიაში ბეჭდვითი მედიის (გვიანი შუა საუკუნეები და ინდუსტრიალიზაციის ხანა) ,ელექტრონული მედიით (პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ხანა) ჩანაცვლებამდე, მედიუმის როლს ვერბალური კომუნიკაციის ის უძველესი ფორმა ასრულებდა, რომლის ყველაზე სრულყოფილი ნიმუშები ანტიკურ ათენსა და რომში კულტივირებული

ორატორული ხელოვნების სახით მივიღეთ. რადგან მედიასაშუალებები ინფორმაციის შინაარსის განურჩევლად ახდენენ განსხვავებულ გავლენას საზოგადოებაზე, თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი, დამახასიათებელი ზეგავლენის მოხდენის უნარი და სასაუბრო ენა. ამ პრინციპს თანამედროვე განმარტებით ეხმიანება მაკლუენის ცნობილი ფრაზა „მედიასაშუალება - ეს შეტყობინებაა“ (მაკლუენი, 1964) და მაშასადამე, ნებისმიერი ამბავი თუ ისტორია, რომელიც წერია წიგნში, თამაშდება სცენაზე, უსმენენ რადიოში, უყურებენ ფილმის სახით, გადმოიცემა ტელევიზიით, ვრცელდება ელექტრონულ მედიასა და ინტერნეტში, საბოლოო ჯამში ქმნის იმ უნივერსალურ პროდუქტს, რომელიც თანაბრადაა მისაღები ნებისმიერი ნიშნით დივერსიფიცირებული აუდიტორიისთვის. მაკლუენი, რომელსაც მედიაექსპერტები ელექტრონული საუკუნის და პოპკულტურის წინასწარმეტყველსაც უწოდებენ, მთელი მისი კარიერის მანძილზე და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების საზოგადოებაზე ზეგავლენის კვლევის პროცესში, ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში პროგნოზირებდა საზოგადოების განვითარების უწყვეტ პროცესზე მედიასაშუალებების მზარდ როლსა და ხშირად, წარმოუდგენელ შედეგებსაც.

მედიის, ლიტერატურისა და კულტურის გამომსახველობითი ხერხები და იდენტური ჟანრობრივი თავისებურებები უძველესი დროიდან იღებს სათავეს, მათი ეს თანხვედრა და თანაცხოვრება კი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე აქტუალური იყო. როდესაც საქმე საზოგადოებაზე საუბარს ეხება, იგი გაუმართლებელი ხდება კულტურული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. საზოგადოება ხომ, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, არ არსებობს კულტურის გარეშე და პირიქით, კულტურა ვერ შეიქმნებოდა საზოგადოების გარეშე. ამავე დროს, ჩვენს საზოგადოებაში კულტურა ხშირად გაგებულია როგორც ძალიან ვიწრო, სპეციფიკური სფერო და მისი როლი საზოგადოების ფორმირებაში მხოლოდ ნაწილობრივ არის გაცნობიერებული. კულტურა საზოგადოების შემაკავშირებელი ქსოვილია და შეუძლებელია მისი მოქცევა მხოლოდ ტრადიციულად გაგებული ხელოვნების არეალში. მედია კი, როგორც კულტურული და სოციალური ტექსტი ინფორმაციულ საზოგადოებაში, ახალ შინაარსებს იღებს და გვევლინება, როგორც კულტურული ბრიკოლაჟის შემაკავშირებელი მედიუმი. რაც შეეხება მედიის მიერ კულტურის, ხელოვნების და ლიტერატურის გამუქებას, უნდა

აღინიშნოს, რომ ამ უმნიშვნელოვანესი პროცესის წარმოებით ის ქმნის საზოგადოების დისკურსს ერის მომავალზე. ისტორიულად, ქართულ რეალობაში მომავალზე საუბრისას, ყოველთვის ვეხებით მეხსიერებით და გამოცდილებებით ფორმირებულ იმ ლანდშაფტს, რომელიც ყველა ეპოქაში იყო გაჯერებული მტკივნეული, პარადოქსული, ლოგიკურ ჩარჩოს აცდენილი მოცემულობებით; ნებისთ თუ უნებლიეთ, დამპყრობელსა თუ ჰეგემონს დაქვემდებარებული პოლიტიკით, რომელიც ყოველთვის ცვლიდა ქვეყნის სოციალურ-კულტურულ რეალობას და მისი მაცხოვრებლების განწყობებსა თუ დამოკიდებულებებს: „როცა ერთი ერი, მეორეს პოლიტიკური გავლენის ზონაში მოექცევა, პოლიტიკურ დაპყრობას კულტურული მოჰყვება, მხედარს მწერალი შეენაცვლება, მახვილის მტვირთველს კულტურის აგენტი“ (გამსახურდია,1921). ადამიანი რომ ობიექტური გონის, კულტურის სამყაროში ცხოვრობს და კულტურა დროით განზომილებებშიც განსაკუთრებულ იერ-სახეს აძლევს მას, კარგად ჩანს ჰეგელის მოსაზრებებში: „ობიექტური გონი დროში არსებობს, ისტორიულია, მისი ცვალებადობა დროში ადამიანის ცვალებადობას აპირობებს“ (ჰეგელი,2017). ჰეგელის აზრით, „ნივთები თავისთავად“ მოქმედებენ ჩვენზე, მაგრამ აზროვნება მათ თავის ყალიბში აქცევს და ქმნის იმ სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელიც, კანტის მიერ დაწყებული გზის ჰეგელისეულ ობიექტურ იდეალიზმად წარმოგვიდგება. ჰეგელთან ხომ „აზროვნება, გონება ყველაფრის ძირია, უსასრულოა, უპირობოა, აბსოლუტურია და ამდენადაა ღვთაება“ (ჰეგელი, 2017)- სამყარო კი, რომელშიც ვცხოვრობთ, სწორედ ამ უსასრულო აზროვნების „აბსოლუტური იდეის“ ცნების ძლიერების დემონსტრაციაა: „ყოველი არსებული-დაწყებული არაორგანული მატერიით და დასრულებული ადამიანით - უსასრულო აზროვნების ანუ ღვთაების რეალიზაციაა, რის საშუალებითაც ღვთაება თავის თავის შემეცნებამდე მიდის“(ირემამე, 2019). ჰეგელის თანახმად, სამყაროში მიმდინარე პროცესების საბოლოო მიზანი ღვთაების თვითშემეცნებაა და სწორედ ფილოსოფიაა ჰეგელის ამ მოძღვრების უკანასკნელი საფეხური, აქ სრულდება მისი სისტემა, „ამ სფეროში პოულობს ღვთაება თავის თავს, აქ იქცევა აზროვნება თავად აზროვნებისვე საგნად“(ჰეგელი, 2017).

ჰეგელის ფილოსოფიაში არც ადამიანის კულტურასთან მიმართება დარჩენილა ცარიელ ფრაზად: დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა კონკრეტულად იკვლია და

გამომამზეურა ობიექტური გონის ის ფორმები, რომლებშიცაა ფესვგადგმული ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა; მისი, როგორც კულტურის აგენტის ფორმირების იდეა და რეალობა. ობიექტური გონის დროის გამოწვევებით ტრანსფორმირების განხილვისას კი, მედიის თეორეტიკოსი მ. მაკლუენი სწორედ მედიას მიიჩნევდა ადეკვატურად აზროვნების პროცესის მარეგულირებლად: „მედია გაცილებით მეტია, ვიდრე ინფორმაციის პასიური წყარო. ის ჩვენი გონების საკვებია და აზროვნების პროცესს აყალიბებს“ (მაკლუენი, 1964). მედიის განვითარება რომ უწყვეტი და შეუქცევადი პროცესია, სადაც კომუნიკაციის ერთი ფორმა უკეთესით იცვლება და ახალ მედიასაშუალებებთან ერთად ძველიც არსებობს, ცნობილი ფაქტია. თუმცა, მედიის უნარი, დღის წესრიგში შემოიტანოს შეხსენების და რეპრეზენტირების თემები, პირველ რიგში, ამა თუ იმ თაობაში ჩაღეჭილი ტრავმების გაცოცხლებასთან ასოცირდება. წარსულის ტრავმატულ გამოცდილებას მხოლოდ უარყოფითი როლი როდი აქვს. იგი შედეგიანად შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან ტრავმამ ადამიანის ცხოვრებაში შესაძლებელია, ითამაშოს ადამიანური ძალის მასტიმულირებელი ფაქტორის როლიც. მაგალითად, 1980-1990-იანი წლების ქართულ ალტერნატიულ მედიაში გაჟღერებული მერაბ მამარდაშვილის სუბიექტური დისკურსის ელემენტებით აქცენტი კეთდებოდა კულტურული მეხსიერების რეპრეზენტირებაზე, ვინაიდან დასავლურ მეცნიერებასა და კულტურას უშუალოდ ზიარებული ფილოსოფოსი ცდილობდა ტოტალიტარიზმის პირობებში გამოღვიძებული მასების ყურადღების კონცენტრირებას უფრო მეტად - კულტურულ მეხსიერებაზე, ვიდრე კოლექტიურ ტრავმაზე. დადგენილი ფაქტია, რომ ტრავმის გადალახვით ადამიანი ახდენს კულტურულ გარდაქმნას, ახლიდან დაბადებას, განახლებას. თუმცა, როგორც შტომპკა აღნიშნავს, „ტრავმა ყოველთვის შემოქმედებითი როდია“ (შტომპკა, 1999). ტრავმის წინააღმდეგ მობილიზაცია საზოგადოებრივ ან ინდივიდუალურ დონეზე შეიძლება ძალიან სუსტი იყოს, მასთან დამოკიდებულების სტრატეგია კი, არაეფექტური. სწორედ ამ შემთხვევაში ახდენს ტრავმა „კულტურული განადგურების“ ეტაპის პროვოცირებას: „სოციალური აქტივიზმის პარალიზებას, აპათიას, პესიმიზმს, მასობრივ უნდობლობას, რაც თანდათანობით კულტურის მოსპობითა და საზოგადოების დაშლა-განადგურებით მთავრდება (რუხაძე, 2010).

იმისათვის, რომ „კულტურული განადგურების“ პროცესი არ განვითარდეს სხვადასხვა გარემოების გამო შექმნილი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური არასტაბილურობის დროს, უდიდეს დატვირთვას და მნიშვნელობას იძენს კულტურის საკითხების ჯეროვანი გაშუქება. დასავლურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სერ ჯონ ტუსა, BBC World Service-ის ყოფილი მმართველი დირექტორი წერს: „მედიის მიერ კულტურის და ხელოვნების გაშუქება აყალიბებს საზოგადოების დისკურსს ერის მომავალზე. ისეთ ტრადიციულ ქვეყანაში, როგორც საქართველოა და რომელიც ახალი ვითარების და რთული გამოწვევების წინაშე დგას, მედიის მიერ კულტურაზე ლაპარაკი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, სულერთია, შუქდება მასობრივი, მაღალი თუ დაბალი კულტურა. კულტურა იარსებებდა მაშინაც, ეკონომიკასთან არანაირი შეხება რომ არ ჰქონოდა; ფაქტობრივად, თუ ეროვნულ იდენტურობას პოლიტიკას მოვაცლით, ხელში კულტურა შეგვრჩება. იგი ნაწილობრივ ისაა, რაც ერი ყოფილა, ნაწილობრივ ისაა, რაც ერი ახლა არის, და აგრეთვე ისიც, თუ რა იქნება ერი მომავალში“ (ტუსა, 2017). გამომდინარე აქედან, კიდევ ერთხელ ხდება ცხადი, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური დატვირთვის გარდა, მედია ერის კულტურული პოტენციალის იდენტიფიცირების, განვითარების, გემოვნების ფორმირების და აზროვნების სისტემის განსაზღვრის გარანტიცაა.

მედიასაშუალებების მრავალფეროვნების, მისი ჟანრობრივი თავისებურებების თუ ტექნიკური ხელმისაწვდომობის გამო, მათ შესწევთ ძალა, მოიცვან თანამედროვე კულტურის თითქმის ყველა სფერო და იქცნენ კულტურის, ხელოვნების და მეცნიერების მემკვიდრეებად. მათ შეუძლიათ შექმნან ფონდები, არქივები, უმნიშვნელოვანესი რესურსები და შეინარჩუნონ ხელოვნების უნიკალური ნიმუშები. მედიის დიდი ავტორიტეტის გამოყენება უნდა შეძლონ კულტურის სფეროში მოღვაწე ობიექტებმაც და რადგანაც, თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სოციო-კულტურული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანური ცხოვრების ყველა ასპექტზე, მედიასაშუალებები ამ ცვლილებების განხორციელების უმთავრეს ბერკეტად გვევლინებიან. თუ ადრე სოციალური პარადიგმების ცვლილებას საუკუნეები სჭირდებოდა, დღეს მათი ცვლილებისთვის, შესაძლოა, რამდენიმე წელიც კი საკმარისი იყოს. მსოფლიოს წინაშე არასოდეს მდგარა სოციო-კულტურული და ინფორმაციულ-

კომუნიკაციური ტრანსფორმაციების შესწავლის ისეთი საჭიროება, როგორც დღესაა. მედია, როგორც კულტურული და სოციალური ტექსტი და მისი ახალი შინაარსები განსაზღვრავს ინფორმაციული საზოგადოების ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, სივრცით და კულტურულ კრიტერიუმებს. კულტურა კი, როგორც დისკურსი - წარმართავს საზოგადოების განწყობებსა და ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციის საშუალებით განსაზღვრავს მისი გემოვნების ფორმირებას. მედია და კულტურა თავისი მიზნების პრეზენტირებას ვიზუალური ხატების/იმიჯების გზით აწარმოებენ და კულტურა, როგორც პერფორმანსი, სისტემატურად ხდება მედიის მამოძრავებელი შთაგონება სამყაროს განვითარების უწყვეტ პროცესში. მედია კი, როგორც „კულტურის აგენტი“ (გამსახურდია, 1921), სწორედ კულტურის ტრადიციული და ალტერნატიული მეთოდების საშუალებით განსაზღვრავს საზოგადოებრივ პროცესებზე გავლენის ხარისხს, რასაც ეფუძნება კიდევ როგორც პოლიტიკის და ჟურნალისტიკის ველების ურთიერთმიმართება, ასევე პოლიტოკრატიის და მედიოკრატიის განვითარება თანამედროვე საზოგადოებებში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევა შეეხება მედიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართებას კულტუროლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტების ჭრილში, რომელსაც, კონკრეტული პერიოდის რეგიონული ბეჭდური მედიასაშუალებების მაგალითზე განვიხილავთ. კვლევაში აისახება XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში, პოსტსაბჭოთა საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად, ქვეყანასა და რეგიონში უკვე არსებული ტენდენციების ტრანსფორმაცია და ახალი, სრულიად განსხვავებული რეალობის ფორმირების პროცესი. კვლევა საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ, რამდენად შეესაბამება რეგიონული ბეჭდური მედიის პრიორიტეტები, ცალკეული გამოცემების პუბლიკაციები და ტექსტები ამ პროცესებს და რა კავშირი აქვს ამ სტრუქტურირებულ ინფორმაციას ახალი მოცემულობების გადააზრებასთან. ნაშრომში ვაწარმოებთ კვლევას XX საუკუნის ქართული კულტურულ-ესთეტიკური, ინტელექტუალური პროცესის ცალკეული თავისებურებების განსაზღვრად და პოსტსაბჭოთა კომუნიკაციურ გარემოში პოსტმოდერნულ მიმდინარეობაზე დასაკვირვებლად. რის შედეგადაც დავადგენთ: თუ როგორ დაიძახება საბჭოური უძლეველობის მითი და

როგორ შეუწყოს ამ პროცესს ხელი ქართულ რეალობასა და მედიაში პოსტმოდერნული დისკურსის წარმოება; როგორ დააღწია საქართველომ თავი საბჭოეთის მენტალურ მარწუხებს და დაადგა საკუთარი, ახალი იდენტობის ფორმირების და განმტკიცების გზას - მედიის კონკრეტული ინსტრუმენტების, მათ შორის - პოლიტიკური და კულტუროლოგიური ასპექტების გამოყენებით. ასევე, საკვლევი პერიოდის სოციო-კულტურული პროცესების და მდგომარეობის მიმოხილვისას, ყურადღებას გავამახვილებთ საბჭოთა კავშირის დაშლის და ცივი ომის დასრულების შედეგად, სამეცნიერო ლიტერატურაში სოციალური ცვლილების - ტრავმის გააქტიურების ფაქტორზე (შტომპკა, 2004: 36), ვინაიდან საქართველოს შემთხვევაში, პოსტსაბჭოთა პერიოდის სირთულეები განსაკუთრებით მტკივნეული მოვლენებით შემოვიდა იმჟამინდელი მედიის დღის წესრიგში.

ნაშრომი აქტუალურია რამდენიმე გარემოების გამო: მასში შესწავლილია მედიისა და ეროვნული აზროვნების სინთეზი, 1989-1991 წლების საზოგადოებისა და მედიასაშუალებების ურთიერთკავშირი და ზოგადად, ქართული მედიის იდეოლოგიური ინსტრუმენტალიზაცია. თემის აქტუალობა განისაზღვრება მედიური ტექსტების ყოველმხრივი აღწერის საჭიროებითაც, რომელმაც საქართველოში ბოლო 30 წლის განმავლობაში მიმდინარე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან ადაპტაციის პროცესი გაიარა. ნაშრომის საკვლევ, ემპირიულ მასალას წარმოადგენს 1980-1990-იანი წლების ქართული მედია, კერძოდ, რეგიონული ბეჭდური გამოცემები:

1. **გაზეთი „საბჭოთა აჭარა“** (1990 წლიდან გაზეთი „აჭარა“), საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო, რომელსაც ასწლოვანი ისტორია აქვს, მაგრამ აქამდე არ გამხდარა ამ პერიოდის და მიმართულების შესწავლის საგანი;
2. **ჟურნალი „ჭოროხი“**, რომელიც გარდა იმისა, რომ ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემის სახით წარდგებოდა მკითხველის და საზოგადოების წინაშე, ასევე გახლდათ საქართველოს მწერალთა კავშირის და აჭარის განყოფილების ორგანო;
3. **საინფორმაციო ბიულეტენი „ქრონიკა“**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამოცემა.

ეს მედიასაშუალებები ფაქტობრივად, სახელისუფლებო პერიოდული გამოცემის სტატუსით ოპერირებდნენ ქართულ მედია გარემოში, მაგრამ მათი სარედაქციო პოლიტიკის და თუნდაც, ცალკეული ავტორების აქცენტებში აშკარად იკვეთება ახალი დროების შესაბამისად დადგენილი დღის წესრიგის კონტურები და ჩვეული იდეოლოგიური განწყობების ტრანსფორმირების პროცესები.

ნაშრომი ინტერდისციპლინურია, რადგან იგი კომუნიკატივისტიკის, ლტუროლოგიისა და ლიტერატურათმცოდნეობის გადამკვეთ თემებს წარმოგვიდგენს; ნაშრომის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა მიმართულებით, რითაც შესაძლებელია განისაზღვროს კულტურის როლი და დანიშნულება სახელმწიფო პოლიტიკის, საზოგადოების განვითარების პროცესში. აგრეთვე, კულტურული ტენდენციების მრავალფეროვნების, როგორც კონკრეტული მოცემულობის მდგომარეობის, მდგრადობის და ტრანსფორმაციის ასახვის დინამიკა და ამ პროცესში კვლევის მიზანია სხვადასხვა თეორიულ და ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით მედიის, ლიტერატურისა და კულტურის ურთიერთმიმართების დადგენა და იმ გავლენის გამოკვეთა, რითაც ეს აქტორები ზემოქმედებდნენ მკითხველზე, მსმენელსა თუ მაყურებელზე. კვლევის მიზანია აგრეთვე, პუბლიცისტური ჟანრის სპეციფიკის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოყოფა, ყურადღების გამახვილება გავრცელებულ დისკურსსა და კულტუროლოგიურ საკითხებზე – იმ მნიშვნელოვან მარკერებზე, რომლებიც პუბლიცისტურ ტექსტებს ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებთან აახლოებენ.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს კომპლექსურ ლიტერატურათმცოდნეობით მიდგომას. გამოყენებულია ისტორიულ–ფუნქციური, ტიპოლოგიური და სტრუქტურული მეთოდები. პუბლიცისტური და ლიტერატურული ტექსტების ანალიზის საფუძველს კი, ძირითადად, ნარატოლოგიისა და ლიტერატურული ჰერმენევტიკის სინთეზი წარმოადგენს; კვლევის მეთოდოლოგია, ასევე დამყარებულია მედიის დისკურსის და კულტუროლოგიური სტრუქტურების შესახებ არსებული ლიტერატურის დამუშავებასა და მის ანალიზზე. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, როგორც ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების ექსპერტის და მაკონტროლებლის როლის გამოკვეთის მიზნით ნაშრომში გამოყენებულია

სინქრონული და დიაქრონული ასპექტით კვლევა; გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი - შინაარსობრივი ანალიზი და ე.წ. შემთხვევის შესწავლა (Case study), რომელსაც ჩვენთვის 1989 წლის 9 აპრილი წარმოადგენდა; მისი, როგორც კოლექტიური ტრავმის ერთ-ერთი მაგალითის შესწავლისათვის გამოვიყენეთ ტექსტური ნარატივებისა და მეხსიერების მონუმენტური არეების შინაარსობრივი ანალიზის (content analysis) მეთოდი, განვიხილეთ დომინანტი და არადომინანტი ნარატივების შემთხვევები და მათი გავლენები საზოგადოების განწყობებზე. შერჩეული მასალების და ტექსტების ანალიზის საფუძველზე კი შევისწავლეთ განსაზღვრულ ეტაპზე, ჯერ კიდევ გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი მოცემულობის პირობებში საქართველოში განვითარებული ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული პროცესები. რაც შეეხება ემპირიულ ნაწილს - ოფიციალურ დოკუმენტებს, სამეცნიერო, საარქივო და საგაზეთო მასალებს, მათი დაჯგუფება კონტენტ-ანალიზის მეშვეობით განვახორციელეთ. დისკურს-ანალიზის საფუძველზე კი შევისწავლეთ ბეჭდური მედიის ცენტრალურ და პერიფერიაში გამომავალ გამოცემებს შორის მსგავსება-განსხვავებები და განხილული თემების ურთიერთმიმართებები.

ნაშრომის ღირებულებაა გვიჩვენოს იდეოლოგიური დომინაციის ჩარჩოები საბჭოთა ცენზურისგან გათავისუფლებული და „გლასნოსტის“ პერიოდგავლილი ქართული მედიისთვის. აგრეთვე, კვლევის ინტერდისციპლინარულობა, რომელიც გულისხმობს კვლევის შედეგების როგორც თვისებრივ, ისე შედარებით ანალიზს. მნიშვნელოვანია მედიის, როგორც უნივერსალური დისციპლინის განხილვა და მედიაპოლიტიკისა და ლიტერატურული შინაარსის მედიატექსტებს შორის ტრადიციული და ალტერნატიული კავშირების დადგენა.

ნაშრომის სტრუქტურა:

შესავალ ნაწილში საუბარია თემის აქტუალობაზე, მიზნებსა და კვლევის მეთოდოლოგიაზე. წარმოდგენილია ის მთავარი არგუმენტები, რამაც განაპირობა საკვლევი საკითხის შერჩევა და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა.

პირველ თავში-„მედიაპოლიტიკის გაგებისთვის“ - საუბარია შეეხება მედიაპოლიტიკის ფორმირების თეორიულ და პრაქტიკულ მიმოხილვას, ამ დისციპლინის ქართულ

რეალობასა და ჟურნალისტიკაში აღმოცენების წინაპირობებს და მათ შედარებას დასავლური მედიის სტანდარტებთან. მედიის დისკურსით გავრცელებულ უნიფიცირებულ ზეგავლენებთან ერთად განხილულია მედიის მიერ რეპრეზენტაციული გარემოს შექმნის და „მედია მოვლენისთვის“ (ფისკე,1996) სუბიექტური ხასიათის მინიჭების უნარი. „მედია შესაძლოა არ კარნახობდეს ხალხს “რა იფიქრონ”, თუმცა ის “გასაოცრად წარმატებულად” კარნახობს აუდიტორიას “რაზე იფიქრონ” (კოენი, 1995)- ამ გზავნილით დაწყებული საუბარი მედიაპოლიტიკის მმართველ ინსტიტუციებთან კორელაციის კლასიკითაა აღწერილი და უახლეს გამოწვევებთან ადაპტირებული, მიზანმიმართული დისკურსითაა გაანალიზებული. ისტორიული პარალელების გავლებით განხილულია პოსტსაბჭოთა ეპოქის გარიჟრაჟზე მედიასივრცეში შექმნილი მდგომარეობა; ხაზგასმულია, რომ თავისი ფუნქციებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, მედია უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ხალხის გონებაზე და წარმოდგენებზე, ეროვნულ ცნებებსა და ავთენტურ კულტურაზე. მედიაპოლიტიკის, მედიის დისკურსის და უნიფიცირებული ზეგავლენების პარალელურად, ასევე, განხილულია დარწმუნების ხელოვნებიდან ცნობიერების და ქცევის შეცვლამდე განვლილი გზის დინამიკა და სტრატეგიები.

მეორე თავში - „კულტუროლოგიური და ლიტერატურული დისკურსი“- საუბარი შეეხება განსახილველი პერიოდის მედიაპლატფორმებზე მიმდინარე კულტუროლოგიურ და ლიტერატურულ დისკურსებს, მათ სინთეზს და კონტექსტურ მიმოხილვას. ამ საკითხის გასაანალიზებლად და კულტურის, მასობრივი კულტურის, გლობალიზაციის, პოსტმოდერნიზმის დეფინიციების განსასაზღვრად გამოყენებულია სხვადასხვა წყარო იმისთვის, რომ დაჯგუფდეს მათი მახასიათებლები და გამოიკვეთოს კულტურის, როგორც ერთი კონკრეტული ერის მატერიალური და სულიერი ფასეულობის გამაერთიანებელი უნიკალური სივრცე.

მესამე თავში -„მედია, კულტურა და რეალობა ქვეყანასა და რეგიონში“-საერთო ქოლგის ქვეშაა მოქცეული ეს სამი სივრცე როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის რეალობაში. განხილულია მედიაპოლიტიკისთვის და სოციალური ცვლილებებისთვის კულტურული მნიშვნელობების მინიჭების მეთოდები და მათი ურთიერთმიმართების საკითხები. ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის პიერ ნორას და სოციოლოგის, მორის

ჰალბვაქსის თეორიებზე დაყრდნობით განხილულია კოლექტიური და ისტორიული მეხსიერების რეპრეზენტაციის ფორმები. წარმოდგენილია პოსტსაბჭოთა პერიოდის სოციო-კულტურული ანალიზი, რეგიონული ბეჭდური მედიის ფურცლებზე გავრცელებული ქვეყანაში მიმდინარე პროცესების პუბლიცისტური და ლიტერატურული ნარატივი; ყურადღებაა გამახვილებული ახალ ეპოქაზე, თარიღებზე და კულტურულ-ლიტერატურულ ტენდენციებზე. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებული მიმდინარე პერიოდში ახალი სახელების, სახეების, მოვლენების, თარიღების რეპრეზენტაციის ნიმუშებზე და გამოკვეთილია სიმბოლური გზა „ახალი წარსულიდან ახალ მომავლამდე“.

მეოთხე თავში - „მედიაპოლიტიკის ასპექტებიდან ცნობიერების ტრანსფორმირების სტრატეგიებამდე“ - ხაზგასმულია მხატვრული შინაარსის ტექსტებში მედიაპოლიტიკის დისკურსი, როგორც თავად საკომუნიკაციო პრაქტიკა - პროცესი და არა როგორც მისი პროდუქტი ან შედეგი. დისკურსის ანალიზის თეორიასთან მიმართებით კი, განხილულია თეორეტიკოსების განმარტებები დისკურსის ჟანრებზე, გამონათქვამების სტილზე, მრავალფეროვნებასა და ტექსტების ბუნებაზე. ყურადღება გამახვილებულია ტექსტის, როგორც დისკურსის გაგებასა და მედიატექსტების ჟანრობრივ და შინაარსობრივ ცვლილებებზე, რის შედეგადაც ვადგენთ მედიატექსტის არქიტექტურის თავისებურებებს სტრატეგიული კომუნიკაციის კონტექსტში.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში კი შეჯამებულია კვლევის შედეგად მიღებული შედეგები. ხაზგასმულია განსახილველი პერიოდის რეგიონული ბეჭდური მედიის მიერ ღირებულებათა გადაფასების პროცესში პუბლიცისტური და ლიტერატურული ნარატივების რეალური და ნაგულისხმევი მნიშვნელობები, როგორც საზოგადოებრივი აზრის მიერ ერის მომავლის განმსაზღვრელი ინსტრუმენტები.

თავი I.

მედიაპოლიტიკის გაგებისთვის

1.1. მედიაპოლიტიკა და მედიის დისკურსი

მედიის ახალი სისტემა, რომელიც სხვადასხვა სახის კომუნიკაციის ქსელურ ინტეგრაციას ეფუძნება, გამოირჩევა უნივერსალური უნარით - წამალოს დრო და სივრცე თავის სამოქმედო არეალებზე; უფრო მეტიც - შექმნას „დროის გარეშე დრო“ და მისი მენტალური ლანდშაფტი (კასტელსი, 1996). ეპოქალური ცვლილებების დროს მედია ეხმარება საზოგადოებას, ის ხდება კურსორი, რათა დროულად აღწეროს მოვლენები მასებისთვის გასაგებ ენაზე და იყოს მზად, რათა გიგანტური ტრანსფორმაციების დროს, საკუთარ მომხმარებელს მიაწოდოს სწორი გზავნილები და შეფასებითი ნააზრევი. თუმცა, მედიის უნიკალური უნარი, შექმნას რეპრეზენტაციული გარემო და მიანიჭოს მედია მოვლენას სუბიექტური ხასიათი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილია იმ პროცესისა, რასაც მედიის მიერ უნიფიცირებული ზეგავლენის ინსტრუმენტალიზაცია იწვევს. მედიის მკვლევარი ჯონ ფისკე მიიჩნევს, რომ „ანალიზის მთავარი ერთეული არის არა ობიექტური სინამდვილე, არამედ „მედია მოვლენები“ (ფისკე, 1996) და ტერმინით „მედია მოვლენა“ მიგვითითებს, რომ პოსტმოდერნულ სამყაროში აღარ შეგვიძლია დავეყრდნოთ მკაფიო გამიჯვნას „რეალურ“ შემთხვევასა და მედიაში არსებულ რეპრეზენტაციას შორის. შესაბამისად, ვეღარ ვიმუშავებთ იმ იდეით, რომ „რეალური“ უფრო მნიშვნელოვანია, სერიოზულია ან თუნდაც „მართალი“, ვიდრე მისი რეპრეზენტაცია. „მედია მოვლენა“ არის უფრო არა იმის რეპრეზენტაცია, რაც მოხდა, არამედ მას აქვს საკუთარი რეალობა, რომელიც გროვდება იმ შემთხვევის რეალობაში, რომელიც წინ უსწრებდა ან არ უსწრებდა მას (ფისკე, 1996). შემთხვევის და მისი მედია რეპრეზენტაციის გადაჯაჭვულობა წარმოშობს იმას, რასაც ბოდრიარი „ჰიპერ-რეალობას“ (ბოდრიარი, 2000) უწოდებდა და რასაც ფისკე განმარტავს, როგორც „სინამდვილის პოსტმოდერნულ შეგრძნებას“ (ფისკე, 1996:2).

მარშალ მაკლუენმა ცნობილი ფორმულით – “The Medium is the message”-“შუამავალი თავად არის გზავნილი”(მაკლუენი, 1964) უფრო მეტად მიაპყრო ყურადღება მედია-გზავნილების ჩამოყალიბებას და ინსტიტუციური პროცესების (მაგ: ახალი ამბების შერჩევის შიდა კრიტერიუმები და წარმოების ტექნიკები) მნიშვნელობას. თუკი მანამდე ყურადღება ძირითადად, გამახვილებული იყო ინფორმაციის მომწოდებლებზე (რადგანაც მედია ითვლებოდა ნეიტრალურ მედიუმად) მაკლუენის ფორმულირებამ

არსებული მოცემულობა სრულად შეცვალა: „მასობრივი ინფორმაციის საშუალება თავად არის ინფორმაცია“ ანუ ‘მნიშვნელოვანია არა ის, რა ინფორმაციას გაწვდიან, არამედ ის, ვინ გაწვდის, სად, როგორ და რა საშუალებით და კიდევ უფრო მარტივად – ფორმა არის შინაარსი“ (მაკლუენი, 1964: 9). კომუნიკაციის საშუალების არსისა და გავლენის გადმოსაცემად მაკლუენი განმარტავს: „კომუნიკაციის საშუალების გავლენა ძლიერი და ინტენსიური ხდება სწორედ იმის წყალობით, რომ მას „შინაარსის“ სახით ეძლევა ისევე კომუნიკაციის რომელიმე სხვა საშუალება“ (მაკლუენი, 1964:6). როდესაც მასობრივ კომუნიკაციას განიხილავენ როგორც: პოლიტიკური კონტროლის; სულიერი კონტროლის და კულტუროლოგიური ფუნქციის ჯგუფებს (შოშიტაიშვილი, 2010), ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი ხდება მათში კულტუროლოგიური ფუნქციის განვითარების მიმოხილვა. დ. მაკლუელი მასობრივი კომუნიკაციის მთავარ ამოცანად თვლიდა მასობრივი კომუნიკაციისა და ინდივიდის ურთიერთქმედებას. „როდესაც ჩვენ ვსარგებლობთ „ელექტრონული ინფორმაციით“, იძულებული ვართ ვიფიქროთ არა „სწორხაზოვნად“, როგორც წიგნის კითხვის დროს, არამედ „მოზაიკურად“, ინტერვალებით და სამწუხაროდ, ვეცნობით რეალობის მხოლოდ იმ ნაწილს რომელიც „რეზონანსულია“ (მაქუელი, 1987). მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით კულტურის „მოზაიკურ“ აღქმას აღიარებდა ანტუან მოლიც (მოლი, 1973:35) და ამ საკითხებს მოგვიანებით (გვ.29) შევხებით.

კონკრეტულ დროსა და გარემოში მმართველი ინსტიტუციების მიერ უახლეს გამოწვევებთან ადაპტირებული, მიზანმიმართული დისკურსის ჩამოყალიბება, მისი მორგება გამომსახველობით ხერხებზე, რელევანტურ ინსტრუმენტებსა და ჟანრობრივ კლასიფიკაციაზე და გაშვება იმ სივრცეში, სადაც უნდა აღიძრას ნაგულისხმევი მნიშვნელობები - თანამედროვე კომუნიკაციის დინამიკაში დამკვიდრებული და უკვე ფართოდ გავრცელებული სტრატეგიული კომუნიკაციის მახასიათებლებია. ასეთი ტიპის კომუნიკაცია მასებზე ზემოქმედების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია და მედიაპოლიტიკის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რადგან „მედია შესაძლოა არ კარნახობდეს ხალხს “რა იფიქრონ”, თუმცა ის “გასაოცრად წარმატებულად” კარნახობს აუდიტორიას “რაზე იფიქრონ” (კოენი, 1995). მედიაპოლიტიკა მოცემულ ვითარებებში ახდენს ინსტიტუციების მიზანმიმართული

დისკურსის ჩამოყალიბებას და შესაბამისი ინსტრუმენტებით აუდიტორიის დარწმუნების, მისი ცნობიერების და ქცევის შეცვლას. სწორედ ამ მახასიათებლებით ასახავს ტრადიციული მედიის პოლიტიკა ალტერნატიული ტიპის სტრატეგიული კომუნიკაციის პრინციპებს, რომლებიც არა მხოლოდ მასებზე ზემოქმედების ინსტრუმენტი, არამედ ე.წ. „რბილი ძალის“ (ნაი, 2004) ანუ ქვეყნის კულტურის და ღირებულებების გამაერთიანებელი ყველაზე მძლავრი იარაღია.

მედიაპოლიტიკის ამდაგვარი ფორმულირებით, ჩვენი კვლევისთვის საინტერესო ხდება, თუ როგორ ვითარდებოდა ის გარემოებები, რომლებიც ახასიათებდა საქართველოს უახლეს წარსულს, XX საუკუნის 1980-1990 -იან წლებში და რითაც, კოლექტიურმა და კომუნიკაციურმა მეხსიერებამ გადაფარა ისტორიული მეხსიერების ნარატივები, დაუპირისპირდა არსებულ და „ზემოდან“ მომდინარე იდეოლოგიურ ნაკადებს, ფორმულირებულ შეფასებებს, მცნებებს, არგუმენტებს და თუნდაც, ფაქტებს. პოსტსაბჭოთა ეპოქის გასაანალიზებლად, დღესდღეობით, საკმარისად შეიძლება ჩაითვალოს კოლექტიური მეხსიერება, რომლის შემქმნელი და გამავრცელებელი თაობა ჯერ კიდევ აქტიურ სამოქალაქო ინსტიტუციას წარმოადგენს ჩვენ ქვეყანაში და მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მოძრაობის გააქტიურების ყოველ მომდევნო ფაზაში საკმაოდ ბევრი ფაქტი და მოვლენა შეიძლება საზოგადოებამ გადააფასოს და შეეცადოს ხელოვნური დავიწყების საბურვლის ქვეშ მოაქციოს, მაინც შეუძლებელია ჩვენს რეალობაში შეიქმნას ისეთი პრეცედენტი, როდესაც, მაგალითად - გერმანიაში, ერმა დაივიწყა საკუთარი ქალაქების დაბომბვა, გენოციდი, ჰოლოკოსტი (Holocaust Chronicle).

ეს კონკრეტული მაგალითი შეიძლება შეფასდეს, როგორც წინასწარ განზრახული დავიწყება, რამაც პოსტსტრუქტურალიზმის თეორიით, სრულიად განსხვავებული ინტერპრეტირებული რეალობა შექმნა. მიმდინარე მოცემულობების ინტერპრეტირებულ დროსა და სივრცეში აღქმას კი მივყავართ საინტერესო დათქმასთან : როდესაც ვსაუბრობთ გახსენებაზე, უნდა ვიგულისხმოთ დავიწყება და როდესაც ვსაუბრობთ დავიწყებაზე, უნდა ვიგულისხმოთ გახსენება...ინგლისელი მწერალი, სამხედრო კორესპონდენტი, ესეისტი და ლიტერატურული კრიტიკოსი ჯორჯ ორუელი ავითარებს ნარატივს: „ვინც მართავს წარსულს, ის მართავს მომავალს, ვინც მართავს

აწმყოს, ის მართავს წარსულს“ (ორუელი, 2017), რითაც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ყოველგვარი უხეში და არაჰუმანური გზების გამოყენებითაც კი ადამიანებში იღვიძებს იდეა, რომლის მიხედვით, მიზანი ამართლებს საშუალებას. იმისათვის რომ მთელი საზოგადოება მოიმართოს ერთი იდეის განსახორციელებლად, მანიპულირების ყველაზე ეფექტიანი გზა - ზეგავლენის მოხდენა და პროპაგანდაა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ყველა საბჭოთა ლიდერი გამოირჩეოდა თავისი მანიპულაციური გადაწყვეტილებებით და ბუნებრივია, ასეთ წყობაში არა მხოლოდ ლიდერია საოცრად ნეგატიური პერსონა, არამედ მისი თანამოაზრეებიც და მიმდევრებიც, რადგან მათ მიმართ „ტოტალიტარული სახელმწიფო, როგორც წესი, ცდილობს ქმედითი კონტროლი გაუწიოს არა მხოლოდ ქცევას, არამედ მათ აზრებსაც და გრძნობებსაც“ (ორუელი, 2017).

სწორედ ინდივიდების, განსხვავებულობის და თავისუფლების მიმართ შიშებმა აიძულა გასულ საუკუნეში საბჭოთა ლიდერები, გამოეყენებინათ ყველაზე სასტიკი მეთოდები სისტემის შენარჩუნებისთვის. მათი სამიზნე ცხადია, მოაზროვნე და განათლებული ადამიანები იყვნენ. მათი საზოგადოებისგან დისტანცირება, ლიკვიდაცია და განადგურება განსხვავებული აზრის ალკვეთის ერთადერთ საშუალებად მიაჩნდათ ტოტალიტარიზმის უბოროტეს სამყაროში და შემდეგი გზა, რითაც მიზნად ერის საბოლოო გადაგვარება დაისახეს, მასების ცნობიერების გადაფორმატება და ისტორიის გადაწერა გახლდათ. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში, მიუხედავად ინტელექტუალურ ფენაზე მრავალწლიანი გალაშქრებისა, სისტემის იდეოლოგებმა ვერ გაიაზრეს, რომ ადამიანი ბუნებით რაციონალური არსებაა, თავისუფლება მისი ბუნებითი უფლებაა და მისი ხელყოფა არასოდეს დამთავრდებულა ტოტალიტარისთვის ხელსაყრელი შედეგებით. სწორედ ეს აცდენა გახდა საფუძველი სისტემის ნგრევისა და ის, რაც მათ კონსპირაციული გეგმით და ქმედებებით 1989 წლის 9 აპრილს საქართველოში „შემლეს“ და „გამოუვიდათ,“ ისევ საკუთარ ორგანიზმს მიაყენეს სასიკვდილო ჭრილობა და ცნობილი ორლესული ნიჩბებით წაიყარეს მიწა ათწლეულობით ნაშენებ გავლენათა გორაკებზე. მსოფლიო ისტორიამ არაერთხელ დაგვარწმუნა იმ უნივერსალურ ჭეშმარიტებაში, რომ შეუძლებელია ცივილიზაციის დამყარება იდეოლოგიურ შიშზე, ცნობიერებაზე ძალისმიერ ზემოქმედებაზე, სიძულვილსა და სისასტიკეზე.

ყველა ეპოქის მედიის მიერ მასების ცნობიერებაზე „ზრუნვის“, ანუ ზეგავლენის მოხდენის, ტრანსფორმირების, ქცევის შეცვლის მცდელობები მეტ-ნაკლები წარმატებით გვხვდება ხოლმე ეპოქების ცვლილებების და საზოგადოების განვითარების ყველა საყოველთაოდ ცნობილ ვერსიაში. ჩვენს მაგალითზე კი, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამოუკიდებლობის 30-წლიან მონაკვეთში, ქართული მედია ვითარდებოდა, იხვეწებოდა, ეძებდა ზემოქმედების ეფექტიან გზებს. თუმცა, თუ პოსტსაბჭოთა ეპოქის გარიჟრაჟზე მედიასივრცეში შექმნილ მდგომარეობას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ის ვერ აღმოჩნდა სათანადო პარტნიორი, ვერ იზრუნა მოქალაქეების ინფორმირებულობასა და შექმნილი კრიზისული მდგომარეობისადმი მედეგობის შემუშავების სტანდარტებზე. რეალურად, ეს იყო ის დრო, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყველა სახელმწიფომ ბნელ ოთახში ხელის ცეცებით დაიწყო ცხოვრება, ამ მდგომარეობას თან დაერთო მედიის და საზოგადოების დაშორიშორება, რაც ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე, ყველაზე სახიფათო მდგომარეობად მიიჩნეოდა. როდესაც მედიაპოლიტიკის გავლენებზე მიდის მსჯელობა, მას ხშირად აიგივებენ მხოლოდ გზავნილის გადაცემის, მიღებისა და გავრცელების პროცესთან: „ის, ერთი მხრივ, საკომუნიკაციო პროცესის ერთობლიობას ასახავს, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკური სივრცის მზარდი მედიატიზების, მასში სანახაობრივი, სპექტაკლის ელემენტების მომრავლების ტენდენციაზე მიანიშნებს. ამ ინტერპრეტაციით, „მედიაპოლიტიკა“ თანამედროვე სოციალური ყოფის განუყრელი ნაწილია, იმ რეალობის, სადაც პოლიტიკური აქტის გარეგნული მხარე, მისი მედიამიმზიდველობა ხშირად მეტად ფასდება, ვიდრე დისკურსის სიღრმე ან თვით პოლიტიკური იდეის რაციონალური საწყისი“ (თუშმალიშვილი, 2017).

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რა როლი ითამაშა მედიამ, როდესაც საკვლევ პერიოდად შერჩეულ ეტაპზე (1980-1990-იანი წლები) და ფუნდამენტური ცვლილებების ეპოქაში საზოგადოება დარჩა შიშვლად მიმდინარე გარდაქმნების წინ? ყველა პრაგმატული აზრისგან მიტოვებულ, თვითდინებაზე მიშვებულ დროში იმდროინდელმა მედიამ ვერ შეძლო სიახლეებთან ადაპტირება, ობიექტური ინფორმაციის მოპოვების და მიწოდების სისტემატიზაცია, ვერ შექმნა პლატფორმა დისკუსიისთვის, საზოგადოებასთან ერთად ვერ ეძება გამოსავლის გზები და დატოვა

ის მარტო ახალი რეალობის პირისპირ. მიუხედავად იმისა, რომ მედია არ შეიძლება იყოს კოლექტიური პროპაგანდისტი, მან უნდა შეძლოს საზოგადოების განწყობებისთვის შესაბამისი პლატფორმების შექმნა და ფართო აუდიტორიის ინფორმაციით სისტემური კვება, არგუმენტირებული დღის წესრიგის ფორმირება, დასკვნების გამოტანის კომპეტენციებით აღჭურვა, რადგან „მედია ყოველთვის იცვლის ფორმას და იღებს იმ სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების ელფერს, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება“ (სიბერტი, პეტერსონი, შრამი, 1956). მედიის განვითარების ისტორია გვარწმუნებს კიდევ ერთი საინტერესო ტენდენციის მნიშვნელობაში: „რაც უფრო დემოკრატიულია საზოგადოება, მით უფრო მეტი ინფორმაციითაა ის უზრუნველყოფილი“ (კოვაჩი, როზენსტილი, 2001) და ცხადად გვიჩვენებს ქართული მედიის სისუსტეების ლოგიკურ მიზეზებს. სახელმწიფოს და მედიის ურთიერთობების საინტერესო და დღესაც აქტუალურ მოდელებს გვთავაზობენ სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორები ფ.სიბერტი, უ. შრამი და თ. პეტერსონი ნაშრომში „პრესის ოთხი თეორია“. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი გამოქვეყნდა 1956 წელს აშშ-ში, თანამედროვე მეცნიერები მედიის როლის კვლევისას ხშირად მიმართავენ ამ ნაშრომს. თუ გადავხედავთ ამერიკული მედიის განვითარების ეტაპებს, ვნახავთ, რომ იქ არსებული რეალობის ანალიზისას, ამერიკელი მკვლევრები დასძენენ, რომ „მოქალაქეები თანაბარი ცინიზმით განიმსჭვალნენ მედიისა და პოლიტიკის მიმართ, რადგან ეს უკანასკნელნი მხოლოდ ერთმანეთთან აწარმოებენ დიალოგს და მათ ამ ურთიერთობაში არანაირად არ მონაწილეობს ხალხი“. იგივე მოსაზრებაა განვითარებული ბილ კოვაჩისა და ტომ როზენსტილის წიგნში “ჟურნალისტიკის ელემენტები”, კერძოდ - „ფართო საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების ნაცვლად, ჩვენი პროფესია ზიანს აყენებს საზოგადოებას (კოვაჩი, როზენსტილი, 2006). “ამერიკული დემოკრატიის” ავტორები კი დასძენენ, რომ „პრობლემა ის კი არ არის, რომ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს არ შეუძლიათ ახალი ამბების ხარისხიანი გაშუქება, არამედ ის, რომ საზოგადოება ამას არც კი ითხოვს“ (შოშიტაიშვილი, 2010). ეს ამონარიდები თავისი შინაარსით, ნაწილობრივ ეხმიანება ქართული მედიის პრობლემებს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დემოკრატიულობის ეტალონად მიჩნეულ ამერიკულ მედიასა და მუდმივად დუდილის პროცესში მყოფ ქართულ მედიას

საერთო კონცეპტუალური პრობლემა აქვთ; რომ საზოგადოების ინტერესებიდან გადახვევა მხოლოდ ქართული მედიის დილემა არ არის. ოღონდაც, განსხვავება ისაა, რომ ჩვენმა მედიამ ნახტომისებური სვლებით გამოტოვა განვითარების ის ეტაპი, რომელმაც გასული საუკუნის მანძილზე, დასავლური მედია საზოგადოების “ფხიზელ გუშაგად” (Watch Dog) ჩამოაყალიბა: „მასმედია მოდარაჯე ძალღივითაა, რომელსაც ხალხი თვითკმაყოფილების მდგომარეობიდან გამოჰყავს და საზოგადოების მივიწყებულ წევრებს ხმის ამოდების საშუალებას აძლევს“ (კოვაჩი, როზენსტალი, 2001:19).

ცნობილი ფაქტია, რომ ყველაზე ადრეული დემოკრატიის სამშობლო, საბერძნეთი -, ეყრდნობოდა სიტყვიერ ჟურნალისტიკას ათენის ბაზარში, სადაც „ხელმისაწვდომი“ იყო ყველაფერი, რაც კი საზოგადოებრივ საქმეებს შეეხებოდა“ (ჰოპენბერგი, 1971). რაც შეეხება რომაელებს, მათ პირველად შემოიღეს ყოველდღიური ანგარიშების სისტემა, რომელშიც გაშუქებული იყო რომის სენატის საქმეები, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების დეტალები და ამ ცნობების საყოველთაოების უზრუნველსაყოფად ისინი პაპირუსის ქაღალდების კედლებზე გაკვრის ფორმით ვრცელდებოდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. მედიის მიზნების კლასიკურ განმარტებაში - „ჟურნალისტიკა გვეხმარება ჩვენი საზოგადოების ჩარჩოების განსაზღვრასა და რეალობით ნასაზრდოები საერთო ენისა და საერთო ცოდნის ჩამოყალიბებაში. ამას გარდა, ჟურნალისტიკა ხელს უწყობს საზოგადოების მიზნების, გმირების და ანტიგმირების იდენტიფიცირებას“ (კოვაჩი, როზენსტალი, 2001) - კარგად ჩანს ზეგავლენების ინსტრუმენტალიზაციის საწყისი ნიშნები, რომლებმაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებასთან ერთად შეიძინეს დამატებითი უნარები და შესაძლებლობები, რომელთა საშუალებითაც, მედიის მიერ მიღებული და გადაცემული ინფორმაციის საჯაროობის გაგება ჩამოყალიბდა. სწორედ ასეთი მედიის დისკურსი განმარტა სტიუარტ ჰოლმა - როგორც „საჯარო იდიომა“ (ჰოლი, 1980:138), რომელიც არ არის ჰომოგენური და მის მთავარ მახასიათებლად შერჩევითობა მიიჩნია, რაშიც იგულისხმება ჟურნალისტების მიერ კონკრეტული ამბისთვის კატეგორიის მინიჭება (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა) და მათ მიერვე სხვადასხვა საკითხის გაშუქების ან არგაშუქების გადაწყვეტილება. სწორედ ამ სელექციურობის მეშვეობით, მედია „ახდენს ინფორმაციის სტრუქტურულ

კატეგორიზებას და შესაბამისად, გარდაქმნის მათ მნიშვნელობებს. შერჩევის მთავარ კრიტერიუმად კი გამოიყენება პროფესიონალიზმი, ტექნიკური და კომერციული შეზღუდვები, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს დეფინიციებისა თუ სოციალურ იდენტობათა წარმოების, მათზე გავლენის მოხდენის პროცესში“ (ჰოლი, 1978). სტიუარტ ჰოლის თანახმად, მედიაში გაშუქებული ამბავი ატარებს ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის ნიღაბს, მაშინ როცა, იგივე ამბავი სხვადასხვა სპეციალისტის ან ექსპერტის ანგარიშებში შეიძლება შეუმჩნეველიც დარჩეს. შესაბამისად, მედიას აქვს რეალობის დადასტურების, ამბისთვის ვალიდურობის მინიჭების ძალაუფლება და კონკრეტულ შემთხვევაზე მედიადისკურსის კონცენტრირებული ყურადღების გამახვილების უნარი. ჰოლს მიაჩნია, რომ დღის წესრიგის შექმნა და საჯარო იდიომების გამოყენება გამომდინარეობს ყოველდღიური კომუნიკაციის „შეთანხმებული ღირებულებებიდან“ (ჰოლი, 1980). ასეთ შეთანხმებაზე დაყრდნობით კი, მედიაში ამბავი პოპულარული დისკურსის მიხედვით გადმოიცემა. სტიუარტ ჰოლი მას გაბატონებულ კულტურულ წესრიგსაც უწოდებს, რომელშიც აქტიურად მიმდინარეობს მნიშვნელობების წარმოება და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების შერჩევითი აღწერა (ჰოლი, 1978).

დასავლური ტერმნოლოგიით, სუბიექტურობის გამოვლინებას ანუ შერჩევით აღწერას ეხმიანება ტრადიციული და თანამედროვე ქართული მედიის ცნობილი თეორეტიკოსი ნოდარ ტაბიძე: „პუბლიცისტიკაში აუცილებლად უნდა მჭიდვანდებოდეს ტენდენცია, ე.ი. ავტორის დამოკიდებულება აღწერილისადმი, თანაც, პირდაპირ. პირდაპირობაში ვგულისხმობთ არა მხოლოდ მსჯელობის ფორმით მოწოდებულ კლასიფიკაციას, არამედ ეპითეტ-მეტაფორებში, განსაზღვრებებში ჩაქსოვილ აზრს“ (ტაბიძე, 2011: 15). ცხადია, როდესაც დომინანტური მნიშვნელობები სხვადასხვა ფორმით იმეორებს გავრცელებული დისკურსისა თუ პოზიციის შეხედულებებს, მედიის მეშვეობით ხდება მათთვის ბუნებრივი ელფერის მინიჭება და ჰოლის თანახმად, „მედიას ასეთ შემთხვევაში საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევისა და გავრცელების როლი აქვს, რაც მას აქცევს გაბატონებული იდეოლოგიის კვლავწარმოების იარაღად“ (ჰოლი, 1980).

მედიის დომინანტური ორიენტაცია ყურადღების გამახვილების და აქცენტირებისკენაა მიმართული: „ამ პროცესში მედია სპეციფიკური ენის გამოყენებით აქცევს კონკრეტულ შემთხვევას დასრულებულ მედიაპროდუქტად“ (ჰოლი, 1980), სხვადასხვა მედიაგამოცემა კი თავის ენას გამოიმუშავებს კონკრეტულ აუდიტორიასთან სასაუბროდ. მედიადისკურსი სოციალურ საკითხთა კვლევის პროცესში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, ვინაიდან სწორედ მედიის მეშვეობით ხდება იმ შეხედულებების წარმოება და გავრცელება, რაც შემდეგ გვევლინება, როგორც საზოგადოებრივი აზრი ან უმრავლესობის შეხედულებები, განწყობები. საჯარო დისკურსზე წვდომას უკავშირებენ ტექსტებსა და კონტექსტზე გავლენასა და კონტროლს, რაც უმეტესად „სიმბოლური ელიტების“ (პოლიტიკოსების, მწერლების, ჟურნალისტების) პრივილეგიაა“ (თუნ ვან დაიკი; 1943) . როგორც ვხედავთ, მედია უდიდეს როლს ასრულებს დისკურსის წარმოებისა და საჯარო აზრის ჩამოყალიბების პროცესში, რადგან ხშირად მათ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, ვინ ილაპარაკებს მედიაში - სად, რამდენ ხანს, რა ფორმით, ვისთან ერთად და ა.შ. შესაბამისად, ის, ვინც აკონტროლებს ტექსტს, აკონტროლებს დისკურსს და პირიქით.

მედია გავლენას ახდენს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე იმ ინფორმაციის გავრცელებით და მიწოდების ფორმით, რომელსაც თავად ირჩევს. რაც შეეხება მედიის დამოკიდებულებას კულტურის საკითხებისადმი, გასათვალისწინებელია ანტონიო გრამშის კულტურული მოვლენებისადმი მედიის მიდგომების ანალიზი. იტალიელი ფილოსოფოსი ფოკუსირებული იყო გაგებაზე, თუ როგორ შეიძლება კულტურა და პოლიტიკა აფერხებდეს ან სტიმულირებდეს რევოლუციურ ცვლილებებს და ყურადღებას ამახვილებდა ძალაუფლებისა და დომინირების პოლიტიკურ და კულტურულ ელემენტებზე (გრამში,1992). მართალია, ფილოსოფოსი ამ სიტყვებით მარქსის თეორიას ეხმაურება, მაგრამ მასში გრამში ხედავდა სახელმწიფოს, როგორც დომინირების ინსტრუმენტს და მის მიერ შემუშავებული "კულტურული ჰეგემონიის" კონცეფციით ამტკიცებდა, რომ დომინირება მიიღწევა ძირითადად იმ იდეოლოგიით, რომელიც გამოხატულია სოციალური ინსტიტუტების საშუალებით, დომინანტი ჯგუფის მმართველობაზე ხალხის თანხმობის მისაღწევად (ბეიტსი, 1975).

ცნობილია, რომ ინფორმაციის შინაარსი, სანამ ის მედიის მიერ გადაცემულ შეტყობინებად იქცევა, ინსტიტუციური იერარქიის სხვადასხვა დონეს გადის. გადაცემის თვალსაზრისით, შეტყობინებები დროსა და სივრცეში ნაწილდება. უოლტერ ლიპმანმა ახალი ამბები განმარტა, როგორც „მოვლენის სიგნალიზაცია“ (ლიპმანი, 1922) და ხაზი გაუსვა მედიის მიერ წარმოდგენილი ამბების აქცენტირების მნიშვნელობას: „მოქალაქეები თეატრის იმ მოყვარულებს ჰგვანან, რომლებიც „სპექტაკლს მესამე მოქმედების შუიდან ესწრებიან, ფარდის დაშვებამდე მიდიან და მხოლოდ იმდენ ხანს რჩებიან, რომ გაარკვიონ, ვინ არის გმირი და ვინ-მსხვერპლი“ (ლიპმანი, 1968). ამიტომაც, ლიპმანის აზრით, მედიას ენიჭება ის უმთავრესი ფუნქცია, რომლითაც მას საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხის ფოკუსირება და აქცენტირება ევალება. საზოგადოების ყურადღების სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე თემებსა და მოვლენებზე გადატანის პროცესში გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ლოკალურ დისკურსზე წარმოდგენილად დიდ გავლენას ახდენს გლობალური ტექსტები, ნარატივები და ის ტერმინები, რასაც მედიადისკურსები იყენებენ მოვლენების თუ ადამიანების აღსაწერად. მედიის მკვლევრები და პოლიტიკური ელიტები ასხვავებენ ფაქტს მოსაზრებისგან, საზოგადოებრივ საქმეებს - მასობრივი კულტურისგან, ახალ ამბებს არა-ახალი ამბებისგან და მოქალაქეებს (მომხმარებლებს) ექსპერტებისგან (მწარმოებლებისგან). ამ კედლების XXI საუკუნეში გამაღებელი სისწრაფით ნგრევა, ცვალებადი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მასობრივი მედიის, ახალი ეკონომიკის და უფრო ფართო კულტურული ტრენდების შედეგია, რომელიც სულ უფრო და უფრო შეუძლებელს ხდის ახალ ამბებსა და არა-ახალ ამბებს შორის მკაფიო გამყოფი ხაზის არსებობას.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუახანებში ბალზაკი წერდა: “ჟურნალიზმი... თანამედროვე საზოგადოების რელიგიაა“, მისივე სიტყვებით: „ჩვენ, ღმერთი მეფისტოფელის ნამდვილმა მიმდევრებმა, იჯარით ავიღეთ საზოგადოებრივი აზრის შეღებვა...” (ბალზაკი, 1973: 66-68). ფრანგი კლასიკოსის ამ შეფასებით განმარტებაში საკმაოდ ცხადად არის გავლენული კონტურები თანამედროვე მედიის ფუნქციებსა და მიზნებს შორის. მაკლუენის აზრით კი, “პრესა თავის მხრივ გვევლინება ჯგუფურ აღსარებით ფორმად, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების თანამონაწილეობას. მას შეუძლია

მოვლენებისთვის ელფერის მიცემა უბრალოდ მათი გამოყენებით ან არგამოყენებით. წიგნიც და გაზეთიც თავისი ხასიათით აღსარებითია. ისინი ქმნიან იდუმალი ისტორიის ეფექტს თავისი ფორმით, შინაარსისგან დამოუკიდებლად. როგორც წიგნის გვერდი გვთავაზობს ავტორის სულიერი თავგადასავლების ისტორიას, ისე საგაზეთო გვერდი ავრცელებს მოქმედებასა და ურთიერთქმედებაში მყოფი საზოგადოების შიდა ისტორიას” (მაკ-ლუენი, 2003:103).

განსახილველ საკითხს ასევე საუკეთესოდ ეხმიანება ილია ჭავჭავაძის მიერ მკითხველისთვის აქცენტირებული საგულისხმო მინიშნება: „როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს ერთ დიდ სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება“ (ტაბიძე, 1977:134). ეს სიტყვები ქართული ჟურნალისტიკის პატრიარქის, ნოდარ ტაბიძის მიერაა ამოკრებილი ნაშრომში „ილია ჭავჭავაძის „ივერია“(1877–1886) და ავტორის (ტაბიძე, 1977) მიერ კონსტრუირებული ფორმულიდან გამომდინარე, ღია კითხვა-თუ რამდენად ახერხებდა ქართული მედია არა მხოლოდ ილიას ეპოქის საქართველოში საზოგადოების აზრის გამშვენიერებას, რწმენისა და გრძნობის სრული სპექტრით აღქმას, განზოგადებას და აუდიტორიამდე სრულფასოვნად მიტანას. ფაქტია, რომ ჟურნალისტიკის პრინციპების სრული დაცვა, რაც, ძირითადად, სიმართლის, სიზუსტის და ფაქტის კონსტატირების ტირაჟირებით შემოიფარგლება, ყოველთვის არ არის საკმარისი კვალიფიციური მომხმარებლისთვის, რადგან მედია უდიდეს როლს ასრულებს დისკურსის წარმოებისა და საჯარო აზრის ჩამოყალიბების პროცესში.

მასმედიის ექვს ფუნქციას გამოყოფს ფრანგი მკვლევარი, კლოდ-ჟან ბერტრანი, განსაზღვრავს რა მედიის ინსტრუმენტებს: 1) მეთვალყურეობა; 2) საზოგადოებრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა; 3) მსოფლიოს ახალი ამბებით უზრუნველყოფა; 4) . კულტურის გავრცელება; 5) გართობა; 6) გაყიდვა (ბერტრანი, 2004: 23-24). მნიშვნელოვანი ფუნქციების გვერდით ბერტნარი განსაკუთრებული აქცენტით ასახელებს კულტურის გავრცელებას, რადგან ადამიანები, რომლებიც განვითარების უწყვეტ პროცესში არიან ჩართულნი, საჭიროებენ არამხოლოდ ინფორმაციის მუდმივად განახლებად რეჟიმში მიწოდებას, არამედ მათ სათანადო აქცენტებით ჩამოყალიბებას.

ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პუბლიცისტური მეთოდების გამოყენება, რადგან „პუბლიცისტიკისთვის დამახასიათებელია: 1. ცნებებით აზროვნება; 2. ტენდენციის გამომჟღავნება პირდაპირ, შეუნიღბავად; 3. აქტუალურობა; 4. განზოგადება, - ყოველივე ეს კი მოაზრებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტით აუდიტორიაზე უშუალო ზემოქმედების მიზნით“ (ტაბიძე, 2011:14).

ამავე ტენდენციას ვხვდებით ილიას ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ (1883:8), სადაც ავტორი ქართული გონის და სიტყვის შენარჩუნებისთვის ბრძოლას თავის მოვალეობად ახსენებს ქართველობას: „ან იქნება უმეცრებისა გამო ჰგონიათ, რომ ქართული თეატრი, ქართული ჟურნალი, თუ გაზეთი, და სხვა ამგვარი საქმე არაფერს არ მოასწავებენ და წვრილფეხობის ცულლუტობადა სთვლიან. ერთიც, მეორეც, მესამეც, რაც უნდა უძღურნი იყვნენ დღეს, ჩვენის ვინაობის დამცველნი და შემნახველნი არიან. ვინც ამათ ზურგს შეაქცევს, თავის ადამიანურ სახეს შეურაცხყოფს და არარაც ჰხდის“ (ჭავჭავაძე, 1984: 854). ამ და სხვა ბევრი მაგალითით კიდევ ერთხელ შეგვიძლია თქმა, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ ჟურნალ „ივერიაში“ „შინაური მიმოხილვებით“ წარმოებული მედიადისკურსი და გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა ფართო სპექტრი, როგორც ფორმის, ასევე შინაარსის თვალსაზრისით, კლასიკური მაგალითია იმისა თუ როგორ უნდა აიგოს ნარატივის სტრუქტურა იმისათვის, რომ გამიზნული ზემოქმედება მოახდინოს კონკრეტულ აუდიტორიაზე: “როგორც უნდა იყოს ცხოვრება, ძლიერი თუ უძღური, მაღალი თუ დაბალი, ჟურნალ-გაზეთმა უსათუოდ უნდა თვალი დააკვიროს, უნდა შეისწავლოს, უნდა განმარტოს“ („შინაური მიმოხილვა“, აგვისტო, 1883).

1.2. დარწმუნების ხელოვნებიდან უნიფიცირებულ ზეგავლენებამდე

ტექნოლოგიური რევოლუციების ეტაპზე, მედიის ფორმების მოდერნიზებასთან და სრულყოფასთან ერთად, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება დარგობრივი მედიის განვითარება და მასზე კულტურის ზეგავლენების გავრცელება, რომლებიც თანამედროვე სოციუმებში ზოგჯერ უხილავია, დამოკიდებულია კონტექსტებზე და კვეთს სხვა დისკურსებს. თავად კულტურები, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცეები, ახალი ტექნოლოგიური სისტემების ზეგავლენით. სულ უფრო მეტად განიცდიან ფუნდამენტურ სახეცვლილებებს. ინტეგრირებულ

საკომუნიკაციო სისტემაში კულტურულ გამოხატულებათა ჩართულობას კი მნიშვნელოვანი შედეგები მოაქვს სოციალური სივრცისთვისაც-„ერთი მხრივ, ის მნიშვნელოვნად ასუსტებს შეტყობინებათა ტრადიციული გამგზავნების ძალაუფლებას, რომლებიც შეტყობინებას, როგორც წესი, ავრცელებდნენ ისტორიულად დეტერმინირებული სოციალური კოდების საშუალებებით: რელიგიით, მორალით, ავტორიტეტით, ტრადიციული ღირებულებებით, პოლიტიკური იდეოლოგიით. ისინი არ ქრებიან, მაგრამ სუსტდებიან ან ინტეგრირდებიან ახალ სისტემაში, სადაც მათი ძალაუფლება ვრცელდება ელექტრონული მატერიალიზაციის ფორმით“ (ნემსაძე, 2016). კულტურის, როგორც მნიშვნელობებისა და სიმბოლოების სისტემის კონცეპტუალიზაცია მიზნად ისახავს სემიოტიკური და სხვა სახის გავლენებისაგან თავის დაღწევას. მსოფლიო რელიგიები, იმპერიები, იდეოლოგიები „დროის გარეშე მენტალური ლანდშაფტის“ (კასტელსი, 1996) და დროის გარეშე დროის კულტის - კულტურის კონტექსტში ერთიანდება. იგივე ითქმის თანამედროვე კულტურის გლობალიზაციაზე - გლობალური ინფრასტრუქტურა, დასავლური ღირებულებების ექსპორტი, ინდივიდუალიზმი, დემოკრატია, თავისუფლება, ადამიანის უფლებები... რამდენადაც კულტურა შემოდის და გადაიცემა კომუნიკაციის გზით, თავად კულტურები, ანუ რწმენებისა და კოდების ისტორიულად შექმნილი სისტემები, ახალი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ზეგავლენით განიცდის ფუნდამენტურ ცვლილებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (გვ.18), ანტუან აბრაამ მოლის მიერ იქნა გავრცელებული მოზაიკური კულტურის იდეები და ადამიანის მიერ სამყაროს კულტურის მოზაიკური, კალიდოსკოპიური აღქმა. მისი აზრით, „კულტურა - ესაა ხელოვნების წიაღის ინტელექტუალური ასპექტი, რომელსაც ადამიანი თავისი სოციალური ცხოვრების მანძილზე ქმნის“ (მოლი, 1973). სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი გამოვეყნოთ მასკომუნიკაციის გავლენა ტრადიციული ჰუმანიტარული კულტურის თანამედროვე „მოზაიკურ კულტურად“ (მოლი, 1973) გარდაქმნის პროცესზე.

გაბრიელ ტარდი აღნიშნავდა: „ნაწილობრივ წიგნმა და მთლიანად პრესამ შეძლო ადამიანებში ეროვნული გრძნობების გაღვივება და ეს დამოკიდებული აღმოჩნდა იმ ენებზე, რომელზეც იბეჭდება გაზეთები და წიგნები. ყოველი ერი ცდილობს, გააფართოოს მისი ბატონობის სფერო, ამის საუკეთესო საშუალება კი პრესაა, რომელიც

საზოგადოებრივი აზრის უმთავრეს წყაროდ გვევლინება“ (ტარდი,1969). ნიკლას ლუმანი წიგნში “მასმედიის რეალურობა” წერს: “ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით ჩვენს საზოგადოებაზე ან თუნდაც იმ სამყაროზე, რომელშიც ვცხოვრობთ, ვიცით მასმედიის საშუალებით. მეორეს მხრივ, ჩვენ იმდენი ვიცით მასმედიისაზე, რომ არ შეგვიძლია მისი ნდობა. ჩვენ თავდაცვის მიზნით მას მანიპულაციაში ვადანაშაულებთ, თუმცა ამ ბრალდებას არ მოსდევს მნიშვნელოვანი შედეგი, რადგან მასმედიისგან ნასესხები ცოდნა თითქოს თვითონ ქმნის დახურულ, თავის თავზე დაყრდნობილ სტრუქტურას”(ლუმანი, 2005).

მედიის სხვადასხვა ასპექტის მიმოხილვისას, ვთანხმდებით, რომ მედია გვაწვდის ფაქტობრივ ინფორმაციას, აძლიერებს სოციალურ და პოლიტიკურ დებატებს, თუმცა, ვალდებულია იყოს ყურადღების გადამტანი, უკონტექსტო და პოლიტიკურად არარელევანტური; რაც შეეხება პოლიტიკას, ის ძირითადად, შუამავლის საშუალებით გადმოცემული გამოცდილებაა, შუამავალი-კომუნიკაცია კი ინფორმაციის მიმოცვლის უძველეს საშუალებას წარმოადგენს, თუმცა მისი, როგორც აკადემიური დისციპლინის ისტორია საკმაოდ მოკლეა. კომუნიკაციის შესახებ ყველაზე სრულყოფილი ანტიკური ტექსტები ბერძნულ და რომაულ საზოგადოებებს ეკუთვნით. ორივე მათგანში, კომუნიკაცია განსაზღვრებოდა, როგორც რიტორიკის სინონიმი. პლატონი რიტორიკას განმარტავდა, როგორც ადამიანების სტილისტური და პოეტური ენის მეშვეობით დაკავშირების საშუალებას, არისტოტელეს იდეებში კი რიტორიკა ძირითადად საჯარო ფორუმებზე ეთიკური ტიპის გავლენებით და აქცენტებით ვლინდება. აქედან გამომდინარე, არისტოტელეს იდეები დემოკრატიული აზროვნების საფუძვლად მიიჩნევა, ხოლო პლატონის თეორიები ლიტერატურის კვლევებისათვის ქმნიდა საფუძვლებს (თუმშალიშვილი, 2017). არისტოტელეს განსაზღვრებით, „რიტორიკა უნდა იყოს ყოველი საგნის შესატყვისი დამაჯერებლობით განხილვის უნარი. ეს კი არცერთი სხვა ხელოვნების საქმე არაა, რადგან ყველა სხვა ხელოვნება არის გარკვეული საგნის ცოდნა და დასაბუთება, მაგალითად, მედიცინა – ჯანმრთელობისა და ავადმყოფობისა, გეომეტრია – სიდიდეებისა და შემთხვევითი თვისებებისა, არითმეტიკა – რიცხვებისა, ასევე სხვა მეცნიერებანი და ხელოვნებანი. რიტორიკა კი ნებისმიერი საგნის დამაჯერებლად განხილვის უნარია“ (არისტოტელე,1981;25). იმ დარგთა შორის,

რომლებიც რიტორიკას, როგორც სიტყვიერი დარწმუნების ხელოვნებას იყენებენ - პოლიტოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ლინგვისტიკა, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა და სხვა, უნდა გამოვყოთ ჩვენთვის საინტერესო სეგმენტი - კომუნიკაცია და მისი ერთ-ერთი „იარაღი“ - მედია ტექსტი, რომლისთვისაც რიტორიკული არგუმენტაციის თეორია მთავარი დასაყრდენია აუდიტორიაზე ზეგავლენის მოსახდენად. მედიის განვითარება უწყვეტი და შეუქცევადი პროცესია, სადაც კომუნიკაციის ფორმები პერიოდულად იცვლება, უცვლელი რჩება მხოლოდ მედიის ენა, მოქმედებისა და შემოქმედების სინთეზური პროდუქტით - ტექსტით. პრესაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ტექსტების ხასიათიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ტიპის ტექსტი: ინფორმაციული ტექსტები, არგუმენტირებული ტექსტები და მტკიცების ხასიათის ტექსტები. თითოეულ ამ ტიპს, რა თქმა უნდა, ახასიათებს სუბიექტური ბუნება, მრავალფეროვანი აქცენტები, მიზნები და თითოეული მათგანი სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისაკენ არის მიმართული. ტექსტის მრავალმხრივი და ტრანსფორმირებადი ბუნება რიტორიკული ანალიზის და შესაბამისად, დისკურსის წარმოების საფუძველია. რიტორიკული ანალიზი კრიტიკის ის ფორმა გახლავთ, რომელიც რიტორიკის პრინციპებს იყენებს ტექსტს, ავტორსა და აუდიტორიას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესამოწმებლად. თავის მხრივ კი, მედიატექსტი არის „ნიშნებისა და კოდების აღმნიშვნელი სისტემა, რომელიც არსებითია კომუნიკაციის აქტისთვის“ (ფისკე, სალივანი, ჰერტლი, 1983). ამდენად, რიტორიკული ანალიზი შეიძლება გამოვიყენოთ პრაქტიკულად ნებისმიერი ტექსტის გაანალიზებისას, რაც ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის საგანია.

და როგორ მოვიდა რიტორიკული ანალიზი მედიატექსტამდე? როგორც ცნობილია, რიტორიკა კომუნიკაციისგან განყენებულად ვითარდებოდა XX საუკუნის შუა პერიოდამდე, თუმცა კვლევის ეს ორი მიმართულება საბოლოოდ მაინც გადაიკვეთა. კომუნიკაციის ისტორიაც საკმაოდ არამდგრადია, ვინაიდან მისი დისციპლინად ჩამოყალიბების პროცესი იწყება სოციოლოგიიდან და სოციალური ფსიქოლოგიიდან, შემდგომ იგი ერწყმის ჟურნალისტიკის კვლევებს და მხოლოდ ამის შემდეგ ყალიბდება ყველა ზემოხსენებული დისციპლინის დომინანტ ძალად (შოშიტაიშვილი, 2010).

რობერტ ტ. კრეიგმა კომუნიკაციის კვლევებში არსებული სხვადასხვა თეორიული მიმართულება შვიდ "ტრადიციაში" შეაჯამა: 1. რიტორიკული; 2. სემიოტიკური; 3. ფენომენოლოგიური; 4. კიბერნეტიკული; 5. სოციოფსიქოლოგიური; 6. სოციოკულტურული და 7. კრიტიკული (კრეიგი, 2007). კრეიგისეული განსაზღვრებით, რიტორიკულ ტრადიციას კომუნიკაცია პრაქტიკულ ხელოვნებად მიაჩნდა; სემიოტიკური ტრადიცია კი კომუნიკაციას განიხილავს, როგორც ინტერსუბიექტურ შუამავლობას ნიშნების საშუალებით; ფენომენოლოგიური ტრადიციით, კომუნიკაცია განიხილება, როგორც ავთენტური დიალოგის გზით "სხვაობის" გამოცდის შესაძლებლობა; კიბერნეტიკული ტრადიციით, კომუნიკაცია ინფორმაციის დამუშავების სინონიმადაა მიჩნეული; სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური ტრადიცია კი, კომუნიკაციას გამოხატვად, ურთიერთქმედებად და გავლენად აღიქვამს; სოციო-კულტურული ტრადიცია, კომუნიკაციას განიხილავს იმ საშუალებად, რომლითაც შესაძლებელია სოციალური წესრიგის წარმოება; კრიტიკული ტრადიციის ფარგლებში კი, კომუნიკაცია განიხილება, როგორც დისკურსული ანარეკლი, განსაკუთრებით - ჰეგემონიური იდეოლოგიური ძალების შესახებ. თითოეული ეს ტრადიცია განსხვავებულად ერწყმის ონტოლოგიასა და ეპისტემოლოგიას (ანდერსონი, ბაიამი, 2006:), რაც კომუნიკაციის თეორიას ჭეშმარიტად "დიდ კარვად" აქცევს და აკავშირებს მას სოციალურ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან და ხელოვნებასთან. გრემასისა და კურტესის ლექსიკონში, რომელიც გამოიცა 1979 წელს, „რიტორიკული დოქტრინის“ თანამედროვე ინტერპრეტაცია განმარტებულია როგორც ტექსტის (დისკურსის) მეცნიერებამდელი თეორია, რომელიც „განპირობებულია იმ კულტურული კონტექსტებით, რომლის ჩარჩოებშიც ის ვითარდებოდა. ჩვენს დროში რიტორიკის აღორძინება აიხსნება სემიოტიკის გავლენით, ტექსტის პრობლემატიკისადმი ინტერესით. ძველი რიტორიკის ზოგიერთი თეორიული მხარე შეესაბამება დღევანდელ აქტუალურ ამოცანებს და საჭიროებს გადახედვას“ (ბარბაქაძე, 2015). კულტურის ანთროპოლოგმა ედუარდ თ.ჰოლმა კი კომუნიკაციის ანალიზის პრაქტიკა დაახასიათა და გაიაზრა, როგორც სტრუქტურა (ჰოლი, 1976), რითაც გამოეხმაურა სტრუქტურალიზმს, რომელიც ფიგურირებდა ადრეულ სემიოტიკურ თეორიაში, განსაკუთრებით კი ეკოს კოდურ სემიოტიკაში. სტრუქტურალიზმის მიხედვით, შინაარსი იძლევა იდეების ნიმუშების

შექმნის საშუალებას, რომლებსაც შეიძლება კომუნიკაციაც შეიცავდეს, აგრეთვე იმ საშუალებებსა თუ კონცეფციებს, იქნება ეს ლიტერატურული, ლინგვისტური, თუ სოციალური, რომლითაც იდეები კოდირდება და აქცენტირდება მნიშვნელობის შექმნისკენ. სოციოლოგ ფრანკ პარკინისა და უმბერტო ეკოს ნაშრომებზე დაყრდნობით, ჰოლმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „წერილის გაშიფვრისას არსებობს მისი მნიშვნელობების წაკითხვის სამი ტიპი: „დომინანტური ან სასურველი კითხვის ტიპი ახასიათებთ მათ, ვისი სტატუსიც ეჭვქვეშ არ აყენებს დომინანტურ იდეოლოგიას; მოლაპარაკებით კითხვის ტიპს აწარმოებენ ისინი, ვინც შეტყობინებებს მათი სოციალური სტატუსის შესაბამის ინტერპრეტაციას უკეთებს. ხოლო ოპოზიციური წაკითხვა ხდება მაშინ, როდესაც სოციალური სტატუსი აყენებს მკითხველებს მათ პირდაპირ კონფლიქტში დომინანტურ იდეოლოგიასთან“ (ჰოლი, 1976).

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სოციო-კულტურული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ადამიანური ცხოვრების ყველა ასპექტზე; მასმედიის საშუალებები კი, განსაკუთრებით, ახალი მედია, ამ ცვლილებების განხორციელების უმთავრესი ბერკეტია. ფუნდამენტური ცვლილებები არსებული კლასიკური ცოდნისა და მეცნიერული დასკვნების დროით კონტექსტში მუდმივ განხილვას და განახლებას მოითხოვენ, რადგან მულტიმედია მოიცავს კულტურული გამოხატვის სახეთა უმეტესობას და მისი გაჩენა უტოლდება მასობრივი ინფორმაციის აუდიოვიზუალური საშუალებების, საბეჭდი საშუალებების, ხელმისაწვდომი და მაღალი კულტურის, გართობისა და ინფორმაციის, გართობისა და პროპაგანდის გაყოფის დასასრულს. „კულტურის ყველა გამოვლინება ყველაზე ელიტარულიდან ყველაზე პოპულარულამდე ერთიანდება ამ ციფრულ სამყაროში, რომელიც გიგანტურ ისტორიულ სუპერტექსტში ერთმანეთთან აკავშირებს კომუნიკაციური სივრცის წარსულ, აწმყო და მომავალ გამოვლინებებს. მულტიმედია აშენებს ახალ სიმბოლურ გარემოს და ვირტუალობას რეალობად გადააქცევს“ (ბოდრიარი, 2000), ამით ხაზი გაესვა კიდევ მედიის მიერ უნიფიცირებული კულტურული ძალაუფლების საზოგადოებაზე ტრადიციული და თანამედროვე მეთოდებით გავლენებს.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში, ქართული მედია, პერიოდულობის და მასობრიობის გამო, იდენტობის ყველაზე პოპულარულ რუპორად იქცა. მისი ფუნქცია

გამოიკვეთა, როგორც ეროვნული იდენტობის ყველაზე გავლენიანი „შემხსენებლისა“. თანამედროვე კომუნიკატივისტიკაში „მეხსენების“ და „დავიწყება-არდავიწყების“ დიალექტიკა 1995 წელს მაიკლ ბილიგმა შემოიტანა. კულტუროლოგმა ადელაიდა ასსმანმა კი გამოყო მეხსიერების 4 მიმართულება: ინდივიდუალური, სოციალური, კოლექტიური და კულტურული მეხსიერება, რომელიც დამოუკიდებლად მოიცავს საკუთარ თავში აბსოლუტურ განსხვავებულობას და ორიგინალურობას (ასსმანი, 2001:34-45). მართალია, მედიის ბუნება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფორმასთან ადაპტირდება, მაგრამ განსაკუთრებული ზმა მას - მეხსიერების და ისტორიის კორელაციასთან აქვს. იმისათვის, რომ გავიაზროთ მედიის როლი ისტორიისა და მეხსიერების კონტექსტში, კიდევ ერთი არსებითი მიმართება - მეხსიერება და ტრადიცია უნდა გავიხსენოთ. მ ჰალბვაქსი ტრადიციას მეხსიერების კონკრეტულ ფორმად მიიჩნევს (ჰალბვაქსი, 1992), ხოლო ა. ასსმანი კი მას ზე-ცნებად განიხილავს, რომელსაც ორ ქვეცნებად ანაწევრებს: კომუნიკაციურ და კულტურულ მეხსიერებად (ასსმანი: 2001). კომუნიკაციური მეხსიერება აერთიანებს იმ მოგონებებს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხალ წარსულს მიემართება, ეს ის მოგონებებია, რომელსაც ინდივიდი თანამედროვეებთან ერთად ფლობს და მათთან ერთად ინაწილებს. კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერების ასსმანისეული შეპირისპირება შეიძლება განვიხილოთ 5 ნიშნის მიხედვით: „1. მეხსიერების შინაარსი; 2. მეხსიერების ფორმა; 3. მედიალური საშუალებები; 4. მეხსიერების ხანგრძლივობა; 5. მეხსიერების მატარებელი“ (ასსმანი, 2007: 56.). მეხსიერების თითოეული ფორმისთვის გადამწყვეტი კრიტერიუმებია: შინაარსი, ფორმა, მედია, დროის ხაზი და მატარებელი. წარსულზე ფიქრი, მოგონება, გახსენება ხშირად გაცნობიერების აქტიცაა. დროითი დისტანცია მოვლენების ახალი (ზოგ შემთხვევაში უფრო ობიექტური) პერსპექტივიდან დანახვის შესაძლებლობას იძლევა - „პირადი გამოცდილება ერთგვარი ტექსტია, ხოლო ჩვენი განაზრებანი და შემეცნებანი - მათზე დართული კომენტარი“ (შოპენჰაუერი, 2012-27). ამდენად, ავტორის მიერ მოყოლილი, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან არაფრით დაკავშირებული ამბები საკუთარი ცხოვრებისა თუ ქვეყნის ისტორიის შესახებ სხვა არაფერია, თუ არა წარსულიდან გამოცდილების გამოტანის მცდელობა. ავტორის კვალდაკვალ კი, დროის

ცვლილებასთან და მოძრაობასთან ერთად, მიწოდებული ტექსტის შესაბამისად იცვლება საზოგადოებაც და მისი დამოკიდებულებებიც.

შეკითხვას - “რატომ არ ივიწყებენ ადამიანები თანამედროვე მსოფლიოში თავიანთ ეროვნულ იდენტობას“, ბილიგმა ასე უპასუხა: იმიტომ, რომ მათ ჰყავთ შემხსენებელი-მედია, თავის რუტინული სიმბოლოებით და ენობრივი ჩვევებით. „ყველა გაზეთი, ტაბლოიდი იქნება იგი თუ ხარისხიანი, მემარჯვენე თუ მემარცხენე, მკითხველს მიმართავს, როგორც ერის წევრს, ისინი იმგვარ კონტექსტში წარმოადგენენ ახალ ამბებს, რომლებშიც თავისთავად იგულისხმება ერების სამყაროს არსებობა. ისინი გამუდმებით მიუთითებენ სამშობლოზე, როგორც მკითხველის მშობლიურ კერაზე, პატარა სიტყვები, ხანდახან შეუმჩნეველნიც კი, ძალიან მნიშვნელოვანნი არიან სამშობლოს ამ რუტინულ წარმოჩენაში“ (ბილიგი,1995:43). მეხსიერება „ცოცხლობს“ და „ინახება“ სოციუმის შიგნით კომუნიკაციის (ინტერაქციის) გზით, ის ფაქტები და მიმართებები კი, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო კომუნიკაციის პროცესში არ „აქტიურდება“, დროთა განმავლობაში „მკრთალდება“ და „დავიწყებას ეძლევა“. ინდივიდი „იხსენებს“ მხოლოდ იმას, რასაც იგი სოციალური კომუნიკაციის პროცესში მოიხმარს და რომელსაც, კოლექტიური მეხსიერების სოციალურ ჩარჩოში მიუჩენს ადგილს. ინდივიდის მიერ ამგვარად „შენახული“ მეხსიერება ქმნის საზოგადოებრივ მეხსიერებას, რომელიც თავისი მხრიდან ქმნის ჯგუფური მეხსიერების ყველაზე მაღალ ფორმას- ეროვნულ მეხსიერებას. რაც შეეხება კულტურულ მეხსიერებას, მისი ფორმირების პროცესში ორი ასპექტი უნდა განვასხვაოთ: მეხსიერების შენახვისა და მეხსიერების ფუნქციონირების. პირველის შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთგვარ პასიურ მეხსიერებასთან – კულტურულ არქივთან, რომელშიც ინახება კულტურული მეხსიერების კონკრეტული შინაარსი (მათ შორისაა ისეთი კულტურული ფენომენები, რომელიც შესაძლოა საზოგადოებისათვის აღარ ასრულებენ გადამწყვეტ როლს ან საზოგადოების ცნობიერებაში აქტიურად აღარ არიან წარმოდგენილი); მეორე შემთხვევაში კი, საქმე გვაქვს აქტიურ, ფუნქციურ მეხსიერებასთან. აქ იგულისხმება ის კულტურული ხატი, რომელიც საზოგადოების ცნობიერებაში მყარადაა დაცული და დავიწყების საშიშროება არ ემუქრება. აქტიური კულტურული მეხსიერება საზოგადოებრივი ზრუნვის ობიექტია და უშუალოდ აისახება კულტურული მეხსიერების მატარებელ საზოგადოებაში სინქრონულად. კულტურული

მეხსიერება ემყარება შორეულ ისტორიას, უფრო სწორად, ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც, როგორც წესი, მოგონებებში ტრანსფორმირდება, ფაქტობრიობას კარგავს და მითად იქცევა. მას საკრალურობის ელფერი დაჰკრავს, ხშირად რელიგიურ შინაარსს იძენს და საზეიმო ნიშნები უჩნდება. აქედან გამომდინარე, კულტურული მეხსიერება რუტინულ ნიშნებს მოკლებულია, იგი ამადლებული, საზეიმო რიტუალია და ამდენად, გამიჯნულია კომუნიკაციური მეხსიერებისგან, რომელსაც ყოველდღიურობის ელფერი დაჰკრავს.

სწორედ მოძრაობის, გამოცდილების ამსახველი და ეროვნული ნარატივის მატარებელი გზავნილების ასახვა დაისახა მიზნად გასული საუკუნის 90-იანი წლების მედიამ იმისთვის, რომ არ ყოფილიყო ფოკუსირებული უძრავ, ნომენკლატურულ და ვიწრო საკითხებზე. პოსტსაბჭოთა პერიოდის მედიაც, ეტაპობრივად იწყებს ერთი და იმავე შინაარსის მქონე შეტყობინებების მიწოდებას აუდიტორიისთვის - გზავნილების, სახეების, ხატების და მოსაზრებების გამეორებით. ეს იყო ფაქტობრივად, მოვლენათა ჯაჭვი, რომელსაც ეროვნული ხელისუფლების ინტერესიც უკავშირდებოდა. იმ პერიოდის მედიის წინაშე იდგა სერიოზული გამოწვევა - რეალობის პარალელური არქიტექტურა მონოლითურ კომუნიკაციურ სივრცეში და 1990-იანი წლების დასაწყისის ქართულმა მედიამაც (როგორც ცენტრალურმა, აგრეთვე რეგიონულმა) საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო ისტორიული ტრავმების რეპრეზენტირებას. მედიამ ვერ აუარა გვერდი მიტინგების რიტორიკულ ნარატივს და მისი დისკურსი მედიურ ლანდშაფტში გადმოიტანა.

როდესაც დისკურსზე ვსაუბრობთ, ერთ-ერთი მოკლე განმარტების მიხედვით, მასზე როგორც ინსტრუმენტზე კეთდება აქცენტი: ის არის „ენა ქმედებაში“ (გოი, 1999). დისკურსი ტექსტების საშუალებით გამოიხატება და ტრადიციულად, სოციალურ მოვლენებსა და საზოგადოების შეხედულებებზე ახდენს გავლენას: „დისკურსის შექმნის და გავრცელების პრეროგატივა, როგორც წესი, ძალაუფლების მქონე ადამიანებს აქვთ: პოლიტიკოსებს, საჯარო პირებს, ბიზნესმენებს და ზოგადად, ავტორიტეტებს. სწორედ ამიტომ, მკვლევრები ხშირად მიმართავენ დისკურსის კრიტიკულ ანალიზს, რომლის მთავარი მიზანი დისკურსში ძალაუფლების, როგორც კონტროლის მექანიზმის ამოცნობაა“ (წულაძე, 2019). საზოგადოების, აუდიტორიის ცნობიერების და ქცევის

ნიშნები და მათი ცვლილებები იწვევს ჩემ ინტერესს წარმოდგენილ ნაშრომში, რადგან მათი ახალ განზომილებაში გადასვლის პროცესი, ენა და დისკურსი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და მოვლენებს დაეკვმდება. 1980-1990-იანი წლების მედიის დისკურსი სამიტინგო არეალში საზოგადოების გამორჩეული ფიგურების გააქტიურების პარალელურად იგება. ამ აქტივობების ხასიათმა განსაზღვრა კიდევ მომავალი წლების მედიის ხასიათიც. დღის წესრიგში შემოდის XIX საუკუნის მოაზროვნეების იდეები და ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის აქამდე მეტნაკლებად ნაცნობ ტექსტებს და გამონათქვამებს უკვე აქტიურად ტირაჟირებდნენ არამხოლოდ ლიტერატურული გამოცემები, არამედ პერიოდული ბეჭდური მედიასაშუალებებიც. ქართულ საზოგადოებრივ განწყობებს ანდამატივით იზიდავს ილია ჭავჭავაძისეული ჟურნალისტიკა, მისი ტერმინითურთ-„პოპულარული ლიტერატურა“. „ჟურნალ-გაზეთობა“ (ჭავჭავაძე, 1961) კოლექტიური იდენტობის შექმნის და გავრცელების ერთ-ერთი წინაპირობა ხდება. სწორედ დიდმა ილიამ დაუკავშირა ერთმანეთს ჟურნალისტიკა და ლიტერატურა და ასევე მიიჩნია ორივე მათგანი მეცნიერების საფუძვლადაც. 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული წერილი/ესსე „ორიოდე სიტყვა “შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელშიც ავტორმა ჩამოაყალიბა აზრი წინაპართა-გან მიღებული „ღვთაებრივი საუნჯის“ შესახებ, რომლის პატრონობაცა და დაცვაც მისი და შემდგომი თაობების ღირსების საქმედ და წმინდა ვალად მიიჩნია: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: „მამული, ენა, სარწმუნოება, თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“ (ჭავჭავაძე, 1961). სწორედ ეს ფრაზა იქცა 1980-იანი წლების ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზავნილად, რითაც სახალხო მოძრაობაში ჩართული ლიდერები ინტელიგენციის ილიასეულ განმარტებაში ჩაიკარგნენ - „ინტელიგენცია -დედაბოძი ყოველი ხალხის განვითარებისა და წარმატებისა“ (ჭავჭავაძე, 1961, 5:47). მათ კარგად გაიაზრეს კლასიკური მოსაზრება, რომ ტრავმა დაიძლევა არა მისი დავიწყებითა და მიჩქმალვით, არამედ მუდმივი გაცნობიერებით, ეთიკური შეფასებებით, წარმოსახვის დამაბული მუშაობით და ამ აღმოჩენით გაიმყარეს ინტელიგენციის „ერის წინამძღოლად“ აღიარების გამოცდილი პრეცედენტი.

1980-1990-იანი წლების ქართული მედიაში საკმაოდ ხშირად ვხვდებით მერაბ მამარდაშვილის მოსაზრებებს. ცნობილი ფილოსოფოსი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარალელურად გააქტიურებული ძალებისათვის კულტურული მეხსიერების რეპრეზენტირების შეთავაზებას ამჯობინებდა, ვიდრე კოლექტიურ ტრავმაზე აქცენტირებას : „ ჩვენ წინაშე არ არის კლასიკური სახელმწიფო, რომელიც გვჩაგრავს. ჩვენ წინაშეა ტოტალიტარული სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ რუსული არ არის და აქვს ევროპული განზომილება. აქ არ ვგულისხმობ, რომ რუსეთი არ არის პასუხისმგებელი. ჩვენ წინაშე სხვა ფენომენია. ამიტომ ამ ფენომენის წინაშე ბრძოლის ხერხების კლასიკური ბაგაჟი ბათილდება და უვარგისი ხდება, თუ ისე არ მივუდექით, როგორც შეეფერება ამ არაკლასიკურ, არატრადიციულ ფენომენს. თუ ვერ გავერკვიეთ რა დგას ჩვენს წინაშე, შეიძლება წავაგოთ და ვერ განვახორციელოთ ქართველი ერის ისტორიული მისია“ (მამარდაშვილი, 1989: 6). წარმოსახვით საზოგადოებაზე საუბრისას კი სახელში „ქართველები“ მ.მამარდაშვილი გამოყოფს ქართული ეთნოსისათვის დამახასიათებელ რამდენიმე ყველაზე მკვეთრად გამოხატულ ნიშანს: არტისტიზმს, რაინდულობას, დამოუკიდებლობას, თავისუფალ სულს - ქართული იდენტობის დამდგენ მეტ-ნაკლებად მკვეთრ მარკერს, მაგრამ მან ზუსტად იცის, რომ ყველა მონიშნული მოდელი „რეალობის ხატია, მიზანია, რომელიც უნდა განხორციელდეს“ (მამარდაშვილი: 1989, 6).

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების და ქვეყნის სათავეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების მოსვლის შემდეგ სახელს იცვლიან ქვეყნის ყველაზე ავტორიტეტული გამოცემები - გაზეთები „კომუნისტი“ (საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო); „ახალგაზრდა კომუნისტი“ (საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის ორგანო); სახელს იცვლის აგრეთვე , რეგიონული ბეჭდური გამოცემა „საბჭოთა აჭარა“ (სკკპ ცენტრალური კომიტეტის და აჭარის სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო). ისინი გამოდიან უკვე ახალი სახელებით -„საქართველოს რესპუბლიკა“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „აჭარა“. გაზეთების სახელწოდებების ცვლილება ასახავს აქცენტის გადანაცვლებას არა მხოლოდ იდენტობით კატეგორიებში, არამედ დომინანტურ იდეოლოგიაშიც. ათასობით ტირაჟით გამომაჯალმა 1980-1990 - იანი წლების ქართულენოვანმა მედია საშუალებებმა,

ქართულმა პრესამ და მათ შორის რეგიონულმა ბეჭდურმა მედიამ, საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო ისტორიული ტრავმის რეპრეზენტირებას და მისი თანამედროვე ინტერპრეტაციული დისკურსის წარმოებას. როგორც საბჭოური ეპოქის ორგანიზმის მკვიდრი წევრების, ასევე, მის მიერვე სრულიადაც იგნორირებული ქართული კულტურის ავტორიტეტების მხრიდან.

მედიაპოლიტიკის ფორმირების თეორიულ, პრაქტიკულ მიმოხილვასთან და მის ქართულ რეალობასა და ჟურნალისტიკაში აღმოცენების წინაპირობების გადააზრებასთან ერთად, შევეცადე შემედარებინა ის დასავლური მედიის სტანდარტებთან, მედიის დისკურსთან და უნიფიცირებულ ზეგავლენებთან. „მედია მოვლენისთვის“ (ფისკე,1996) სუბიექტური ხასიათის მინიჭებასთან და “გზავნილი შუამავალია”(მაკლუენი,1964) გაანალიზებასთან ერთად, ყურადღება გავამახვილე მედიაპოლიტიკის მმართველ ინსტიტუციებთან კორელაციის ფაქტორზე, განსაკუთრებით კი, პოსტსაბჭოთა ეპოქის გარიჟრაჟზე მედია სივრცეში შექმნილ მდგომარეობაზე. მედიის ფუნქციების, ინსტრუმენტების გამოყენებით საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ხალხის გონებასა და წარმოდგენებზე, ეროვნულ ცნებებსა და კულტურაზე ზეგავლენის მოხდენის მახასიათებლების განხილვასთან ერთად, დავადგინე, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი სტაგნაციური მდგომარეობის დროს დაფიქსირდა მედიის და საზოგადოების დაშორიშორება. ვრცელი კონტექსტური მიმოხილვით ასევე დავადგინე, რომ მედია განსაკუთრებულ როლს ასრულებს დისკურსის წარმოებისა და საჯარო აზრის ჩამოყალიბების პროცესში, რადგან ის, ვინც აკონტროლებს ტექსტს, აკონტროლებს ასევე დისკურსს და პირიქით. კომუნიკაციების, რიტორიკის, მედიის, მეხსიერების სხვადასხვა ფორმების, წარსულის რეპრეზენტაციის და პუბლიცისტიკის გავლენის სფეროების გადაკვეთის ხაზებზე მსჯელობისას კი გამოვიყენე სხვადასხვა ეპოქის, სოციუმის წარმომადგენელი თეორეტიკოსების და მოაზროვნეების: ლიპმანის, ფისკეს, ბალზაკის, გრამშის, მაკლუენის, კრეიგის, კოენის, ჰოლის, ბერტნარის, კასტელისის, მოლის, ტარდის, ბილიგის, ბოდრიარის, ასსმანის, შტომპკას, მამარდაშვილის, ჭავჭავაძის, ტაბიძის და სხვათა მოსაზრებები.

თავი II.

კულტუროლოგიური და ლიტერატურული დისკურსი

ტერმინს „კულტურა“, რომელიც ლათინური სიტყვაა და მიწის დამუშავებას, მოვლას, აღზრდას, განვითარებას ნიშნავს, ჩვენ მიერ მოძიებულ სხვადასხვა წყაროსა და ენციკლოპედიაზე დაყრდნობით, 400-ზე მეტი მნიშვნელობა აქვს. კულტუროლოგიაში, კულტურა არის ის, რაც ადამიანის მიერ არის შექმნილი და სოციალური მემკვიდრეობის ანუ სოციალური ტრადიციის შინაარსს ატარებს. ფართო გაგებით კი, კულტურა არის საზოგადოების ისტორიის მანძილზე ადამიანის მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი ღირებულებების ერთობლიობა - „კულტურა საზოგადოების მიერ აღიარებული ნორმებისა და ღირებულებების სისტემაა, ანუ იგი, სოციალური ურთიერთქმედების პროდუქტია ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ამ ურთიერთქმედებათა სახეების განმსაზღვრელი პირობაა. ერთი სიტყვით, კულტურა არის ის ღირებულებები, შეხედულებები, ქცევის ნორმები და მატერიალური საგნები, რომლებიც ადამიანის ცხოვრების წესის ფორმირებას ახდენენ“ (ვ.გვ-„ინტერმედია.ჯი“).

კულტურასთან მიახლოებულია ტერმინი-მასობრივი კულტურა, რომელიც სათავეს დასავლეთისგან იღებს. ისევე როგორც კულტურის, მასკულტურის განმარტებაც სხვადასხვაგვარია და ორივე მათგანი, ძირითადად, მოხმარების კულტურასთან, ცალმხრივ იდეოლოგიურ კომუნიკაციასთან და პროპაგანდის საშუალებასთან ასოცირდება. ახალი დროის საზოგადოებაში მას-კულტურა იდეების ტოტალურ გენერირებასთან და შეუთავსებლის შეთავსების არაორდინალურ მეთოდებთან ასოცირდება. „მასობრივ კულტურას“ ხშირად „მსოფლიო კულტურას“ უწოდებენ. ამ სახელწოდების ავტორი სირენელი ამოდის იმ ფენომენიდან, რომ XX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ „მოხდა მასობრივი კულტურის კრისტალიზება მსოფლიო კულტურად“. როლან ბარტის აზრით, „მასობრივი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება მდგომარეობს მის დესაკრალიზაციაში, ის არ არის ანთოლოგიური, მაშინ როცა ე.წ. მაღალი ხელოვნების ნაწარმოებები გადიან ერთგვარ ფილტრში, როგორც კულტურის, ისე ისტორიის. მასობრივი კულტურის ნაწარმოების ფუნქცია ერთადერთია – მოხდეს მისი მოხმარება“ (სემიოტიკა № 3, თბილისი, 2008). მასობრივი კულტურის გავრცელებას ბეჭდური მედია, რადიო და ტელევიზია ხელს თავიდანვე უწყობდა. ელექტრონული

მედიის გაჩენამ კი, მასობრივ კულტურას ფესვები კიდევ უფრო ღრმად გაუდგა. როდესაც მასკულტურის გავრცელებაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით გლობალიზაციის შეუქცევად პროცესს. “ტერმინი „გლობალიზაცია“ მოდის სიტყვიდან გლობალ (global), რაც ფრანგულად საყოველთაოს, მთლიანს, საერთოს ნიშნავს (ენციკლოპედია ბრიტანიკა <https://www.britannica.com/science/cultural-globalization>) და სწორედ საყოველთაოობაა ის მთავარი მახასიათებელი, რაც გლობალურ დონეზე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობებს უზრუნველყოფს.

„თანამედროვე გაგებით, ცნება „კულტურა“ განსაზღვრავს საზოგადოების სულიერი განვითარების მდგომარეობას, განაპირობებს ერის, როგორც ერთიანი კულტურული ფენომენის არსებობას, როგორც საერთო ენის, მეხსიერებისა და იდეის მატარებელ საზოგადოებრივ ერთობას“-ასეთ განმარტებას გვთავაზობენ თანამედროვე მკვლევრები (ზაზა ფირალიშვილი, ლანა ლოლობერიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, თეიმურაზ გოცაძე, ქეთევან ფეიქრიშვილი, შოთა გლურჯიძე, ლელა ფირალიშვილი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, გოგი ჭიჭინაძე) ნაშრომში „ქართული კულტურის დღევანდელი მდგომარეობა და მისი განვითარების კონცეფცია“. ისინი მიიჩნევენ, რომ აუცილებელია „საზოგადოებამ და ხელისუფლებამ გაიაზროს დემოკრატია და კულტურა, როგორც ერთმანეთთან შერწყმული და ერთმანეთის გამამდიდრებელი მოვლენები და მათი ერთდროული განვითარება ქვეყნის გამთლიანების, შენების და მსოფლიო ცივილიზაციაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების სტრატეგიულ პრიორიტეტად გამოაცხადოს“ (ავტორთა კრებული, „ქართული კულტურის დღევანდელი მდგომარეობა და მისი განვითარების კონცეფცია“, 2012). მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე რეალობაში, ციფრული სამყაროს ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით შეუძლებელი თითქმის არაფერია, მაინც წარმოუდგენელია, ადამიანმა მოთხოვნილების გაჩენისთანავე მიიღოს განსხვავებულ კულტურაზე მისთვის საჭირო და სრულყოფილი ინფორმაცია, რითაც შეიქმნის რელევანტურ წარმოდგენებს. ამ პროცესისთვის აუცილებელია ფონური ცოდნის გამომუშავება. ცნება - ფონური ცოდნა უკავშირდება „ ქვეყნის კულტურის, ქვეყნის ნორმების, სოციალური ზნე-ჩვეულებების ცოდნას, რისი უგულებელყოფაც დაუშვებელია: აზრიანი ქმედება, მხოლოდ იმათი ხვედრია, რომლებსაც ეს ცოდნა აქვთ (ვეფხიბცკაია 1996:175). ამიტომაცაა საჭირო კულტურის

მკვლევრებისთვის ინტერდისციპლინური განვითარება და განსაკუთრებით, მისი აუცილებლობის გამოკვეთა კომუნიკაციურ სივრცეებში, სადაც კულტურა თავის თავში გულისხმობს ძალიან ბევრ ფაქტორს და რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია კულტურათაშორის კომუნიკაციაში. „კულტურა ისეთი ფენომენია, რომლის გარეშე არ არსებობს ადამიანი. ე.ი. სადაც ადამიანია, იქ კულტურაცაა და პირუკუ - სადაც კულტურაა, იქ ადამიანია. ადამიანი და კულტურა კოლერაციული ცნებებია, ანუ ისეთი ცნებებია, რომლებიც ერთმანეთს გულისხმობენ (ლებანიძე 2006:31). ადამ კუპერის სიტყვით, „კულტურული იდენტობის პრობლემა განუყოფელია კულტურის პოლიტიკისაგან. პიროვნება მხოლოდ იქ და მაშინ შეიძლება იყოს თავისუფალი, სადაც მის ფასეულობებს პატივს სცემენ. მრავალკულტურულ საზოგადოებებში კულტურული განსხვავებები ყურადღებისა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს” (კუპერი, 2000: 233).

მეცნიერება ლოგიკურად მივიდა ისტორიისა და თანამედროვეობის კულტუროცენტრულ ხედვამდე. ჟან ბოდრიარმა, პოსტმოდერნიზმის სიმულაციის თეორიის პიონერმა შეძლო ის, რაც ვერ გამოთქვა პლატონმა, ვერ ჩამოაყალიბა სრული სახით ნიცშემ. ფრანგმა მეცნიერმა წიგნში „სიმულაკრები და სიმულაციები“ (ბოდრიარი, 1981) ყველაფერი, მათ შორის ისტორიაც, სიმულაციის პრიზმაში გადაიტანა: “ჩვენი დროის უმთავრესი მოვლენა რეალობის აგონია და სიმულაციის ერის დასაწყისია“ (ბოდრიარი, 1981). ბოდრიართან სიმულაციის განზომილება შთანთქავს და აქრობს მის ფილოსოფიაში „შემოსულ“ ყველა ისტორიულ მოდელს, მათ შორის ისტორიის რეალობიდან ჰიპერრეალობაში გადასვლის მოდელსაც. ჟან ბოდრიარი არის ალბათ, ყველაზე ცნობილი პოსტმოდერნისტ-სოციოლოგი, რომელმაც როლან ბარტის მოძღვრებაზე დაყრდნობით განიხილა ინფორმაციული სფეროს პრობლემები და შემოგვთავაზა პოსტმოდერნიზმსა და ინფორმაციას შორის კავშირების თავისებურებები. მისივე მოსაზრებით, თანამედროვე კულტურა ეს არის ნიშნების კულტურა და ცხოვრებაც არის ნიშნების შეუჩერებელი ცირკულაცია იმის შესახებ, თუ რა მოხდა მსოფლიოში (ახალი ამბების ნიშნები); როგორი ადგილი გვაქვს ჩვენ საზოგადოებაში (სტატუსისა და პატივისცემის ნიშნები); რა ფუნქციას ასრულებს ესა თუ ის შენობა (არქიტექტურული ნიშნები); როგორი ესთეტიკური უპირატესობები არსებობს (აფიშები, რეკლამა, ბანერები) და ა.შ (ბოდრიარი, 1981). ჯონ ფისკე აქტიურად იზიარებდა

ბოდრიარის შეხედულებებს ჩვენი საზოგადოების ნიშნებით გადატვირთვასთან დაკავშირებით და მხარს უჭერდა ფუნდამენტურად განსხვავებულ მოსაზრებას საზოგადოების შესახებ (ფისკე, 2017). შესაბამისად, საგულისხმოა დასკვნა, რომელსაც ბოდრიარი გვთავაზობს: “ჩვენ ვაწარმოებთ უამრავ ნიშანს, რომლებიც არ გადმოცემენ არანაირ შინაარსს. ნიშნების უმრავლესობა, რომლებსაც ვიღებთ ტელევიზიით, ფერწერა, პლასტიკური ხელოვნება, აუდიო-ვიზუალური გამოსახულება ან სინთეტიკური გამოსახულება, არცერთი არაფერს არ ნიშნავს. თუ “მასებს” ესმით, რომ ნიშნები მხოლოდ სიმულირებენ, მაშინ ჩვენ ვაწყდებით სიტუაციას, როდესაც ნიშნების დიდმა ნაწილმა დაკარგეს მნიშვნელობა. აღმოცენდნენ ნიშნები, აღმნიშვნელის გარეშე - არა ნიშნები, არამედ “სიმულაკრები”, მათ შეიძლება ვუყუროთ, ისინი ციმციმებენ ჩვენს თვალწინ და შესაძლოა გვანიჭებენ სიამოვნებას, მაგრამ არა აქვთ არანაირი აზრი“ (ბოდრიარი, 1981).

ამერიკელი კულტურანთროპოლოგის ლესლი ელვინ უაიტის მიერ დასაბუთებული კულტურის შემსწავლელი მეცნიერების ცალკე სფეროდ ჩამოყალიბების იდეა და მის აღმნიშვნელად ტერმინის “კულტუროლოგია” დამკვიდრების აუცილებლობა თანამედროვე ინტერდისციპლინარული კვლევებით დაინტერესებული მეცნიერებისთვის კომუნიკაციური პარალელების განსაზღვრის ახალი სივრცე გახდა. თავდაპირველად, ამ ახალ დარგს, მართლაც, სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა. ბევრს კამათობდნენ მისი სახელწოდების შესახებაც, რადგან თვლიდნენ, რომ ეს იყო ხელოვნური სიტყვა, მიღებული ლათინურ ძირზე ბერძნული დაბოლოების დართვით. დღეს კი, შეიძლება ითქვას, რომ კულტურის ფენომენის შემსწავლელი დამოუკიდებელი ინტერდისციპლინური დარგი გაცილებით დიდი წარმატებით დამკვიდრდა, ვიდრე ტერმინი “კულტუროლოგია”, რომელსაც ამ დარგის აღსანიშნავად არცთუ ხშირად იყენებენ. როგორც წესი, კულტურის შემსწავლელ მეცნიერებას აღნიშნავენ ცნებით კულტურის მეცნიერებები/კვლევები (Cultural Studies), “კულტუროლოგია” კი ყველაზე ფართოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში გამოიყენება. ტერმინის “კულტურის მეცნიერებები/კვლევები” შემოტანა რიჩარდ ჰოგარტის სახელს უკავშირდება, რომელმაც 1964 წელს დააარსა თანამედროვე კულტურის კვლევათა ცენტრი. კულტურის მეცნიერებების/კვლევების (Cultural Studies) არსი საუკეთესოდ ეხმიანება თანამედროვე ამერიკელი პოლიტოლოგის, სამუელ ჰანთინგტონის ვარაუდს იმის შესახებ, რომ

„თანამედროვე მსოფლიოში კულტურული განსხვავებები უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე პოლიტიკური ან ეკონომიკური და, ცივი ომის დამთავრების შემდეგ, ჩვენ ინტერესთა საერთაშორისო კონფლიქტების კი არა, “ცივილიზაციათა შეჯახების” პერსპექტივა გველის” (ჰანტინგტონი, 1996). კულტურის კვლევები, როგორც შესწავლისა და სწავლების დამოუკიდებელი მიმართულება, ასევე უზრუნველყოფს „კულტურული შემობრუნების“ განმარტებას, რაც კარგად აისახა ფართოდ გამოყენებულ ცნებებში - „მულტიკულტურალიზმი“, „კულტურული ომები“ და ზოგიერთი სხვა. აკადემიურ წრეებს გარეთაც, დღეს “საზოგადოების” ნაცვლად ხშირად “კულტურის” ცნებას იყენებენ, რაც კომუნიკაციურ თეორიებში დღითიდღე უფრო მყარდება. კულტურის მეცნიერებები თავს უყრის კულტურის ანთროპოლოგიის, მუზეუმმცოდნეობის, ხელოვნების ისტორიის, სოციოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, მედიის თეორიის, ლიტერატურათმცოდნეობის, პოლიტიკური ეკონომიის და ზოგიერთი სხვა დარგის მონაცემებს სხვადასხვა საზოგადოების კულტურული ფენომენის შესასწავლად. „იგი ცდილობს, გაარკვიოს კულტურის ფენომენის კავშირი იდეოლოგიის, ეთნიკურობის, ნაციონალიზმის, სოციალური კლასის, გენდერის და სხვა სფეროებში მიმდინარე პროცესებთან“ (ბურკე, 2006:2). დღეს კულტურის მეცნიერებები იკვლევს გლობალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, დასავლეთის ჰეგემონიისადმი წინააღმდეგობის ფორმებს და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სხვა პროცესებს. კულტურის კვლევათა მიზანია კულტურის გაგება მთელი თავისი სირთულითა და მრავალფეროვნებით, აგრეთვე სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის ანალიზი, რომელშიც კულტურა წარმოჩნდება.

კულტურის მეცნიერებათა ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია თეოდორ ადორნოს, კარლ მარქსის, მაქს ჰორკჰაიმერის, პიერ ბურდიეს, იუდიტ ბატლერის, ჟაკ დერიდას, მიშელ ფუკოს, ზიგმუნდ ფროიდის, ანტონიო გრამშის, იურგენ ჰაბერმასის, სტიუარტ ჰოლის, ჟაკ ლაკანის, რაიმონდ უილიამსის და სხვათა თეორიებმა. კულტურის, როგორც ერის განვითარების პროცესის ნაწილად განხილვის მცდელობები გვხვდება აგრეთვე, ქართულ პატრიოტულ თემებზე შექმნილ პუბლიკაციებში: „კულტურა იმ მხრით არის მნიშვნელოვანი, რომ იგი ფორმად ქმნის, განსაზღვრულ კალაპოტში აყენებს იმ კოლექტიურ პიროვნებას, რომელსაც ერი ეწოდება. ეს ეთნიური მასალა მიატოვებს

ეთნიურ მასალობას, როგორც კი იგი თავის ეროვნულ ცივილიზაციას და კულტურას შექმნის“ (გამსახურდია, 1921).

კულტურის მეცნიერებები ყალიბდებოდა მრავალი მეთოდოლოგიის, თეორიის საფუძველზე და მისი განვითარება ინტერდისციპლინურ ჭრილში: ბუნების, დროისა და სივრცის აღქმის, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის, სოციალური იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის გაგებასთან ერთად განიხილება: „კულტურული შეგნების ინტენსიურობაზე ჰკიდია მუდამ ეროვნული კოლექტივის ბედი და უბედობა. კულტურა სხვა რაღაა თუ არ ორგანო გამოთქმისა და განპიროვნებისა“ (გამსახურდია, 1921).

XX საუკუნის ბოლო ათწლეულების მანძილზე, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე, კულტურის მეცნიერებათა პრობლემატიკის აქტუალობა კიდევ უფრო იზრდება. ასევე, აქტიურად ფიქსირდება პოლიტიკური პრეტენზიების კულტურულ განსხვავებულობაზე დაყრდნობით კულტურის ფენომენზე ლეგიტიმაცია და შესაბამისად, კულტურის ფენომენი ხდება პოლიტიკური ინტერესის საგანი. XX-XXI სს. მიჯნაზე კი, გლობალიზაციის გამოწვევაზე პასუხის ძიებამ და კულტურული სახის დაკარგვის საფრთხემ, კულტუროლოგიური კვლევა-ძიების აქტუალობა უფრო მეტად გაზარდა. საბჭოთა კავშირის დაშლის, ცივი ომის დამთავრების და ორპოლუსიანი მსოფლიოს გაქრობის შემდეგ გამოიკვეთა მომავალი მსოფლიოს სხვადასხვა ვერსია, რომლებშიც ცალსახად დომინირებდა ინტერესი კულტურულ-ცივილიზაციური პრობლემატიკისადმი. საქართველოსთვის, სადაც აქტუალური იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესები და ახალი იდენტობის ძიება, ცივი ომის შემდგომი პერიოდი ხასიათდება, როგორც კრიზისების და კონფლიქტების კერების გაჩაღების ეტაპი. მრავალეთნიკურ, მრავალკულტურულ და მრავალკონფესიურ საზოგადოებათა ისტორიული ხვედრი კარგად აქვს განმარტებული კ.გამსახურდიას: „განუსაზღვრელი ტრაგიზმითაა ქართველი ერის ისტორია აღსავსე. ტიხემ - ბედმა გვარგუნა აღმოსავლეთის კარებთან დარაჯად დგომა დასავლეთის ცივილიზაციის სახელით. ქართველმა რასსამ თავისი საუკეთესო სისხლი შესწირა ამ ცივილიზაციის დიდი ანდერძის, ქრისტიანული სარწმუნოების და კულტურის დაცვის საქმეს. რადგანაც თუ ჩვენ კულტურა მოგვეძვეება, ეს არის უაღრესად რელიგიოზური კულტურა“

(გამსახურდია, 1921). საყურადღებოა ამ კონფლიქტების თანამედროვე შედეგები, ვინაიდან ყველა კონფლიქტი, უწინარესად, პოლიტიკური ინტერესის საგანია და XX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული, კულტურის პრობლემატიკა, მეცნიერებთან ერთად, სულ უფრო მეტად ხდებოდა პოლიტიკოსთა ყურადღების საგანი, რადგან პოლიტიკური რეჟიმები სწორედ კულტურის ფენომენის გამოყენებით ცდილობდნენ იდენტობის, ავტონომიისა და სხვა მათთვის ხელსაყრელი მიზნების ლეგიტიმაციას.

პოსტმოდერნის ეპოქა მთლიანად ცვლის კულტურის შინაარსს. ამასთან, მისთვის დამახასიათებელი კულტურის დიფერენციაცია მცირედ დამოკიდებულ ან სრულიად დამოუკიდებელ კულტურულ სტილებად და ფორმებად იწვევს ახალი საკვლევი სფეროების გაჩენასაც. „პოსტმოდერნიზმი - ეს ხელოვნების სხვადასხვა სფეროსთვის დამახასიათებელი სრულიად განსაზღვრული სტილია, რომელსაც ზოგჯერ გვიანდელ მოდერნს მიაკუთვნებენ, ხოლო როდესაც საუბარია პოსტმოდერნზე, იგულისხმება არა რაღაც ვიწრო სტილისტური მიმდინარეობა, არამედ ისტორიული ვითარება, სიტუაცია, რომელშიც ყველა აღმოვჩნდით, იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორია ჩვენი იდეები, შეხედულებები, გეოგრაფიული მდებარეობა, გემოვნება, ასაკი თუ სქესი. ამდენად, თუ პოსტმოდერნიზმი მიეკუთვნება უპირატესად კულტურას, პოსტმოდერნი – ისტორიას, პოსტმოდერნიზმი სუბიექტურია, ხოლო პოსტმოდერნი ობიექტურად ჩამოყალიბებული ვითარებაა“ (საქართველოს ეროვნული პარლამენტის ვებგვერდი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6416>). ბოდრიარი მოდერნს „სცენის ეპოქას“ უწოდებს, ვინაიდან მასში ყველა მოვლენა მისწრაფოდა თვითწარმოდგენისთვის, ბელი კი პოსტმოდერნისტულ ეპოქას პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებასთან აიგივებდა, ხოლო უმბერტო ეკოს აზრით - „პოსტმოდერნისტული ხედვის ნიშნები ყველა ეპოქას ახასიათებს სულიერი კრიზისის პერიოდში“ (ეკო, 2012). სწორედ ამ დროს ხდება ინდივიდუალური სუბიექტის გამწირება, რის შედეგადაც იკარგება ტრადიციის დამცავი პიროვნული სტილი.

პოსტმოდერნიზმის განურჩევლობა სტილების, ჟანრების მიმართ, ისევე როგორც გულგრილობა შეფასებებისადმი და მასობრივი კულტურის მიმღებლობა ნებისმიერი სხვა კულტურის გვერდით, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ პოსტმოდერნიზმი

თავადაა მასობრივი კულტურა. პოსტმოდერნიზმის ორგანიზმში სხვადასხვა ჟანრები იმდენად ურთიერთშეღწევადი გახდა, რომ ხშირად ე.წ. მაღალი ხელოვნების ნაწარმოები მასობრივი კულტურის ბევრი ელემენტის მატარებელი გახდა. დღის წესრიგში შემოსული „ორგვარი კოდირებით“ მხატვრული ნაწარმოები მისაღები გახდა როგორც მასობრივი მომხმარებლისთვის, ისე ელიტარულისთვის. XX საუკუნის პოსტმოდერნისტული ხელოვნება „ხასიათდება არა მარტო ყველა კულტურისთვის ჩვეული დაყოფით მაღალ, ელიტარულ ხელოვნებად და მასობრივად, არამედ ხელოვნების ამ ორ ტიპს შორის საზღვრების მოშლით და ურთიერთშენაცვლებით“ (ბერეკაშვილი, 2000).

1980-1990-იან წლებში საქართველოში მასობრივად დაიწყო ახალი საზოგადოებრივი აზრის და განწყობების ჩამოყალიბება, მოვლენების ახლებური ქვრეტა, შეინიშნებოდა აზროვნების და ცხოვრების არასაბჭოური წესების პროპაგანდა, რომლის მიზანი, რეალურად, ახალი სააზროვნო სისტემების ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარების ხელისშეწყობა იყო, რათა სწრაფად დაძლეულიყო „საბჭოური იდეოლოგიის“ დამსხვრევის შედეგად გამეფებული იძულებითი დუმილი პოსტსაბჭოთა პერიფერიაში. სწორედ მწერლის გაფეტიშებული სტატუსის მსხვრევა იყო ახალი დროების ავტორების მიზანი საბედისწერო 90-იანებში. დროში, რომელმაც ისტორიული კვლევის საგნად აქცია პოსტმოდერნიზმის არსებობა ქართულ კულტურაში და იგი ახალი ქართული იდენტობის დასაბამს დაუკავშირა. თითქმის ამ დროსვე, 1990-იან წლებს უკავშირდება ინფორმაციისა და მედიის მოზღვაება, რომელმაც საზოგადოების ცხოვრებიდან რეალური სინამდვილის განდევნის ტენდენცია შემოიტანა. პოსტსაბჭოთა ქართულ კულტურაში 1990-იანი წლებისათვის პერიოდული ბეჭდური გამოცემების პოლიტიკა ზუსტად შეესაბამებოდა პოსტმოდერნიზმის ეპოქის ყველა ძირითად ნიშანს: დეკონსტრუქცია; გაურკვეველობა, ორაზროვნება; ფრაგმენტულობა; ზედაპირულობა; წარმოუდგენლის წარმოდგენა; ირონია; ჰიბრიდიზაცია; კარნავალიზაცია; პაროდია; თამაშის პრინციპი; ორმაგი კოდირების პრინციპი; პერფორმანსი; კონსტრუქტივიზმი; ავტორის სიკვდილი; ავტორის ნილაბი; ახალი ტიპის მკითხველის შექმნა; ფიქცია-გამომიება; ინტერტექსტუალობა; სიმულაკრა; სამყარო, როგორც ტექსტი; პოსტმოდერნული მგრძნობელობა; ავტორ-მკითხველის გრძნობები (ლექსიკონი

სოციალურ მეცნიერებებში <http://dictionary.css.ge/content/postmodern-sociology>) აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ლაკონურად ვთქვათ, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში კულტურის სოციოლოგიაში ადგილი ჰქონდა პოსტმოდერნული კულტურული პროცესისათვის მახასიათებელ ნიშნებს, რომელთა შორის განსაკუთრებული მაგალითები დეკონსტრუქციის, კარნავალურობისა და სიმულაციების კონტექსტში გვხვდება.

1990-იანი წლების დასაწყისის მედიაში გაჟღერებულმა ლიტერატურულმა რეფლექსიებმა გზა მისცეს ერთგვარ ეგზისტენციალურ შიშს. საზოგადოების სამსჯავროზე გამოდის პირველი დამოუკიდებელი ქვეყნის არსებობის პროცესში გაჟღერებული ნარატივები: „ასი წლის წინად რუსებს ქეიფით და ზურნით დაუხვდნენ ქართველები. თითქმის მთელი X | X საუკუნის რუსეთის ლიტერატურაში, ქართველი კაცი სიმბოლო იყო უდარდელის, მრუმის და ლოთის - მოიგონეთ ტოლსტოის "გლუპი გრუზინსკი კნიაზი", არციბაშევის ქართველი გმირი და სხვა“ -წერდა კონსტანტინე გამსახურდია და დასძენდა: „ისტორიის ასპარეზი სულითა და ხორციით ძლიერი ერის ხვედრია. სუსტები და უნიჭონი ვერავის შებრალებას ვერ დაიმსახურებენ. ეროვნული თავისუფლების ერთხელ დაკარგვა შეიძლება, მაგრამ იგი ყოველ დღე ბრძოლით ხელმეორედ უნდა მოიპოვოს ერმა“ (გამსახურდია, 1921). ასეთი ისტორიული ნარატივების მიმართება ახალ ქართულ იდენტობასთან და თავისუფლებასთან ადაპტაციის პირველი რეფლექსიების გადანაცვლების პროცესი კარგად ჩანს იმ პერიოდის ლიტერატურულ და პუბლიცისტურ ტექსტებშიც. ზ. კიკვიძე ქართულ მწერლობაში პოსტმოდერნიზმის „დაწყების“ თარიღად XX საუკუნის 90-იან წლებს მიიჩნევს, „როცა ადამიანთა შემეცნებაში ჩამოყალიბდა პოსტმოდერნისტული დისკურსი“ (კიკვიძე: 2011, 30). 1990- იანი წლებსვე უკავშირდება ქართულ ბეჭდურ მედიაში პოსტმოდერნიზმის ნიშნებით იდენტიფიცირებული ტენდენციები, რომელთა ცენტრალური თემა გახლდათ ეროვნულ-იდენტობითი დისკურსი, გამყარებული სოციალურ-კულტურული წახნაგებით და იდენტობის მასშტაბური დისკურსით: „არც ენა, არც ტერიტორია, არც ნაციონალური სახელმწიფო ცალ-ცალკე არ არის უცილო ატრიბუტები ეროვნებისა, ჩვენ ვიცით, არსებობენ როგორც უენო, ისე უტერიტორიო, ისე უსახელმწიფო ეროვნებანი. მაშ, რა აკავშირებს ერს, რა ჰქმნის მის ბედს. ეს გახლავთ ის

საღტე თავისთავის ერად წარმოდგენისა, რომელიც ერს აკავშირებს. მაშასადამე კოლექტივი ადამიანებისა, იმ დლიდან იწყებს ერად ყოფნას, როგორც კი იგი შედის მაღალი რანგის წარმოდგენის და დაფიქრების ზონაში, ხოლო ერთად ფიქრი, შეუძლია ისეთ ერს, რომელსაც რაიმე საშუალება აქვს ამ ფიქრის ერთი მეორის გადაცემისა. ორგანო გამოთქმისა და გადაცემისა ეს – კულტურაა ერისა. ე.ი. რაც ერის ერად ქმნას შველის“ (გამსახურდია, 1921).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საკვლევი პერიოდის ლიტერატურული და მედიური ნარატივები ქართულ საზოგადოებას თავისუფლების იდეის ირგვლივ აერთიანებდნენ და სწორედ ეს იყო თანამედროვე გაგებით სტრატეგიული კომუნიკაციის ელემენტები, რის საშუალებითაც ე.წ. დისიდენტური და არაფორმალური ძალები, ინტელიგენციად წოდებული კასტა ცდილობდა წარმოეჩინა და დაემკვიდრებინა აზრი, რომ სწორედ ისინი წარმოადგენდნენ იმ უნივერსალურ ძალას, რომელსაც ქართველის სულიერი ლიდერის თვისებები ჰქონდა. ამ დროისთვის უკვე გააქტიურებული „პერესტროიკის“ და „გლასნოსტის“ პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა რეჟიმის ლიბერალიზაცია, აზრის თავისუფლად გამოხატვარის შედეგადაც, ამ ძალებმა მოახერხეს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა და პატრიოტული განწყობების ეროვნულ მოძრაობაში ასახვა. მართალია, ქართული ინტელიგენცია ჯერ კიდევ სტალინის ტერორის პერიოდიდანვე ზრუნავდა ენის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებაზე და ცდილობდნენ რუსიფიკაციის საფრთხის თავიდან აცილებას, თუმცა, საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციის პირობებში, ინტელიგენციას მიეცა შესაძლებლობა, უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ ეროვნულ პროცესებში. პრესის თავისუფლებამ მათ აქტივისტებს საშუალება მისცა ნაციონალური იდენტობის გამამყარებელი ნარატივი შეემუშავებინათ. ქართული ლიტერატურული ტექსტი და მისი ზოგადი სოციოკულტურული კონტექსტი გვაჩვენებს, რომ XX საუკუნის საქართველოს მოდერნისტული კულტურული არჩევანი, მთელი შემდგომი პერიოდის მანძილზე, ერთის მხრივ ასახავს, მეორე მხრივ კი ამყარებს საქართველოს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ მისწრაფებას, თავი წარმოიდგინოს და დაიმკვიდროს დასავლური სამყაროს ნაწილად.

1980-1990-იანი წლებისათვის პერიოდული ბეჭდური გამოცემების ნარატივები და მათი მიმართება ახალ ქართულ იდენტობასთან კარგად ჩანს იმ პერიოდის ლიტერატურულ და პუბლიცისტურ ტექსტებში, რომლებიც ქართულ ბეჭდურ მედიაში პოსტმოდერნიზმის ნიშნებით იდენტიფიცირებულ იმ ტენდენციებს ასახავს, რომელთა ცენტრალური თემა ეროვნულ-იდენტობითი დისკურსის წარმოება და გავრცელება გახლდათ.

თავი III.

მედია, კულტურა და რეალობა ქვეყანასა და რეგიონში

3.1. პოსტსაბჭოთა პერიოდის სოციო-კულტურული ანალიზი და მიმდინარე პროცესების პუბლიცისტური ნარატივი რეგიონულ მედიაში

საქართველოს უახლეს ისტორიაში მედია - პოლიტიკისთვის და სოციალური ცვლილებებისთვის კულტურული მნიშვნელობების მინიჭებამ, ურთიერთმიმართებამ ყველაზე კარგად თავი XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში, კერძოდ, 1989-1991 წლებში იჩინა. გასულ საუკუნეს ხშირად ტრავმების საუკუნეს უწოდებენ, თუმცა, საქართველოს რეალობა ტრავმების თეორიათა ჭრილში ნაკლებადაა გაანალიზებული. როდესაც მედია-პოლიტიკის მნიშვნელობასა და კულტურული კოდების გავლენის გაზომვაზე ვსაუბრობთ, XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დამდეგს განვითარებული დრამატული მოვლენების სტიქიურად დინების სპონტანურ შეფასებებს ვჯერდებით. „ჩვენ ვცხოვრობთ მეხსიერების საყოველთაო ზეიმის ეპოქაში“, აღნიშნავდა 2002 წელს ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი პიერ ნორა, - „უკანასკნელი ოცი თუ ოცდახუთი წლის მანძილზე ყველა ქვეყანაში, ყველა სოციალურ თუ ეთნიკურ ჯგუფში წარსულისადმი დამოკიდებულება არსებითად შეიცვალა: ისტორიის ოფიციალური ვერსიების კრიტიკა, ისტორიული პროცესის ადრე მივიწყებული ან მიჩქმალული მხარეების გახსენება, „წართმეული წარსულის“ დაბრუნება, „ფესვების კულტი“, მემორიალური ღონისძიებებისადმი განსაკუთრებული ყურადღება, წარსულთან „ანგარიშსწორება“. მსოფლიოს თავს დაატყდა მოგონებათა ნიაღვარი, რომელმაც რეალური თუ მოგონილი წარსულისადმი ერთგულება მჭიდროდ

დაუკავშირა კოლექტიურ ცნობიერებას, მეხსიერებასა და იდენტობას" (ნორა, 2002:20) ცნება „კოლექტიური მეხსიერება“ ფრანგ სოციოლოგს მორის ჰალბვაქსს ეკუთვნის. მისი აზრით, ჩვენ აღვიქვამთ, გავიაზრებთ და, შესაბამისად, ვიმახსოვრებთ მოვლენებს იმ სოციალური ჯგუფის მიერ განსაზღვრული საშუალებებით, რომელსაც ვეკუთვნით (ჰალბვაქსი, 1992:5-15). კოლექტიური მეხსიერება საერთო მეხსიერებაა, რომელიც გადაიცემა და კონსტრუირდება ჯგუფის მიერ და ემყარება რეპრეზენტაციული ფორმების მუდმივ წარმოებას. კონკრეტული ისტორიები, ნარატივები და ხატები მუდამ განიცდის კვლავწარმოებას და ფორმირებას (ჰალბვაქსი, 1992).

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლას, დამოუკიდებლობის მოპოვებას, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რადიკალურ ცვლილებებს თან ერთოდა არაერთი დრამატული მოვლენა, რომლებიც 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ დაფიქსირდა (მათ შორის, აჭარის რეგიონში განვითარებული ბუნებრივი კატაკლიზმები), დღემდე არ გვაქვს შესწავლილი აღნიშნული პერიოდის სახელისუფლებო, საზოგადოებრივი ინსტიტუტების და მედიასაშუალებების მიერ მეტნაკლებად შეთანხმებული გზავნილები და ნარატივები. თუმცა, რადგანაც ამ წლებს (1990-1991წწ) იმ პერიოდის ოფიცოზი გარდამავალ პერიოდად მოიხსენიებს, შესაძლოა, მათზე ცნობილი კლასიკური ფორმულირებები არც გამოგვადგეს და მოვლენების თუ პროცესების თანმიმდევრობა რელევანტურ კონტექსტში განვიხილოთ. თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებებში გარდამავალი პერიოდი ეწოდება ტრადიციულიდან თანამედროვე საზოგადოებაზე გადასვლას ანუ ტრანსფორმაციას ერთი პოლიტიკურ-სოციალური სივრციდან მეორეში. საქართველოში ეს პრობლემა აქტუალური გახდა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან. ამ პერიოდიდან ბევრი სოციალისტური სისტემის ქვეყანა კომუნისტური სისტემიდან ლიბერალურ რეჟიმზე გარდამავალ გზას დაადგა. ხსენებული პროცესის შესასწავლად მეცნიერები ახალი დისციპლინის „ტრაზიტოლოგიის“ (რასტოუ, 1970) კონტექსტში შეისწავლიან და მისი კვლევის საგანია მმართველობის ავტორიტატული სისტემიდან დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლა.

როგორც ცნობილია, საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბერს კომუნისტური რეჟიმი მშვიდობიანი გზით შეიცვალა, ძალაუფლება ეროვნული ძალებისგან შემდგარმა ბლოკმა

„მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველომ“ აიღო; პოლიტიკურ ბრძოლაში მარცხგანცდილმა კომუნისტურმა პარტიამ კი ოპოზიციაში გადაინაცვლა. 1990 წლის 14 ნოემბერს შედგა ახლადჩამოყალიბებული უზენაესი საბჭოს პირველი სხდომა, რომელმაც იმისათვის, რომ არ შექმნილიყო საკონსტიტუციო ვაკუუმი, ახალი ეროვნული კონსტიტუციის შემუშავებამდე მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის დაწყების შესახებ და იგი დროებით საქართველოს რესპუბლიკის ძირითად კანონად გამოაცხადა. ახლადმიღებული დოკუმენტი არსებულ საბჭოთა კონსტიტუციას ეფუძნებოდა, მაგრამ მასში ფუნდამენტურ დამატებებსა და ცვლილებებს ითვალისწინებდა. „საქართველოს ახალი ხელისუფლება ქვეყანაში და მსოფლიოში არსებული რეალიების გამო ჯერჯერობით არ აცხადებდა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას, მაგრამ სუვერენიტეტის გზაზე გარდამავალი პერიოდის დეკლარირებაც კი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო სწორი, მაგრამ ჯერჯერობით ფეხზე მყარად მდგომი საბჭოთა რეჟიმისთვის“ (ჯანელიძე, 2021). სწორედ ამას გულისხმობდა ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას, როდესაც ამბობდა: „უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ყოველივე დასაწყისია ახალი და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხანგრძლივი ომისა, რომელშიც უნდა გაიმარჯვოს ჩვენი ერმა, რომელსაც ჰქვია თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მკვდრეთით აღდგინება“ (გამსახურდია, 1991). დღევანდელი გადასახედიდან მართლაც საინტერესოა, რა ძალები და რესურსი გააჩნდა საქართველოს ამ ბრძოლაში და როგორ წარმოედგინა მოვლენების შემდგომი განვითარება საქართველოს მაშინდელ მმართველებს. „ცენტრის ყოველგვარ საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულ ჩარევას ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ჩვენ ვუპასუხებთ ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მძლავრი აქტებით, რათა მეტროპოლიამ ვეღარ შეძლოს თავისი დიქტატის განხორციელება. ასე იქნება მთელი ამ გარდამავალი პერიოდის მანძილზე“ (გაზეთი „საქართველოს კომუნისტი“, №122, 1990) - ზვიად გამსახურდიას ამ სიტყვებით, კრემლის შემოტევისგან ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტებით თავდაცვა იმ ვითარებაში, როდესაც მოსკოვს ხელთ ეპყრა საქართველოზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტები, მიაბიტური მოსაზრება იყო. აღნიშნულ კანონს (გარდამავალი პერიოდის შესახებ) მაშინვე გამოუჩნდნენ ოპონენტები, რადგან მიიჩნევდნენ, რომ დოკუმენტი თავისი შინაარსით

რადიკალური იყო. სხვები კი მას „პოლიტიკური რომანტიზმის ნიმუშად წარმოაჩენდნენ“ (ჯანელიძე, აბაშიძე, 1993). პროფესორი დიმიტრი შველიძე ხაზს უსვამს გამსახურდიას პოლიტიკურ სიფრთხილეს, როცა მან გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა ამ აქტში არ დააკონკრეტა, რაც, ცალკეულ მკვლევართა აზრით, „ამ პოლიტიკური დოკუმენტის მთავარი ნოუ-ჰაუ გახლდათ“ (შველიძე, 2013). ბლოკ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ წინა საარჩევნო პლატფორმა შეიცავდა კონცეფციას გარდამავალ პერიოდზე, რომელიც ჯერ კიდევ 1990 წლის არჩევნებამდე გამოქვეყნდა და მისი იდეა გამსახურდიასვე ეკუთვნოდა. კონცეფციის და კანონის დონეზეც იგი მრავალი ასპექტის გამაერთიანებელი დოკუმენტი გახლდათ - , შეიცავდა საერთაშორისო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ წახნაგებს, რომლებიც არ ცვლიდნენ საქართველოს სტატუსს. მით უფრო, საერთაშორისო დონეზე, რადგან იურიდიულად ქვეყანა ისევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში რჩებოდა. მართალია, ის აღარ იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და უკვე საქართველოს რესპუბლიკად იწოდებოდა, მაგრამ სუვერენიტეტის გამოცხადებამდე და მის აღიარებამდე საქართველო ვერ ხდებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ამ კანონის მიხედვით, პრიორიტეტი საბჭოთა ინსტიტუციების დემონტაჟი და სანაცვლოდ, დემოკრატიული სტრუქტურების ფორმირება წარმოადგენდა. უზენაესმა საბჭომ ქვეყნის ტერიტორიაზე შეაჩერა საბჭოთა კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და ინტერესებს; შეიქმნა შინაგანი ჯარი და მას ეროვნული გვარდია ეწოდა; შეიცვალა ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურში გაწვევის წესი; კომუნისტურ პერიოდში არჩეული სახალხო დეპუტატების რაიონულ, საქალაქო თუ საოლქო საბჭოებს შეუწყვიტეს უფლებამოსილება; დაიწყო კოლმეურნეობებისა და მეურნეობის დაშლა, გადაიდგა ნაბიჯები წვრილი საწარმოებისა და ობიექტების პრივატიზების კუთხით, ჩაისახა თავისუფალი მეწარმეობა; გაიხსნა კერძო ბანკები, მომრავლდნენ დამოუკიდებელი ჟურნალ-გაზეთები, გამოიკვეთა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პირველი ნიშნები. 1991 წლის მარტში ჩატარდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ანუ საკრებულოების დეპუტატთა არჩევნები.

ცხადია, ამ ძირეული ცვლილებებისთვის აუცილებელი იყო ახალი ცხოვრებისთვის ქართველი ხალხის ფსიქოლოგიური შემზადება, რათა ისინი გამხდარიყვნენ ღირსებით და თავისუფლებით განმსჭვალული თავისუფალი სახელმწიფოს ჭეშმარიტი მოქალაქეები. ამ ეტაპისთვის მართლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ერთის მხრივ, სახელმწიფოსგან ადამიანების გაუცხოების და მეორე მხრივ-არნახულად მომძლავრებული პოპულიზმის დაძლევა. ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე ცალსახად აფასებს იმხანად შექმნილ ვითარებას შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ გვაკლდა თანმიმდევრული მოქმედების უნარი, რადგანაც ნაკლებად ვიცნობდით ჩვენივე ქვეყნის ობიექტურ ისტორიას, განსაკუთრებით, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდს, მის დადებით მახასიათებლებს თუ უარყოფით გამოვლინებებს“ (ჯანელიძე, აბაშიძე 1993) და პარალელს ავლებს ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვებთან: „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო მცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი -ავად; რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა, უამისოდ თვითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება“ (ჭავჭავაძე, 1978). აქ კიდევ ერთხელ ესმება ხაზი ასსმანისეულ რეზონანსულობის (ასსმანი, 2001) ანუ განგრძობითობის თეორიას და ლოგიკურ ბმას წარსულის და აწმყოს გამოვლინებებს შორის. სამაგიეროდ, ხალხს ჰქონდა განცდა, რომ იყვნენ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლი, რომ მათი მისწრაფება თავისუფლებისკენ სამართლიანია, რომ მას წინ ვერაფერი დაუდგება. ქართველობას ჭირდებოდა, რომ თავიდან ესწავლა საკუთარი სახელმწიფოებრიობის განცდა და ცნობიერადაც განწყობილიყო თავისუფალი, დამოუკიდებელი არსებობისათვის; უნდა გაჩენილიყო ჯანსაღი მოქალაქეობრივი კულტურა, რაც, პირველ რიგში, ადამიანის მოვალეობის საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას გულისხმობს. უნდა გადადგმულიყო ქმედითი ნაბიჯები ხალხის საზოგადოებად ფორმირების რთულ გზაზე, საჭირო იყო საზოგადოება გამოსთხოვებოდა „ზემდგომთა ილუზორული მოიმედების მავნე პრაქტიკას“ (ჯანელიძე, 2021) და დასდგომოდა საკუთარი შესაძლებლობების რწმენის,

პირადი ინიციატივის, აქტიური შრომისა და გარჯის გზას. როგორც ჩანს, მაშინ ყველამ დააკლო ხელი ამ პროცესს. როგორც ხელისუფლებას, ისე რიგით მოქალაქეებსაც ისევ ეგონათ, რომ მათ გასაკეთებელ საქმე სხვა გააკეთებდა, რომ ცოტას იშრომებდნენ და კარგად იცხოვრებდნენ. „და რადგან ეს კარგი ცხოვრება იგვიანებდა, ამის გამო ჩვენ ვბრაზობდით. არც პოლიტიკურ ძალებსა და არც საზოგადოებას არ ჰქონდა თანხმობა, როგორი სახელმწიფო უნდა აეშენებინათ. თავისუფალი საქართველო რომ საბჭოთა სოციალისტური ტიპის ქვეყანა აღარ უნდა ყოფილიყო, ეს კამათს არ იწვევდა, მაგრამ გამოიკვეთებოდა, მაგალითად, აზრი მონარქიის აღდგენაზე, ზოგიერთი თეოკრატიაზეც საუბრობდა, ხოლო ზოგი-ლიბერალური დემოკრატის აშენებაზე“ (ჯანელიძე, 2021). გარდა ამისა, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ გარდამავალ პერიოდში ეკონომიკურ სფეროში აუცილებელი იყო რიგი ისეთი რეფორმების გატარება, რომელთა მეშვეობით ქვეყანა თავს დააღწევდა ცენტრის ეკონომიკურ ბატონობას და საფუძველს ჩაუყრიდა ეროვნული ეკონომიკის განვითარებას. რა თქმა უნდა, არავინ ელოდა და არც არავინ მოითხოვდა გარდამავალ პერიოდში საქართველოს სრული ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევას, რადგან შეუძლებელია მიაღწიო ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მისი პოლიტიკური დეკლარირებით ან საგანგებო დეკრეტის გამოცემით. მაშინდელი პრემიერი სიგუა აღნიშნავდა კიდევ, რომ „ეროვნული ეკონომიკის ფორმირება უფრო ხანგრძლივი იქნებოდა, ვიდრე პოლიტიკური სტრუქტურების ფორმირება“ (გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა“, №98, 1991). ცხადია, რომ გარდამავალ პერიოდში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების ძირეული შეცვლა და ტრანსფორმაცია საქართველოში ერთბაშად ვერ მოხერხდებოდა, თუმცა, საქართველოს სუვერენული არსებობის პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლების პარალელურად, ახლადარჩეულ ხელისუფლებას უპირველესად, დამოუკიდებლობის ეკონომიკური საფუძვლების მომზადებაზე უნდა ეზრუნა.

საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების გზაზე აუცილებელი იყო დაწყებულიყო ეტაპობრივი ცვლილებები დასავლური გამოცდილების გათვალისწინებით. მოგვიანებით, როდესაც კრემლმა მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ქვეყნებს საკავშირო პლებისციტი შესთავაზა, საქართველოს უმაღლესმა საბჭომ

აკრძალა საკავშირო რეფერენდუმი და მის ნაცვლად ეროვნული რეფერენდუმი მოაწყო ერთადერთი შეკითხვით, რომელსაც 1991 წლის 31 მარტს მოსახლეობის 98% -მა დადებითი პასუხი გასცა. აქტუალურია მოსაზრებები ზვიად გამსახურდიას და მისი პოლიტიკური ძალის მთავრობის ემოციური გადაწყვეტილების შეფასებებზე, თუ რამდენად ემყარებოდა მათი ნარატივი რაციონალურ გათვლებს, რომლებსაც უნდა აესახათ მოსალოდნელი პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური პრობლემების ანალიზი და ასევე, რისკებისა და საფრთხეების შეფასებები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გარდამავალი პერიოდის ქართული ნაციონალიზმი დაეფუძნა სიღარიბესა და უთანასწორობას, რომელიც საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამკვიდრდა და მისი რადიკალიზაცია გარკვეულწილად სწორედ პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისზე მძაფრი რეაქცია იყო. მნიშვნელოვანი იყო ასევე, რუსეთის ჩარევა საქართველოში მიმდინარე პროცესებში, განსაკუთრებით კი აფხაზეთში. რუსეთის კავშირი აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან არა ეთნიკურ, არამედ იდეოლოგიურ საფუძველზე იდგა და პროდასავლური ქართული სახელმწიფოს მშენებლობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ კოლოსალური გამოწვევების ფონზე, ეროვნული მთავრობის ძალიან თამამ, იმპულსურ, ხშირად სპონტანურ გადაწყვეტილებებს საზოგადოება გაფაციცებით ადევნებდა თვალს და მზად იყო მოესმინა, მიეღო, გულის ფიცარზე დაეწერა ამ უცნაური მდგომარეობის ამხსნელი ნებისმიერი შეფასებითი ტექსტი, ფორმულა, გზავნილი, რომელსაც გაიგებდა ხელისუფლებისგან, საინფორმაციო საშუალებებისგან, ცნობილი სახეებისგან და ავტორიტეტებისგან. ერთ-ერთ მაგალითად მერაბ მამარდაშვილისგან გაჟღერებულ მოსაზრებებს მოვიყვანდი, კერძოდ მის მოწოდებას საზოგადოების მიერ საკუთარ თავში ნაციონალური ნაკლოვანებების ძიებასთან დაკავშირებით. ეს ნააზრევი 1980-1990-იანი წლების ქართულ საზოგადოებაში არც თუ მისაღებ და ნაკლებ პოპულარულ გზავნილად შეფასდა: „მთავარი მტერი ქართველი ნაციისა არა რომელიმე მტრული ეთნოსია, ვინც არ უნდა იყოს იგი, არამედ, ტოტალიტარიზმი, როგორც ასეთი - იდეოლოგია, რომლის „სულიც შემოვიდა რუსეთიდან,“ მაგრამ ჩვენს გონებაში, ჩვენს თავში „ჩაიბუდა“ (მამარდაშვილი: 1989: 6). რატომღაც, მოცემულ ეტაპზე, მერაბ მამარდაშვილს ახალი ტიპის ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოების შექმნა

წარმოუდგენლად ეჩვენებოდა იმ ხალხის მასისგან, რომელიც „კოლექტიური თვითმკვლელობის“ (ბაქრაძე, 1989:11) შემდეგ ქვეყანას შერჩა: „ყველა გულს მოიფხანს ლაპარაკით და ეს ეგონება თავისუფლება, ჩემთვის თავისუფლება ნიშნავს მექანიზმის, დემოკრატიული პროცედურის შექმნას, რომელიც შეზღუდავს ნებისმიერ მოსალოდნელ აგრესიას, ანტიდემოკრატიულ მოქმედებას, დაჩაგრვას. აი, ეს მექანიზმი უნდა შევქმნათ და არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვაგზავნოთ დეკლარაციები დახმარებისათვის. პირადად მე დაჩაგრულის როლი არ მამლევს ხელს. სამარცხვინოა ყოველ წუთს ყვირილი, მიშველეთ, მჩაგრავენო. ეს რა თავისუფლებაა? ჩვილის თავისუფლებაა“ (მამარდაშვილი, 1989) აშკარაა, რომ ცნობილი ფილოსოფოსის ეს ნააზრევი და ინდივიდუალური მიდგომა გათვლილი იყო ინტელექტუალურ აუდიტორიაზე და არა ემოციურად დამუხტულ მასებზე, რითაც დგინდება ინფორმაციის მიწოდების სელექციურობის ტენდენცია და რაც, თანამედროვე კულტურული სივრცისთვის ნამდვილად სუბიექტურად ითვლება. მერაბ მამარდაშვილი თავის მოსაზრებებში ფოკუსირებულია განვითარებული, დემოკრატიული საზოგადოების ტიპურ პრობლემებზე და უდიდეს ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს. „ჩვენ უნდა გვეყოს ღონე და სიძლიერე ავიტანოთ სიმარტოვე, რადგან, სანამ იმ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ, სულიერად მარტონი ვიქნებით. არავისგან ხსნას არ უნდა ველოდეთ“, - ამბობდა მ. მამარდაშვილი და დასაშვებად მიიჩნევდა რუსულ „დემოკრატიულ“ მოძრაობასთან ერთად რაღაც ეტაპზე თანაარსებობასაც: „ჩვენზე უფრო ძლიერი ძალები უნდა გამოვიყენოთ არანაკლები ძლიერი ძალების საწინააღმდეგოდ, უნდა მივიღოთ მონაწილეობა იმ თამაშში, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიმდინარეობს. ჩვენ ძლიერი, უკვე აშენებული დემოკრატიით შეგვიძლია გავეყაროთ ასევე ძლიერ და დემოკრატიულ რუსეთს. სუსტს და ავტორიტარულ რუსეთს ვერ გავეყრებით - ან დაგვლუპავს, ან მასთან ერთად დავილუპებით. ამიტომ, ჩვენს ინტერესებში შედის, რომ რუსეთში დემოკრატიულმა ძალებმა გაიმარჯვონ“ (მამარდაშვილი, 1989).

ვერც მაშინდელმა საზოგადოებამ და ვერც შემდგომმა თაობებმა რუსულ „დემოკრატიულ“ ძალებთან კოჰაბიტაციის იდეა მ. მამარდაშვილის ნააზრევისგან ვერ

გაიზიარეს. იმთავითვე აშკარა იყო, რომ ეროვნული მოძრაობის მიერ გაჩაღებული ალის გიზგიზი გაცილებით რეზონანსული იყო ფართო მასებისთვის, ვიდრე რუსეთთან კულტურული ურთიერთობის და „დემოკრატიული ძალების“ გაძლიერების მოლოდინი; მით უფრო, იმ ფონზე, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნები სრულიად იყო აცდენილი დათმობების გზას და კომპრომისულ ნაბიჯებს. ზემოთაღნიშნული საკითხებისადმი საზოგადოების ხისტი დამოკიდებულება გაჯერებული იყო ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას და სხვა დისიდენტების კონტრარგუმენტებით და აბსოლუტურ შეუსაბამობაში მოდიოდა მამარდაშვილის ფილოსოფიურ დისკურსთან.

აქვე, საინტერესო იქნება განვიხილოთ ეროვნული მოძრაობიდან აღმოცენებული პატრიოტულ-ემოციური დისკურსი, რომელიც მედიაპოლიტიკის წარმოების თვალსაზრისით კარგი მაგალითია. 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართველი ხალხის განწყობაზე გურამ პეტრიაშვილი წერს: „ეს იყო არაჩვეულებრივი, დაუვიწყარი, ერისა და ქვეყნის აწმყოსა და მომავლის განმსაზღვრელი მოვლენა...“ (პეტრიაშვილი, 1991) - ასე შეაფასა მწერალმა არჩევნების შედეგები და სტატიაში „პატარა სადღეგრძელო“ დასძინა: „დაე, იყოს 28 ოქტომბერი კიდევ ერთი დიდი საბუთი იმისა, რომ ბრძენია ქართველი ერი. ბრძენია გულით და ესაა მთავარი სიბრძნე, რადგან ჭკუა კი არა, გულია ნამდვილად ბრძენი. ის გაიმარჯვებს და ერსაც გაამარჯვებინებს, ის შეძლებს სამშობლოს გათავისუფლებას“ (პეტრიაშვილი, 1991). ვფიქრობ, ამ წინადადებებში სრული სიცხადითაა წარმოჩენილი როგორც პასუხები ზემოთ მოყვანილ შეკითხვებზე, ასევე სამთავრობო პოლიტიკის აქცენტები შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და რაც ყველაზე მთავარია, როგორ ახდენს ზეგავლენას საზოგადოების განწყობაზე სახელდახელოდ შექმნილი ნარატივით, თითქოსდა, „ქართველი ერის ისტორიაში ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის იდეა გულში იბადებოდა და გულის თქმით ხორციელდებოდა“. არადა, საპირისპიროს ამტკიცებს იმავე ეპოქის მოაზროვნის, აკაკი ბაქრაძის სიტყვები: „მეცნიერულმა აზრმა უნდა გამოკვეთოს პრაქტიკული გზები, თორემ გრძნობის პატრიოტიზმის ამარა დავრჩებით. თუ აზროვნების წესი არ შეიცვალა ერთი დესპოტის ნაცვლად მივიღებთ მეორეს, დემოკრატია კი საპნის ბუშტივით გაქრება“ (ბაქრაძე, 1989). აკაკი ბაქრაძის დაკვირვებით,

აზროვნების წესის შეცვლა გაცილებით რთული პროცესი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირის ფიზიკური დაშლა ან ქვეყნის მშენებლობასთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური საკითხების რეგულაცია.

1989 წლის 9 აპრილის შედეგად, საქართველოს მოსახლეობის მიერ მიღებულმა კოლექტიურმა ტრავმამ შეასრულა ათვლის წერტილის როლი შემდგომი ისტორიისა და მეხსიერების განსაზღვრაში. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებსა და დამოუკიდებლობის ხანის გარიჟრაჟზე საქართველოში მიმდინარე რთული პროცესები და დრამატული ცვლილებების ამბივალენტური ბუნება შეგვიძლია „ტრავმა-ტრიუმფის თეორიის“ (ვოლკანი, 2007) ჭრილში გავანალიზოთ. ისმის კითხვა - რა გავლენა იქონია ამ ცვლილებებმა ერთი მხრივ, თანამედროვეებზე და მეორე მხრივ, როგორ განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარება? გარდა ამისა, ასევე საინტერესოა, თუ რა გავლენა იქონია ამ ცვლილებებმა ქართული კულტურის ნიმუშის ტრავმული და ტრიუმფალური ნარატივების ჩამოყალიბებაზე. „დრო რომელშიც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, იმ დამეს დაიწყო“ - ეს სიტყვები ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა იური როსტმა წარმოთქვა, რომელსაც ეკუთვნის ის უნიკალური ფოტოები, 9 აპრილის სიმბოლოდ და მეხსიერების საცავად რომ იქცნენ. ეს იყო „ხდომილება, რომელიც უკიდურესი ძალადობით არის გამოწვეული და რომელიც ცენტრალურ ადგილს იჭერს ეროვნულ მეხსიერებაში“ (ასმანი, 1991). ამ ფორმულირებას ალეიდა ასმანმა პარადიგმული მოვლენა უწოდა - „ეს ის ცენტრალური მოვლენაა, რომელიც ანგრევს ციფრულ სამყაროს და ხანგრძლივ კვალს ტოვებს კოლექტიურ მეხსიერებაში“ (ასმანი, 1991:289)

1989-1991 წლები იქცა ეპოქად, რომელმაც ერთგვარი ისტორიული გზაგასაყარის მისია იტვირთა, რადგან „ამ დღიდან მოყოლებული ქართველი კაცი უკვე აღარ იყო ახალი ანთროპოლოგიური ტიპი „ჰომოსოვიეტიკუსი“ (ქორიძე, 2016). პოსტსაბჭოთა ქართული ეთნოსის სუბიექტი, ჰომო ექსოვიეტიკუსი, ქმნის რეალობას, რომელსაც საბჭოთა კავშირის ვირტუალური პოსტსაბჭოთა კავშირით შეცვლა უნდა, მაგრამ არ ჩქარობს საკუთარ თავში საბჭოური სტერეოტიპების/მითების დამღვევას, რადგან საბჭოთა ხანაში ჩამოყალიბებული პარადიგმების აბსოლუტიზაციას ახდენს. აკვიატებული იდეებისა და ქმედებების სახით დაქვემდებარებულობის პერიოდის

მოდელები უკან ბრუნდება და წარსულისაგან გათავისუფლებას ეწინააღმდეგება. სწორედ ამ პერიოდთან ერთად გამოიკვეთა ქვეყნის არასაბჭოთა მომავალი, რომელიც უკვე მკაფიოდ მოითხოვდა ახალ წარსულს (ჩიქოვანი, 2017), ახალი სახელებით და სახეებით, ახალი ფასეულობებით და აქცენტებით. ამიტომაც, ქართული პერიოდული პრესის მიზანი საბჭოთა პერიოდში ფორმირებული მყარად ჩამოყალიბებული შეხედულებების შეცვლა გახდა. მით უფრო, რომ 1980 იანი წლების დასასრულს, 1989 წლის შოკური დღეების და თვეების შემდეგ საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება იწყებს ახალი რეალობის გადააზრებას და სულ უფრო მეტად დამთმობი ხდება ეროვნული მოძრაობისა და ზოგადად, იმ ხალხის მოთხოვნებისადმი, რომლებიც უკვე აღარ იყვნენ ჰომოსოვიეტულები.

პოსტსაბჭოთა საქართველოში მიმდინარე კულტურულ-პოლიტიკურ პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ისეთი საზოგადოებრივად აქტიური და ერთმანეთისაგან ხშირად სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა პოლიტიკურ და კულტურულ ფლანგზე მდგომი პერსონების პუბლიცისტიკამ, როგორებიცაა: ა. ბაქრაძე, მ. კოსტავა, ზ. გამსახურდია, გ. ფანჯიკიძე, ლ. სანიკიძე, რ. მიშველაძე, რ. მიმინოშვილი, ნ. გელაშვილი და სხვ. 1980-იანი წლების დისკურსების კვლევისთვის რელევანტურად მივიჩნევ სტატიებს: ზ. გამსახურდიას „სამეგრელოს საკითხი“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №44; 1989:6-11); რ.მიმინოშვილის და გ.ფანჯიკიძის „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №48; 1989: 2-15); ჭ. ამირეჯიბის „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №21; 1990). თუმცა, ვინაიდან ჩვენი კვლევის საგანი არ არის ცენტრალური პრესაში განთავსებული მასალების სიღმისეული კვლევა, ამ შემთხვევაში მხოლოდ სათაურების მითითებით შემოვიფარგლები და მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებით დედაქალაქისგან, ასეთ ანალიტიკას და პუბლიცისტურ ოსტატობებს რეგიონში გამომავალი ბეჭდური გამოცემების ფურცლებზე ნაკლებად ვხვდებით, მაინც ვეცდებით სკურპულიოზურად განვიხილოთ რეგიონული მედიის განწყობები, სადაც ჯერ კიდევ ორმაგი კოდირების პრინციპებით ვლინდება სარედაქციო პოლიტიკის ფარული აქცენტები.

მაგალითად, „საბჭოთა აჭარას“ 1989 წლის აპრილის გამოცემებში გამოქვეყნებული მასალების ავტორები საყოველთაო მწუხარების, სინანულის, უიმედობის და

ნიჰილიზმის ფონზე, რუბრიკაში „დეპუტატობის კანდიდატები“, გასაკვირად ორიგინალური სათაურებით აქვეყნებენ სტატიებს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის მანდატზე წარდგენილი პერსონების შესახებ: „ფიცით შეუდექ“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, კაკაურიძე ს., №85, 1989) და „ჩემი თანამოდარდე“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, ჯაფარიძე ნ., № 91, 1989). აღნიშნული მასალები ავტორების სუბიექტური დამოკიდებულებებითაა გაჯერებული, კერძოდ: ცნობილი ექიმის, დეპუტატობის კანდიდატის საქმიანობის ჰიპოკრატეს ფიცთან დაკავშირება და ასევე ცნობილი მეცნიერის, „გარდაქმნის ნამდვილ მესიტყვედ“ მოხსენიება მოწოდებით: „ხმა მივცეთ ჩვენს თანამოდარდეს, რომელიც ჩვენს დარდს ეროვნული სატკივრის პინაზე საკუთარ გულთან ერთად დადებს (პერიფრაზი მემედ აბაშიძის გამონათქვამიდან). ამ ხატოვანი შედარებებით, აღმატებული პათოსით და ევფემიზმებით სტატიების ავტორები კლდიაშვილისეული „შემოდგომის აზნაურების“ (კლდიაშვილი, 1988:447) დარად წარმოგვიდგენენ იმ ეპოქის სურათს, რომელშიც დროც და სივრცეც წაშლილი და პირობითია, ხალხი - საერთო ტრაგედიის ქოლგის ქვეშ გაერთიანებული, ხოლო იდეოლოგია - თითქოს ისევ მდგრადი, თუმცა, შემოდგომის სიყვითლეშეპარული. ზამზარასავით დაჭიმული საზოგადოება კი ჯერ ისევ ითმენს ფენებად დაყოფას და ჩვეული მდუმარებით ისმენს „დიად“ მითს მორიგ არჩევნებზე.

უკვე 1990 წლის აპრილის თვეშიც შეფარული სარედაქციო პოლიტიკა იკითხება გაზეთ „საბჭოთა აჭარას“ ფურცლებზე. რეგიონული სახელისუფლებო გაზეთის 1990 წლის 9 აპრილის შემდგომი პერიოდიკა, ამ გარდამტეხი მოვლენის რეზონანსული ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად და მოსალოდნელი კარდინალური ცვლილებების „დასაბალანსებლად“, ჩვეულებრივზე მეტადაა გაჯერებული საბჭოთა ნომენკლატურული და ინსტიტუციური ზეგავლენით გამორჩეული მასალებით. XX საუკუნეში მთელ მსოფლიოში ხალხი მუდმივად საუბრობდა, რომ ისინი ტრავმირებულნი იყვნენ რომელიმე გლობალური თუ ადგილობრივი მოვლენით: „ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ტრავმირებულ ორგანიზებულ ჯგუფზე მათი ლიდერის გადადგომის თუ გარდაცვალების, მმართველი რეჟიმის დაცემის თუ მოულოდნელად მომხდარი ცვლილებისას. აქტორები ხშირად საუბრობენ გადატანილ ტრავმაზე, როდესაც მათი ინდივიდუალური თუ საზოგადო გარემო მოულოდნელად იცვლება

არასასურველი და გაუთვალისწინებელი გზით“ (ალექსანდერი,2015:96). ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, საზოგადოებაში 1989 წლის აპრილის მოვლენის გამო შექმნილი შოკური მდგომარეობის გადასაფარად, მოცემული პერიოდის გაზეთი უფრო მეტადაა დატვირთული ალკვ (სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი), სკკპ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი) ყრილობების ანგარიშებით და ოფიციალური პირების ფართოფორმატიანი გამოსვლებით, იდეოლოგიური ხასიათის ანალიტიკური სტატიებით. გაზეთის ფურცლებზე ვეცნობით იმჟამინდელი საბჭოთა რესპუბლიკის მეთაურის, გ.გუმბარაძის ოფიციალურ გამოსვლას - „საერთო ნებით, საერთო სულისკვეთებით“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №67, 1990) და გთავაზობთ ამონარიდს ამ ოფიციალური მიმართვიდან: „ჭირსა შიგან გამაგრება ყოველთვის იყო ჩვენი ხალხის, საქართველოს გამორჩეული, უმთავრესი თვისება, ჩვენი ერი არასდროს არ მისცემია სასოწარკვეთილებას, მას არასდროს არ შეუქცევია ზურგი ცხოვრებისთვის, იმედი არ დაუკარგავს ნათელი მომავლისა. დღესაც ასეა... დღეს ჩვენ გვჯერა, თანადგომით, ერთმანეთის მხარდაჭერით, საერთო ნებით რეალურად განვსაზღვრავთ ჩვენი წინსვლის ჭეშმარიტ გზებს, იოლი არ იქნება ეს გზა. ბევრი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ზნეობრივი პრობლემების გადაწყვეტა მოგვიწევს. ჩვენს ერს სავსებით ხელეწიფება ეს. (...) ამ სულისკვეთებით უნდა განვიმსჭვალოთ ყველანი ასევე უნდა ვუზრდიდეთ ჩვენს მომავალ თაობას ხალხს“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №67,1990). საბჭოთა საქართველოს იმდროინდელი ლიდერის თითქოსდა ნომენკლატურიდან გასული და ხალხის განწყობასთან ახლოს მდგომი შემართება ფინალში აშკარად კარგავს მუხტს და ისევ დათმობის, შერიგების, წყენის გადაყლაპვის გზას და ძნელბედობასთან ფარულ კოჰაბიტაციას სთავაზობს საკუთარ მოქალაქეებს, თან ისტორიას იშველიებს, რომლის განმეორებაც, თითქოს დადგენილი კანონზომიერება იყოს და ცდილობს მომავალ თაობას რეალობას აშკარად აცდენილი მოწოდებები და პათოსი მოახვიოს თავს. ამ მაგალითით კიდევ ერთხელ გვიმყარდება მოსაზრება, რომ კომუნისტები (პოლიტიკური იდეოლოგები) ცდილობდნენ ეროვნული მთავრობის მონაპოვრით ესარგებლათ და მათი რეალური სახე სახალხო მოძრაობის თანაზიარი ემოციებით შეენიღბათ. ეს ყოველივე კარგად აჩვენა შემდგომ

განვითარებულმა მოვლენებმა და იმ პროცესებმა, რომელიც საქართველოში 9 აპრილის თაობამ განახორციელა.

საინტერესოა 1990 წლის აპრილის მე-80-ე ნომერი, სადაც შეგვიძლია საინტერესო შეპირისპირება დავინახოთ: გაზეთის ფურცლებზე კომპარტიის ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის 32-ე კონფერენციის ანგარიში სათაურით- „რთულ და შეუცდომელ გადაწყვეტილებათა დრო“ გამოუქვეყნებიათ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №80,1990) და მასალაში ვკითხულობთ: „რაც შეიძლება ნაკლები სიტყვა და რაც შეიძლება მეტი საქმე, დამოუკიდებელი საქართველო ნაღდი საქმეებით და არა ფუჭი სიტყვებით. ეს უკვე აღარ არის ოცნება, ეს -გარდაუვალი რეალობაა. ბნელი დღე უდგას საქართველოს, ისე მოხდა, რომ მას ახლა მტერი კი არა კარის მეზობელიც კი უტევს, ეთნოკრიზისებმა გაგვაწამეს, მაგრამ ჩვენ დიდი რუსთაველის შთამომავალნი ვართ, რომელმაც ბრძანა „კეთილმან სძლია ბოროტსაო .. მართლაც, სიკეთით, სიყვარულით, სიბეჯითით და კაცური კაცობით უნდა ვაშენოთ ჩვენი ცხოვრება, დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყნის მომავალი, ამაში კონფერენციის გადაწყვეტილებებიც დაგვეხმარება, ცხადია და საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობა -მით უფრო“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №80, 1990). პარტიული ნომენკლატურული სივრციდან წარმოდგენილ ამ საინტერესო პოზიციას მივხვდებით შევუპირისპირო ამავე კონფერენციის დელეგატის, ჯემალ ქათამაძის სიტყვები: “ახლა ყველა ხედავს, როგორ გაეხსნა ხალხს გონება, როგორ აეხილა თვალები თავისუფლებისთვის, აწი ვერც ხელისუფლების ეკონომიკური ბლოკადა და ვერც როდიონოვის ტანკები ვერ დაამუხრუჭებენ ამ პროცესს (გაზ. „საბჭოთა აჭარა,“ №80,1990). ამ მაგალითით ვხედავთ, რომ როდესაც კონკრეტული ტრავმა აქტუალიზდება, ცოცხლდება შიშები, მოგონებები, ფანტაზია, კავშირი წარსულსა და დღევანდელობას შორის. პარალელური მოვლენის რეინტერპრეტაცია კი აყალიბებს გავლენის ნარატივს. სწორედ ეს მოცემულობა შეინიშნება ზემოთმოყვანილ სიტყვებში და მათში სრულად იკვეთება რეგიონის საზოგადოებრიობის დამოკიდებულება პარტიული ნომენკლატურის ჩარჩოების მიმართ. გამომდინარე აქედან, ცხადი ხდება, რომ თავისუფლების სიომ პარტიის წევრების განცხადებებშიც დაარღვია ის საერთო კონტექსტი, რითაც საბჭოთა კავშირის იდეოლოგიით გაჟღენთილი ყრილობები (სსრ კომუნისტური პარტიის ყრილობა-კომუნისტური პარტიის დებულებების მიხედვით,

პარტიის ხელმძღვანელობის უმაღლესი ორგანო, რომელიც რეგულარულად იწვევდა მისი დელეგატების შეხვედრებს) იყო გაჯერებული.

როგორც ვხედავთ, იმდროინდელი საინფორმაციო საშუალებები და ბეჭდური მედია აშკარად ცდილობდა ქვეყანაში მიმდინარე უცნაური მოვლენების და ტენდენციების სხვადასხვა ზეგავლენის ინსტრუმენტების გამოყენებით ასახვას. ერთ-ერთ ასეთ ხელსაწყოდ კი უთუოდ უნდა მივიჩნიოთ გაზეთის ენა. ზოგადად, მედიის ენა ბუნებრიობითა და კომუნიკაციური სპონტანურობით გამოირჩევა, კონკრეტულად-პრესის ენა კი უფრო დაკვირვებულია და დაფიქრების საშუალებას იძლევა, თუმცა, ორივე მათგანში აირეკლება მუდმივად ცვალებადი ეპოქალური მოვლენები. ჩვენ მიერ განხილულ მაგალითებში ერთ-ერთი ასეთი მოვლენა ევფემიზაციის პროცესია. პრესაში გამოყენებული ტექსტების ხასიათიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ ტექსტები, რომლებიც, როგორც წესი, მდიდარია ევფემიზმებითა და დისფემიზმებით:

- ინფორმაციული ტექსტები (მათი ძირითადი მიზანი შეტყობინებაა, რეალური მოვლენებისა და ფაქტების შესახებ);
- არგუმენტირებული ტექსტები (აზრი რომ უფრო დამაჯერებელი და მყარი გახადონ, პრესაში ამ მეთოდსაც ხშირად მიმართავენ);
- მტკიცებითი ტექსტები, რომელიც ჩვეულებრივ რაიმე ფაქტს ან მოვლენას შეეხება.

ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვიხილოთ გაზეთ „საბჭოთა აჭარას“ ამავე წლის (1990 წ. აპრილი) პერიოდიკა. როგორ უკვე აღვნიშნეთ, განსახილველ პერიოდში გაზეთი ჩვეულებრივზე მეტადაა გაჯერებული საბჭოთა ეპოქის იდეოლოგიური ზეგავლენებით გამორჩეული მასალებით. ასევე, ჯერ კიდევ აქტუალურია ალკვ, სკვპ ყრილობების ანგარიშები და ოფიციალური პირების ფართოფორმატიანი გამოსვლები... თუმცა, ჩვენთვის საინტერესო ევფემიზმების საუკეთესო მაგალითებს ვხვდებით იდეოლოგიური ხასიათის ანალიტიკურ სტატიებში, სადაც ცხადად იკვეთება საზოგადოების მიერ გადატანილი და მიმდინარე ტრავმების შედეგები, რითაც ამერიკელი სოციოლოგის, ჯეფრი ალექსანდერის გამონათქვამებზე დაყრდნობით, ვადგენთ შექმნილი მოცემულობის გამომწვევ მიზეზებს: „აქტორები ხშირად საუბრობენ გადატანილ ტრავმაზე, როდესაც მათი ინდივიდუალური თუ საზოგადო გარემო მოულოდნელად იცვლება არასასურველი და გაუთვალისწინებელი

გზით“, „ტრავმა არ არის ბუნებრივად არსებული მოვლენა; მას ქმნის საზოგადოება“ და „ტრავმამ რომ საზოგადოებრივი სახე მიიღოს, სოციალური კრიზისი კულტურულ კრიზისად უნდა გარდაიქმნას. მოვლენა – ეს ერთი მხარეა, ხოლო მისი რეპრეზენტაცია – სულ სხვა საქმეა“ (ალექსანდერი, 2015: 103) .

სწორედ ტრავმის სოციალურ მოვლენად გარდაქმნის პროცესის ფორმირებით იწყება აჭარის რეგიონში მიმდინარე საზოგადოებრივი, სოციალური აქტივობები და ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს გაზეთის „საბჭოთა აჭარა“ ფურცლებზე პირველი სანქცირებული სახალხო გამოსვლები, ე.წ. მიტინგები. მიტინგი- რომელიც „მიმდინარე ცხოვრების მწვავე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური საკითხების განხილვის მიზნით მასობრივი შეკრებაა“ (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი– ცნობარი, 2004:351), იმდროინდელი ეროვნული მოძრაობის წევრების თვითგამოხატვის, საზოგადოებრივი აზრის ფიქსირების ყველაზე ეფექტიანი და რეზონანსული პლატფორმა გახდა. ზოგადად, მასობრივი მოძრაობები და ქუჩის მანიფესტაციები XIX საუკუნის ბოლოდან გახდა შესამჩნევი მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში და ცნებაც - „საზოგადოებრივი აზრი“, XIX საუკუნის ბოლოს, ფრანგი სოციოლოგის ჟ.გ. ტარდის ნაშრომიდან - „საზოგადოებრივი აზრი და ბრბო“ გახდა ცნობადი. თანამედროვე საზოგადოებაში საზოგადოებრივი აზრი უდიდეს როლს თამაშობს ნებისმიერი ერის და ქვეყნის ცხოვრებაში. პარალელურად შექმნილი სახალხო და საერთო ეროვნული პრესით კი შესაძლებელი ხდება ახალი ტენდენციების ფორმირება და საზოგადოებაზე გავლენის გაძლიერება. ზოგჯერ, მიტინგზე წარმოთქმული პოლიტიკური დისკურსი და საგაზეთო სტატია უფრო მნიშვნელოვანია პოლიტიკაში, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოში მიღებული ნებისმიერი რეგულაცია და სწორედ ამიტომ, პოლიტიკოსებიც მუდმივად ცდილობენ საზოგადოებრივი აზრის მიმხრობას, მოსახლეობის კეთილგანწყობის, ნდობის მოპოვებას სხვადასხვა მეთოდის და იდეოლოგიური ინსტრუმენტის გამოყენებით.

საზოგადოება თითქმის ყველა დროში ანგარიშგასაწევი ძალა იყო, მით უფრო, გარდამავალ პერიოდებში, როდესაც ინგრეოდა ერთი სისტემა და მეორეს შექმნამდე ხდებოდა მიმდინარე პროცესების გაანალიზება. სწორედ 1989 წლის 9 აპრილის შემდგომ გააქტიურებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მიახედა ქვეყანა

ისტორიისკენ, ბიძგი მისცა წარსული ტრაგედიების და ბრძოლების რეპრეზენტაციას, გახსენებას და 1921 წლის თებერვლის, 1978 წლის 14 აპრილის, 1956 წლის 9 მარტის თავიდან გადააზრებას. 9 აპრილის შემდეგ გამოიკვეთა ახალი, არასაბჭოთა მომავლის კონტურები, რომლის საუკეთესო პროდუქტი გახდა 1991 წლის 9 აპრილი, როდესაც ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა საზოგადოება ახალ განზომილებაში გადაიყვანა. აღნიშნული სქემიდან კარგად ჩანს, რომ 9 აპრილის აღქმის და გადააზრების პროცესში ამ თარიღმა ერთმანეთს დაუკავშირა ძველი და ახალი სტიმულები. უფრო ადრინდელმა გამოცდილებამ კი ხელი შეუწყო ახალი ტრავმის ჩამოყალიბებას. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ 1956 წლის 9 მარტი - ე.წ. გამოუგლოვებელი ტრაგედია, რომელიც 9 აპრილმა გააცოცხლა. 9 მარტის ფენომენი, მართალია, არსებობდა იმდროინდელ კომუნიკაციურ მეხსიერებაში, მაგრამ არ იყო ფართოდ და საჯაროდ წარმოდგენილი, არც მისი ნარატივი იყო ჩამოყალიბებული, რადგან მისთვის მნიშვნელობის მინიჭების პროცესი, გასაგები მიზეზების გამო, იმ პერიოდშივე უმაღლეს შეწყდა. სწორედ ეს შეუფასებელი და კონკრეტული სახელდების გარეშე იმდროინდელ ისტორიას შერჩენილი 9 მარტი დაბრუნდა 9 აპრილის შემდეგ საზოგადოების მეხსიერებაში და არაფორმალურიდან საჯარო სივრცეში გადმონაცვლებით მიეჩინა მკვიდრი ადგილი ფარდაახდილ წარსულში.

რეგიონული ბეჭდური მედია გახდა ის პლატფორმა, სადაც სახალხო გამოსვლების პროცესს ავტორები ქრონოლოგიური დინამიკით წარმოგვიდგენდნენ, თუმცა, ეტაპობრივად, შექმნილი მდგომარეობის ანალიტიკური შეფასების მეთოდებსაც იყენებდნენ. მედიაპოლიტიკის ტრანსფორმირების დასაწყისს ვხედავთ 1989 წლის აპრილის შემდგომი პირველი 26 მაისის აღნიშვნის ამსახველ მასალებში. ნუგზარ ჯაფარიძის სტატია „მაქვს საქონელი ურიცხვი“ გვაცნობს, რომ სახალხო ფრონტის სანქცირებული მიტინგის პარალელურად, მეორე მიტინგიც გამართულა მაშინდელ ბათუმში. 26 მაისის აღნიშვნის სურვილი იმდენად დიდი ყოფილა, გახლეჩილა „მრევლი“. თუმცა, ავტორი აქ თავს იკავებს სუბიექტური მოსაზრებებისგან და დოზირებული კრიტიკით აღწერს გარემოებას: „დიდი სიყვარულით, დიდი მოწიწებით და ქედის მოდრეკით ვეხმიანებით საქართველოს დამოუკიდებლობის ყველა მესიტყვეს. ღმერთმა ნუ ქნას ერთ თარგზე, ერთ ყალიბზე ვიყოთ ყველანი გამოქრილი, მაგრამ

პირველობისთვის სწრაფვას ნუ შევწირავთ უმთავრეს მიზანს, ნუ დავნაწევრდებით, ნუ ჩავუსაფრდებით ერთმანეთს“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“; №103, 1989). ავტორი (ნ.ჯაფარიძე) აქვე გვთავაზობს ციტატას „ყანჩაეთის ჟამგულანიდან“: „საქართველოს დარბაისელი ხალხი არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანას და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა, დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონოდათ, ვერც არას უზამდნენ, ვერც არას სხვა მტერი წაართმევდა რასმე, ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათ“ (ჯაფარიძე, 1989). როგორც ვხედავთ, საგაზეთო სტატიის ავტორი თავისი მოსაზრებების გასამყარებლად ოსტატურად იყენებს კოლექტიური მეხსიერების (ჰალბვაქსი, 1992) მეთოდს და რეპრეზენტაციული ფორმების ხაზგასმით ცდილობს გამოხატოს წუხილი, საზოგადოებას კი, კონკრეტული ნარატივის და ხატების კვლავწარმოებით შეახსენოს ქართველი ერის ისტორიაში მძაფრად ფორმირებული დაქსაქსულობის პრობლემა.

კოლექტიური ტრავმა ქმნის სტრესულ გამოცდილებას, რომელმაც, შესაძლოა, ახალი განწყობები წარმოშვას და სწორედ მისი საზოგადოებაზე გავლენის ხარისხის გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ ტრავმის შემდგომი სინდრომის დაძლევა. ამერიკელი სოციოლოგის, ევიათარ ზერუბაველის აზრით, თუკი კოლექტიური მეხსიერება საერთოა ოჯახებისათვის, ეთნიკური ჯგუფებისათვის, ნაციებისათვის და სხვა მნემონიკური ერთობებისათვის (ზერუბაველი, 2004), კოლექტიური ტრავმის ფენომენი კიდევ მეტი ინტერესის საგანი ხდება, რადგან საზოგადოების მტკივნეული გამოცდილება იწვევს იდენტობის გადახედვის აუცილებლობას, უმრავლეს შემთხვევაში კი – იდენტობის კრიზისს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა განვიხილოთ ერთ-ერთი მაგალითი საკვლევად შერჩეული პერიოდიდან: სათაურით - „რაც რომ ქვეყანაზე წმინდა სანთლებია“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №68, 1990) გაზეთის პირველი გვერდზე განთავსებული მასალა მიმოიხილავს 1990 წელს ბათუმში ჩატარებული მიტინგის პროცესს. მასალას დასაწყისიდანვე ერთვის შემაჯამებელი ხასიათის საგულისხმო დასკვნები: „9 აპრილიდან დროის ახალი ათვლა დაიწყო საქართველოში“; „დღე, რომელიც თითქოს ხალხის გონს მოყვანის, ყურის აწევის თუ გამაფრთხილებელი,

საჩვენებელი დასჯისთვის იყო გამიზნული, ერის შეკავშირების, თავისუფლებისთვის დაუოკებელი ბრძოლის სიმბოლოდ იქცა” (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №68, 1990). თანამედროვე ჟურნალისტიკაში ასეთი ტიპის წანამძღვარს ლიდი ჰქვია და იმ პერიოდის პრესისთვის ნამდვილად ახალი სტანდარტის დაწესება ფიქსირდება, რადგან საკმაოდ ფართო ფორმატის მასალის მთლიან შინაარსს და შეფასებას შეიცავს. მასალას არც ავტორი ჰყავს, რაც კიდევ ერთ სიახლეს ამკვიდრებს, ის თავისუფლად შეგვიძლია მივაკუთვნოთ „ედითორიალის“ (გერსამია, 2010) ჟანრს, რაც ძველი სტანდარტი-მოწინავე სტატიის ფუნქციას ატარებს. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ მასალას („რაც რომ ქვეყანაზე წმინდა სანთლებია“; გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №68, 1990), რომელშიც მიმოხილულია 1990 წელს ბათუმში ჩატარებული მიტინგის პროცესი, მასში ანალიტიკური აქცენტებითაა შეფასებული ერთი წლის წინანდელი მოვლენები და ის პროცესები, რომლებიც 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ განვითარდა როგორც ჩვენ ქვეყანაში, ასევე საბჭოთა სივრცის სხვა დანარჩენ ქვეყნებში. სტატიიდან ვიგებთ, რომ ოფიციალურად გლოვის დღედ გამოცხადებული 9 აპრილის აღნიშვნა ამ წელს გაცილებით ადრე დაწყებულა, როგორც საჯარო და სამოქალაქო, ასევე საეკლესიო სივრცეში. თარიღის საყოველთაოობიდან გამომდინარე, მასშტაბური აქცია გამართულა ბათუმშიც. პედაგოგიური ინსტიტუტის შენობასთან შეკრებილ ადგილობრივ საზოგადოებას, ახალგაზრდებს და რეგიონებიდან ჩამოსულ მოსახლეობას თავიანთი სათქმელი გაუზიარეს როგორც ოფიციალურმა და აკადემიურმა პირებმა, აგრეთვე საზოგადოებისთვის ნაცნობმა სახეებმა. მიტინგმა ოფიციალური რეზოლუციაც შეიმუშავა, რომელიც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსადმი ერთგვარ მომართვას წარმოადგენდა: „მასში დასმულია კონკრეტული საკითხები, რომელთა ობიექტური და დროული გადაჭრა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა პოზიციას სსრკ უმაღლეს საბჭოში, რომლის მიერ მიღებული კანონები ერთა თვითგამორკვევის და კავშირის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ, კავშირიდან გაუსვლელობად აღიქვა მოსახლეობამ“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №68, 1990). სწორედ ეს იყო თვითგამორკვევის შენიღბული სატყუარა, რომელსაც ქართული საზოგადოება აღარ წამოეგო და გაცილებით გვიან, ოღონდ მყარად უთხრა უარი საკავშირო რეფერენდუმის იდეას. აზრთა სხვადასხვაობისა და მღელვარებების ტალღის რეგიონებში

გადანაცვლებით საპროტესტო განწყობების ფორმატი ფართოვდება და გარდა მთავარი თემის - 9 აპრილის საყოველთაო გამოძახილისა, მასობრივ შეკრებებზე შემოდის სხვადასხვა ტიპის საზოგადოებისთვის აქტუალური თემა, რომელსაც ცალკეული გამომსვლელები ე.წ. ნარატივების ფორმით აჟღერებენ. მაგალითად, ზემოთ აღნიშნული სტატიიდან ვიგებთ, რომ ბათუმში მიტინგი და სახალხო გამოსვლები რამდენიმე ლოკაციაზე გამართულა, მათ შორის, აჭარის სამხედრო კომისარიატთან, სადაც მომიტინგეებმა საოკუპაციო ჯარის გაყვანა, ეროვნული სამხედრო ფორმირებების შექმნა და ახალგაზრდების საბჭოთა ჯარში გაწვევის შეჩერება მოითხოვეს. „როგორც მოსალოდნელი იყო, 9 აპრილის სახსოვარი დღე მარტოდენ გლოვის და დუმილის დღე არ ყოფილა“ („რაც რომ ქვეყანაზე წმინდა სანთლებია“, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 68, 1990) - ამ სიტყვებს სტატიის ფინალური წინადადებებიც მოჰყვა: „გავა წლები, ათწლეულები, მოვა ახალი თაობები და წაიკითხავენ თავისუფლებისათვის ბრძოლის სისხლიან ისტორიას, რომელიც აგერ უკვე რამდენი ხანია იწერება. ამ მატიანის ნათელი გვერდი (ვიმედოვნებ, აქ, ტექნიკური ხასიათის გაუგებრობასთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე შეფასებასთან -შენიშვნა ი.გ) 1989 წლის 9 აპრილიც იქნება, ის აპრილი, რომლის მეწამულმა განთიადმა გააღვიძა, ფეხზე დააყენა, ერთი დროშისკენ მიაბრუნა სრულიად საქართველო“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №68, 1990). სტატიის განხილვისათვის შესაძლებელია თეორიულ ჩარჩოდ კოლექტიური/კულტურული ტრავმის თეორია გამოვიყენოთ: „კულტურული ტრავმა თავს იჩენს მაშინ, როდესაც რამე საშინელი მოვლენა წარუშლელ კვალს ტოვებს კოლექტივის წევრების ჯგუფურ ცნობიერებაზე, სამუდამოდ ასვამს დაღს მეხსიერებას და ფუნდამენტურად ცვლის მათ მომავალ იდენტობას“ (ალექსანდერი, 2004:1).

კულტურულ ტრავმას ჯეფრი ალექსანდერი განიხილავს, როგორც სამეცნიერო კონცეფციას და გვთავაზობს მრავალმნიშვნელოვან არსობრივ და მიზეზობრივ დამოკიდებულებას ერთმანეთთან კავშირის არმქონე მოვლენებს, სტრუქტურებს, წარმოდგენებსა და ქმედებებს შორის. მისი აზრით, კოლექტივის (ერთობის) წევრები ადგენენ ტრავმის წარმოშობის მიზეზებს და ამით საკუთარ თავზე იღებენ მორალურ პასუხისმგებლობას. ალექსანდერის აზრით, მოვლენებმა და ფაქტებმა კულტურული ტრავმის ეფექტი რომ შეიძინოს, უნდა გაჩნდეს ტრავმის მატარებელი ჯგუფები, ტრავმა

უნდა ჩამოყალიბდეს უნივერსალური ნარატივის სახით. თავის მხრივ, ნარატივის წარმატებით დამკვიდრებისთვის იგი უნდა განიხილავდეს: ტკივილის ბუნებას, მსხვერპლის ბუნებას, ტრავმის მსხვერპლთა კავშირს უფრო ფართო აუდიტორიასთან, პასუხისმგებლობის გადანაწილების საკითხს, რადგან კოლექტიური ტრავმის ამსახველმა ნარატივმა უნდა ასახოს მოვლენა, აჩვენოს, რა მოხდა, მკაფიოდ უნდა ასახოს დაზარალებული ჯგუფი, ნარატივმა უნდა გვაჩვენოს, რომ ტრავმულმა მოვლენამ არა მხოლოდ ერთ ჯგუფზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე მოახდინა გავლენა, ნარატივმა უნდა წარმოადგინოს, ვინ არის დამნაშავე, ვინ უნდა აგოს პასუხი მომხდარის გამო (ალექსანდერი, 2004). ძნელი სათქმელია, რამდენად მიიჩნევდნენ თავს დამნაშავედ აპრილის ტრაგიკული მოვლენების ორგანიზატორები, თუნდაც, რიგითი მონაწილეები, თუმცა, როდესაც ამ პროცესების გადააზრების პროცესში ვერთვებით, უნებურად გვახსენდება გიორგი მაისურაძის ფორმულირება „ ჩვენ მიტინგებზე დავიბადეთ და გავფორმდით როგორც თაობა, როგორც „პოლიტიკური ცხოველების“ (Zoon Politikon) გარკვეული ჯიში და სახეობა, რომლის არტიკულაციის, საკუთარი აზრისა თუ პოლიტიკური ნებისა და ვნებების გამოხატვის ფორმა მიტინგია“ (მაისურაძე, 2011). შესაბამისად, საქართველოს უახლესი ისტორიის წაკითხვა საპროტესტო აქციების შუქზე ის მნიშვნელოვანი რაკურსია, რომელიც უახლესი ისტორიის გაგებასა და შეფასებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს, მიუხედავად იმისა, რომ 9 აპრილის მოვლენები ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში განვითარდა.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საპროტესტო აქციების შესწავლისას, 1989 წლის 9 აპრილი გამორჩეულია ფორმის, შინაარსისა თუ შედეგის თვალსაზრისით. „1989 წლის აპრილის საპროტესტო გამოსვლები, შესაძლოა, სწორედ ამ გამარჯვებებითა და ეროვნული იდენტობის გაღვივებული გრძნობით იყოს მოტივირებული. აქციებზე გამოყენებული სიმბოლოები, ტრანსპარანტები, ლოზუნგები, გამომსვლელთა ლექსიკა, ისტორიული პერსონაჟები თუ რელიგიური სიმბოლოები, იმეორებს საბჭოთა საქართველოში გამართული საპროტესტო მიტინგების ფორმას და, გარკვეულწილად, შინაარსსაც. დემონსტრაციებზე იქმნება ქაქუცა ჩოლოყაშვილის, როგორც საბჭოთა ოკუპაციასთან მებრძოლი ჯარისკაცის სახე, ჩანს, ასევე, საქართველოს სამფეროვანი დროშა, რომელიც 1918 წლის, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის

მეხსიერებას აცოცხლებს, გამოყენებულია ჯვრებიც, რადგან ჯვარი ქრისტიანულ რელიგიაში იესო ქრისტეს მიერ „სამყაროს გამოხსნის“ სიმბოლოა“ (სართანია, 2019).

გარდა სიმბოლოებისა, ცნობილია, რომ მიტინგს აქვს ასევე, თავისი ენა, ე.წ. მოთხოვნების რადიკალური ენა. მერაბ კოსტავას მზაობა მსხვერპლისათვის, რომელიც, მის მიერვე განიმარტა, როგორც „დადებითი მოვლენა“, ნიშნავს, რომ ვისაც თავისუფლებისთვის ბრძოლაში თავდადება შეუძლია, თავისუფლებას დაიმსახურებს. პროტესტის, აზრის გამოხატვის ფორმად სწორედ ქუჩის აქცია, მიტინგი ყალიბდება, ხოლო სიმბოლოები და სხვა ატრიბუტიკა, სხვადასხვა დროს, ეროვნული წინააღმდეგობისა და ბრძოლის ისტორიიდან არის შერჩეული - „მიტინგის სიმბოლოები და ლოზუნგები აჩვენებს შეკრებილთა განწყობებს წარსულის, აწმყოს – საბჭოთა პოლიტიკური სისტემისა, და, მათ შორის, მომავლის მიმართ. საპროტესტო გამოსვლებზე პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა, ისტორიული ფიგურები, საბჭოთა ოკუპაცია, ქრისტიანობა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და ქმნის სოციალური მოძრაობებისთვის ნაციონალისტურ ნარატივს, რომელიც მისაღები ხდება ფართო ჯგუფებისა და მათი მობილიზებისათვის“ (სართანია, 2019). ეროვნულმა მოძრაობამ წარსულს ხაზი გადაუსვა. 9 აპრილი ნამდვილად აღმოჩნდა ის ისტორიული „სეისმური ცდომილება“ (ასსმანი, 2011), რომელმაც დაანგრია საბჭოთა სისტემის ფარგლებში მცხოვრები საქართველოს საზოგადოების კულტურული და მენტალური ჩარჩოები, ყირაზე დააყენა სოციალური რეალობა და დიდი ხნით განსაზღვრა საზიარო მეხსიერება და იდენტობა. დაიწყო აქტიური დავიწყების მოძრაობები, მონუმენტების და მემორიალების გაქრობა - „კონტრმეხსიერება იქცეოდა აღიარებულ მეხსიერებად და ძველი საბჭოთა მეხსიერება, რომელიც აისახებოდა მონუმენტებსა და რიტუალებში, კარგავდა ემოციურ მიმზიდველობას და მეხსიერებიდან ისტორიაში ინაცვლებდა“ (ასსმანი,2001).

ხელისუფლების დუმილის ფონზე და ხანდახან, ხელისუფლების მონაწილეობითვე, დაიწყო საბჭოთა პერიოდის მეხსიერებიდან გულდაგულ ამოშლილი სახელების, ფაქტების, მოვლენების, სიმბოლოების გახსენება, დაბრუნება და მეორეს მხრივ, დაიწყო საბჭოთა წარსულის დავიწყების პროცესი, რომელსაც, ასსმანს თუ დავკესხებით „აქტიური დავიწყების“ (ასსმანი, 2001) პროცესიც შეგვიძლია ვუწოდოთ. ხშირად, ეს

აქტიური დავიწყება ნორასეული „წარსულთან ანგარიშსწორების“ (ნორა, 2002) გამოძახილია. რეგიონული ბეჭდური მედიის 1989-1991 წწ გამოცემებიდან ჩვენ მიერ განხილული მაგალითებით უკვე ვნახეთ, რომ როდესაც ემოცია აძლიერებს დამახსოვრებას სიხარულით, მწუხარებით და გლოვით, დღის წესრიგში დგება კულტურული კოდები და კულტურული ნიმუშები. ისინი ტრაგედიებთან და განსაცდელთან გამკლავების ალტერნატიულ გზად რიტუალებისა და რწმენების კოდირებას მიიჩნევენ (ასსმანი,2011). აქ შეგვიძლია გავარჩიოთ რჩეული ტრავმის “რჩეულ ტრიუმფად“ (ვოლკანი, 2007) გადაქცევის მეთოდი, როდესაც 1991 წლის 9 აპრილს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომაზე ქვეყნის პრეზიდენტმა წაიკითხა 31 მარტს ჩატარებული „დამოუკიდებლობის რეფერენდუმის“ შედეგები და სიტყვის ბოლოს განაცხადა: „ყოველივე ზემოთ თქმულიდან მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რეფერენდუმზე გამოხატული ხალხის ნების გათვალისწინებით, მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა წინაშე გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რათა საქართველომ დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში... სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილს წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ საგანგებო ნომერი, № 70, 1991). ამ ისტორიული განაცხადის ფინალური წინადადება გამოძახილი იყო საზოგადოებაში წლების მანძილზე დამკვიდრებული განწყობებისა, რომლითაც „რჩეული ტრავმის რჩეულ ტრიუმფად“ (ვოლკანი, 2007) და გამარჯვებად ტრანსფორმირების მაგალითებით იქმნებოდა ნარატიული ტექსტები და მიდგომები.

ამერიკელი სოციოლოგის ევიათარ ზერუბაველის აზრით, „კოლექტიური მეხსიერება საერთოა ოჯახებისათვის, ეთნიკური ჯგუფებისათვის, ნაციებისათვის და სხვა მნემონიკური ერთობებისათვის“ (ზერუბაველი, 2004). კოლექტიური მეხსიერება არ არის

რომელიმე ერთობის წევრთა პირადი მოგონებების უბრალო ერთობლიობა. ის მოიცავს იმ მოგონებებს, რომლებიც საერთოა ერთობის, როგორც ჯგუფის, ყველა წევრისათვის და ეს ხერხები ხშირად გამოიყენება ხოლმე პოლიტიკურ რიტორიკაში. სწორედ ამ პათოსით იყო გაჯერებული 1989-1991 წლების არა მხოლოდ პოლიტიკური სივრცე და ველი, არამედ შემოქმედებითი არეალიც: მხატვრული ტექსტები, ლიტერატურული ნაწარმოებები, პუბლიცისტური მასალები და პერიოდული პრესა. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არც გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ იყო, სადაც კონკრეტული ავტორების მიერ ობიექტური სინამდვილის ასახვა და რეალური ამბების თხრობის პროცესი საინტერესო ტრანსფორმირებას განიცდის და არტეფაქტების, მითოლოგიზირების ელემენტებით გაჯერებულ ჟურნალისტურ პროდუქტებს წარმოგვიდგენს. საინტერესოა საკვლევი პერიოდის ერთი სტატია, რომელმაც თავისი სათაურით მიიპყრო ჩვენი ყურადღება: ნ. ჯანბერიძის სტატია „იქ, სადაც მზე შეჩერდა“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 103, 1989) აღწერს საქართველოს პატრიარქის ვიზიტს ზემო აჭარაში და სხალთის ტაძარში, აპრილის ტრაგედიების მსხვერპლთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდის პროცესს. პუბლიკაცია სრულად გადმოგვცემს პატრიარქის ქადაგებას: „რამდენიმე საუკუნის შემდეგ ჩვენ ისევ ვლოცულობთ ამ ღვთიურთხეულ მიწაზე. აქ, აჭარაში, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში დაიწყო ქრისტიანული ქადაგება ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა. დღეს ისევ გლოვაშია სრულიად საქართველო. 9 და 19 აპრილი მუდამ იქნება ჩვენი ერის ხსოვნაში, ამავე დროს ეს არის ჩვენი ერის სულიერი ერთობის დღე, ჩვენ მწუხარებამ გაგვაერთიანა. ბევრი ტაძარი საქართველოში ჩვენ თითონ დავანგრეთ, მტერმა კი არა - ჩვენ. თქვენ იცით იმ წლების შესახებ. დღეს ადამიანი ეძიებს საკუთარ თავს, ცდილობს დაიმკვიდროს ადგილი სამყაროში, ამ წმინდა საქმეში ერთად ყოფნას, ჩვენს შეკავშირებას უდიდესი როლი ენიჭება. ქართული ეკლესია, საქართველო არასოდეს დაივიწყებენ ამ ისტორიულ დღეს, რომელიც ახალი წინსვლის საწინდარი იქნება“, - ამ სიტყვების წარმოთქმისას, პატრიარქის ხმას მგალობელთა გალობის ხმაც შეერწყა და სწორედ ამ დროს ეკლესიაში მტრედი შეფრინდა, რომელმაც ერთხანს მლოცველთა სანთლებთან იფარფატა, მერე კი კანკელთან დაჯდა და ბოლომდე, თითქოს ისმენს ლოცვის სიტყვებსო, არც განძრეულა. ჩვენ ეს ჩვენი თვალთ ვიხილეთ და ვირწმუნეთ, მართლაც დიდი, დიდზე დიდი ამბავი მოხდა სხალთისწყლის ხეობაში“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“;

№103, 1989). სტატიაში კიდევ ერთ ალევგორიული ხასიათის ჰიპერბოლას გვთავაზობს ავტორი, როდესაც გვიყვება, რომ პატრიარქის მიერ წაბლანაში ხეივნის გაშენებისას დასმულ შეკითხვაზე, „გაიხარებსო?“ - ადგილობრივებისგან ასეთი პასუხი მიუღია: „თქვენ ოღონდ დაგვირგეთ და გაიხარებსო“ (აქ მოვიყვანდი პავლე მოციქულის სიტყვას - "არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღვთისაგან, ხოლო არსებული ღვთის მიერ არის დადგენილი" (რომაელთა მიმართ 13: 1), რომელიც თანაბრად გამოხატავს როგორც მმართველობის რელიგიურ არსს, ასევე რელიგიის პოლიტიკურ შინაარსსაც) ავტორის (ნ. ჯანბერიძე) რემარკა კი აღწევს ზენიტს, როდესაც წერს: „ეს ნერგიც იხარებს, სხვაც ბევრი და ამიერიდან, მე ასე მგონია, უფრო ხშირად გაისმება მამია ვარშანიძის მიერ 40 წლის წინათ ნათქვამი ლექსის სტრიქონები „მოდი, ნახე მე აქ ვსახლობ, მზე არ შემიჩერებია“. ეს მზე ქართული ბორჩხალა მზეა, რომლის შუქი ასე გულიანად დაეფინა მთიან აჭარას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის წვევის დღეს“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №103, 1989). ამ მეტაფორულ პროცესს, უფრო ზუსტად - მითოლოგიზირებულ ამბავს უფრო გასაგებს გახდის მითოსის განმარტება, რომელიც ძველ რომაელ ავტორს გაიუს სალუსტიუს კრისპუსს (ძვ.წ. I საუკუნე) ეკუთვნის: „მითი არის თხრობა იმ ამბის შესახებ, რომელიც არასდროს არ მომხდარა და თანაც მუდამ ხდება“. ასეთი განმარტება პარადოქსზეა აგებული: რაღაც თან არ არსებობს და თან არსებობს; ვიცით, რომ არ მომხდარა, მაგრამ მას, როგორც მომხდარ ფაქტს, ისე ვაღიარებთ. ეს ეხება არა მარტო ღმერთებზე, გმირებზე, წმინდანებსა და ციურ სხეულებზე ლეგენდებს, არამედ თანამედროვე მითებსაც, რამდენადაც მითოსი არაა მხოლოდ საზოგადოებრივი განვითარების არქაულ საფეხურებზე მდგომი ადამიანების სამყაროს აღქმის სურათი, არამედ აზროვნების თავისებურებაა, რომელიც რეალობას სასურველი ფანტაზიით გვინაცვლებს. რაც შეეხება კონკრეტულ სტატიას, უნდა აღინიშნოს, რომ მითოლოგიზირებული ამბავი სრულდება აბზაცით, სადაც ჩამოთვლილნი არიან პარტიული ნომენკლატურის რეგიონული და ადგილობრივი წარმომადგენლები და ვფიქრობ, ავტორს, მხოლოდ აქ ახსენდება, რომ საგაზეთო სტატია საინფორმაციო ხასიათის ელემენტებსაც უნდა შეიცავდეს, ვიდრე მხოლოდ საბჭოურ ყაიდაზე შესრულებულ მითოლოგიურ ნააზრევს და სუბიექტურ სენსიტიურ შტრიხებს.

როგორც ვხედავთ, ადგილობრივი ბეჭდური მედია ერთის მხრივ, იკვებება XX საუკუნის 90-იანი წლების ტრავმული მოვლენებით, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ასე მკაფიო, დაზუსტებული, მუდმივი აღწერით კონკრეტულ ტრავმად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და ზოგიერთ შემთხვევაში, მისი დაძლევის გზებსაც გვთავაზობს. წინამდებარე ტექსტების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების მოვლენები ცალსახად თავსდება შტომპკას „გამარჯვების ტრავმის“ ნარატივში. მკაფიოდ ჩანს, რომ ამ მოვლენებს თან დაჰყვება ყველა ის თვისება, რაც ზოგადად, დამახასიათებელია კულტურული ტრავმისათვის: უცაბედი, შოკისმომგვრელი მოვლენები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ერთ ჯგუფზე, არამედ – მთელ საზოგადოებაზე და მასზე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ შოკურ ეფექტებს იწვევენ. შტომპკა თვლის, რომ მხოლოდ გარკვეული ტიპის ცვლილებებია ტრავმული და მხოლოდ გარკვეული საზოგადოებები არიან ტრავმირებულნი თავიანთი ისტორიის კონკრეტულ პერიოდში. შტომპკას აზრით, „მხოლოდ ისეთ მოვლენებს განვიხილავთ ტრავმულად, რომლებიც უცაბედი, მასშტაბური, ფუნდამენტური და მოულოდნელია“ (შტომპკა, 2004: 157-158)

აჭარის რეგიონის მაგალითზე მედიაპოლიტიკის სტანდარტებზე როდესაც ვსაუბრობთ, ცალკეული, თუმცა არა მრავალფეროვანი მაგალითები შეგვიძლია მოვიყვანოთ რეგიონში გამომავალი ბეჭდური მედიის სხვა ნიმუშებიდანაც. კერძოდ, ჟურნალიდან „ჭოროხი“ და ასევე, გამოცემიდან „ქრონიკა“. ეს უკანასკნელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საინფორმაციო ბიულეტენის სახით იბეჭდებოდა და მეტად უცნაური ფორმა ჰქონდა. ფაქტობრივად, სახელისუფლებო პერიოდული გამოცემა „ქრონიკა“ თავის ფურცლებზე უდიდეს ადგილს უთმობს იმხანად არსებული კონფლიქტის (1992-1993 წწ. სამხედრო კონფლიქტი აფხაზეთში) მოგვარების თემას და დეტალურად ასახავს იმდროინდელი რეგიონის მეთაურის, ასლან აბაშიძის (საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველი 1991-2004 წლებში) მედიაციის დეტალებს, ანალიზებს და აჩვენებს კონკრეტული შედეგების რეზონანსს. მართალია, ეს გამოცემა არ გამოირჩევა ინფორმაციული თუ კულტურულ-ლიტერატურული ნარატივის ობიექტურობით და ცოტათი სცილდება კიდევ შერჩეულ საკვლევ პერიოდს, მაგრამ ვინაიდან

გასაანალიზებელი თემა ზოგადად რეგიონული პრესის მიმოხილვას მოიცავდა, გადავწყვიტეთ მცირედით, მაგრამ მაინც შევხებოდით ამ გამოცემასაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, უპრიანია ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე პუბლიკაციაზე: მაგალითად, სტატიაში „მშვიდობისა და აღორძინებისთვის“ (ჟრნ. „ქრონიკა“, № 2, 1993) ვკითხულობთ: „საქართველოს რუკაზე არის კუთხე, რომელსაც, ისტორიის ნებით, პასუხსაგები როლი დაეკისრა, ამ კუთხეს აჭარა ჰქვია. დღეს ჩვენს ბობოქარ საუკუნეში კეთილი იმედის კუნძული გახდა - საქართველოსთვის ესოდენ სანუკვარი მშვიდობის დიდი იმედისა.“ საგულისხმოა რუბრიკა „სიმართლე ყველასთვის ერთია“, რომელიც ძირითადად, ემსახურება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელის მიერ გამოთქმული მოსაზრებების და მისი მმართველობის უალტერნატივობის აპოლოგიას. მასალების გაცნობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, თუ რა ძალა შეიძლება ჰქონდეს მედიას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში და როგორ შეიძლება გამოიყენოს იგი ხელისუფლებამ თავისი უალტერნატივობის მითის შექმნის პროცესში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სტატია, რომელიც საზღვაო სანაოსნოს ხომალდისთვის მემედ აბაშიძის სახელის მინიჭებას გვამცნობს და ასევე, საგულისხმოა მისი საფინანსო ნაწილიც: „საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხომალდს მემედ აბაშიძის სახელი მიენიჭა და 19 სექტემბერს მოადგა ბათუმს, გაიმართა მიტინგი, სადაც გაცხადდა, რომ გემი ისტორიულ დღეს შემოვიდა აჭარის ნავსადგურში, რადგან ამ დღეს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, დასავლეთ საქართველოში ორ დაპირისპირებულ შეიარაღებულ მხარეს შორის, რომელიც საქართველოში სამოქალაქო ომის საფრთხის თავიდან აცილების ღირსსახსოვარი დოკუმენტია, ხატოვნად რომ ვთქვათ, შვილიშვილმა თავის დიდ პაპას მშვიდობის პატაკი ჩააბარა“ (ჟრნ. „ქრონიკა“, № 2; 1993). სწორედ ესაა ის დამახასიათებელი პათოსი, ბეჭდურ გამოცემა „ქრონიკას“ ლაიტმოტივად რომ გასდევს. ცხადია, სტერეოტიპების და ალუზიების ტირაჟირებით ბეჭდურ სიტყვას ნამდვილად ძალუმს უდიდესი გავლენა იქონიოს გარკვეულ მოვლენებზე, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ მედია კარგად იცნობს და ღრმად აცნობიერებს საზოგადოების განწყობას. თუ მედია ახალ ინფორმაციას სტრუქტურირებულად, რელევანტურ კონტექსტში (მათ შორის, ნაცნობი ადამიანებისა და ფიზიკური გარემოს დახმარებით) შემოგვთავაზებს – ამბის გახსენებაც, მომავალში უფრო მარტივი იქნება.

და თუ ეს მოვლენა ემოციურადაც დამუხტულია – ცხადია, დამახსოვრების ეფექტიც უფრო ძლიერია. როდესაც პარტიების და მედიის სიმბიოზზე ვსაუბრობთ, აშკარაა, რომ ეს პროცესი არა მარტო მედიას, არამედ პოლიტიკურ ლანდშაფტსაც აზიანებს, რადგან ის ვეღარ ატარებს კრიტიკულ აზრს, სარკეს ამრუდებს და საზოგადოების პოლარიზებას უწყობს ხელს. სწორედ ასეთ ფერხულში შეუძლია პარტიულ მედიას გამოიყენოს გაუმართლებელი მეთოდები - ფაქტებს მიაკრას იარლიყები, მაყურებელს დაავიწყოს პოლიტიკური ფიგურები და ან პირიქით, მუდმივად ახსენოს აუდიტორიას უსახური და მობეზრებული პოლიტიკოსები. ვფიქრობ, ჟურნალი (საინფორმაციო ბიულეტენი) „ქრონიკა“ ზემოთ ჩამოთვლილი ტენდენციების რეგიონულ მედიაში დამკვიდრების მცდელობის და სამიზნე აუდიტორიის არაადეკვატურად ინფორმირების საუკეთესო მაგალითია.

რაც შეეხება რეგიონში გამომავალ ჟურნალს „ჭოროხი“, რომელიც გარდა იმისა, რომ განსახილველ პერიოდში ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემის სახით წარდგებოდა მკითხველის და საზოგადოების წინაშე, ასევე გახლდათ საქართველოს მწერალთა კავშირის და აჭარის განყოფილების ორგანო. ჟურნალი, სხვა რეგიონული მედიასაშუალებების მსგავსად, ბუნებრივია, იზიარებდა იდეოლოგიური დომინანტის როლს, თუმცა ცდილობდა საზოგადოებისთვის საინტერესო კუთხიდან დაენახებინა და შეეფასებინა ქვეყნის წინაშე არსებული მიმდინარე, წარსული და სამომავლო გამოწვევები. აღნიშნულის დასტურად, „ჭოროხის“ ნარატივების განხილვის დასაწყისშივე მოვიყვანდი პუბლიცისტურ მასალას „ფიქრები, ფიქრები“. მიუხედავად იმისა, რომ „ჭოროხი“ ლიტერატურული გამოცემაა, საკვლევი პერიოდის მანძილზე ჟურნალში დაბეჭდილი მასალები გვერდს ვერ უვლის XX საუკუნის 80-90-იანი წლების ეპოქალურ შუქ-ჩრდილებს და მისი რიტორიკა დროდადრო, სხვადასხვა ანალიტიკური ნააზრევით წარმოჩინდება. პუბლიცისტური მასალა „ფიქრები, ფიქრები“ (ჟრნ. „ჭოროხი“, № 4, 1991:42-43) იმხანად ქვეყანაში შექმნილი ვითარების და მართლაც დასაფიქრებელი მდგომარეობის ანალიზს გვთავაზობს: „თეთრსა და შავსა ღვინოსა განა ერთფერად სმა უნდა, / ენაზე მოსულ სიტყვასა, განა ყველასა თქმა უნდა?“- აქ ავტორი (მ. ვარშანიძე) ხსნის თავის გულისნადებს: „ხან მომაგონდება ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“, რომელშიც

ვკითხულობთ ასეთ სტრიქონებს: „მცირე, დიდი, ყველა ფლიდი,/ ცულლუტი და მანკიერი,/ უზნეონი, გზამრუდონი, არ გამტანი და ცბიერი,/ მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, /გარეთ მხდალი, შინ ძლიერი.../ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი?“ - რა თქმა უნდა, ეს ლექსი იმაზე კი არ მეტყველებს, რომ მართლაც ყველა ქართველი მოღალატე და ცბიერია, არ იცის მოყვარე, არ იღვწის ბოროტების დასამარცხებლად და კეთილის გასამარჯვებლად! ასე რომ ყოფილიყო, მაშინ „ვეფხისტყაოსანი“ არ დაიწერებოდა და არ გვეყოლებოდა ავთანდილი, ტარიელი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი, ასმათი...ეს უზადო მაღალადამიანური თვისებებით ამადლებული გმირები. დიახ, გვყავს ასეთი ადამიანები, რომლებსაც ქართველმა დედამ დაურწო აკვანი და მაღლიანი ძუძუ აწოვა, მაგრამ არიან სულმდაბალნიც, რომელთათვის ავის ქმნა ხელობაა, ოღონდ თვით ბედნიერი იყოს და შენ ძმას ორმოში ჩაგაგდებს, ალადასტურ ღვინოში შხამ-სამსალას შეგაპარებს...და ასეთი, სამწუხაროდ, ცოტა როდია, მარტო მე რაც გადამხდენია თავს, ათას დასტურად მეყოფა....უიარაღოს „მამელუქი“ ისტორიულმა სინამდვილემ არ დააწერინა, ეს ხომ ჩვენი უახლესი საუკუნეების ისტორიული სინამდვილეა. გავიხსენოთ ჩვენი თავადაზნაურობის მიერ ჩვენივე ქალ-ვაჟების, ბავშვების გაყიდვა. თურმე უცხოეთიდან ჩამოდიოდნენ ფოთში იალქნიანი გემები ქართველი ბავშვების საყიდლად. და აქ იმართებოდა ავადმოსაგონარი ვაჭრობა... და იალქნიანი გემები შორს მიაქროლებდნენ ჩვენს ვაჟებსა და ქალიშვილებს. სტამბოლის ბაზარი აივსო ჩვენი შვილებით და იქაც ვაჭრობა, ვაჭრობა და ჰაიდა, გააქროლებდნენ ქართულ თბილ აკვანში გამოზრდილებს“ (ჟრნ, „ჭოროხი“, №4, 1991:42-43). აქ ავტორი (მ. ვარშანიძე) ისტორიული მეხსიერებიდან მტკივნეული ფაქტების რეპრეზენტირებით აგრძელებს მტკივნეული მოგონებებისგან მიღებული ტრავმების განგრძობადობის ჩვენებას, რითაც ხელს გვიწყობს „წარსულთან ხიდის გადებაში“ (ზერუბაველი,2004) და ისტორიული მოვლენების აღქმის თავისებურებებზე აქცენტირებით გვიბიძგებს ამ ნარატივის სრულფასოვანი გაანალიზებისკენ. ნარატივის ფენომენზე და მის მახასიათებლებზე საუბრისას კი, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ სამეცნიერო ლიტერატურაში ფორმულირებული დომინანტი და არადომინანტი ნარატივების ფორმები. დომინანტი ნარატივის მიზანი მომხდარი ისტორიული მოვლენის შესახებ გაბატონებული აზრის შექმნაა. არადომინანტი ანუ სოციალური ხასიათის ნარატივი კი, პირად ისტორიებზეა

აგებული, გაჯერებულია ინდივიდუალური ელემენტებით და თხრობითი ინტონაციით, თუმცა, მასში მთელი საზოგადოების მდგომარეობაც აისახება. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს პოსტტრავმული სტრესის გამომხატველი ტიპური ტექსტები, რომლებიც მეტად ემოციურია და დომინანტური ნარატივით ყურადღებას საზოგადოების მდგომარეობაზე ამახვილებს: „დიახ, ამ ფიქრების ტალღებს მივყვები და მაგონდება 30-იანი წლები...რეპრესიები, შური, ღალატი, დასმენა და ორპირობა. მართალი ადამიანის სასიკვდილოდ გაწირვა....და აღარ მიკვირს, როცა მართალი კაცი თითქოს აღიარებს დანაშაულს, თავს ტროცკისტს არქმევს, რომ იგი თითქოს ფიქრობდა საბჭოთა სახელმწიფოს გადატრიალებას და ვინ იყო გამომძიებელი? ქართველი კაცი. ცემა-ტყეპით ვინ მიიყვანდა სიკვდილის პირამდე უდანაშაულო პატიმარს? ქართველი კაცი! რატომ იქცეოდა ასე ბოროტად? - იმიტომ, რომ აემალღებინა ჩინი, მიეღო მეტი ხელფასი, მიღო კარგი ბინები და ეცხოვრა არხეინად. არ ვიცი, ვცდები თუ არა, თუ ვიტყვი ასე: იმდენი ტკივილი ქართველი ხალხისთვის არავის მიუყენებია, რამდენიც თვით ქართველმა ქართველს მიაყენა. ჩვენი მეზობელი ერი რომ სხვის ხარჯზე თავის დიდ სახელმწიფოს აშენებდა, ჩვენ ნაწილ-ნაწილ ვყიდდით ჩვენი მშობლიური მამულის მიწებს“(ქრნ. „ჭოროხი“, №4, 1991). როგორც ვხედავთ, ავტორი (მ. ვარშანიძე) შეეხო კოლექტიური ტრავმის თანამედროვეობაში გამოძახილის თემასაც და შეფასებითი მიდგომაც გამოიყენა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კოლექტიური ტრავმის დაძლევა, ყველაზე რთულია, ვინაიდან ეს ტრავმები არავის ეკუთვნის (ფროიდი,1900) და მთელი ერის ტკივილს წარმოადგენს, ბუნებრივია, შეგვიძლია დავეყრდნოთ ზიგმუნდ ფროიდის მიერ განხილულ „კოლექტიური ტრავმის ორმაგ ბუნებას“ (ნაშრომიდან „ყოველდღიური ყოფის ფსიქოპათოლოგია“, 1900), როდესაც „ერთის მხრივ, ის საზოგადოებებს შიშით ავსებს და ერებიც ტრავმის ზოგ ასპექტს ივიწყებენ, მეორე მხრივ კი, საზოგადოებებს სჭირდებათ მიბრუნება ტრავმასთან“ (ფროიდი, 2005). განხილულ პუბლიცისტურ მასალაშიც ავტორი იხსენებს შიშს და ახსენებს საზოგადოებას, რომ მოცემულ ეტაპზე ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა ისტორიული ტრავმების გამოძახილია. შიშის და საფრთხის გაცნობიერება კი ტრავმასთან მიბრუნებას და გადააზრებას საჭიროებს.

აღნიშნულ ქვეთავში მოყვანილი მაგალითებით შევეცადეთ განგვხილა და გაგვეანალიზებინა XX საუკუნის 80-90-იან წლებში ჩვენ ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე პროცესები, ქვეყნის არასაბჭოთა მომავლის პერსპექტივა, რომელიც უკვე მკაფიოდ მოითხოვდა ახალ წარსულს, ახალი სახელებით და სახეებით, ახალი ფასეულობებით და აქცენტებით. პუბლიცისტური ნარატივის მაგალითებზე საუბრისას, დავადგინეთ, რომ რეგიონში გამომავალი ბეჭდური გამოცემების ფურცლებზე ვხვდებით ჯერ კიდევ ორმაგი კოდირების პრინციპებით გამოვლენილ სარედაქციო პოლიტიკის ფარულ აქცენტებს, აგრეთვე, კომუნისტების მიერ ეროვნული მთავრობის მონაპოვრით სარგებლობის მცდელობებს და მათი რეალური სახის სახალხო მოძრაობის თანაზიარო ემოციებით შენიღბვის ტენდენციებს. კონკრეტული ტექსტების და ავტორების პუბლიცისტური ოსტატობის დამსახურებაა ის, რომ დასავლური ყაიდის მეცნიერებების - კულტურის კვლევების, მეხსიერების კონკრეტული ფორმების, ტრავმების ამბივალენტური ბუნების და შედეგების განხილვით შევძელით პარალელი გაგვევლო ცნობილი მკვლევრების - ზერუბაველის, ჰალბვაქსის, ასსმანის, შტომპკას, ფროიდის და სხვ. მოსაზრებებსა და იმდროინდელ (1980-90 წწ) ქართულ რეალობაში აღმოცენებული მედიის მიზნებთან, გამოხატვის ფორმებთან და ზეგავლენის მოხდენის ინსტრუმენტებთან. შესაბამისად, განვიხილეთ 9 აპრილის, როგორც ისტორიული „სეისმური ცდომილების“ (ასსმანი, 2011) შემდგომი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ტენდენციები და განსახილველი პერიოდის მიტინგური რიტორიკა, რომელიც იდენტობით ნაწილთან და საქართველოს უახლესი ისტორიის საპროტესტო აქციების შუქზე წაკითხვას დავუკავშირეთ. „აქტიური დავიწყების“ (ასსმანი, 2001) „წარსულთან ანგარიშსწორებასთან“ (ნორა, 2002) შედარებით აღმოვაჩინეთ, რომ სწორედ ეს რაკურსი დაგვეხმარებოდა იმდროინდელი მედიასამუალებების მიერ წარმოდგენილი საქართველოს უახლესი ისტორიის შესახებ ნარატივის დადგენასა და შეფასებაში

3.2 „ახალი წარსულიდან ახალ მომავლამდე“ - სახელების, სახეების, მოვლენების და თარიღების რეპრეზენტაცია“

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, საქართველოში საბჭოთა ეპოქა მთელი თავისი „დიდებულებით“ 1956 წლის მარტის ამბებით დაიწყო, როცა დაიბადა “საბჭოთა ქართული” ნაციონალიზმი და, შესაბამისად, “საბჭოთა საქართველო,” როგორც ასეთი (ქარუმიძე ზ, 2006). “რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!”- ეს გზავნილი მოდიოდა არა მარტო ქართული სუფრიდან და პატრიოტული განწყობებიდან, არამედ საგანმანათლებლო პროგრამებიდან, სამეცნიერო სფეროებიდან და სახელოვნებო წრეებიდანაც. ცხოვრებაც, შესაბამისად, ლაღი და საამური იყო. სწორედ ასეთი საბჭოთა საქართველოს დამხობა იწყება 9 აპრილის ტრაგედიით და ძალას იკრებს 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით, რომელიც 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე მოხდა. ეს იყო ეპოქა, როდესაც კოლექტიური ტრავმის მიღება დაუკავშირდა გაუგონარ ტრაგედიას და პოსტფაქტუმ მოხდა მისი გადააზრება, როგორც სხვადასხვა ჯგუფიდან მომდინარე განცდების, უმწეობის, რისხვის, მსხვერპლად ქცევის (ვოლკანი, 2007) პროცესისა და მასში იდენტობის ქსოვილის მნიშვნელოვანი ძაფის აღმოჩენისა. ამ მიმართებით, ჩვენი კვლევისთვის თეორიული შესაბამისობა დომინიკ ლაკაპრას წიგნში „Writing History, Writing Trauma” (ლაკაპრა, 2001) ვიპოვეთ, რომელიც გვთავაზობს კოლექტიური ტრავმის მეცნიერულ განმარტებას და მის ბუნებაზე საკმაოდ მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის. ლაკაპრა ერთმანეთისაგან განასხვავებს ისტორიულ და სტრუქტურულ ტრავმას: სტრუქტურულია ტრავმა, რომელიც ინდივიდის დაკარგვითაა გამოწვეული და დაღს ასვამს საზოგადოების მცირე რგოლს. ისტორიულია ტრავმა, რომელიც საზოგადოებას ძირფესვიანად ცვლის და მთელ საზოგადოებას აყენებს ზიანს (ლაკაპრა, 2001). საკვლევად შერჩეული პერიოდის გაანალიზებისას სწორედ ამ მოსაზრებებმა მიგვიყვანა ნაშრომის თეორიული საფუძვლის განსაზღვრაში; ასევე, კონკრეტული მიმართულება მოგვცა ჯეფრი ალექსანდერის პოსტულატებმა წიგნიდან „კოლექტიური ტრავმა და კოლექტიური იდენტობა“ (ალექსანდერი, 2004), რომელიც ზოგადად, კოლექტიური ტრავმის ნარატივების მახასიათებლებს განსაზღვრავს. ალექსანდერის კრიტერიუმების მეშვეობით, შესაძლებელი გახდა ჩვენ მიერ გასაანალიზებელი ნარატივების იდენტიფიცირება და გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მოვლენებისადმი მიძღვნილი კონკრეტული შინაარსის ტექსტების განხილვა, რომელთა ანალიზი სწორედ

ზემოთაღნიშნულ კრიტერიუმებს ეყრდნობა. ზოგადად, ნებისმიერი ტრავმა ახალ დონეს აღწევს, როცა ცოცხლდება შიშები, მოგონებები, ფანტაზია, კავშირი წარსულსა და დღევანდელობას შორის. პარალელური მოვლენის რეინტერპრეტაცია კი აყალიბებს გავლენის ნარატივს. მრავალი სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი მემუარები, მხატვრული ტექსტები, მემორიალები, მონუმენტები, სხვადასხვა მედიუმების ურთიერთქმედება აყალიბებს კოლექტიურ მეხსიერებას და სოციალურ განწყობებს. 1989 წლის აპრილის შემდგომ პერიოდში სწორედ სოციალური რეფლექსიების ნაწილი იყო ქუჩაში გადანაცვლებული პირველი რეაქციები-ემოცია, ელდა, ტკივილი, აღშფოთება, მწუხარება, გლოვა, რომელიც კოლექტიური მეხსიერების სახით დღემდე დალექილია ქართულ საზოგადოებაში. კოლექტიური მეხსიერება არ არის რომელიმე ერთობის წევრთა პირადი მოგონებების უბრალო ერთობლიობა და ის მოიცავს იმ მოგონებებს, რომლებიც საერთოა ერთობის, როგორც ჯგუფის ყველა წევრისათვის. „კოლექტიური მეხსიერება — არის საერთო მეხსიერება, რომელიც გადაიცემა და კონსტრუირდება ჯგუფის მიერ“ (ციტატა ვიკიპედიიდან <https://bit.ly/2U91ldw>). ტერმინით „კოლექტიური მეხსიერება“, ფრანგმა სოციოლოგმა მორის ჰალბვაქსმა ინდივიდუალური მეხსიერება განასხვავა კოლექტიური მეხსიერებისგან, რომელიც რეპრეზენტაციული ფორმების მუდმივ წარმოებას, კონკრეტული ნარატივების, ხატების კვლავწარმოებას და ფორმირებას ემყარება. ჰალბვაქსის შემდეგ კოლექტიური მეხსიერების ცნება სხვადასხვა კუთხით იქნა დამუშავებული და განვრცობილი. მაგალითად, ჯეიმზ იანგმა კოლექტიური მეხსიერების ნაცვლად შემოიტანა დაგროვილი მეხსიერების ცნება. ამით მან ხაზი გაუსვა მეხსიერების ფრაგმენტულ, დაგროვილ და ინდივიდუალურ არსს. იან ასსმანმა კი განავითარა კომუნიკაციური მეხსიერების ცნება, როგორც კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთი სახე, რომელიც ყოველდღიურ კომუნიკაციას ეფუძნება. მეხსიერების ეს ფორმა კოლექტიურ ხასიათს ზეპირი ურთიერთგაცვლის (ორალური ისტორიის) პროცესში იღებს. ასსმანის მიერ გამოყოფილი კოლექტიური მეხსიერების მეორე ფორმა არის ყოველდღიურობიდან გამოყოფილი კონკრეტული, მატერიალიზებული და ფიქსირებული ობიექტები, მაგალითად, ტექსტები და მონუმენტები. იან ასსმანმა განავითარა ასევე ტერმინი -კულტურული მეხსიერება. ამერიკელი სოციოლოგის ევიათარ ზერუბაველის დეფინიცია კოლექტიური

მეხსიერების შესახებ გვარწმუნებს, რომ კოლექტიური მეხსიერება არ არის რომელიმე ერთობის წევრთა პირადი მოგონებების უბრალო ერთობლიობა. ის მოიცავს იმ მოგონებებს, რომლებიც საერთოა ერთობის, როგორც ჯგუფის, ყველა წევრისათვის. ჯ. ვერჩის თანახმად, კოლექტიური მეხსიერება არის მეხსიერება, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული ხასიათის მოთხრობებით, ნარატივებით. შესაბამისი ტექსტები (ანალები, ქრონიკები, სკოლის სახელმძღვანელოები და ა.შ.) განიხილება, როგორც ინსტრუმენტები კოლექტიური დამახსოვრებისათვის (ციტატა ვკვ-დან: <https://bit.ly-/2U91ldw>)

საინტერესოა, რამდენად შეესაბამება დადგენილ თეორიულ ჩარჩოებს და როგორაა ასახული დამოუკიდებლობის შემდგომ რეგიონულ ბეჭდურ მედიაში XX საუკუნის 80-90-იანი წლების ტრავმული მოვლენები; როგორაა იგი გაანალიზებული, გააზრებული და ინტერპრეტირებული შინაარსობრივი ანალიზისა (კონტენტ-ანალიზი) და დისკურსის ანალიზის მეთოდების გამოყენებით. ამ ჭრილში საინტერესო იქნებოდა, თვალი მიგვედევნებინა ნარატივის დინამიკისათვის დიდი დროითი დისტანციის პერსპექტივიდან. თუმცა, ვიდრე ამ საკითხს გავშლიდეთ, კიდევ ერთხელ და უფრო დეტალურად განვიხილავთ ნარატივის თემას - ვიგოდსკის (1981, 1987), ბახტინის (1986) და ტეილორის (1985) მიხედვით, რომლებმაც ყურადღება მიაქციეს როგორ ურთიერთობენ ინდივიდები ერთმანეთთან ფაქტებისა და მოვლენებისთვის მნიშვნელობების მინიჭების პროცესში, როგორ იყენებენ ისინი „კულტურულ ინსტრუმენტებს“, რომლითაც მათ საკუთარი სოციალური-კულტურული გარემო აღჭურავს. ისტორიისა და მეხსიერების საკითხების კვლევისას, სწორედ ენა და ნარატივები იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას. „ტერმინი „მოთხრობების საცავები“, მაკინტაიერის, ვიგოდსკისა და ბახტინის იდეებზე დაყრდნობით შეიძლება გავიგოთ, როგორც თხრობითი მნიშვნელობები, რომლებსაც ჩვენი სოციალურ-კულტურული გარემო გვაწვდის, უზრუნველგვყოფს მოთხრობათა საცავით, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ მნიშვნელობათა განსაზღვრის დროს. თხრობის კულტურული ინსტრუმენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და განსაზღვრავენ ჩვენს ფიქრებს, საუბარს და მეხსიერებას (კრებული „ცივილიზაციური ძიებანი“, 2013). და როგორ მუშაობს ნარატივის ნიმუშები, როგორც „კოგნიტიური ინსტრუმენტები“ (მინსკი, 1986)

წარსულისა და აწმყოს ხედვის ჩამოყალიბებაში, კარგად ჩანს ერთმანეთთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ერთობის წევრების საქმიანობაში.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გააქტიურებული „გლასნოსტის“ მიერ ისტორიის გადაწერა თითქოს იყო ახსნა ან პასუხი შეკითხვაზე, თუ რატომ ვცხოვრობდით ისე, როგორც ვცხოვრობდით ან რამ წარმოშვა ის, რაც არ მოგვწონდა. დაიწყო ცვლილებების სხვადასხვა ფორმით წარმოდგენის კასკადი, რომლებიც გამოიხატებოდა მემუარებში, მხატვრულ და პუბლიცისტურ ტექსტებში, მედიუმების ურთიერთქმედებაში და ასე ნაწილ-ნაწილ და ერთბაშად ხდებოდა კონტრმეხსიერების ჩამოყალიბება, რომელიც საკმაოდ ხშირად ანგარიშსწორების (ნორა, 2002) ფორმებით გამოიხატებოდა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მონუმენტების თემაზე საუბრები უკავშირდება 1989 წლის შემდგომ პერიოდს, რომელიც სავსე იყო წინააღმდეგობებით და იდენტობების გადააზრებით. მეხსიერების კვლევების მეცნიერთა მტკიცებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეროვნული გრძნობების გაღვივებამ ბევრ მოქალაქეს უბიძგა საბჭოთა მონუმენტების განადგურებისაკენ. სწორედ პოლიტიკური პროცესების ასეთი დრამატული შემობრუნებების გამო, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთა უმრავლესობამ საკუთარი ნაციონალისტური დღის წესრიგი განახორციელა, რომელიც მკვეთრად აისახა მონუმენტების განადგურებაში ან სახეცვლილებაში. ყველაზე ხილული და საყოველთაო ამ ფორმებიდან ისტორიამ კარგად შემოინახა-საბჭოთა იდეოლოგიის უძრავი ხატების: მემორიალების, მონუმენტების და ყველაზე ხშირად- მეგლების ტოტალური დემონტაჟის და შესაბამისად, საზოგადოების განწყობების დეკონსტრუქციული მეთოდებით ტრანსფორმირებით.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა წარსულის „აქტიური დავიწყების“ (ასსმანი, 2011) ტალღა სწორედ, მონუმენტების და მემორიალების გაქრობით იწყება, ხშირად - ეს პროცესი აჟიტირებული განწყობის და აფექტური მუხტის მატარებელიც იყო, რომელიც ადამიანების კოლექტიური მეხსიერების განუყოფელ ნაწილად იქცეოდა და ნორასეულ „ანგარიშსწორების“ ხასიათს იძენდა. ასეთი სოციალური დრამატურგია ქვეყნის ყველა კუთხისთვის თანაბრად აქტუალური და სანახაობრივი ელემენტებით დასამახსოვრებელი გახლდათ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ რეგიონები, სადაც სამოქალაქო პოზიციონირება ასეთი ხმამაღალი აქტივობებით იპყრობდა საზოგადოების

ყურადღებას, როგორც უახლეს წარსულთან მჭიდროდ დაკავშირებული სიმბოლოების ნეგატიური აღქმები. თანამედროვე პირობებში ადამიანის ინტელექტუალური ცხოვრება მასობრივი სიმბოლოების კოდირებასა და დეკოდირებაში მდგომარეობს. სიმბოლოები მარტო ადამიანთა საქმიანობის სოციო-კულტურული გამოცდილების აკუმულირებას კი არ ახდენენ, არამედ უძველესი დროიდან მოყოლებული, კომუნიკაციურ საინფორმაციო ფუნქციასაც ასრულებენ, რითაც ისინი ხელს უწყობდნენ და უწყობენ იდეებისა და ფასეულობების ურთიერთგაცვლას, როგორც საზოგადოების შიგნით, ისე სუბიექტებს შორის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნაციონალისტური გრძნობების მოძალებამ ბევრ მოქალაქეს და პოლიტიკოსს უბიძგა საბჭოთა ხელოვნების განადგურებისკენ. ყველაზე ხშირად ნგრევის სამიზნეს ლენინისა და სტალინის ძეგლები წარმოადგენდნენ. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია გაზეთ „აჭარას“ ფურცლებზე დაბეჭდილი მ. ჩოხარაძის მოთხრობა „ძეგლი“ (გაზ. „აჭარა“, №75, 1991) რომელიც ვლადიმერ ლენინის ძეგლის გარშემო ერთ-ერთ სოფელში განვითარებულ ისტორიას გვაცნობს. მოთხრობა „დედაქალაქელი ექსტრემისტების“ წამხედურებით, საბჭოთა სიმბოლიკაზე გამოტანილ განაჩენს ეხება: „კრება დრამატულად დაიწყო, რადგან ვერაფერი მოუხერხეს „რამდენიმე გათამამებულ ბაღანას“, რომლებიც არად დაგიდევდნენ სოფელში დაფასებული ხალხის შეხედულებებს, წარამარა არბოდნენ ტრიბუნასთან და გათავხედებულნი მოითხოვდნენ გაუგონარ საქმეს - ლენინის ძეგლის აღებას“. ავტორი მართებულად იყენებს გამოთქმას „გაუგონარი“, რადგან ძეგლის მცველი მოხუცის წარმოდგენაში, თვით ვლადიმერ ლენინის მიერ შედგენილი მონუმენტური პროპაგანდის გეგმით (რომელიც განსაკუთრებულ სააგიტაციო მექანიზმს წარმოადგენდა და „ხელოვნებას და ქანდაკებას ხალხის სამსახურში აყენებდა“ (წერეთელი, 1959:54), მის მშობლიურ სოფელში წამოჭიმული ძეგლი ხელშეუხებელი სიმბოლო უნდა ყოფილიყო. ასეთი ძეგლები, მოსკოვიდან დაწყებული სხვა საბჭოთა პერიფერიულ სახელმწიფოებში დუბლირებულ-კოპირებულ სიმბოლოებად აღიბეჭდებოდნენ ადამიანების ცნობიერებაში. სტალინისა და ლენინის ძეგლები აუცილებლად უნდა მდგარიყო თითოეულ რეგიონში, ქალაქსა თუ სოფელში და სამწუხაროდ, ეს მონოლითური გზავნილები მართლაც ორკესტრირებული შეტევის მსგავს ზეგავლენას ახდენდნენ

მასების განწყობებზე. ცნობილია, რომ სიმბოლოების სისტემის გავლენას ადამიანთა ქცევაზე ყველა ანთროპოლოგიური სკოლა ითვალისწინებდა. ასევე ფიქრობდნენ ისეთი ფრანგი “სტრუქტურალისტი” მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ: როლანდ ბარტი და მიშელ ფუკო. მათ მიდგომებს ერთი საერთო ხაზი ჰქონდათ, ისინი აღიარებდნენ სიმბოლოების კულტურული მნიშვნელობის სისტემურობას, სიმბოლოთა სისტემის ავტონომიურობას, რაც ადამიანთა სოციალური ცხოვრების მანძილზე მათ განსხვავებულობას, განსაკუთრებულობას აღიარებდა (ფუკო, 2017)

“და აი, დადგა დრო, როდესაც დედაქალაქელი „ექსტრემისტების ხმას აყოლილი სოფლის ახალგაზრდობა ერჩოდა ძეგლს“ (ჩოხარაძე, გაზ. „აჭარა“, № 75; 1991), რომელსაც თოფიანი მოხუცი გულდასმით დარაჯობდა. ზემდგომი ორგანოდან მითითების მოსვლამდე, სოფელმა კრება მოიწვია; „ძეგლი ბაბუ, იმფერი კაცის უნდა იდგეს, შეხედვა რომ გაგიხარდება, თვარა თოფიანი კაცის დაცვა რომ დაჭირდება, ხომ უნდა მოთხარო ის ძეგლი ძირიანადა“- უთხრა ძეგლის მცველს ღამით შემოფეთებულმა ონავარმა ახალგაზრდამ, რაზეც მოხუცმა ირონიულად უპასუხა: „თქვენ თუ რაცხა საქმის გაკეთება გსურთ, ისე ვერ გააკეთებთ ეს ძეგლი რომ არ მოთხაროთ?“ ტექსტის ამ ნაწილში კარგად ჩანს მოთხრობის გმირის დამოკიდებულება თავის წარსულთან, რითაც ისტორიისა და მეხსიერების ურთიერთქმედების შედეგი წარმოჩნდება. პიერ ნორას განსაზღვრული კონცეპტუალური ჩარჩოს თანახმად, ასეთი პროცესის და ადგილების მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს დროის შეჩერება, არამატერიალურის განსხეულება და დავიწყების პროცესთან ბრძოლა (ნორა, 1989). მეხსიერების ადგილი შესაძლოა იყოს ნებისმიერი ადგილი, სადაც ადამიანები ეძიებენ ისტორიის მნიშვნელობას ან ცდილობენ საკუთარი ოჯახის ისტორია ზოგიერთ ეროვნულ ან გლობალური მასშტაბის იდეას დაუკავშირონ. მოთხრობის გმირის სენტიმენტებიც სწორედ ამ მიმართებითაა საინტერესო და ავტორის (მ. ჩოხარაძე) მიერ გაჟღერებული რეპლიკაც - „ბავშვობაში ვიღაცას დაუწყევლია მოკვდი და დამარხვა არ გელირსოსო, ჰოდა, აგერ რამდენი ხანი მკვდარია და დამმარხავი არ ჩანს“ - ცნობილ ქართულ ფილმს „მონანიება“ (თ. აბულაძე, 1986) ეხმიანება და კიდევ ერთხელ მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ თავსმოხვეული იდეალები და პიროვნებები აღარ მართავენ თანამედროვე საქართველოს და სწორედ რომ ახალგაზრდების მისიაა ამ მოცემულობის ფართო

საზოგადოებამდე მიტანა. ამ შემთხვევაში კი, ონავარი ახალგაზრდების სათქმელს ავტორის (მ. ჩოხარაძე) ალეგორიული საფინალო წინადადება გამოხატავს: „აშკარა იყო, ლენინი სადღაც მიდიოდა“ (გაზ. „აჭარა“, №75, 1991) და ეს ხელოვნურად კონსტრუირებული რეცეფციაც სწორედ კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარეობდა.

მეხსიერების სხვადასხვა ასპექტის განხილვის პროცესში ასევე საყურადღებოა გაზეთ „აჭარაში“ რუბრიკით - „ახალი ლექსები“ - დაბეჭდილი ჯემალ ქათამაძის ლექსი „დრონი მეფობენ“: “ვინაც ასულა, თურმე იქ ზემოთ/ ყველა გიჟი და მკვლელი ყოფილა“ (გაზ. „აჭარა“, №78, 1991). ამ სტრიქონში კონტრმეხსიერების გააქტიურების კლასიკურ ნიმუშს ვხედავთ, როდესაც ახალი რეალობა მოითხოვს ახალ წარსულს და ეს წარსული უკვე ფართოდ უხსნის ყველა მაძიებელს ყველაზე დაგმანულ კარებსაც კი... „იმათ ჯინაზე გადარეული/ ანგრევენ სკვერებს ძეგლებს და ქუჩებს/ უცვლიან სახელს ქალაქს და დაბებს/ (დამნაშავეა ქალაქი რაში)/ და იგონებენ სისხლიან ამბებს/ რომელსაც თითონ დაუკრეს ტაში“ (ქათამაძე, 1991). საინტერესოა ავტორის მცდელობა, ხაზი გაუსვას საზოგადოებაში მომხდარ გარდატეხას და მკითხველს დაანახოს ძველი სიმბოლოების უარყოფის და მათდამი აგრესიული დამოკიდებულებების სტიქიური ტალღა. ზოგადად, ახალ საინფორმაციო ეპოქაში ფართო ნარატივების რღვევის შედეგად, მრავალი ერი გადააწყდა ყოფილი ლიდერების, გამოჩენილი ფიგურების და მათთან დაკავშირებული სიმბოლოების (ქალაქების, ქუჩების, დაწესებულებების დასახელებები) არასრულფასოვნების და შეუსაბამო ბუნების გადააზრების პრობლემას. საბჭოთა კავშირის დაშლამ ბიძგი მისცა მრავალი კონფლიქტური და სადავო მეხსიერების სივრცის წარმოქმნას. საქართველოც იმ ქვეყნების რიცხვში მოხვდა, რომელსაც ბევრი ფაქტორის გადააზრება მოუწია, რაც აისახა კიდევ იმდროინდელ პუბლიცისტურ წერილებსა და სხვადასხვა ტიპის მედიატექსტებში. ზემოთ მოყვანილ მასალაში კი იგრძნობა ცალსახა კრიტიკა და სამართლიანი შენიშვნა იმ ფუნქციონერების მიმართ, რომლებიც სულ რაღაც თვეების წინათ გუნდრუკს უკმევდნენ საბჭოთა ბელადების და მათი საქმეების ხსოვნას, დღეს კი კომუნისტური წარსულის უარყოფის სახალხო ისტერიის მორევში აღმოჩენილებს, განსაკუთრებული აქტიურობით უნდათ თავის გამოჩენა. როგორც ვხედავთ, ძველი საბჭოთა მეხსიერების მონუმენტებსა და რიტუალებში იკარგება

ემოციური მიმზიდველობა, მენტალური ხმა, იდეოლოგიური მიჯაჭვულობა და ხდება მათი „მეხსიერებიდან ისტორიაში გადანაცვლება“ (ასმანი,1991). პარალელურად კი, აღიარებული მეხსიერების გადაფარვის პროცესში, სულ უფრო რეზონანსული ხდება „კონტრმეხსიერების გააქტიურების“ (ასმანი, 1991) საკითხი.

პოსტსაბჭოთა კომუნიკაციურ სივრცეში ძველი სიმბოლური სისტემის ნგრევის პარალელურად, ჩნდება ახალი ნიშნები, სიმბოლოები, ახალი ხატ-სახეები, თემები, მოტივები, რომლებიც ავსებენ ჩვენი ცივილიზაციის კულტურულ სივრცეს. ასეთ ასპექტში კომუნიკაციურ სივრცეში სიმბოლოს როლის შესწავლას უთუოდ გააჩნია მეცნიერული ჟღერადობა. მით უფრო, როდესაც „კონტრმეხსიერების გააქტიურება“ (ასმანი,1991) კარგად დავიწყებული ძველის გახსენებაში, მისი თანამედროვე კონტექსტით გადააზრებასა და ახალი სიმბოლური დატვირთვით წარმოჩენაში აისახება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი რეალობა მოითხოვდა ახალ წარსულს; ახალი, ანუ კარგად დავიწყებული ძველი სახელების და ფაქტების დაბრუნებას, სიმბოლოების გაცოცხლებას და მათთვის ანიმაციური ბუნების მინიჭებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა განვიხილოთ გაზეთ „აჭარას“(1990 წლამდე გაზეთი „საბჭოთა აჭარა“) ფურცლებზე გაცოცხლებული სახეები, ეროვნული გმირების, ისტორიული პერსონაჟების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით შექმნილი საგაზეთო პორტრეტები, ნარკვევები, ჩანაწერები. აკაკის, იაკობ გოგებაშვილის, ილიას სახეების წარმოჩენასთან ერთად, ადგილობრივ პრესაში მკაფიო აქცენტირებით და მსხვილი შრიფტებით გამოჩნდა აჭარის განმათავისუფლებელთა გვარ-სახელები, მათი საქმიანობითა და შეფასებებით. ამ მხრივ გამოირჩევა გულო-აღა კაიკაციშვილის ფიგურა, რომლის დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით სპეციალური რუბრიკა „რომ აქ გვყავდა გულო-აღა“ წარმოგვიდგენს რევაზ ლორთქიფანიძის ისტორიულ მასალას, რომელიც სრულად ასახავს ლეგენდარული პიროვნების დამსახურებასა და ღვაწლს აჭარის წინაშე (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 75, 1990). საინტერესოა, რომ სტატიის სათაურად ავტორმა გამოიტანა ნაწყვეტი გიორგი ლეონიძის გულო-აღაზე ექსპრომტად შექმნილი ლექსიდან: „თუ აჭარა აღსდგა მკვდრეთით, თუ აჭარა ფიქრობს საღად/ ამის მიზეზთაგანია, რომ აქ გვყავდა გულო-აღა,/ აი, კაცი! ვეფხვი კაცი, თუმცა, გული

დაიდალა,/ ჩვენ მის სახელს დღესაც ვხმარობთ, ქართველობის იარაღად!“ საგულისხმოა ასევე, ევფემიზმის და ალეგორიისთვის დამახასიათებელი შეფასებების მეშვეობით ავტორის ხაზგასმა აჭარის საზოგადო მოღვაწის ერთიან ქართულ კონტექსტში წარმოჩენაზე, რითაც აჭარის მკვიდრი გმირის „ქართველობის იარაღად“ მოხსენიებას რეგიონის წარსულის ტრავმის გამოძახილით ცდილობს. კიდევ ერთი ისტორიული ხასიათის საავტორო სტატია გახლავთ ვახტანგ წულუკიძის „ერისკაცი“ (გაზ., „საბჭოთა აჭარა“, № 75, 1990), რომელიც აღნიშნავს, რომ აჭარაში განათლებისა და წინსვლის საქმეში უდიდესი წვლილი სწორედ გულო-აღა კაიკაციშვილს მიუძღვის: “გულო კაიკაციშვილი დღესაც გვეხმარება და გვმოდვრავს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ისეთი ანთებული გული გვჭირდება, როგორც ჩვენი მხარის ეს მამულიშვილი იყო. ეხლა სხვა დროა, მაგრამ ერისთვის თავდადების თვალსაზრისით ყველაფერი უცვლელად რჩება. საქართველოს ბედნიერი მომავლისთვის, ბრძოლის მთავარი სიმძიმე პირველ რიგში სწორედ გულოსთანა კაცებმა უნდა იტვირთონ“ (გაზ., „საბჭოთა აჭარა“, № 75, 1990).

ჟურნალისტიკის თეორიის მიხედვით, ერთ-ერთი ორიგინალური მეთოდი და პუბლიცისტური ხერხი, რომელსაც ავტორები ტრადიციულად, ხშირად მიმართავენ, მკითხველთან დიალოგია. უზადო მონოლოგების ავტორი, ილია ჭავჭავაძე მართლაც რომ საოცარ შინაარსს სძენდა და უფრო მეტ გამომსახველობით ფუნქციას ანიჭებდა პუბლიცისტურ სიტყვას, ვიდრე მხოლოდ ინფორმაციას. აჭარის პრობლემების წინა პლანზე წამოწევით კი, ილია უშუალოდ მიმართავს თანამემამულეებს და პროცესების შუაგულში შეჰყავს ისინი, მის თანამონაწილეებად აქცევს და თანაც აქეზებს, მოუწოდებს: „აბა ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულ ძმებსაც. ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა- პაპათ ანდერძს - „ძმა ძმისთვის და შავი დღისთვისო!“ (ჭავჭავაძე ი., 1984, 1-811). რაც შეეხება მკითხველისადმი მიმართვას და მოწოდებას - „ეხლა გამოჩნდება, ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაცაა, თუ სავსე საქმეა!... ეხლა გამოჩნდება, შენ მარტო დღევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისთვისაც სწუხ და ჰფიქრობ!“ - უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდთან წილნაყარია რიტორიკული შეკითხვა და ემოციური ბმა მკითხველთან, რომელიც, საბოლოო ჯამში, ზეგავლენის ფორმირებას, საერთო წარსულით საერთო

მომავლისკენ სვლის განწყობას ასახავს და ქართული ეროვნულ-პატრიოტული ლანდშაფტისთვის ერთიანი თხრობის ველს ქმნის. სწორედ ეს მეთოდი გვევლინება უმნიშვნელოვანეს მიმართულებად მედიაპოლიტიკის განსაზღვრის მიზნით აუდიტორიისთვის უნივერსალური ნარატივის შესამუშავებლად.

ახალი წარსულის და ეროვნული გმირების, ახალი სახელების და სახეების მედიაში გააქტიურების პროცესის ასახვად ასევე, ძალიან საინტერესოა ნუგზარ ჯაფარიძის სტატიის „ვინ დადგება მზისფერ დროშასთან“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №75,1990) განხილვა, რომელიც გულო-აღა კაიკაციშვილსა და პატარა ბიჭუნას ურთიერთობის სევდიან მონოლოგს წარმოადგენს. წერილი საგაზეთო სტილის ახალი ელემენტებითაა გაჯერებული და მთავარ სათქმელს საინტერესოდ წარმოგვიდგენს: “მაშინაც, საუკუნის წინათ და ახლაც, რამდენჯერ მოგვსვლია, გაგვიგლეჯია მონუსხული წრე, გზაზე გავვარდნილვართ და მერეღა გაგვხსენებია ამ გზის ავან-ჩავანი... კაცი სკოლებს ხსნიდა და აქილიკებდნენ, რუსს, ოსმალოსა და მისიანს, ქართველს ერთი საქართველოსთვის ანთებულ სანთელს უწვდიდა და უქრობდნენ, მაინც ანთებდა, მაინც ამბობდა, ენით დანთებული ჟინჟილითო. ასტრონომი არ იყო, მაგრამ ქვეშეცნეულად გრძნობდა ცთომილების მოძრაობას, მიუქცევლად სწამდა იმ უქრობი ვარსკვლავისა, ერთადერთი იყო სრულიად საქართველოს ნარეკლიან გზაზე მავალთათვის ცაში ანთებული, ეს მან იცოდა, იცოდნენ მისმა ბადალმა მიწიშვილებმა. მერე ათასებმა გაითავისეს ეს გზა...” ავტორი (ნ.ჯაფარიძე) აქვე, ერთმორწმუნეობის მანტიით მოსული დამპყრობლის მიერ საქართველოში ჩადენილი გაუგონარი ამბების კონსტატაციას გვთავაზობს: „ხატებს მაუზერს ესროდნენ, ზარებს ადნობდნენ. წარმართებით ბომონებს დგამდნენ შუკებში... რა გასაკვირი იყო, რომ გულო-აღას სახელს ალა მოაშორეს, სხვა ალებს და ბეგებსაც და ყველანი ამ ბომონებს შესწირეს მსხვერპლად. დრო მიდიოდა...ქორწილები-თათბირებს დაამსგავსეს, მიცვალებულის გასვენება ნადი გახდა, ორასი წლის გამოგონილ ელექტროდენს ილიჩის ნათურა დაარქვეს, უვარგის ღვინოს-სახალისო უწოდეს ყველაზე ძვირფას მიწას-საერთო საცხოვრებელი“. ეს ვრცელი ამონარიდი ცხადად გვაჩვენებს, რომ ავტორმა ისტორიულ ჭრილში დაგვანახა საბჭოური „სიკეთეებისადმი“ მაშინდელი დამოკიდებულება და ასევე საინტერესოდ წარმოგვიდგინა სტატიის დასასრული: “გავიღებ დროშას, მზისფერ დროშას გავიღებ

მხარზე, თოხივით არა, მართლა გავიდე“ -ეს სიმართლის დროშაა, მისი ტარი დიდ ქართველებთან ერთად გულო-ალა კაიკაციშვილსაც ეჭირა, მერე იგი, ეს დროშა კუთხეში მიაყუდეს და ახლა ჩვენმა შვილებმა უნდა ატარონ, დროშით დაგმანულ ორღობეში ვერ ივლი, მზისფერ დროშას მზისფერი გზა სჭირდება“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №75, 1990) ავტორმა (ნ.ჯაფარიძე) უდავოდ შეძლო გასულიყო იმდროინდელი ოფიციალური პრესის დადგენილი სტანდარტებიდან და ლიტერატურული ნარატივების საშუალებითა თუ ისტორიული პარალელების მოშველიებით, მართლაც ორიგინალური კონტექსტური ანალიზი წარმოგვიდგინა.

იდენტობის და განსაკუთრებით, ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების მიერ საერთო ბედის, წინაპრებისა და ისტორიის რწმენის (ანდერსონი, 1983) გაერთიანება. ერები მუდმივად ინარჩუნებენ კავშირს წარსულთან და მას საკუთარი მიზნებისათვის იყენებენ. მათი ერთ-ერთი მახასიათებელი ერთიანი ისტორიული მეხსიერებაა, რადგან ერთად ჩამოყალიბება სწორედ საერთო წარსულის აღმოჩენას გულისხმობს. ეროვნული იდენტობის განსაზღვრაში განსაკუთრებული როლი გარემოსათვის ისტორიული დატვირთვის მინიჭებასა და სამაგალითო პიროვნებათა გახსენებას ენიჭება (სმითი, 1989). სწორედ ასეთ, სამაგალითო პიროვნებაზე, თუმცა, იმ დროისთვის ნაკლებად ცნობილ გმირზე მოგვითხრობს სტატია „საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი“ (გაზ.„საბჭოთა აჭარა“, № 100, 1990) ყადირ შერვაშიძე, რომელსაც 1918 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ევროპის ინსტიტუტის ევროპის რწმუნებულის, ელჩის ფუნქცია დააკისრეს, იმავე წლებში სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრი (კომიტეტის თავმჯდომარე მემედ აბაშიძე და მოადგილე ჰაიდარ აბაშიძე გახლდათ) და ახალციხეში წარმომადგენელი ყოფილა. თუკი გულო-ალა კაიკაციშვილის სახელი რეგიონის მოსახლეობისთვის უკვე კარგად ნაცნობი გახლდათ, ყადირ აბაშიძეს იმხანად ბევრი ისტორიკოსიც კი არ იცნობდა. ახალი ისტორიის მოთხოვნამ, რომელმაც ეროვნული მოძრაობის გააქტიურების შემდეგ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა, ახალი წარსულით ახალ მომავლამდე, ახალი სახეებით და სახელებით სვლის საჭიროება მოიტანა. ცნობილია, რომ ადამიანის მეხსიერებას ყველაფრის ჩაწერის და საჭირო დროს მისი ქრონოლოგიურად გადახედვის

შესაძლებლობა არ აქვს, ჩვენი გონება სახეებსა და მოვლენებს სელექციურად იმახსოვრებს. იმისთვის, რომ გავიხსენოთ, რა მოხდა წარსულში, ხშირად ვეყრდნობით მედიასაშუალებებს, რომლებიც თავადვე წყვეტენ, რა უნდა გვახსოვდეს და რა უნდა დაგვაფიქვდეს. მედიას შეუძლია ჩვენი ძველი მოგონებებიდან შექმნას სრულიად ახალი კონტექსტი; ასევე, ემოციური ფონის შექმნით, კონცენტრაციითა და განმეორებით, ინფორმაცია უფრო დასამახსოვრებელი, ხოლო მეხსიერება კონკრეტული ამბის გარშემო კონსოლიდირებული გახადოს. სწორედ ამ მეთოდით, ინფორმაციის გამეორებით და ყოველ გამოცემაში საუბრით ხდება ახალი სახეების, ხატების, სლოგანების, გზავნილების, ნარატივების შემუშავება და მათი საჭირო დროსა და სივრცეში გაშვება იმისათვის, რომ აღძრან მსმენელსა თუ მაყურებელში ნაგულისხმევი მნიშვნელობები. „მიუხედავად წარსულის დიდი როლისა, ისტორიაში მომხდარი უთვალავი მოვლენიდან მხოლოდ ნაწილი რჩება ადამიანთა მეხსიერებაში“ (ზერუბაველი, 2003). თუმცა, კერძო ისტორიულ მოვლენათა და პიროვნებათა დამახსოვრება მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე არ ხდება. ერთი შეხედვით, პიროვნული მახასიათებელი – მეხსიერება მორის ჰალბვაქსმა ადამიანთა ერთობებს მიაკუთვნა (ჰალბვაქსი, 1992). კოლექტიური მეხსიერების გაზიარება და მის კოლექტიურ წარსულთან იდენტიფიკაცია არის საზოგადოების მიერ მათი ასიმილირების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთან, სოციალური ერთობიდან გასვლა ხშირად მოიცავს გამიჯვნას მისი საერთო წარსულისაგან (ზერუბაველი, 2003). ამგვარად, იმას, თუ რომელი ისტორიული მოვლენაა დამახსოვრების ღირსი, ხოლო რომელი, უმნიშვნელო – კოლექტივი განსაზღვრავს. აქედან იღებს სათავეს სწორედ გასული საუკუნის 80-90 -იანი წლების პრესაში ახალი ეპოქის თარიღების, კალენდრის, სადაგი დღეების შესახებ ინფორმაციების მომრავლება.

XIX საუკუნის გვიან პერიოდში, ევროპულ ერ-სახელმწიფოებში ფართოდ იყო გავრცელებული ე.წ. „ტრადიციის გამოგონება“ (ჰობსბაუმი&რეინჯერი,1983). აღნიშნულმა პრაქტიკამ შედეგად მოიტანა ხსოვნის ახალი თარიღების დადგენა და ცერემონიული აქტების შექმნა. საინტერესოა, რომ იმ მოდელის შექმნის მცდელობისას, თუ „როგორ უნდა გვახსოვდეს“ ტრავმატული ან დიდებული მოვლენა, შესაძლოა მითოლოგიაში ან ფოლკლორში არსებულმა დეტალებმა შეავსონ ცარიელი ადგილები ან გაამრავალფეროვნონ ახალი ნარატივი (ჰუისინი, 2003). ერთ-ერთი ასეთი მკაფიო და

მრავალფუნქციური თარიღი, მოვლენა, ისტორია, დღესასწაული სწორედ 26 მაისის სახით შემოვიდა ქვეყნის ეროვნულ ცნობიერებაში, რომელსაც დაუკავშირდა 1918 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადების პარალელური აღქმა და შექმნილ რეალობაში მისი წარმატებული ფორმატირება. როგორც ლევან კაპიტანოვის კვლევაში „1989: მეხსიერების ცვლილება“ (კაპიტანოვი, 2017) ვეცნობით: „ამგვარად, 1918 წლის 26 მაისი მარტოოდენ სუვერენული რესპუბლიკის აღდგენის პოლიტიკურ-ისტორიული აქტი კი არ გახლავთ, არამედ აგრეთვე ერთგვარი სათავეც არის თანამედროვე ქართული მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნებისა“ (გაზ. „კომუნისტი“, 1989, თევზაძე, დ. „თანამედროვე ქართული ლიტერატურის სათავე ანუ სუვერენული რესპუბლიკის მწერლობა 1917-1920 წლებში“). წარსულისადმი დამოუკიდებულების მუდმივი ცვლილებები გარდამავალ პერიოდებში ახალი მომავლის ახალ წარსულსაც მოითხოვს (ფონერი, 2002: 78). ამ დროს საჭირო ხდება – აქტიური დავიწყება (ასსმანი, 2010) რაც ოფიციალური წარსულის მიზანმიმართულ უარყოფას და დანგრევას გულისხმობს. ახალი ეპოქის დაწყება გულისხმობს ძველის განადგურებასაც, რადგან სწორედ ამგვარადაა შესაძლებელი იდენტობის სიმბოლური ტრანსფორმაცია. ისტორიული არაგანგრძობითობის შეგრძნების გასამძაფრებლად საჭირო ხდება წარსულთან დამაკავშირებელი ხიდების განადგურება – მონუმენტების ნგრევა, კალენდრის გარდაქმნა, ქუჩებისა და ქალაქებისათვის სახელების შეცვლა (ზერუბაველი, 2003) ამ მოსაზრებების შესაბამისად, შეგვიძლია გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნებული ჯემალ ჯაყელის კიდევ ერთი საგულისხმო ლექსი – „დღე ოცდამეექვსე ლამაზი უფალი“ განვიხილოთ: „მოზრძანდა მაისთა მთავარი უფალი/ დღე ოცდამეექვსე ვარდობის მაისი/ მოზრძანდა აქ ერის უცისფრეს სულიერ/ გადარჩენათა და იმედის ძელია / იგი რაც ძველია ხშირად ახალია/ და რაც ახალია, კიდევაც ძველია/ მოზრძანდი, უფალო ახალი იერით/ გაუცხოებული ემმას და ანანკეს/ რწმენათა რწმენაა მუხა ტანძლიერი/ და მუმლი მუხასა ვერაფერს დააკლებს“ (გაზ. „აჭარა“, № 94, 1991).

წარსულიდან დაბრუნებული ახალი თარიღის -26 მაისის ირგვლივ გაზეთ „აჭარას“ მიერ შემოთავაზებული სტატიები და ლიტერატურული ტექსტები დეტალურად, მაჟორული ინტონაციით აღწერდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებას. მათში გაანალიზებული იყო პირველი

რესპუბლიკის მთავრობის ფუნქციონირება, ეროვნული პათოსი, პოლიტიკური მოწყობა. ქვეყნის მთავრობის ამოცანად ქართული სახელმწიფოებრიობის ზრდა-განვითარებისკენ სწრაფვა სახელდებოდა. უპირობო მიღწევად და ეპოქალურ მოვლენად მიიჩნეოდა მრავალპარტიული არჩევნების გამართვა, კოალიციური მთავრობის არსებობა და პროგრესული კონსტიტუციის მიღება. დადებითად ფასდებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრებაც. ამ კუთხით საინტერესოა მალხაზ ჩოხარაძის სტატია „პირველი 26 მაისობა აჭარაში“ (გაზ. „აჭარა“, №83, 1990). ისტორიული მიმოხილვით, ანალიზით, წარსული პროცესების გადააზრებით გვთავაზობს ავტორი (მალხაზ ჩოხარაძე) კლასიკურ ჟურნალისტურ მასალას და საინტერესო არგუმენტებით გვიყვება, რომ „1918-21 წლების მანძილზე აჭარას არასოდეს ჰქონია ბედნიერება ყოფილიყო თავისუფალი ქვეყნის ნაწილი და აღენიშნა ეს მნიშვნელოვანი დღე. 1918 წელს აჭარა თურქთა ბატონობის ქვეშ იყო, 1919-1920 წლებში ინგლისელები მართავდნენ, ივლისამდე, ხოლო 1921 წლის მაისში, როცა აჭარა უკვე საქართველოს ნაწილი იყო, მთლიანად საქართველო იყო გაწითლებული და რუსული ჩეკის ქვეშ მოქცეული; ასე რომ, 1991 წლის 26 მაისი აჭარისთვის ორმაგად საზეიმო დღე გამოდგა, პირველად ეგებება დამოუკიდებლობის დღეს ისე, რომ არ გააჩნია საერთო კოლექტიური მეხსიერება დამოუკიდებლობის გამოცხადების იმ პირველ ემოციებთან და შეგრძნებებთან, რომლითაც დანარჩენი საქართველო იყო მცირე ხნით, თუმცა სრული სიამაყის განცდით გაერთიანებული“ (გაზ. „აჭარა“, №85, 1991). ავტორი კიდევ ერთხელ ახსენებს მკითხველს რეგიონის წარსულის თავისებურებებს და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითა და სიფრთხილით დასძენს, რომ „ისტორიული მწიგნობის ჟამი ედგა აჭარას, როდესაც 1918 წელს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა: „მთელ სამუსულმანო საქართველოში თურქები თარეშობდნენ და ზეიმისთვის არავის ეცალა“. ამ წერილით კიდევ ერთხელ დასტურდება გაზეთ „აჭარას“ მიერ წარმოებული მედიაპოლიტიკა, მისი კიდევ ერთი თვალსაჩინო აქცენტირება და მოცემულობის შესაბამისი ნარატივის ფორმირების მცდელობა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 80-90-იანების ქართულ პრესას არ ჰქონია შესაბამისი გამოცდილება, როგორ ეწარმოებინა მიზანმიმართული სტრატეგიული კომუნიკაცია მკითხველთან; როგორ მოეხდინა საჭირო დროს საჭირო აქცენტებით აუდიტორიის

დივერსიფიცირება, მათ მოლოდინებზე გათვლილი გზავნილების შემუშავება და შემდგომ, მათში ნაგულისხმევი მნიშვნელობების აღძვრა. არადა, 26 მაისის, როგორც ისტორიული და თავისი მნიშვნელობით აღმაფრთოვანებელი თარიღის რეპრეზენტირებისთვის არსებობდა უამრავი მასალა, ზუსტად რომ გადმოსცემდა საპროგრამო გზავნილებს მოსახლეობის განწყობებზე ძლიერი გავლენების მოსახდენად - „26 მაისის ქართველობამ ერთი დიდი ჭეშმარიტება უნდა დაიმახსოვროს: ის არის ღირსი ცხოვრების და თავისუფლების, ყოველდღე ბრძოლით ვინც შეძლებს მის მოპოვებას. ეგვიპტელი მოგვები მღვდელმსახურების დაწყებისას ხალხს ეტყოდნენ: "განვიწმინდოთ გულნი ღვთაებისათვის". საქართველოს ახალი ისტორიის ამ უდიდეს დღეს, ქართველ ხალხს უნდა შევძახოთ-"განვიწმინდოთ გულნი თავისუფლებისათვის" (გამსახურდია,1921).

ზემოთ მოყვანილი საინტერესო წერილის და შეფასებების კვალდაკვალ გაზეთ „აჭარას“ ფურცლებზე მრავლად გვხვდება 26 მაისის და პატრიოტული მოტივების ლიტერატურული ინტერპრეტაციები. მაგალითად, პოეტ ამირან ხაბაზის ლექსში - „საქართველო ხარ“ (გაზ. „აჭარა“, №65, 1991) სწორედ აჭარის საქართველოს ბუნებრივ ნაწილად აღიარების კიდევ ერთ შეხსენებას ვაფიქსირებთ: „თუ ჭიბონი ხარ ნედლი სიმღერის,/ ტანშემომდგარი ტოტი ურთხმელის/ აჭარა შენი გუდასტვირია/ აკვნესებული დარდი უთქმელი“; ...„თუკი ფარი ხარ, ფარი მზისფერი/ანდა მახვილი ხალიბ-თუბადის/ თუ დაჭრილი ხარ სიცხით მბორგავი/ აჭარა შენი თავსასთუმალი.../ თუ სტრიქონი ხარ შოთას შაირის/ ამღერებული ნიჭი ღვთაების/ აჭარა შენი ერთი ამბავი/ცრემლდანაწვიმი ერთი ტაეპი“...(გაზ. „აჭარა“, №65, 1991). ასეთივე პათოსს წარმოგვიდგენს ა. ხაბაზის კიდევ ერთი ლექსი „თეთროსანი“ (გაზ. „აჭარა“, №76 1991), რომელსაც წამმღვარებული აქვს ილია ჭავჭავაძის სიტყვები “მამული ენა სარწმუნოება“ და მთლიანი შინაარსით გადმოსცემს აჭარის ისტორიულ შუქ-ჩრდილებს. „მარადიულ პოეზიად დრო რომ აგვიფოთლიანდა“, ამბობს პოეტი და აჭარაში იმხანად დამკვიდრებული ტენდენციის, მართლმადიდებლური სარწმუნოების მასობრივი მიღების პროცესს ახასიათებს: „რეკდა მალლით ხინოწმინდა, / ბანს აძლევდა გაღმით ბანა/ ოქროწყალში ყოვლაწმინდა/ იყო ქართველ ყრმათა ბანა“. რაც შეეხება ნაწარმოების მომდევნო კუპლეტს, შეიძლება ითქვას, რომ ავტორი კოლექტიურ მეხისერებაში ჩაღეჭილ ტრავმას სევდანარევი

პოეტური სტრიქონებით ეხმიანება: „მოგვახვიეს ჩალმასავით/მოგვაგრაგნეს უცხო რჯული/მაგრამ ზეცით მოვლენილი ენა მაინც ვერ წაგვართვეს“ (გაზ. „აჭარა“, №76, 1991).

ცხადია, ისტორიის თხრობისას შესაძლებელი ხდება მისი იმგვარი ინტერპრეტაცია – შეგნებულად მოვლენათა ნაწილის წინ წამოწევა, ნაწილის დავიწყება, – რომ მიღებული ისტორიული ნარატივი მისი შემქმნელის ინტერესებს ემსახურებოდეს. იმისათვის, რომ ისტორიულ ნარატივს ერთიანი სახე ჰქონდეს, მასში ჩართულ კერძო მოვლენათა შორის ლოგიკური ჯაჭვი იგება, ხდება „ხიდების გადება“ და ასეთ დროს მნიშვნელოვანია „იმავე ადგილისა“ და „იმავე დროის“ განცდის შექმნა; სწორედ ამგვარად მკვიდრდება მოვლენათა შორის განგრძობითობის განცდა (ზერუბაველი, 2003:37-54). ცნობილია, რომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნარატივში იკვეთება „მთები“ და „დაბლობები“–ისტორიული ნარატივის ეს მონაკვეთები ერთმანეთისგან ინფორმაციის მოცულობის მხრივ განირჩევა (ზერუბაველი, 2003: 25-34). სწორედ ამ ჩარჩოს გამოყენებით შეგვიძლია განვიხილოთ კიდევ ერთი ნაწარმოები, რომელიც აჭარის, როგორც მრავალჭირნახული მიწა-წყლის სიძლიერის და ისტორიულ სამყოფელთან მიკუთვნებულობის გამოძახილია: ჯემალ ქათამაძის ლექსში „26 მაისი“ (გაზ. „აჭარა“, № 77, 1991), რომელშიც კიდევ ერთხელ კეთდება აჭარის და საქართველოს ერთიანობის, საერთო სატკივრის და ადგილის განგრძობადობის მეტად საგულისხმო აქცენტებით ხაზგასმა: „ვიცი ჭირში ხარ უტეხი,/ურჩხულთან შეურიგალი/ მიტომ ვერაფერს დაგაკლებს/ მიწისძვრა, ნგრევა, გრიალი,/ ვერც მწარე გლოვა აპრილის/ ვერ გაცოფება დუშმანის/ თბილისში მოგბან ჭრილობას/მზეს მოგიწველავ უჩამბას“(გაზ. „აჭარა“, № 77, 1991).

წარსულის ცნობილი მოვლენებისადმი შერჩევითი მიდგომა, ისტორიაზე, როგორც ობიექტურ რეალობაზე საუბარს შეუძლებელს ხდის, რადგან წარსულის შესახებ თხრობა აწმყოში არსებული გარემოებების გათვალისწინებით ხდება. 1991 წლის 9 აპრილს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიამ საზოგადოებას 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ამცნო, მას ვრცელი ისტორიული მიმოხილვა წაუმიძღვარა, რითაც ეს უმნიშვნელოვანესი დღე, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობის

აღდგენის სამართლებრივ საფუძვლად აქცია. ზუსტად ორი წლით ადრე კი, 1989 წლის 9 აპრილს, ისტორიის ასეთი ინტერპრეტირება ანტისახელმწიფოებრივად მიიჩნეოდა, რადგან ოფიციალური ისტორიული ნარატივი საქართველოს საბჭოთა კავშირში ყოფნის იდეოლოგიურ დასაბუთებას ემსახურებოდა. 1989 წელს დაწყებულმა წარსულის გადაფასებამ სრულად გარდაქმნა ოფიციალური ისტორიული ნარატივი, რასაც საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების ცვლილება მოჰყვა. იმავე წლის დასასრულს კი, საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა არაფორმალური წრეების მოთხოვნიდან ქვეყნის ოფიციალურად გაცხადებულ მიზნად იქცა (კაპიტანოვი, 2019).

ალტერნატიულ ნარატივში, რომელიც არაფორმალურ წრეებში სულ უფრო აქტიურად გამოითქმებოდა, 26 მაისს განსაკუთრებული ადგილი ეკავა და საჭირო იყო არსებულ ოფიციალურ ნარატივში მისი ჩასმა. 1988 წლის აპრილში დაბეჭდილ სტატიამ „ნისლი გადაიწმინდა. საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემები გარდაქმნის შუქზე“ (გაზ. „კომუნისტი“, აპრილი, 1988) - ავტორი, აკაკი სურგულაძე საქართველოს ისტორიის სტერეოტიპულად შესწავლილ ეპიზოდთა შორის ასახელებდა 26 მაისის მოვლენებს. შესაბამისად, წარსულის შესახებ დაწყებული თხრობა აწმყოში არსებული გარემოებების გათვალისწინებით უნდა გაგრძელდებოდა. ცნობილი ფაქტია, რომ ასეთ დროს განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭებათ იმ ადამიანებს, რომელთაც ისტორიის თხრობის სახის განსაზღვრა ხელეწიფებათ. ასეთი ადამიანების რიგს მიეკუთვნებიან უპირველესად, ისტორიკოსები, რომლებიც ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ირგებენ ჟურნალისტის პროფესიას და იწყებენ პრესის მეშვეობით ისტორიული მასალების ახალი კონტექსტებით და ნარატივებით საზოგადოებისთვის მიწოდებას. მაგალითისთვის მოვიყვანდი ეროვნული სულისკვეთებით გაჯერებულ ახელ სურგულაძის სტატიას „1917 წლის 26 მაისი ქართული სახელმწიფოებრიობა“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №100, 1989), რომელშიც ავტორი გვთავაზობს ისტორიულ მიმოხილვას და დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციასაც აფიქსირებს. უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიკოსის მიერ შემოთავაზებული ახალი ტრენდი კიდევ ერთი ახალი მიმართულებაა იმ პერიოდის რეგიონული პრესისთვის, როდესაც საგაზეთო ფორმატით იწყება საქართველოს ისტორიის საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი ეპიზოდების წარმოჩენა და განზოგადება. უახლესი ისტორიისადმი

ინტერესის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ასოცირებული დღის წესრიგი, შესაბამისად კი, მეხსიერებაში დაბრუნებულმა მოვლენებმა და პიროვნებებმა შექმნეს საფუძველი ახალი ნარატივის შესაქმნელად. სწორედ ამ მიზნით „გაიღო ხიდი“ აწმყოსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

1989 წლის დასაწყისისათვის, 26 მაისი-საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, მეხსიერებაში დაბრუნდა, როგორც ქართველი ხალხის მონაპოვარი, თუმცა, იმ დროისთვის 26 მაისის შესახებ ნარატივი დაცლილი იყო იმ პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეების სახელებისგან, რომლებიც დამოუკიდებლობის გამოცხადებაში მონაწილეობდნენ. 1989 წლის ოფიციალურ ნარატივში 26 მაისის ჩართვა რაიმე სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტში არ ასახულა, თუმცა, ამ დღის საზეიმოდ აღნიშვნის საკითხი სახელმწიფოს უმაღლეს პირთა მიერ უკვე განიხილებოდა. 9 აპრილის ტრაგედიამ და მასზე საბჭოთა ხელისუფლების რეაქციამ მნიშვნელოვნად განაპირობა დამოუკიდებლობის საკითხისადმი ქართული საზოგადოების მიდგომის შეცვლა. კონსტიტუციურად მინიჭებული უფლების მიუხედავად, კრემლი საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გასვლის მოთხოვნას ყველა რესურსის გამოყენებით ეწინააღმდეგებოდა. 9 აპრილის მოვლენებმაც დაადასტურა, რომ კონსტიტუციით განსაზღვრული სუვერენულობა რეალურად, არაფრის მომცემი და დროებით შემოთავაზებული სატყუარა იყო. საჭირო იყო ისტორიის გადააზრება, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის სურათს ასახავდა. ამ თვალსაზრისით მოვიყვანდით კონსტანტინე გამსახურდიას ნააზრევს, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის მიწურულს, 1921 წლის მაისში დაიბეჭდა გაზეთში „სოციალ-ფედერალისტი“: „საქართველოს ისტორიაში მე არ ვიცილობ უფრო დიდ მნიშვნელოვან დღეს. ამ დღეს ყველაზე მეტი დაფიქრება მართებს მთელ ქართველობას. არა დღესასწაული და პათეტიკური ჟესტიკულაცია, არამედ დარბაისლური მოფიქრება. რა ვიყავით და რა ვართ ან რა უნდა შევიქნეთ. მე მგონია ქართველი ხალხი გარყვნა დემონსტრაციებმა, ქართველი ხალხი გადაეჩვია ბრძნულ სიჩუმეს. დემოკრატიული რესპუბლიკის 3 წლის არსებობამ ერთი მავნე ჩვეულება გააღვიძა ჩვენში, ეს იყო გადაჭარბებული სიყვარული დემონსტრაციებისა და დღესასწაულებისადმი“ (გამსახურდია, 1921). თუმცა, როდესაც

1990 წლის ნოემბრის სიმბოლური აქტით საბჭოთა საქართველო 1918-1921 წლებში არსებული დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ – საქართველოს რესპუბლიკად გარდაიქმნა, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა შეუქცევად პროცესად იქცა, რომელიც 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დასრულდა.

3.3. რეგიონული პრესის პოლიტიკური დისკურსის გავლენები მხატვრულ-ლიტერატურულ ნარატივებზე

ახალი ეპოქის ტენდენციების და თემების რეზონანსულობა XX საუკუნის 80-90-იანი წლების რეგიონული პერიოდული პრესისთვის განსაკუთრებით თვალშისაცემი და დასამახსოვრებელი ხდება, მით უფრო, როდესაც იმდროინდელი მედია აქტიურად იყენებს მხატვრულ ტექსტებს, ლიტერატურულ ნაწარმოებებს, პოეზიისა და პროზის რუბრიკებს. თანამედროვე სამყაროში ტექსტი რომ ჰუმანიტარული მეცნიერების საყოველთაო მოცემულობას წარმოადგენს, ჯერ კიდევ მიხეილ ბახტინის მიერ ტექსტის მნიშვნელობის განმარტებიდან მოჩანს: „ტექსტი ჰუმანიტარული დისციპლინის პირველადი (რეალური) მონაცემი და საწყისია. ფილოლოგიის, ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის და სხვა მეცნიერებების სფეროში მრავალმხრივი ცოდნისა და მეთოდების კონგლომერატი“ (ბახტინი, 1986:485). საგულისხმოა ბახტინისეული დასკვნა, ტექსტის მნიშვნელობის უნივერსალურობისა და უალტერნატივობის შესახებ, რომელიც მკაფიოდ აისახა ციტატაში – „სადაც არ არის ტექსტი, იქ არ არის არც აზროვნების და არც კვლევის საგანი“ (ბახტინი, 1986:474). მაშასადამე, ტექსტი მედიის ტრადიციული და თანამედროვე პლატფორმების ფუნქციონირების მთავარი აქტორია. საკვლევი პერიოდის მედია უწინარესად ეყრდნობა ტექსტს იმისთვის, რომ თავისი მიზნების შესაბამისი ფრაგმენტების მუდმივი გამეორებით, შეხსენებითა და ხაზგასმით მოახდინოს აუდიტორიის გაერთიანება საერთო გამოწვევის, უფრო ზუსტად, განმეორებადი ტრაგედიის გარშემო. დრამატული მოვლენების ამბივალენტური ბუნება სწორედაც რომ ხდება XX საუკუნის 80-90-იანი წლების მედიასაშუალებების მთავარი დასაყრდენი, როდესაც ისინი გახსენების, შეხსენების, შეფასებებისა და გადაფასებების

რეჟიმში იწყებენ მოქმედებას. ამ პროცესის თვალსაჩინო მაგალითია ის რუბრიკები, რომლებიც რეგიონული პრესის ფურცლებზე გვხვდება. ამ კუთხით ჩემი ყურადღება მიიპყრო ლიტერატურულმა გამოცემამ „ჭოროხი“, რომელიც, როგორც უკვე განვმარტეთ, 90-იან წლებში ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის სტატუსს ატარებდა, თუმცა, იმავდროულად, საქართველოს მწერალთა კავშირის და აჭარის განყოფილების ორგანოს წარმოადგენდა.

„ჭოროხი“, ისევე, როგორც გაზეთი „აჭარა“ (1990 წლის ნოემბრამდე – „საბჭოთა აჭარა“) ამ პერიოდში ხშირად იყენებს „ახალი ავტორების“-საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ნააზრევს იმისთვის, რომ ქვეყნად შექმნილი ვითარების წინაპირობები და მიზეზები საზოგადოების წევრების მიერ იქნას წარმოჩენილი და შეფასებული. სწორედ ახალი ადამიანური ღირებულებების, ცვლილებების, იდეების ჩამოყალიბებამ, ისტორიული დროის ცვალებადობამ, უსაზღვრო ქაოსური სივრცის წარმოშობამ შეუწყო ხელი გასულ საუკუნეში ტრანსკულტურული მნიშვნელობის მქონე ლიტერატურული მიმდინარეობის, პოსტმოდერნიზმის განვითარებას, რომელიც ფილოსოფიური აზროვნების, ლიტერატურული აზრის და ტექსტის ურთიერთობის შედეგად, თავის თავში აერთიანებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ადამიანის აზროვნებასა და სამყაროში მიმდინარე პროცესებს, რომლებიც დროის გარკვეულ მონაკვეთში იჩენენ თავს“ (წიფურია 2008: 259). XX საუკუნის 80-90-იანი წლების მედიაში გააქტიურებული „ახალი ავტორის“ ფენომენის და მისი ნააზრევის შექმნილი ვითარების განსამარტად, მაგალითისთვის მოვიყვანდი 1991 წლის ჟურნალ „ჭოროხის“ ფურცლებზე ცნობილი ბათუმელის, იუზა ბარდანაშვილის ემიგრანტი შვილის, პროფესიით არქიტექტორის, რუბენ ბარდანაშვილის პატრიოტულ მოტივებზე შექმნილ პოეტურ ნააზრევს. მასში გაკვრით, მაგრამ საკმაოდ მწვავედაა წარმოდგენილი ქართული ხასიათის ის მანკიერი თვისება, რომელიც ძნელბედობის ჟამს მოვლენების სწორად შეფასების უნარსაა მოკლებული:: „დაველოდებით იავარქმნილი საქართველოს მკვდრეთით აღდგომას...(...) რადგანაც სხვა გზა სხვა ოცნება არ გაგვაჩნია / თავისუფლების მძიმე აღმართის დაოკებისა/ გვასწავლა ამ გზით სიარული წინაპრების უდრეკმა სულმა/ როს იდგნენ „მტკიცედ და შეურყევლად“ საქართველოში იერუსალემს /გვასწავლა მტერთა ვერაგობამ

და ბრძოლამ წმინდა დედაენის გადარჩენისთვის-/კაცთმოყვარების ტკბილი სამოსი სურს რომ წაგლიჯოს ბარბაროსობამ დღეს საქართველოს/ გული დაუხშოს და გააყრუოს ახლობელის წვით და ვაებით, / დააბრმავოს ვერცხლის ფულებით და შარიშურით უფასური ქაღალდებისა,/ დაამუნჯოს და გონს აურიოს, რათა ვერ თქვას ვერას სათქმელი, /მართალი სიტყვის წინაპრებისა/ ვერ გაარჩიოს რა არის მისთვის, დღეს სანუკვარი წყაროს წყალივით, თავისუფლების მიღწევის გზაზე“ (ქრნ. „ჭოროხი“, №3, 1991). ემიგრანტი ბათუმელის მიერ პოლონეთიდან დანახული საქართველოს შეფასება და ავტორის მიერ გამოყენებული განსხვავებული პოეტური მიდგომა ეხმიანება იმ ძირითად პოსტულატებს, რომლებიც ამ პერიოდის მედიაში აქტიურად მკვიდრდება: „სამყარო როგორც ქაოსი“ და პოსტმოდერნისტული მგრძნობელობა, „სამყარო როგორც ტექსტი“ და „ცნობიერება როგორც ტექსტი“, ინტერტექსტუალობა, „ავტორიტეტების კრიზისი“, ეპისტემოლოგიური დაეჭვება, ავტორის ნილაბი, ორმაგი კოდი, თხრობის პარადიულობა, თხრობის წინააღმდეგობრიობა, ფრაგმენტულობა, სიმბოლურობა, მეტამოთხრობა. როგორც ნაშრომის მეორე თავში უკვე განვიხილეთ, ყველა ამ ძირითად მახასიათებელს დარგის სპეციალისტები პოსტმოდერნიზმის ძირითად ნიშნად და ასევე, ინტერტექსტუალობის ნიმუშად მიიჩნევენ, რადგან ტექსტი „გარდა საკუთარი ტექსტუალური სივრცისა, იქმნება, იკითხება და მოქმედებს ვრცელ, მრავალშრიან კულტურულ არეალში, ტექსტთა ერთიან ინტერტექსტუალურ სივრცეში, სადაც ურთიერთქმედებენ განსხვავებული ტექსტები. შესაბამისად, თითოეულ ტექსტში ასახულია ტექსტთაშორისი კავშირები, რაც ხდება კიდევ პოსტმოდერნიზმის განსაკუთრებული ინტერესის საგანი და მუშავდება ინტერტექსტუალიზმის იდეის საფუძველზე. ინტერტექსტუალიზმი, ფაქტობრივად ერთადერთი ფორმაა, რომლითაც ვლინდება პოსტმოდერნიზმში ზოგად კავშირთა არსებობის შესაძლებლობა“ (წიფურია 2008: 284). სწორედ ამ კუთხითაა საინტერესო 1989 წლის აპრილის მოვლენების პარალელურად, რეგიონული პრესის ასპარეზზე შემოსული ავტორების, საზოგადოების, შემოქმედი ინდივიდების და რიგითი მოქალაქეების პირველი რეაქციები, ემოციები, რომლებშიც თავს იყრიდა ქართულ საზოგადოებაში დაგროვილი კოდები და კულტურული პრაქტიკა. აღსანიშნია აგრეთვე, ამ პერფორმანსებში ხელისუფლების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობაც, რადგან ამ გარემოებათა გამო

მორგებული ნიღბები მათთვის თვითგარდარჩენის შანსს უტოლდებოდა. 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებმა საბოლოოდ მოულო ბოლო კომუნისტური პარტიისადმი ნდობას და შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტური ხელისუფლების წრეებშიც იჩინა თავი ნაციონალიზმის გამოვლინებამ, ვინაიდან საბჭოთა რეჟიმის შესუსტებისა და ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ფონზე საქართველოს პოლიტიკური პროცესების გაკონტროლება და მისი მართვა ცენტრიდანაც სუსტდებოდა. „მიუხედავად საკავშირო ხელისუფლების მცდელობისა, შეეფერხებინა ეროვნული პროცესები, ქართული ნაციონალისტური მოძრაობის ძალისხმევის შედეგად პოლიტიკური ნაციონალიზმი ვითარდებოდა. ეროვნული ძალა გამოდიოდა იმ პროცესების წინააღმდეგ, რომელიც ანტიეროვნულად იყო შეფასებული“ (დავითაშვილი, 2003: 303-305). საბჭოთა საქართველოში დაწყებულმა ტოტალიტარიზმის დემონტაჟის მცდელობებმა რესპუბლიკის კომუნისტები ადრინადად დაარწმუნეს პროცესების შეუქცევადობაში - „ანტიკომუნისტური ხელისუფლების ფორმირების ეტაპზე ისინიც შეუერთდნენ ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში „საბჭოთა სამშობლოს“ „აქ“ და „იქ“, „ჩვენსა“ და „მათ“ ცნებებად დამკვიდრების პროცესს, რომელიც საბოლოოდ დავიწროვდა „საბჭოთა სამშობლოს მასშტაბიდან“ ახალ ერ-სახელმწიფომდე - საქართველომდე“ (მაისაშვილი, 2010: 6). აღნიშნულის დასტურად მოვიყვან 1991 წლის მარტის თვის „საბჭოთა აჭარაში“ იმდროინდელი ოფიციალის ხმამაღალ განცხადებას: „ხმა მივცეთ საქართველოს დამოუკიდებლობას“ (გაზ. „აჭარა“, №60, 1991) - ამ სათაურით გაზეთ „აჭარას“ 1991 წლის 30 მარტის ნომერში ვკითხულობთ მოწოდებას, რომლითაც საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი ოფიციალური განცხადებით მოუწოდებს ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტებს „აქტიური მონაწილეობა მიიღონ 31 მარტს დანიშნულ რეფერენდუმში და მხარი დაუჭირონ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. აჭარის დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ აჭარის მთელი მოსახლეობა, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი უკლებლივ მიიღებს მონაწილეობას რეფერენდუმში და ერთსულოვნად დაუჭერს მხარს ქართველი ერის მისწრაფებას თავისუფლებისა და სრული სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობისაკენ“ (გაზ. „აჭარა“, № 60, 1991). საინტერესოა გავეცნოთ ამავე წლის უკვე 31 მარტის გამოცემის მოწინავე სტატიიდან ვრცელ ამონარიდს: „თავისუფალი საქართველო ერთნაირად გვინდა ქართველებსაც და არაქართველებსაც, მიზნისათვის კი ერთად ბრძოლა, ერთად შრომა, ყველგან და ყველგან ერთად ყოფნა გვმართებს. ჩვენი დიდი ისტორიული მოვლენის მოწმენი ვართ, სსრ კავშირი, პლანეტის უკანასკნელი იმპერია ვერ გადაურჩა ისტორიის განაჩენს და უკანასკნელ დღეებს ითვლის. ეს გარკვეულწილად თვით ყბადაღებულმა 17 ოქტომბრის რეფერენდუმამ დაადასტურა. რა ვუყოთ, რომ მის შენარჩუნებას ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა 70 პროცენტმა. აბა, ერთი სხვა ციფრებიც მოვიშველიოთ, ის დარჩენილი 20 პროცენტი 85 მილიონი კაცია, ერთი ციფრიც - 37 მილიონი - ის დანარჩენი ამომრჩევლის ოდენობაა, რომელმაც საერთოდ არ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. და კიდევ 6 მოკავშირე რესპუბლიკა, მათ შორის საქართველო, ბოიკოტი რომ გამოუცხადეს საკავშირო რეფერენდუმს. ჩვენი პოზიცია ნათელი, საქართველოს მოსახლეობის გადაწყვეტილება კი ურყევია, ამას საფუძველს უმაგრებს ჩვენი ისტორიული წარსული, მისი გაკვეთილები, 28 მარტს თბილისში გამართულ დიდ მიტინგზე „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველომ“ რომ მოაწყო, სწორედ საფუძვლიან ანალიზზე დაყრდნობით ითქვა: ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ ყველა იმპერია, რომელიც თავის დროზე დაპირისპირებია საქართველოს, დაინგრა, გაცამტვერდა. ასე მოუვა უკანასკნელ უბოროტეს იმპერიასაც და ჩვენი დამოუკიდებლობა აღსდგება. ამ იმედით, ამ რწმენით უნდა მივიდეთ დღეს საარჩევნო უბნებთან, ამ რწმენით უნდა ვთქვათ „დიახ“ და ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეფერენდუმის შედეგებს იურიდიული ძალა აქვს და საბოლოოა, რომ მას ვერავინ გააუქმებს“ (გაზ. „აჭარა“, № 61, 1991). რაც შეეხება ქართულ საზოგადოებაში დაგროვილ კულტურულ კოდებს, რომლებიც ხშირად გლოვასა და ემოციებში გამოიხატებოდა, მათ მკაფიოდ მოირგეს კულტურული მნიშვნელობებიც, რითაც 9 აპრილის ტკივილის ამოთქმის საშუალება მისცეს საზოგადოებას. მაგალითად, ტრაგედიის ეპიცენტრში, რუსთაველზე, ჭადრებზე გაკრული ლექსები აპრილის ტიტებთან ერთად დაამახსოვრდა საზოგადოებას, ხოლო მოწამლული გოგო-ბიჭების ფოტოები (ავტორი-იური როსტი) გახდა მთავარი მხატვრული სახე და 9 აპრილის ეგრეთ წოდებული ახლოხედი. ეს იყო ის, რამაც ტრავმის ამოთქმა, გაზიარება, დამნაშავეის და

მსხვერპლის განსაზღვრა გახდა შესაძლებელი და საფუძველი შეუქმნა ტრავმული ნარატივის ჩამოყალიბებას. კოლექტიური/კულტურული ტრავმის თეორია, რომლის ძირითადი მიმართულებები განსაზღვრა ჯეფრი ალექსანდერმა (ალექსანდერი, 2012). ასევე საინტერესოდ შემოგვთავაზა პიოტრ შტომპკას თეორიამ მკვეთრი სოციალური ცვლილებებით გამოწვეული ტრავმისა და გამარჯვების ტრავმის შესახებ (შტომპკა, 2004). ჯეფრი ალექსანდერი რიტორიკული შეკითხვით: „შეიძლება თუ არა, რომ „სხვების“ ტანჯვა საკუთარ ტანჯვად აღვიქვათ? რამდენადაც ეს ნამდვილად შესაძლებელია, საზოგადოება აფართოებს „ჩვენ“ ჯგუფის საზღვრებს“ (ალექსანდერი, 2015:96) და საუკეთესოდ განმარტავს ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ ახალი თეორიული კონცეფციის უპირატესობას. პიოტრ შტომპკა კი, კულტურული ტრავმის კონცეფციას სოციალური ცვლილების კონცეფციასთან აკავშირებს. მისი აზრით, ყველაზე პარადოქსული ფაქტი ის არის, რომ ცვლილებებიც კი, რომლებიც ნამდვილად კეთილდღეობის მომტანია და რომელზეც ხალხი ოცნებობდა და იბრძოდა, შეიძლება ტკივილის მომტანი იყოს. ალექსანდერის მსგავსად, შტომპკაც მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სახის ცვლილება არ არის ტრავმული,-წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვიდოდა, რომ მთელი საზოგადოება პერმანენტულად და მუდმივად ტრავმირებული იქნებოდა; მისი აზრით, მხოლოდ გარკვეული ტიპის ცვლილებებია ტრავმული და მხოლოდ გარკვეული საზოგადოებები, თავიანთი ისტორიის კონკრეტულ პერიოდში არიან ტრავმირებულნი. შტომპკას აზრით, „მხოლოდ ისეთ მოვლენებს განვიხილავთ ტრავმულად, რომლებიც უცაბედი, მასშტაბური, ფუნდამენტური და მოულოდნელია“ (შტომპკა, 2004: 157-158). სწორედ ამ ტრავმულ მოვლენებს და შოკს, ტკივილს, უმწეობას, უსამართლობის, დაბნეულობის განცდას აჩვენებს XX საუკუნის 90-იანების პერიოდული პრესა და ეტაპობრივად შემოაქვს ტრიუმფის მოლოდინიც - სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვის, ამაღლების, სახელოვან წინაპართა საქმის გაგრძელების, მამულისთვის თავგანწირვის მაგალითები. ესაა ის უპრეცედენტო მდგომარეობა, რომელიც უცხოა საქართველოს უახლესი წარსულისთვის და სწორედ მედიაა ის მედიუმი, რომელიც ცდილობს თავი გაართვას ამ გაურკვეველ მდგომარეობას და რეალობის ახალ არქიტექტურაში შემოიტანოს ემოცია - სიყვარული, მწუხარება, გლოვა- საზოგადოებაში დამკვიდრებული კულტურული მნიშვნელობების გამოხატვა, ერთიანობა, სამშობლოსთვის თავგანწირვა, სიკვდილით

სიკვდილისვე დათრგუნვა და მკვდრეთით აღდგომა. ატმოსფერო ივსება ნაცნობ-
უცნობი სტრიქონებით: „ასე შეკრული, ასე მთლიანი წარმოსდგა ქართველი ერი“,
„ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“, რომლებიც იმ წლების ხატებად და სიმბოლოებად
იქცნენ. „ახლოა ჟამი შუაღამისა,/ ცაზე ვარსკვლავი უფლისა კრთება.../ კვდება
სრულიად საქართველოსთვის, ლოცვით, გალობით ვინც ახლა კვდება“... „არა გაქრობა, -
აღდგომა მკვდრეთით“! (კალანდაძე, 1995)-ამ სტრიქონებით კი ანა კალანდაძემ 9
აპრილის მსხვერპლთა სახელები აღდგომის მითურ რიტუალს დაუკავშირა.

გარდა პოეტური სტრიქონებისა, ამ ატმოსფეროს დასახასიათებლად კიდევ ერთხელ
შეგვიძლია მოვიხმოთ ალეიდა ასსმანის საინტერესო ფორმულირება- „ემოცია
აძლიერებს დამახსოვრებას, სიყვარულით, მწუხარებით თუ გლოვით“(ასმანი,1991).
სწორედ ამ რეალობაში დასადგურებული მწუხარებით, სიყვარულით თუ გლოვით თავს
იყრის საზოგადოებაში დამკვიდრებული კულტურული მნიშვნელობები, რაც შემდგომ
უკვე ისტორიის, მეხსიერების, ნარატივის ნაწილი ხდება. უდავოა, სიმღერა- „ვაჩუქოთ
ერთმანეთს ტიტები“ პირველი შესრულებისთანავე იქცა 9 აპრილის სიმბოლოდ, ხოლო
მეორე მოტივი-თავგანწირვა, ასევე ტრაგედიის ცხელ კვალზე გამოიხატა გაზეთ
„ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ ანა კალანდაძის ლექსში და ეს მოტივი
იქვე გადაეჯაჭვა აღდგომისა და ამაღლების გზას. სწორედ ამაღლების და უკვდავების
თემას ეხმიანება გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ გამოქვეყნებული ირმა ცეცხლამის სტატია
„როცა სიკვდილმა მიწიერი არსი დაკარგა“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №92, 1990). მასალაში
ვეცნობით გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ გამოშვებული ალბომის მიმოხილვას,
რომელიც მერაბ კოსტავას ცხოვრებას გვაცნობს. განვიხილავთ რამდენიმე ამონარიდს,
რომლებიც ლიტერატურული პორტრეტის კარგ მაგალითს წარმოადგენენ: „უყვარდა
საქმე და არა, როგორც თვითონ ამბობდა, თავისი თავი ამ საქმეში;“ „განგებამ ეკლიანი
გზები არგუნა, მაგრამ ეს გზა ხომ რჩეულთა ხვედრია; უდიდესი ძალისხმევით გარეშე
შეუძლებელია რაიმე დიადის კეთება, რაც იოლად მოდის იოლადვე ქრება, უკიდურესი
ძალისხმევა თუ არა, რას შეეძლო გამოვეფხიზლებინეთ საღათას ძილისგან“; „მერაბზე
ვერ ვიტყვით, გამორჩეული პროზაიკოსი ან კომპოზიტორი იყო, ან მეცნიერი, თუმცა
მშვენიერ ლექსებსაც წერდა, წერილებსაც, პროფესიული მუსიკალური განათლებაც
მიეღო; პოლიტიკოსსაც, საზოგადო მოღვაწესაც ვერ უწოდებდით, თანამედროვე

გაგებით.; მაშ, რა ხიბლი ჰქონდა, რატომ უყვარდათ ასეთი გზებით, მოკრძალებასაც და პატივისცემასაც სიცოცხლეშივე რატომ იწვევდა? იმიტომ, რომ ეროვნული გმირის ყველა თვისებით იყო შემკული, ქართველი ეროვნული გმირისა“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 92, 1990); ილიასთან შედარებასაც არ ერიდება ავტორი (ი. ცეცხლაძე) და ხაზს უსვამს 9 აპრილის მოვლენებში მერაბ კოსტავას მიერ შეტანილ შეუცვლელ წვლილს: „იმ მისტიკურ ღამეს ხომ მერაბ კოსტავამ მთლიანად გამოავლინა თავისი შინაგანი ძალა - ის იყო უშიში, ვითარცა უხორცო, დინჯი და აუჩქარებელი; რაც მთავარია, როცა გაჭირდა, ტანკების გრიალ-გრიალი გაისმა, შედგა ტრიბუნაზე მისებურად ძლიერად, მკვიდრად და შეძრწუნებულ ხალხს „შავლეგო“ უმღერა. თვითონაც შავლეგოს ჰგავდა, თუმცა სისხლით დაფერილი ჩოხა არ ეცვა“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 92, 1990); ავტორი ამ საუცხოო პორტრეტის ხატვას ტრაგიკული ფინალით ასრულებს: „ბედმა მღევარმა განუსაზღვრა მამულიშვილს ცხოვრების დასასრული, ვინ იცის, იქნებ თბილისსა და აფხაზეთში უღვთოდ დახოცილთა სულეებმა მოუხმეს მას. იგი ახლა მათთან არის, მათთან და თავგანწირულ დიდ წინაპრებთან ერთად და ალბათ, ისევ შინაგანი მღელვარებითა და თრთოლით შემოგვცქერის ვედრებით - გადარჩით და გადაარჩინეთ საქართველო!“

განხილული მაგალითიდან შესაძლოა აღვნიშნოთ, რომ კულტურულმა ნიმუშმა შექმნა ყველაზე მძიმე გამოცდილებისათვის „მნიშვნელობის მინიჭებისა და მასთან გამკლავების საფუძველი და უზრუნველყო განგრძობადობა, ტეხილის პირობებში“ (ასსმანი, 1991). ქართული კულტურის ნიმუშებმა ნამდვილად შეუწყო ხელი იმას, რომ 9 აპრილმა თავისი ადგილი დაიკავა მერაბ კოსტავას მიერ შექმნილი „დიდებული წამების“ ისტორიულ წერილში: „საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები, მაგრამ ეს წამი არის ერთ-ერთი უდიდებულესი, როდესაც ამ 70 წლის მანძილზე, ამ ტანჯვასა და ვაებაში, ამ სისხლისღვრაში ასე შეკრული, ასე მთლიანი წარმოსდგა ქართველი ერი ღვთის წინაშე!“ („მერაბ კოსტავას სიტყვა 1889 წლის 9 აპრილის ღამეს,“ / <https://bit.ly/3uPw3Xw>) და ამ საოცარი სტრიქონებით, ახალი საუკუნის, ახალი საქართველოს ახალი ერის დასაწყისში თითქოს ცოცხლდება ილიას თავგანწირვის ნარატივი ლექსიდან „ნანა“. რომელიც 130 წლით ადრე, ისევ აპრილის თვეში ამოუთქვამს პოეტს: „მას დედის ძუძუ ტკბილი/ შხამადაც შერგებია,/მამულისთვის სიკვდილი/ ვისაც

დაზარებია!“ (ჭავჭავაძე, 1859) მეორე მოტივი-თავგანწირვა, ასევე ტრაგედიის ცხელ კვალზე გამოიხატა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ ანა კალანდაძის ლექსში: „ახლოა ჟამი შუალამისა, ცაზე ვარსკვლავი უფლისა კრთება,/ კვდება სრულიად საქართველოსთვის, ლოცვით, გალობით ვინც ახლა კვდება“ და ეს მოტივი მჭიდროდ გადაეჯაჭვა აღდგომისა და ამაღლების მოტივს, რომელიც ამავე ლექსში გვხვდება: „არა გაქრობა, - აღდგომა მკვდრებით! /არა დაღევა, - მრავლობა შვილთა, /რომ... გამოვუსხლტეთ ისევ ყორანთა/ და ფრთებს უფრორე ძლიერად ვშლიდეთ!“ (კალანდაძე, 2014: 417).

1989 წლის 9 აპრილით გამოწვეულ ჟანრობრივ და შინაარსობრივ სახეცვლილებებზე მეტყველებს მედიატექსტები, რომელთა გამოძახილიც მომდევნო წლების გამოცემებშიც იგივე პათოსით და ტენდენციებით გრძელდება. გლოვა, სევდა, ცრემლი, გოდება - თითქოს დაუსრულებელ წრეზე მბრუნავი 3 წელია საქართველოს რეალობაში. განსაკუთრებით შესამჩნევი ეს ტენდენცია აჭარის რეგიონისთვის აღმოჩნდა, სადაც 1989 წლის აპრილი ორმაგად ტრაგიკული აღმოჩნდა, ქვეყანა შეძრა მაღალმთიან აჭარაში განვითარებული სტიქიის შედეგად წაბლანაში დატრიალებულმა ტრაგედიამ. ბუნებრივია, გაზეთის ფურცლები კვლავ მწუხარების საბურველში გაეხვია და გაჩნდა სახელდახელო რუბრიკა „გლოვობს საქართველო“, რომლის ფარგლებშიც იბეჭდება ტრაგიკულობის ელემენტებით გაჯერებული ტექსტები ემოციური სათაურებით: გ. ჯიბლაძის „დიდი უბედურება დაგვატყდა თავს“ და ფ. ხალვაშის „სამინელება“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №78, 1989). რუბრიკა „ჭირსა შიგან გამაგრება“ გვთავაზობს ჯ. ქათამაძის ლექსს „ეს რა ჟამი დაგვიდგა“(გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №79;1989); შ. ზოიძის „გლოვის დღე“, „ვაიმე შვილო, სადამდის, საქართველო ტირის“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №81,1989); ფ. ხალვაშის „ორი ამოკვნესება“ სიტყვებით:„გულს მირეკავს ჯავრი, გადალეკილ სახლთა,/ საქართველოს განა, მწუხარება აკლდა?“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №83, 1989). მკითხველის სვეტშიც მსგავსი განწყობა იკვეთება სათაურებით: „ჭირთა თმენა გვმართებს“; „დავტირით“; „თანადგომა“; „ჭირსა შიგან გამაგრება“; „სევდა და ნაღველი“. იგივე განცდა და მწუხარების გამოძახილი მეორდება 1990 წლის აპრილისთვის გამოცემებში, რუბრიკაში „ტკივილის ცრემლი და იმედის სანთელი“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 74, 1990).

ამავე პერიოდის რეგიონული ბეჭდური მედიის ფურცლებზე ფეხს იკიდებს ახალი ტენდენცია, რომელიც აერთიანებს მიმდინარე პროცესების და ობიექტური რეალობის ამსახველ სხვადასხვა ტიპის ჟურნალისტურ მასალას. ეს ტენდენცია, კრიტიკული რეალიზმის მიმდინარეობის მსგავსად, მკითხველისათვის საზოგადოების მანკიერი მხარეების ლუსტრირებას ისახავს მიზნად, და „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპით, ცდილობს „მწიკვლი“ თვისებების შესახებ მართალი სიტყვა უთხრას მკითხველს. ამ შინაარსის ტექსტების გააზრებას ჯემალ ქათამაძის მორიგი ლექსის „შენ, ჰეი!“ სტრიქონებით დავიწყებთ, რომელსაც გაზეთი რუბრიკით „ახალი ლექსები“ გვთავაზობს: „სიყვარულს ახლა ჭირდება შველა/ გაირყვნა ხალხი მცირე და დიდი/ დატენილია ეჭვებით ყველა/ და ვერ გაიგებ საითკენ მიდის/ წახდა ქვეყანა და ხალხიც წახდა,/ და სიძულვილის ბუხრაობს ჟინი/ შური და შული გონებას მართავს/ შემოხმობია სიკეთეს ძირი/ შენ ჰეი, ვისაც ქართველი გქვია / და საქართველოს გეძახის ბედი/ გასრისე შავი ეჭვების ჭია,/ და სიყვარულის ხე გაახარე“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 44; 1991).

1989 წლის აპრილის დღეების შემდეგ ღირებულებებსა და ჰუმანურ პრინციპებზე ორიენტირებული საზოგადოება უცებ მოექცა საკრალური მოვლენების ზეგავლენის ქვეშ და მასობრივ არეულობებზე ორიენტირებით, ცხოვრების ჩვეული რეჟიმი შეიცვალა. ამ პროცესებს მოჰყვა ინტელიგენციის რიგებიდან გარკვეული პროტესტი, შეურიგებლობა, რასაც გამოთქვამენ კიდევ გაზეთის ფურცლებზე პოეტები: მაგალითად, ფრიდონ ხალვაშის ლექსი „ბავშვობა“: „ვის ელოდება, სად იყურება/ ვისი ძახილი ესმის ღელიდან/ სხვა გზები ელის, სხვა აღმართები“... „ხმა და ანვანი წარსულის ჭირთა/ შემომინახეს მე ამ ლოდებმა / ვინ მელოდება დანდალოს ხიდდთან/ თამარის ხიდთან ვინ მელოდება“... „ხიდად მადიდონ, მოვკვდები ოდეს/ ქვაში ქვად ყოფნა განა ძილია?- /დამაბიჯებენ ხეები ფოთლებს/ და ქარიშხლები გადამივლიან“ (გაზ. „აჭარა“, №89; 1991) აქაც იგრძნობა „რჩეული ტრავმის“ (ვოლკანი, 1991) გავლენა, რომელიც ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემით და უმწეობის, რისხვის, მსხვერპლად ქცევის განცდით ქმნის იდენტობის ქსოვილის მნიშვნელოვან ძაფს.

ახალი დროების თანამდევი უჩვეულო განწყობები რეგიონული ბეჭდური მედიის სხვადასხვა წლის გამოცემებსა და ნომრებშიც გრძელდება. საინტერესო მოსაზრებებს

შეიცავს კრიტიკული მასალა სათაურით „ვიდეო, ვიდეო“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №75, 1990). წერილში გადმოცემულია მკითხველის შეშფოთება და წუხილი ვიდეოს გამქირავებლების მიმართ, რომლებიც თითქოსდა „აიძულებენ“ მაყურებელს, პუნქტებიდან გაიტანონ ვიდეოკასეტები და უმოკლეს დროში, ჯგუფურად ნახონ მძაფრსიუჟეტური ფილმები თუ უცხოური ვიდეოკლიპები. „ახალგაზრდობა უნდა დაგვიღუპონ“- წერს მკითხველი და გვიყვება, რომ ბავშვებმა ერთი ღამე გაათენეს ფილმების ცქერაში, ეს ღამე 40 მანეთი დაუჯდათ და აქვე დასძინეს: „რა ნახეს მერე ამის ფასად- ყველაფერი სისაძაგლე, შემაზრზენი ჩხუბი, სადისტური მკვლელობა, გარყვნილება“. ავტორი აქვე კითხულობს: როგორ შეიძლება საზოგადოება არ დაინტერესდეს, რით სუნთქვას მისი ახალგაზრდობა, რანაირად უნდა შევეგუოთ იმას, რომ ზოგიერთები ახალგაზრდების თავში ათას სისაძაგლეს ტენიან და ამით ჯიბეს იტენიან. ავტორი კითხულობს, „ვინ უნდა აიმაღლოს ხმა ამ უმსგავსოების წინაშე“ და პასუხსაც იქვე გვთავაზობს: „ალბათ ისევ-ახალგაზრდების თავკაცებმა და პასუხსაც მათგან ველოდებით.“ ალბათ, მაშინ ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, როგორი შეუქცევადი პროცესის დასაწყისი იყო ერთი ვიდეო-კასეტით მიღებული ინფორმაცია და გზავნილი. ალბათ, ავტორი ვერ იფიქრებდა, რომ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით მალე ადამიანთა შორის ურთიერთობები გახდებოდა გაცილებით მოსახერხებელი, კომფორტული და ხელმისაწვდომი; ადამიანებს მალე შეეძლებოდათ კომპიუტერისა და ინტერნეტის მეშვეობით წაეკითხათ ნებისმიერი წიგნი, დაუყოვნებლივ გაეგოთ მსოფლიო სიახლეები და სახლიდან გაუსვლელად დაემყარებინათ კონტაქტი გარე სამყაროსთან. ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა კავშირში მასობრივი ინფორმაციის შექმნაზე, გავრცელებაზე, პროპაგანდის წარმოებაზე მონოპოლიას კომუნისტურ პარტია ფლობდა. XX საუკუნის 80 -იანი წლების მეორე ნახევარში კი ამ ინფორმაციებისა და პროპაგანდის მოსახლეობამდე თითქმის უდანაკარგო შეღწევადობას საფრთხე შეუქმნა ალტერნატიულმა წყაროებმა- იმპორტირებულმა ვიდეო-კასეტებმა, უცხოურმა რადიომუწყებლობებმა, სატელევიზიოებმა და საბჭოთა მოქალაქეების უცხოელებთან კონტაქტის გაზრდილმა შესაძლებლობებმა. „გლასნოსტის“ გავლენით საბჭოთა გაზეთები და ჟურნალები ჩამოყალიბდნენ ნახევრად ავტონომიურ ორგანოებად, უფრო მეტიც,

რედაქტორის პოლიტიკური იდეოლოგია პერიოდული გამოცემის მთელ სახეს განსაზღვრავდა. პოსტსაბჭოთა ეპოქის ინტერკულტურულმა პროცესებმა დისკრეციული განვითარების ნაცვლად კულტურული გლობალიზაციის ჰეგემონიზაცია გამოიწვია. მაგრამ იყო კი დაცული ჟურნალისტური სტანდარტი კულტურისა და ხელოვნების თემების გაშუქების, ანალიზისა და ტირაჟირებისას? მიხეილ მარგიანის სტატია „მოზარდთა შემოქმედება“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №77, 1990) რუბრიკაში „თეატრი“ მოგვითხრობს თბილისის თეატრალურ სტუდიასთან „ისი 89“ არსებული ერთი მსახიობის თეატრის ბათუმში გამართულ სპექტაკლზე „კერძო განჩინება“ (ავტორი ლ. მამალაძე): „ მსახიობისა და რეჟისორის, ზაალ ჩახუნაშვილის მოწადინებით შეიკრიბა ბათუმში მსურველები და ასე შეიქმნა ეს სპექტაკლი სულ რაღაც 3 თვეში, ენთუზიაზმით და ზედმეტი დანახარჯების გარეშე. 9 აპრილის ცრემლით გაჯერებული სპექტაკლი ჯერ ბონის თეატრის, ხოლო მოგვიანებით, დრამატული თეატრის სცენაზე გადაიტანეს“. წერილში არაფერია ნათქვამი მაცურებლის რეაქციაზე, მსახიობის მოლოდინებზე და შთაბეჭდილებებზე, აღწერილია მხოლოდ ფაქტები, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, რაც ბუნებრივია, ვერ ასახავს თეატრალური სამყაროს ნიუანსებს. როგორც ჩანს, გარდამავალ პერიოდს ხელოვნების დარგებისადმი ზერელე და შინაარსისგან დაცლილი მიდგომა ახასიათებს. არადა, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ილია „შინაურ მიმოხილვაში“ მნიშვნელოვნად მიიჩნევს ქართული ეროვნული საგანძურის შენარჩუნებას და დიდ ადგილს უთმობს ეროვნული იდეის საკითხს, თვითგამორკვევის მნიშვნელობას: „ან იქნება უმეცრებისა გამო ჰგონიათ, რომ ქართული თეატრი, ქართული ჟურნალი, თუ გაზეთი, და სხვა ამგვარი საქმე არაფერს არ მოასწავებენ და წვრილფეხობის ცულლუტობადა სთვლიან. ერთიც, მეორეც, მესამეც, რაც უნდა უძღურნი იყვნენ დღეს, ჩვენის ვინაობის დამცველნი და შემნახველნი არიან. ვინც ამათ ზურგს შეაქცევს, თავის ადამიანურ სახეს შეურაცხყოფს და არარაც ჰხდის“ („შინაური მიმოხილვა, აგვისტო, 1883).

განსახილველი პერიოდის გამოცემებში რეგიონული მედია სულ უფრო მეტად ცდილობს მკითხველს შესთავაზოს პატრიოტულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები. ჯემალ ჯაყელის ლექსში „თავისუფლება“ (გაზ. „აჭარა“, №87, 1991), ხაზგასმულია საქართველოს მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობით მიღებული განცდები:

„თავისუფლება, დიდია მასში/ ნათელი რითაც გული ივსება/ რომ აღადგინოს ადამიანში/ პიროვნება და მისი ღირსება.“ აქცენტირებულია აგრეთვე, საქართველოს ეროვნული თავისუფლება - „აღარ გამწირო, არ მიმატოვო/ და არ დაგვტოვო ღმერთთან უბრებად,/ გვირგვინს გიკოცნით დიდო ბატონო,/ შენ ,საქართველოს თავისუფლებავ“. აქ შემოდის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი - ეროვნული მთავრობის პოლიტიკა, როგორც ნაციონალიზმის, კოპულიზმის, რელიგიურობისა და კონსერვატიზმის ნაზავი. იმ პერიოდისთვის ფართოდ გავრცელებული ნარატივი ქართველთა რასობრივ სიწმინდეს უსვამდა ხაზს და საქართველოს „მკვდრეთით აღმდგარ ლაზარეს“ ადარებდა. თუ თვალს გადავავლებთ ამ პერიოდში დედაქალაქში გამომავალ პერიოდულ პრესას და შემდეგ პარალელს რეგიონულ ბეჭდური მედიის მასალებთან გავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ მიუხედავად საერთო-სახალხო მღელვარებების შედეგად ქვეყანაში გავრცელებული ნარატივებისა, პერიფერიებში გამომავალი გაზეთები ცდილობდნენ შედარებით ნეიტრალური და რბილი რიტორიკა გამოეყენებინათ.

1990 წლის დასაწყისში მედია ასახავდა ახალი ელიტის სტრუქტურას, სადაც იყო გამოკვეთილი ორი გავლენიანი წყაროს ტიპი: სახელისუფლებო წყარო (უმაღლესი საბჭო/საქართველოს პრეზიდენტი) და არასახელისუფლებო (რომელიც მოიცავს ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ეროვნული კონგრესის წევრებს). პრეზიდენტი, სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ელიტა პრესაში გავრცელებული ნარატივების თანახმად, ხშირად ავლენენ სახიფათო დამოკიდებულებას სამშობლოს და სახელმწიფოს ცნების მიმართ: გამოთქმებით - „საქართველო არის სახელმწიფო ქართველებისგან შემდგარი“, ან კიდევ, ტერმინი „სულიერი მისია“. საქართველოს წარსულიდან მომავალზე პროეცირებისას ანალოგიური ფორმულირებები ხშირად ჩნდებოდა როგორც პოლიტიკოსების, ასევე, სამეცნიერო ელიტების წარმომადგენლების ციტატებში: „თუ საქართველოს სულიერი მისია სულიერი განვითარების, სულიერი აზროვნების აღორძინებაა, ქართველმა ერმა კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიცია უნდა დაიბრუნოს“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №99, 1990); „მხოლოდ ქართულმა ჯიშმა უნდა იხსნას ქართული მიწა (გაზ. „კომუნისტი“, №87, 1990); „თავისუფლების გზიდან გადახვევა სამშობლოს ღალატია და შთამომავლობა ამას არ გვაპატიებს“ (გაზ. „მამული“, №65, 1991); „მოგეცემათ რუსთაველის საქართველო - ეკონომიკურად ძლიერი,

ამაღლებული ქვეყანა“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №18, 1991) და სხვ. როგორც აღვნიშნე, რეგიონში გამოძავალი ბეჭდური მედიასაშუალებები აბსოლუტურად განსხვავებული ინტონაციით და ზომიერი აქცენტებით ფიქსირებულ პათოსს ავითარებდნენ, რაც კარგად მოჩანს რამდენიმე სტატიის და სათაურის დასახელებითაც : „სულიც და სხეულიც ქართული“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №86, 1990) „მოქალაქეობრივი მოვალეობის ამაღლებით“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №75, 1989); „ხმით ნატირალი“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №4, 1991) „ვჭვრეტ გარინდებით“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №3, 1991); „დიახ! იტყვის მთელი საქართველო!“ (გაზ. „აჭარა“, №61, 1991); „დავძლიოთ კრიზისი, აღვადგინოთ ნდობა“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №76, 1989); „ვინ შეუშრობს ცრემლს ქართველ დედას“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №74, 1989); „ვაი, ნენელავ“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №4, 1991); „დროა, ღირსეულად დაფასდეს“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №112, 1989); „მშვიდობისა და აღორძინებისთვის“ (ჟრნ. „ქრონიკა“, № 2, 1993); „კანონიერი ხელისუფლების მხარდასაჭერად“ (გაზ. „აჭარა“, № 62, 1991); „მიწის ტკივილი“ (გაზ. აჭარა“, № 67, 1991); „ხალხისთვის, ხალხთან ერთად“ (ჟრნ. „ქრონიკა“, №2 1991); „არ დავუშვათ სისხლისღვრა“ (ჟრნ. „ქრონიკა“, № 2, 1991) და სხვ.

განსხვავებით ცენტრალური პრესაში ფიქსირებული მკაფიო გზავნილებისა, რეგიონული მედია სულ სხვაგვარი ხელწერით ცდილობს არ ჩამორჩეს საერთო-სახალხო განწყობების ტენდენციას, თუმცა, ასევე ცდილობს შეინარჩუნოს შედარებით რბილი და ფორმატირებული რიტორიკა, რაც, როგორც უკვე ვნახეთ, ძირითადად, ლიტერატურული შინაარსის მასალებით და ტექსტებითაა წარმოდგენილი. საკვლევი პერიოდის მანძილზე, რეგიონული პრესის ფურცლებზე ლიტერატურული ტექსტებით და ნარატიული მეთოდებით ვეცნობით ეთნოკონფლიქტების თემასაც.

საბჭოთა რეჟიმიდან გამოსვლის ურთულეს პროცესში, ქართულმა მედიამ თითქმის მოუმზადებლად გადაწყვიტა ჩვეული საბჭოთა ცენზურიდან სიტყვის თავისუფლების სივრცეში გადანაცვლება. ეს კი უამრავ მოსალოდნელ რისკთან, ხიფათთან იყო დაკავშირებული და ერთ-ერთი მათგანი სწორედ ეთნიკური საკითხი გახლდათ. საქართველოს იმ დროისთვის სხვადასხვა ეთნოსის თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი პოზიტიური გამოცდილება ჰქონდა, გეოპოლიტიკური, კულტურული და სხვა ასპექტების გათვალისწინებით. ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან

გამომდინარე, ეს გამოცდილება შეიცავდა საყურადღებო გამოწვევებსაც, რადგან საქართველოში ეტაპობრივად გაღვივებული ეთნოკონფლიქტები სერიოზულ მიზეზებს ემყარებოდა. ასეთი პრობლემების განხილვის და საზოგადოების მხრიდან ადეკვატური შეფასების მიღებისთვის უდავოდ მნიშვნელოვანი იყო კომპეტენტური პირების, ისტორიკოსების, ანალიტიკოსების დასკვნებზე ჟურნალისტების ორიენტირება. მით უფრო, როდესაც არსებობდა „ლიხნის“ წერილისა და გაზეთ „ბზიფში“ ჩოჩიევის სტატიის რეზონანსულობის პრეცედენტი („აფხაზთა სამეფო“, <http://www.abkhazia.gov.ge>), რაც, განსაკუთრებით ცხადად „ლიტერატურულ საქართველოში“ გადმოხეჭდვის შემდეგ გაჟღერდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართული პრესა, ნებისთ თუ უნებლიეთ დაემსგავსა წესების გარეშე ბრძოლის ველს, სადაც, ყოფილ ჰეგემონ, მეზობელ და მეგობარ ხალხებთან დამოკიდებულებას საზოგადოება დილეთანტი ავტორ-ჟურნალისტების მიერ ტირაჟირებული ურა-პატრიოტული განწყობის და ტექსტების საფუძველზე ქმნიდა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ უპასუხისმგებლო და ცხელ გულზე დაწერილი პუბლიკაციების საშუალებით შეიქმნა მკითხველმა საერთო და სტერეოტიპული წარმოდგენა, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური პრობლემის მიმართ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ იმ ეტაპზე მედიას არ მოედუნებინა ყურადღება ამ მტკივნეული და სახიფათო საკითხის მიმართ. აღნიშნული მოსაზრებების გასამყარებლად განვიხილავ ჯემალ ჯაყელის ძალიან საინტერესო ესეს „სირჩა“, რომელიც რუბრიკაში „სამაჩაბლო ჩვენი ტკივილი და მწუხარება“ დაიბეჭდა (გაზ. „აჭარა“, №18, 1991). „მშვენიერი ოსური ლეგენდა „სირჩა“ -საერთო მტრის წინააღმდეგ მებრძოლი ორი გულითადი მეგობრის, ქართველისა და ოსის ამბავს გვიამბობს: ბრძოლისას ორივე მძიმედ დაჭრილა, არავინ ჩანდა მშველელი და არც არაფერს შეეძლო მათი გადარჩენა. როცა სასმელი წყალიც შემოეღიათ და საერთო მათარაში მხოლოდ ერთი წვეთილა დარჩა, ამ წვეთს უნდა გადაეწყვიტა ორი მომაკვდავი მეომრისგან რომელი გადარჩებოდა: „რომელმა დაისველოს პირი? მეგობრები ერთმანეთს სთავაზობენ წვეთს“ (გაზ. „აჭარა“, №18, 1991). საგულისხმოა ავტორის (ჯ.ჯაყელი) აქცენტები ტექსტიდან: „მოდით აქ დავუსვათ ამ ლამაზ ლეგენდას მრავალწერტილი და გავიხსენოთ რა ხდება სამაჩაბლოში დღეს...“; „რა ვუყოთ იმ

უჯიუტეს ფაქტებს, როდესაც „სირჩის „ტრადიციებზე გაზრდილი ოსები, „ნართების“ ტრადიციებზე გაზრდილი ხალხი „მარცხენა ფეხზე“ ადგა. უკუღმა შემოტრიალდა და სული ეშმაკს მიჰყიდა“; „ქვეყანა იქცევა მაშინ, როდესაც მირონის ჯამში სისხლი დგება“... და აქვე იგრძნობა, თუ რამდენად სახიფათოა ფრაზა - „ჩრდილო ოსეთიდან ჩამოცოცებული და ბოლოს ჩამომძევლებული ოსები“ და რამდენად საგულისხმოა მტკიცება - „ვის შეუძლია დაასახელოს თუნდაც ერთი ნორმალური კაცი, რომელიც იტყვის რომ ქართლის შუაგული, ცნობილი სამაჩაბლო საქართველოს არ ეკუთვნის და იგი ალანების მიწააო“ (გაზ. „აჭარა“, №18, 1991). ზემოთაღნიშნულ ტექსტში ყურადღებას იქცევს აგრეთვე გამოთქმა “უმელურებს“ (თავს იკატუნებს), რომელიც ოსი ხალხის პოლიტიკური მანერის გამოსახატად გამოუყენებია ავტორს (ჯ.ჯაყელი) და რითაც ცდილობს დაახასიათოს ამ ეთნოსის ისტორიული პოზა. ეს ის მდგომარეობაა, რომლითაც ადგილობრივმა მოსახლეობამ გადაწყვიტა კონფრონტაციაში მყოფი ორივე მხარის (საქართველო- რუსეთი) საამებლად თავი მოეკატუნებინა. ფაქტია, რომ მოცემულ ეტაპზე ჰეგემონი „პატრონის“ მრუდე მითითებებმა ეს ხალხი საბოლოოდ დაუპირისპირა და კარგა ხნით ჩამოაშორა თავის ისტორიულ ნაწილს. „ჩვენ-ისტორიულ მასპინძლებს არასოდეს ჩამოგვიყვანია სტუმრის სტატუსის დევალვაცია (‘დილით ოქრო ხარ სტუმარო, თუ ცოტა დაგაგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი“) ამბობს ავტორი და ნააზრევს ასრულებს სტრიქონებით: „სირჩა შენკენ გადმოვედი, /როცა წვეთი გარჩენდა,/უწვეთობა როცა მახრჩობს/ სირჩა სადღა ვეძებო,/ ეს ხიდები და ტაძრები/ ჩემი ხელით აშენდა, /ტაძრის ეზოს თხები ძოვენ/ სად ხართ ოქროს ვერძებო“ (გაზ. „აჭარა“, №18, 1991). ვფიქრობთ, ამ მასალაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს ფსიქოლოგიურ ანალიზთან და გარდაუვალი კონფრონტაციისადმი საზოგადოების შემზადებასთან. უფრო მეტიც, ის შეგვიძლია ერთგვარ ტრანსს მივაკუთვნოთ, რადგან მედიაში ფსიქოლოგიური ტრანსის ალგორითმები მოქმედებს იგივე პრინციპით, როგორც ფსიქო-თერაპევტის კაბინეტში. განსხვავება ისაა, რომ მედიით გამოწვეული ფსიქოლოგიური ტრანსი არის ყოველდღიური მდგომარეობა, რომელიც ჩვენს სულიერ კომფორტთან ასოცირდება (გერსამია, 2021). ზემოთაღნიშნულ მასალაზე პოსტკრიპტუმად გამოტანილ მინაწერში კი ავტორი (ჯ.ჯაყელი) დასძენს: „ამ წერილში არაფერი ახალი არ არის, ყველაფერი ეს თავის დროზე ითქვა და კვლავაც ითქმება“ და

მართლაც, XX საუკუნიდან დღემდე ეთნოკონფლიქტების შედეგები ქართული რეალობის ყველაზე მტკივნეული და აქტუალური საკითხია. ეთნოკონფლიქტების პრობლემატიკას ეხმაურება ასევე, ჯემალ ქათამაძის ლექსი „ახლა“: „ახლა ისეთი დრო და ჟამია,/ამღვრეულია ისე თვალები,/ დადის ვეშაპი კაციჭამია/ისე რომ ვერსად დაემალეები,/ცეცხლით გარუჯა ყველა კუნჭული, /შეეცოდები მუხლუხა ლომებს?/ახლა კაცის და მოკვლა ჭუჭულის,/ გართობა არის თუ მოინდომებ”(გაზ. „აჭარა“, № 44, 1991) პოეტი (ჯ.ქათამაძე) „კაციჭამია ვეშაპში“ ალევორიულად მოიაზრებს ამ პერიოდისთვის უკვე საკმაოდ გამწვავებულ ეთნოკონფლიქტებს, რომლის ინსპირატორებსაც „ამღვრეული აქვთ თვალები“, ანუ გონება და გადაფარულია ყველა ის ურთიერთობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურად განსხვავებული ერების თანაცხოვრების მანძილზე იყო ჩამოყალიბებული. და ყველაფერს, თითქოს საკრალურად, მაინც აერთიანებს 9 აპრილი, რადგან ის არის მოვლენა, რომელიც უამრავ ფაქტორს აკავშირებს ერთმანეთთან, მათ შორის- მჭიდრო ბმა აქვს ეთნიკური პრობლემების გაძლიერებასთან. დიახ, გაძლიერება, რადგან თავდაპირველი მარცვალი ჩვენ ქვეყანაში ამ მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით, 1978 წლიდან დაიწყო, როცა, ახალი კონსტიტუციის პროექტი ემყარებოდა თითქოსდა, განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის იდეას და საიდანაც ენა და კულტურა, როგორც მოძველებული ღირებულებები, უნდა ამოღებულიყო. სწორედ ამ მცდელობას მოყვა უპრეცედენტო მასშტაბის პროტესტი, რომელიც საქართველოს ისტორიაში ქვაზე ამოკვეთილ თარიღად იქცა. თავისი მნიშვნელობით ეს იყო 9 აპრილის მსგავსი, უმნიშვნელოვანესი, ოღონდ - უსისხლო ბრძოლა. 9 აპრილში უფრო დიდი წონა იყო ჩადებული, უფრო დიდი კონცეფცია, ვიდრე ქართველი ხალხის თავისუფლება. 9 აპრილი არის საქართველოს უახლესი ისტორიის უნიკალური ბოლო თავი, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება თავისი ამბივალენტური კონტექსტებით, იგი ერთის მხრივ ზეიმი, და მეორე მხრივ, ახალი, გამოუსწორებელი შეცდომის - აფხაზ და ოს ხალხთან დიდი გაუცხოების დასაწყისიცაა, რადგან იმ ისტორიულ კონტექსტში, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ერქვა, არსად ჩანდა, რომ საერთო ეროვნულ იდეებს უნდა გაჰყოლოდნენ ის მოქალაქეებიც, რომლებსაც ქართველებთან ერთად ცხოვრება უნდოდათ, თუმცა, თავისი განსხვავებული ხედვები ჰქონდათ

როგორც ენის, ასევე, რელიგიის და კულტურის მიმართ. ამიტომაც, ვფიქრობთ, 9 აპრილი მხოლოდ ეროვნულ თარიღად არ უნდა გაფორმებულიყო. ის უპირველესად, სახელმწიფო თარიღად უნდა გაცხადებულიყო, რაც თავიდან აგვაშორებდა ეთნოკონფლიქტების მუხტის გაძლიერებას.

აღნიშნული მოცემულობის აღქმასა და გადააზრებას ისტორიკოსებთან ერთად, 1990-იანების დასაწყისის ქართული მედიაც უნდა შესდგომოდა, თუმცა, მას არ ჰქონდა ის გამოცდილება, რითაც თავისუფალ სივრცეში უნდა დამკვიდრებულიყო, არც პოლიტიკურ ველზე მოქმედების სტრატეგიის ინსტრუმენტების შესახებ სმენოდა რაიმე და შესაბამისად, ვერც ინფორმაციული ომის წარმართვის ხერხებს ფლობდა. გამომდინარე აქედან, ბუნებრივია, რომ მედია ვერ მოახერხებდა სათანადო ნარატივების შექმნას და მათით საზოგადოების ფსიქოლოგიურ გაძლიერებას. მაშინ, როდესაც მედიას შეუძლია მალევე დაგვაავიწყოს ინფორმაცია, მას ასევე შეუძლია ძალიან დიდხანს დაგვამახსოვროს მოვლენა და ამისთვის იგი “ძველ ამბავს“ მუდმივად ახალი ამბების კონტექსტში ფუთავს, მას შეუძლია თავისი არქივიდან ამოიღოს კონკრეტული მონაკვეთი და ახალ ამბებთან სინთეზირებით, მეხსიერების გადატვირთვა მოახდინოს“ (გერსამია, 2021), რაც ასე სჭირდებოდა XX საუკუნის 90-იანების დასაწყისში, თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარებული მოვლენებით დაბნეულ და გაუგებრობაში აღმოჩენილ საზოგადოებას. თუმცა, იმხანად მედიის ცნობილი სპეციალისტები, თავიანთი საბჭოური კარიერის მანძილზე პარტიული ინერციით მოქმედებდნენ და მათთვის იმდენად უცხო და დამაბნეველი აღმოჩნდა კომუნისტური „დღის წესრიგის“ შეცვლა, რომ პასიური პოზიციები აქტიური დუმილით ჩაანაცვლეს. მედიაპოლიტიკის სტანდარტებზე მაშინ არც არავინ ფიქრობდა, რადგან ემოციური პულსაციით ხდებოდა ინტონაციების, რიტორიკის ფორმირება და ამ პროცესში, ბუნებრივია, ფიქსირდებოდა უამრავი ლაფსუსი, ხარვეზი და ხშირად, გამოუსწორებელი შეცდომებიც კი.

თუკი 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, მთელი ქვეყანა ახალი საქართველოს დაბადების პროცესის მონაწილე გახდა, ზუსტად იგივე შეგვიძლია ვთქვათ 1991 წლის 9 აპრილზე, როდესაც „პოლიტიკურმა რომანტიზმმა“ რუსთაველიდან პარლამენტის შენობაში, სახელისუფლებო მართვის პულტთან გადაინაცვლა. გავა წლები და 90-იანების

წარმოდგენილი სცენარით განვითარებულ პროცესებს ბევრჯერ მოიხსენიებენ, როგორც საბჭოთა სისტემის დაშლის დასაწყისს. ამ უდიდესი ძალის მქონე იმპერიის ძლევამოსილების მითის შერყევას კი. სწორედ თბილისის მოვლენების გამოძახილს დაუკავშირებენ. როგორც თემურ ქორიძემ აღნიშნა, „რომ არა მრისხანე და მშვენიერი 1989 წელი, არ იქნებოდა 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენა“. ტრაგედიის ორი წლის თავზე, როგორც ცნობილია, სწორედ იმ ადგილას სადაც 9 აპრილის მოვლენები განვითარდა, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ადგილის მუდმივობის ხაზგასმა არ მომხდარა შემთხვევით, რადგან ეს გახლავთ ისტორიული განგრძობადობის, საერთო მეხსიერების და იდენტობის განმტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მნემონისტური ხერხი, რომელიც საკმაოდ ხშირად გამოიყენება. როგორც ამერიკელი სოციოლოგი ევიათარ ზერუბაველი აღნიშნავს: „ადგილის მუდმივობის ხაზგასმა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ის ადამიანები იმ ადგილას, რომლებიც ჩვენზე ადრე იყვნენ... სწორედ იგივე დრო იგივე ადგილთან ერთად ახერხებს წარსულთან მნემონისტური ხიდის გადებას და დისკურსული უწყვეტობის შენარჩუნებას“ (ზერუბაველი, 2004). სწორედ ამ საგულისხმო თეორიულ ჩარჩოში შეგვიძლია მოვიაზროთ პრეზიდენტ გამსახურდიას სიტყვაც, რომელიც მან 1991 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლის წინ, მიტინგზე დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით წარმოთქვა: „ძვირფასო ძმებო და დებო! დღევანდელი დღე მოიტანა 9 აპრილს დანთხეულმა სისხლმა, შემთხვევითი როდია, რომ დღევანდელ დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ისინი წინასწარმეტყველნი იყვნენ, მათ წინასწარმეტყველურად დასთხიეს სისხლი აქ, ამ ადგილას, რამეთუ უწყოდნენ, რომ სწორედ აქ გამოცხადდებოდა დამოუკიდებლობა და სწორედ -9 აპრილს“ (ქრნ. „მატიანე“; № 1,2 , 2017).

ტრაგიკულ მოვლენათა მწკრივმა, რომელიც 1921 წლიდან საუკუნის ბოლო ათწლეულებამდე სწორედ იმ ადგილას, რუსთაველის გამზირზე ვითარდებოდა, უდიდესი დალი დაასვა ქართული საზოგადოების ცნობიერებას. 9 აპრილის ტრავმის 9 აპრილის ტრიუმფთან გადაჯაჭვულობამ და ამგვარმა რეპრეზენტაციამ ჩაანაცვლა დიდი დანაკარგის და უმწეობის განცდა. ეს გახდა მცდელობა იმისა, რომ 9 აპრილის ტრაგიკული ნარატივი დატვირთულიყო ტრიუმფის შინაარსით და ასე ჩამოყალიბდა ის

პარადიგმულ მოვლენად, ხოლო რუსთაველის გამზირი 9 აპრილის პარადიგმულ სივრცედ, სადაც ბოლო 30 წლის მანძილზე იწერებოდა საქართველოს ისტორია.. „ეს საკრალური ადგილი საქართველოში მცხოვრები მოქალაქეებისთვის, მათი ნაციონალური მეხსიერებისთვის არის სივრცე, სადაც საზოგადოება იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს (ჯგერენაია,2018) და ამ საკრალური ადგილის ეს მნიშვნელობაც ისევ იმ რეზონანსულობამ (ასმანი, 2004) განსაზღვრა, რომელიც ზამბარისებრად აკავშირებს ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის ცნობილ მოვლენებს და უმნიშვნელოვანეს თარიღებს: 1921, 1956, 1978, 1989, 1991. ამ სივრცეს უკავშირდება ასევე, ყვავილების და ლექსების თემაც. რუსთაველზე, ყვავილების ზღვა და ჭადრებზე გაკრული ლექსები ის დაუვიწყარი ტრავმაა, რომელიც ცხრააპრილგადატანილი რუსთაველის გამზირიდან ტიტებთან ერთად დაამახსოვრდა საზოგადოებას. ეს იყო ის, რამაც შესაძლებელი გახადა ტრავმის ამოთქმა, გაზიარება, დამნაშავეის და მსხვერპლის განსაზღვრა, ხელი შეუწყო ტრავმული მოვლენის ჩამოყალიბებას და 9 აპრილის ნარატივის ქართული კულტურის ნიმუშად ქცევას.

მოცემული პერიოდის რეგიონული ბეჭდური მედია აქტიურად ეხმიანება 9 აპრილის ნარატივს და ტრავმული მოვლენის სიმბოლოებზე აქცენტირების ტენდენციებს. შოთა როყვას ლექსი „ყვავილები ბათუმიდან“ 9 აპრილის სიმბოლოებზე ამახვილებს ყურადღებას და უერთდება იმ საყოველთაო გლოვას, სამარადისო ტკივილად რომ დარჩა ისტორიას: „გლოვა იყო, ზარი რეკდა ქართველების/ ზღვაც წუხდა და ბობოქრობით მქუხარებდა“; „ეს ჭრილობა რა წამალმა გაგვიმრთელოს/თქვენ ხმლები ხართ მამულისთვის დაფერილი,/ ვერაგულად ნაწამებო რაინდებო/ თქვენი სული ზეცაშია გაფრენილი“ ... „ყვავილები ცრემლებია ბათუმიდან,/წამების გზა ძნელია და სასახელო,/ მამულისთვის დანთებული სანთლები ხართ /დიდია და უკვდავია საქართველო“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №100, 1989). 9 აპრილის სიმბოლოა ფრიდონ ხალვაშის კიდევ ერთი ლექსი “ყვავილების გლოვა“ (გაზ.“საბჭოთა აჭარა“, №83; 1989), რომელშიც ავტორი გადმოსცემს თავის უსაზღვრო გულისტკივილს „დროის დრამებთან“ დაკავშირებით; ენით აღუწერელ ტრაგედიას „მოყვარე მტრის“ ხელს მიაწერს და მიუხედავად იმისა, რომ „სული ერთად ხარშავს სიმართლეს და ჭორს“, დასკვნა ერთია, რომ „თავისთავის მოვლის უფლების ქონაა“ მთავარი პრობლემა ქვეყანაში და თუკი ორბი ისევ აგრძელებს ამირანის

გულის კორტნას, ამირანი მაინც შეძლებს წამოდგომას და გაძლიერებას. ალეგორიულად, ამირანს მართლაც აქვს ის გრძნეული ძალა, რითაც შეძლებს ენერჯის აღდგენას და პოეტს (ფ.ხალვაში) სურს, რომ ამირანივით ზებუნებრივმა ძალამ გადაარჩინოს და გააძლიეროს დაკორტნილი საქართველო. ამ პათოსიდან და კულტურული ხატებიდან 9 აპრილის ნარატივამდე კიდევ არაერთი პოეტური გამოძახილი გვხვდება რეგიონული მედიასაშუალებების ფურცლებზე: „ფრთხილად ბიჭებო, ბედი ქართლისა,/ არვინ წაიღოს მინდად“ - ასე ამთავრებს ჯემალ ჯაყელი ლექსს „სამოქალაქო“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №76, 1989), რომელიც 9 აპრილის კიდევ ერთი გულმხურვალე გამოძახილია: „წმინდა სამშობლოს სიყვარულისთვის გაუგებრობა მზარავს/მზარავს უმანკო სისხლის თქრიალი/ და სულს ედება ბზარად/ყოვლად ქართულის სიყვარულისთვის გაუგებრობა მზარავს“- ამ სტრიქონებით კი პოეტი (ჯ. ჯაყელი) აშკარად აფიქსირებს პროტესტს ბუნდოვანებით მოცული სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ და მკითხველს დაფიქრებისკენ, გონივრული ქმედებებისკენ მოუწოდებს; მისი აზრით, დაძაბულ მდგომარეობას და შექმნილ საფრთხეებს თითოეული მოქალაქის მხრიდან ადეკვატური რეაგირება სჭირდება. პოეტს (ჯ.ჯაყელი) კარგად აქვს გაცნობიერებული, ყოფილი „მომძე“ ერის ზრახვები და ამიტომაც მოუწოდებს კიდევ ერს განსაკუთრებული სიფრთხილისაკენ. ჯემალ ჯაყელს ეკუთვნის ასევე ლექსი „საქართველო“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №100, 1990), რომელიც საგაზეთო ფორმატში მოწინავე სტატიის ადგილს იკავებს და თავისი შინაარსითაც, სავსეა მოწოდებებით და იდეოლოგიური მუხტით: „დიდხანს იყავ მომღერალი სხვა ხმის, სხვათა გუნდისა,/ ბულბული ხარ სხვათა გუნდში რა გამღერებს სხვათათვის/როცა სულში ელვარება გიდგას იაგუნდისა/ როცა გათრობს სურნელება საკუთარი მკათათვის?! ... “რარიგ გვიან, რარიგ ძნელად, საღირსებო გვეღირსა/ და მრონით გაინათლა ხვალის გზა და წადილი/ ახლებურად გააზრება სულო, როგორც ასეთის!.../ კითხვის ნიშნად ნაქანდაკარ გასაფრენი ყანჩების/ მაღლა ასწი ცეცხლგავლილი დროშა დიდგორ-ალგეთის,/ მაღლა ასწი, მზე იმედი, ვეფხვი ვეფხვად დარჩები!“ ვფიქრობთ, წარმოდგენილ სტრიქონებში ავტორი (ჯ.ჯაყელი) მაღალი პოეტური ოსტატობით წარმოაჩენს მედიაპოლიტიკისა და იდეოლოგიური ანალიზის ლიტერატურულ კონტექსტებს. დამოუკიდებლობის მოპოვების სიხარული და სიამაყის განცდა კი ავტორის სათქმელს არა მხოლოდ ხატოვნად გადმოცემის, არამედ

მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის ძალასაც მატებს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ენერჯის იდენტიფიცირების და მისი განუმეორებლობის ხაზგასმა სიტყვებით - „ბუღბუღი ხარ სხვათა გუნდში, რა გამღერებს სხვათათვის“- რითაც ავტორი იმ ათეულობით წელს ეხმიანება, როცა საქართველო საბჭოთა ორგანიზმის ნაწილი იყო და რომლის ჰეგემონიასაც, 1989 -1991 წლებში ქართველმა ხალხმა სასიცოცხლო არტერია გადაუკეტა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, 26 მაისს უძღვნის ზურაბ გორგილაძე პატრიოტულ ლექსს „შენი აფრაც აფრინდა“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №100, 1989): „ცისქვეშეთში არაფერს აღმერთებდი დროებითს/ არ ყოფილხარ არასდროს ზულუქი და მკვეხარა/ ოღონდ...გენატრებოდა შენი სამრეკლოების/ გრგვინვით გაჯერებული საკუთარი ქვეყანა“ - ამ სიტყვებით დიდი პოეტი (ზ.გორგილაძე) საქართველოს ძნელბედობით სავსე წარსულს, მუდმივ გამოწვევებთან პირისპირ ეულად ყოფნის ეპიზოდებს ეხმიანება და ცდილობს, ქართველ ერს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა შეჰმატოს: „ძეო ქართლოსისაო, შენი აფრაც აფრინდა/ ზღვაში შესვლას ოღონდაც, ნუკი გაიოლებ/ უპირველეს ყოვლისა, გახდი ქვეყნის პატრონი,/ მერე წამომთაგორდი, უბრდღვინე და იომე!“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №100, 1989). ლექსის პათოსი გაჯერებულია სიფრთხილით, ჩუმი კრიტიკით და ქართველი ხალხის ნაჩქარევი ეროვნული ალტყინების ჩაცხრობის მოწოდებით. ეს ფრთხილი ტონი კი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, შეფარვით ნათქვამ სიტყვად და ლაიტმოტივად გასდევს 1989 წლის ცენტრალური და რეგიონული ოფიციალური მედიის პოლიტიკას.

თანამედროვეობას ეხმიანება ბელა ქებურიას ლექსი „მამულო, ჩემო საგალობელო“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №99, 1989). ტექსტში მხატვრული ხერხების გამოყენებითაა ხაზგასმული მტკივნეული რეალობის სუსხი, რომელსაც არ ეპუება ავტორი: „აქ ქარაც უკრავს თავის რექვიემს/ და ფრთხილად არხევს ტოტების ხემებს/ უნდოდათ, მაგრამ ვერ მოგერიენ/ ვერ აკრეფინეს ეკალი ხელებს“. პოეტი სინანულით მიმართავს მშობელ ხალხს და ქვეყანას: „დღეს გული მტკივა, რომ გაგაჩნია შენი ქართული მიამიტობა“, - თუმცა, ტკივილით გაძლიერებულს იმედი არ ეთმობა და აგრძელებინებს გზას უკეთესი მომავლისკენ - „იქ უცნაური მართლაც იგრძნობა/ მწამს შეგეხება თამამი ხელი/ და წინ წაგიყვანს მარადისობა“(გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №99, 1989). საინტერესოა აგრეთვე,

რეგიონული ლიტერატურული ჟურნალის “ჭოროხის” პოლიტიკური და ლიტერატურული ესთეტიკის სიმბიოზი, რომელიც განსახილველ პერიოდის მანძილზე გამოცემულ ნომრებში ფიქსირდება. ომზირ ღლონტის ლექსი „ვედრება“ ეხმიანება „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე წარმოებულ დისკურსს ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებთან დაკავშირებით: „ღმერთო, შეიწყალე ჩემი საქართველო, /შენი ნებიერი-უიღბლო ასული/ იქნებ გატეხილი გული გავამთელო/ ღმერთო შიწყალე ჩემი საქართველო... შენსავით ჯვარცმული“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №3, 1991). ცნობილი ავტორის, ომზირ ღლონტის მიერ ჟურნალ „ჭოროხში“ გამოქვეყნებულ მეორე ლექსში „ხმით ნატირალი“ კი, საკმაოდ საინტერესო სენტენციებით არის გადმოცემული აჭარისა და ბათუმისთვის ჩვეული ხასიათი: „ბათუმის გვაგონდება წვიმა, ბათუმის გველანდება ზღვა,/ ბათუმში გვენატრება ვინა... ბათუმის გვესიზმრება ქვა/ ტკივილი სტრიქონებად გვექცა, ./გვტანჯავს გულცივობა დედის,.../ქალაქის უდაბნოსფერ ზეცას,/წაშლია ორი ძმის ბედი *ჯვარცმული“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №3, 1991). ქართულ-თურქულ ურთიერთობებში ახალი სიცოცხლის გახსნას და საერთო მწიკვლი თვისებების, ტკივილების სიმწვავეს ეხმიანება ავტორის (ო.ღლონტი) განცდებით გამოხატული ეს სიტყვებიც: „ვტკბებით წარსულის გახსენებით, ძმავ/დარდის ცრემლებით დასველებით/ მუზის პარნასზე ასვენებით, /ოცნებით ვტკბებით, ო!/ ვთვრებით შხამიან სასმელებით, /ძმებისგან კრული დასმენებით/ უჭირისუფლოდ განსვენებით/უშენოდ ვკვდებით, ჭო!“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №3 , 1991).

სხვადასხვა ტრადიციული და ალტერნატიული ჟანრის მასალებზე საუბრისას, უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზეთ „საბჭოთა აჭარას“ ფურცლებზე შიგადაშიგ ვხვდებით სხვა ქვეყნების სივრცეებთან და ხელოვანთა შემოქმედებასთან გავლებულ პარალელებს. ამ მხრივ საინტერესოა შოთა ზოიძის „სიკვდილის კოცნა“ (გაზ.„საბჭოთა აჭარა“, №120, 1989), რომელიც ანა ახმატოვას 100 წლის იუბილეს ეძღვნება. სულით ხორცამდე რუს პოეტს მისწვდა „ჟდანოვის იდეოლოგიური მანქანის ხელი“ და მისი პირველი წიგნი - „საღამო“ შეფასდა, როგორც „მისტიკის აპოლოგეტად“ შერაცხილი პოეტის და XX საუკუნის რუსული პოეზიის მოქალაქეობრივი ჟღერადობა“ (გაზ.„საბჭოთა აჭარა“, №120; 1989). „ახმატოვას 22 წლის ასაკში დაწერილი „სიკვდილის კოცნა“ ეხმიანება ვაჟას „შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე შევნობს შენითა“, მის პოეტურ სახეებს შორის კი

მოულოდნელი სინტაგმა იყო „სიკვდილის კოცნა“- „უგმირო პოემა“, სადაც გვითხრა, რომ სიკვდილი არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მთავარი გმირი თვითმკვლევლობით ასრულებს სიცოცხლეს,- ამით პოეტი ამბობს, რომ სიკვდილი არის გაგრძელება.“ ავტორს (შ.ზოიძე) ევგენი ევტუშენკოს სიტყვებიც მოჰყავს: „ის იყო ორი დროის კავშირი, / ჩრდილ-ნისლიანი დროების ფარად, /და თუ პუშკინი მზეა გაშლილი, / ის თეთრი ღამე იქნება მარად“... სტატიის დასასრულს ავტორი დასძენს, რომ „გამოუქვეყნებელი ლექსების ციკლი (ხელიდან ხელში გარდამავალი) ვფიქრობ, თანამედროვეობის, დემოკრატიზაციის და საჯაროობის საწყის პროცესში უთუოდ გამოქვეყნდება. ამით დიდ პატივს მივაგებთ პოეტის სახელს და კიდევ ერთ ლახვარს ჩავცემთ ძალმომრეობის უხეშ მანქანას ჩვენს ცხოვრებას თან რომ ახლდა განვლილი 70 წლის მანძილზე“(გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №120, 1989). აქვე მინდა გამოვყო შოთა როყვას ლექსი „აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი თბილისში“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №100, 1989), რომელშიც ავტორი სინანულს გამოთქვამს, თანამედროვეობის ყველაზე მართალ კაც-თავისუფლების, სიმართლის და მშვიდობის სიმბოლოს, ანდრეი სახაროვს სათანადო ლექსი ან სიტყვა დროულად რომ ვერ უთხრა და იქვე დასძენს: „რომ არ გვძულს რუსი, მთელ მსოფლიოს ამას ვუცხადებთ/ როცა რუსეთში სიცოცხლეში სდევნიდნენ პუშკინს, მაშინ თბილისში იუბილე გადაუხადეს“ (გაზ.„საბჭოთა აჭარა“, №100, 1989). ამ სიტყვებით პოეტი ადასტურებს ლიტერატურული რუსეთისადმი საკუთარ პატივისცემას, მაგრამ პოლიტიკური რუსეთის ქმედებებს ვერაფრით ამართლებს.

რეცენზიების, ჩანახატების, პორტრეტების, ფელეტონების გვერდით გაზეთის ფურცლებზე საკმაოდ ხშირად ვხვდებით პატრიოტული სულისკვეთებითა და იდეოლოგიური განწყობით გაჯერებულ პოეზიას, რომლის მკაფიო და ემოციურად შთამბეჭდავ მაგალითადაც მოვიყვანდი ზურაბ გორგილაძის ლექსს „ხალხო“: „ახლა მთაში გაზაფხული ფაფხურობს, / ხუნდებს ლეწავს და ძველ ძონძებს ალბობს,/ ვაიმე!... რამდენ ქართულ ქუხილს მარხულო, /რამდენ ჩადრში და ზვავში ჩამარხულო/ არ გამიწყრე, იშვიათად გნახულობ/ მომენატრე, გატანჯულო ხალხო“...(გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №92, 1990). ამ ზოგად ციტატებს მოსდევს პოეტის წუხილი ქვეყანაში შექმნილი ქაოსური მდგომარეობის შედეგებზე: ადამიანების სახეცვლილებაზე, მორალური თვისებების სიმყიფეზე, ახალი დროების ქროლისას შემოცლილ ნიღბებზე. „ყელი არ

გამომჭრა, ხალხო“ - ევედრება პოეტი (ზ.გორგილაძე) თანამემამულეებს და აქ მხოლოდ აჭარის მკვიდრი მოსახლეობა არ ჰყავს მხედველობაში, თუმცაღა, უპირველესად, სწორედ მათი საქციელის გამო წუხს. ამ კონკრეტული სტრიქონებიდან, თამამად შეიძლება პარალელების გავლება და ილია ჭავჭავაძის ქართული პრესის ამოცანებზე მსჯელობის მოშველიება, რადგან ილია ბეჭდვით სიტყვას, უწინარესად, ეროვნული და სოციალური პროგრესის იარაღად მიიჩნევდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის საქართველოში, არსებული და სასურველი რეალობის პოლარულობიდან გამომდინარე, ილია წერდა: „იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტს და უფრო ბევრ ლექსსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა“ (ჭავჭავაძე, თხზ. ტ3, გვ 69) ავტორის (ი.ჭავჭავაძე) მიერ საკითხის ამგვარად დასმით არა მარტო ჟურნალისტიკის კონკრეტული ამოცანა და მიზნები იკვეთება, არამედ მისი მრწამსიც: „დაე, ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექსი თან ამოჰყვება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ“ (იქვე-გვ 70).

რაც შეეხება ზურაბ გორგილაძის ლექსს „ხალხო“, ის აჭარის ღირსეული შვილების მოქალაქეობრივი პოზიციონირების საუკეთესო მაგალითია და ცალსახად გვიჩვენებს რეგიონულ მედიასაშუალებებში ლიტერატურული შინაარსის ტექსტებითა და პუბლიკაციებით წარმოებულ მედიაპოლიტიკის კონტექსტს. ზოგადად, ზურაბ გორგილაძის მაღლიან პოეზიას და ხალას შემოქმედებას, მის მამულიშვილურ შემართებას და იმედიან სიტყვას, გულიდან ამოხეთქილ რითმას და ირაოს კამარად შეკრულ პოეზიას ყოველთვის შეეძლო იმ სასწაულის მოხდენა, რასაც ქართული სიტყვის უძლეველობა ჰქვია! დიდი პოეტი ღმერთკაციაო, უთქვამთ. ღმერთკაცებს კი ყოველთვის სტკივათ ქვეყნის დიდი ტკივილები, სდით მშობლიური ხალხის ცრემლები და ქმნიან ეპოქალურ ჭეშმარიტებებს; დედა – აჭარის ისტორიული ხვედრის შუქ-ჩრდილები, გრძნეული სიტყვის ერთგულება, გულიან სტრიქონთან და გონიერ რითმასთან თანასწორი ჭიდილი, ქართული პოეზიის ხიბლითა და სილამაზით გაჯერებული წვა და აღმაფრენა-ასეთი იყო ბატონ ზურაბ გორგილაძის შემოქმედების მთავარი შტრიხი, რაც ყველაზე კარგად პოეტის ამ სიტყვებში ჩანს: „ერთ ძირ ვენახს სულ გირგავდი,/ კვლავ

დაგირგავ დღეს და ხვალაც,/ იდიდგულე! – რომ ამფერი/ აჭარელი გყავდი განა“ (გორგილაძე, 2011). რაც შეეხება გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ დაბეჭდილ დიდი პოეტის ლექსს „ხალხო“, შექმნილი სოციალური მდგომარეობის გამო პოეტი არა მხოლოდ დიდ წუხილს გამოხატავს, არამედ შფოთვასაც და სწორედ ეს განწყობაა, ილიას სიტყვებითვე, „ცხოვრების ძირიდან ლექად და ლაფად“ რომ ამოჰყოლია პოეტს: „ბარში რაცხა გლახა ხმები ჩამოდის/ ნუთუ, მართლა ისევ მოსაღამოვდი/ ნუთუ ქუდზე რჯულწამხდარი გამოდი /არ დამღუპო,- მშობლიურო ხალხო/ გაიხსენე, ბნელეთს როგორ შესწყერი /ახლა საით! -ის გეში და ალლო/ მიჯობს გულზე დამაჯოგრო მეწყერი/ არ დამთხარო თვალი, რითაც შეგცქერი/ ჩოლოქს გაღმა ნუ გამიშვებ შერცხვენილს თავმოჭრილს და ყელგამოჭრილს, ხალხო! (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №92, 1990). ახალი დროების საფიქრალის და ადამიანური სევდის ექოა ასევე, მამია ვარშანიძის ლექსიც „ფიქრები მამის საფლავთან“. „ბრძოლით გარდავალ წუთისოფლიდან/რაღაც იმედით გული მიჩქროლავს/და თითქოს ვარდით ვარ დაფარული/ ღმერთმა გვიცოცხლოს ჩვენი ერი და/ ღმერთმა გვიცოცხლოს ჩვენი მამული“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №90; 1990)-ასე სრულდება პოეტის (მ. ვარშანიძე) არსებული რეალობით გამოწვეული ემოციების ამსახველი სტრიქონები. ამ კონკრეტული მაგალითებიდან კი ცხადი ხდება, რომ მიუხედავად საკვლევ პერიოდის რეგიონული მედიასაშუალებების ნომენკლატურული ფორმატისა, ისინი მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ ლიტერატურულ და მხატვრულ ნარატივებს, თუმცა, არ სცილდებიან ქვეყანაში არსებულ ვითარებას. რეგიონული ბეჭდური მედიის წარმომადგენლები, XX საუკუნის 80-90 -იანი წლების ისტორიულ მონაკვეთში უკვე აქტიურად ცდილობენ გარკვეული ცვლილებები შეიტანონ მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკაში, თუმცა ჩვეულ პათოსს არ ან ვერ ღალატობენ და ანგარიშს უწევენ დადგენილ ნორმებს. მიუხედავად გაბატონებული იდეოლოგიური ჩარჩოებისა, ცალკეული პუბლიკაციების შეჯერებით გამოიკვეთა კონკრეტული პერიოდის ნარატივი, რომელიც ასახავს 9 აპრილის შემდეგ ახალი პოლიტიკური რეალობით ქვეყნის გამოფხიზლებას და განსხვავებული დღის წესრიგის აღქმას. ბეჭდური გამოცემების ფორმატირებული პოლიტიკითაც კი აშკარა ხდება გარკვეული კულტუროლოგიური თუ ლიტერატურული ასპექტების გამოკვეთის ტენდენცია, რასაც პერიოდული გამოცემები გაჰყავს მხოლოდ ინფორმაციული გამოცემების ჩარჩოებიდან; მედიატექსტის შექმნის

ხელოვნება კი როგორც ტექსტის ავტორის, ასევე მოცემული ეპოქის კულტუროლოგიურ მახასიათებლად გვევლინება.

თავი IV.

მედიაპოლიტიკის ასპექტებიდან ცნობიერების ტრანსფორმირების სტრატეგიებამდე

4.1. ტექსტის, დისკურსის, ჟანრის გაგება და მათი შინაარსობრივი ცვლილებები

როგორც ნაშრომში არაერთხელ აღვნიშნეთ, მხატვრული, პოეტური, ლიტერატურული შინაარსის ტექსტებსა და პუბლიკაციებში მედიაპოლიტიკის დისკურსი გაიგება, როგორც თავად საკომუნიკაციო პრაქტიკა - პროცესი და არა როგორც მისი პროდუქტი ან შედეგი. ხაზი გავუსვით იმასაც, რომ ტერმინი „დისკურსი“ მრავალ მნიშვნელობას ატარებს: დისკურსი, როგორც ფრაზათა ერთობლიობა, როგორც ორგანიზებულ წინადადებათა ერთობლიობა და როგორც გამონათქვამის შედეგი. დისკურსის „ტექსტის“ ან „გამონათქვამის“ უსიცოცხლო სინონიმად მიჩნევის (ბეილონი, 2002) პარალელურად, განვიხილეთ დისკურსის ჩვეულებრივ, ადამიანურ მეტყველებად (მაკაროვი, 2003) შეფასების მაგალითებიც: დისკურსი არის სოციალური ქმედება რეალური სამყაროს პირობებში, დისკურს-ანალიზი კი ემყარება მეტყველების ნებისმიერ ჟანრში რიტორიკულ და არგუმენტაციულ საფუძვლებს, დაწყებული პოლიტიკური დებატებიდან და დამთავრებული ყოველდღიური საუბრებით. დისკურს-ანალიზის მიზანია სპეციფიკური ინსტრუმენტებით და მეტყველების შესწავლით მოახდინოს ადამიანის გარე და შიდა სამყაროს არსებობისა და აზროვნების, ინდივიდუალურისა და სოციალურის ურთიერთქმედების შესახებ საკითხების მოგვარება. დისკურსი ასევე მოიცავს ისეთ კოგნიტიურ ფენომენებს, როგორიცაა: ცოდნა, რწმენა, წარმოდგენა, ფაქტი, სინამდვილე, შეცდომა, აზრი და შეფასება, პრობლემის გადაჭრის პროცესები, ლოგიკური აზროვნება და არგუმენტაცია. „როდესაც დისკურსის, როგორც პროცესის, შედეგზე ხდება კონცენტრირება, დღის წესრიგში შემოდის ტექსტი, როგორც კომუნიკაციის პროდუქტი“ (მილევსკაია, 2002). გამომდინარე აქედან, დისკურსი, შეგვიძლია მივიჩნიოთ დინამიკურ, ხოლო ტექსტი კი სტატიკურ მოცემულობად. გალპერინთან ტექსტი, როგორც სტატიკური ფორმა, ასოცირებულია

წერილობით მეტყველებასთან: ”ტექსტი არის შედეგი დასრულებული სახის სამეტყველო პროცესისა, რომელიც ობიექტივიზირებულია წერილობითი დოკუმენტის სახით და ლიტერატურულად არის დამუშავებული აღნიშნული დოკუმენტის ტიპის შესაბამისად, როგორც გარკვეული მიზნისა და პრაგმატული მიმართულების მქონე ნაწარმოები, რომელიც შედგება სათაურისგან და სხვადასხვა ტიპის ლექსიკური, გრამატიკული, ლოგიკური, სტილისტური კავშირებით გაერთიანებული განსაკუთრებული ე.წ. ზეფრაზული ერთეულებისგან“ (გალპერინი, 1981). აღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარე კი, შეგვიძლია კიდევ ერთხელ დავასკვნათ, რომ ტექსტი არის სტატიკური და დასრულებული მასალა და იგი სამართლიანად მიიჩნევა ჰუმანიტარული მეცნიერების ღერძად. მიხეილ ბახტინი ხაზს უსვამს ტექსტის მნიშვნელობას და განმარტავს: „ტექსტი ჰუმანიტარული დისციპლინის პირველადი (რეალური) მონაცემი და საწყისია. ფილოლოგიის, ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის და სხვა მეცნიერებების სფეროში მრავალმხრივი ცოდნისა და მეთოდების კონგლომერატი“ (ბახტინი,1986:485); „სადაც არ არის ტექსტი, იქ არ არის არც აზროვნების და არც კვლევის საგანი“ (ბახტინი, 1986:474). ჰეგელის, ფიხტესა და შელინგის მოძღვრებებით კი აზროვნება და „ცნობიერება საერთოდ“ აღარ არის უბრალო აღმრიცხველი მის გარეთ არსებული ფაქტებისა და ვითარებებისა, იგი აქტიური და შემოქმედი. ჰეგელმა აჩვენა, რომ „ადამიანი ცხოვრობს ობიექტური გონის, კულტურის, სამყაროში და რომ ეს უკანასკნელი თავისებურ სახეს აძლევს ადამიანს, კერძოდ, აპირობებს ადამიანის რაობის ისტორიულობას“(ჰეგელი,2017).

ნაშრომის კვლევის საგანი - მედიაპოლიტიკის კულტუროლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტები მოიცავს მედიატექსტების განხილვას, როგორც თავის თავში დასრულებულობის, ანუ წერილობით ფიქსირებულობის და დინამიკურობის პრეზენტირებას, აგრეთვე, მედიაშეტყობინებების გაცვლა-გამოცვლის საკომუნიკაციო მიზანმიმართულებას. მედიის სოციოდინამიკური თეორიის ავტორი, ფრანგი კულტუროლოგი ანტუან მოლი მედიის ფუნქციონირების თავისებურებებს განიხილავს კიბერნეტიკული მიდგომის კუთხითაც. მისი აზრით, სამყაროს შესახებ ადამიანების ცოდნა იქმნება არა განათლების და სხვა სისტემების მეშვეობით, არამედ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების საქმიანობის შედეგად. მედიის

წარმომადგენლები არიან შუამავალნი „შემოქმედებსა“ და მასას შორის, მაკროსა და მიკროს ფენებს შორის. ეს სოციალური ჯგუფი ორიენტირებულია გამოხატვის ფორმების შექმნაზე“ (მოლი, 1973). ანტუან მოლი ასახელებს რამდენიმე სახის „დოქტრინას“, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია გამოხატვის ფორმებით აუდიტორიაზე ზემოქმედება. ესენია: დემაგოგიური, დოგმატური, კულტუროლოგიური და დინამიკური დოქტრინები (მოლი, 1973). შერჩეული საკვლევი პერიოდის ბეჭდური მედიის დისკურსი ამ მიმართულებით საკმაოდ ცვალებად სურათს და აუდიტორიაზე ზემოქმედების დოქტრინების შესაბამის მრავალფეროვან მაგალითებს გვთავაზობს, მათი ანალიზი კი საინტერესო დასკვნების საშუალებას იძლევა. აქვე გამოვყოფდი ბახტინის კიდევ ერთ ფორმულირებას დოქტრინის სამოქმედო ველისა და შესაბამისი დისკურსის წარმოების შესახებ: „ფართო გაგებით ტექსტი არის ურთიერთკავშირში მყოფ ნიშანთა ნებისმიერი ერთობლიობა“ (ბახტინი, 1979), რითაც მეცნიერმა (ბახტინი) თავისი ნაშრომებით შემოგვთავაზა დაუშრეტელი გზები თეორიული აზროვნების ენაზე, ენის პრაქტიკაზე და ტექსტებზე, რომლებიც შემდეგ არა ერთი მკვლევრის ობიექტი გამხდარა. რადგან დისკურსი ინტერდისციპლინარული შესწავლის საგანია. თეორიული ლინგვისტიკის გარდა, დისკურსის კვლევასთან დაკავშირებულია ისეთი მეცნიერებები და სამეცნიერო მიმართულებები, როგორცაა კომპიუტერული ლინგვისტიკა, ხელოვნური ინტელექტი, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, სოციოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, თეოლოგია. 1952 წელს ზელინგ ჰარისის მიერ გამოქვეყნებულ ”დისკურსის ანალიზში“ (ჰარისი, 2001) საუბარი შეეხება ზეფრაზული ერთეულების მიმართ გამოყენებულ დისტრიბუციის მეთოდს. დისკურსის სხვადასხვაგვარი გაგების ტრადიციის ჩამოყალიბებამ გამოიწვია ტერმინის ”დისკურსი“ აზრობრივად ”ტექსტთან” დაახლოება. თუმცა, თუ ”დისკურსი“ ხაზს უსვამს ენობრივი ურთიერთობის დინამიკურ ხასიათს, ამის საპირისპიროდ, ტექსტი ძირითადად მიიჩნევა სტატიკურ ობიექტად; ზოგჯერ დისკურსი გაგებულია, როგორც ერთდროულად ორი კომპონენტის მომცველი: სოციალურ კონტექსტში არსებული ენობრივი ქმედების დინამიკური პროცესი და მისი შედეგი ანუ ტექსტი. ”ტექსტი არის შედეგი დასრულებული სახის სამეტყველო პროცესისა, რომელიც ობიექტივიზირებულია წერილობითი დოკუმენტის სახით და ლიტერა-ტურულად არის დამუშავებული

(აღნიშნული დოკუმენტის ტიპის შესაბამისად), როგორც გარკვეული მიზნისა და პრაგმატული მიმართულების მქონე ნაწარმოები, რომელიც შედგება სათაურისგან და სხვადასხვა ტიპის ლექსიკური, გრამატიკული, ლოგიკური, სტილისტური კავშირებით გაერთიანებული განსაკუთრებული ერთეულებისგან (ზეფრაზული ერთეულები)” (გალპერინი, 1981). რაც შეეხება მედიადისკურსს, რომელიც ასახავს ენისა და სხვა სემიოტიკური კოდების ფორმას და სტრუქტურას, იგი დღესდღეობით ძალიან აქტუალურია. საზოგადოებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მედიის ესოდენ მნიშვნელოვანი როლის გამო; მედიადისკურსი არის მუდმივი მსჯელობისა და განხილვის საგანი როგორც მეცნიერთა, ასევე ექსპერტებისა და თავად ჟურნალისტების მხრიდანაც. ცხადია, მედიის ენა განსაკუთრებული ფენომენია და ის დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებასა და საზოგადოებრივ დისკურსზე. ადამიანთა ნებისმიერი საქმიანობა, რაც უნდა მრავალფეროვანი იყოს იგი, დაკავშირებულია ენის გამოყენებასთან. ენის გამოყენება კი ხდება გარკვეული, კონკრეტული გამონათქვამების სახით (ზეპირი თუ წერილობით), რომლებიც ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროს ასახავენ. შეუძლებელია შევიმეცნოთ ადამიანი იმ ურთიერთობის მიღმა, რომელიც მას სხვასთან მიმართებით გააჩნია და საკმაოდ ხშირად, ჩვენ „თვალყურს ვადევნებთ და ვიჭერთ ჩვენი ცხოვრების ანარეკლებს სხვა ადამიანების თვალთახედვებში“ (ბახტინი, 1984). რადგანაც მიიჩნევა, რომ „ტექსტი – ეს არის “ენა მოქმედებაში“ (ჰალიდეი, 1970), თავად ენის ცოდნის ფაქტი გულისხმობს, რომ მეტყველმა პირმა იცის განსხვავება ტექსტსა და არატექსტს შორის – სიტყვებისა და წინადადებების ერთმანეთთან დაკავშირებას შორის. „ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეტყველი სუბიექტი ეყრდნობა არა სიტყვებისა და სტრუქტურების ცოდნას, არამედ იმ როლს, რომელსაც ენა ასრულებს მოცემულ სიტუაციაში“ (თევდორაძე 2011: 23). აღნიშნული არგუმენტების შედეგად, შეგვიძლია შევჯერდეთ მოსაზრებაზე, რომ ტექსტი მოიაზრება, როგორც ინფორმაციის გადაცემის, ასევე რეალობის ფრაგმენტების ასახვის საშუალება, როგორც არსებობის ფორმა და როგორც კულტურის ტრანსლაცია. ი. გალპერინი გამოყოფს ხუთ ფუნქციურ სტილს, რომელიც ტექსტის სხვადასხვა ტიპებს ახასიათებს:

- ✓ ბელეტრისტული სტილი - ესთეტიკურ-შემეცნებითი ფუნქცია;
- ✓ პუბლიცისტური სტილი - საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ფუნქცია;

- ✓ საგაზეთო სტილი - ინფორმაციული და შემფასებლური ფუნქცია;
- ✓ სამეცნიერო სტილი - მტკიცების ფუნქცია;
- ✓ ოფიციალურ-დოკუმენტური - ერთ საქმეში ორი მოპირისპირე ჯგუფისათვის პირობითად დადგენის ფუნქცია (ენუქიძე 2000:22).

ტექსტის კატეგორიების დადგენისას, გალპერინმა ასევე გამოყო ტექსტობრივი კატეგორიების ორი ჯგუფი: სემანტიკური და სტრუქტურული. მკვლევარი სემანტიკურ კატეგორიებს მიაკუთვნებს: „ინფორმაციულობას, სიღრმეს, პრაგმატიკას, დამთავრებულობას“ (გალპერინი, 1981), ხოლო სტრუქტურულ კატეგორიებად მიიჩნევს: „ინტეგრაციას, რეტროსპექციას, კონტინუუმს, განგრძობადობას“ (გალპერინი 1981:524). ქართველი მკვლევარი გურამ ლებანიძე კოჰერენტულობას მიიჩნევს ტექსტის ცენტრალურ კატეგორიად, რადგან ის ტექსტის ნიშნობრივ გაგებას ეფუძნება და ერთდროულად ეყრდნობა როგორც ტექსტის ფორმას, ასევე შინაარსს: „კოჰერენტულობა ტექსტის შინაარსს უკავშირდება, ხოლო კოჰეზია - მის ფორმას, მაგრამ უპირატესობა პირველ თვალსაზრისს ენიჭება, რომლის თანახმადაც კოჰერენტულობა სინთეზური კატეგორიაა“ (ლებანიძე 2004:298) და ბოლოს, ტექსტი არის ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის ნამდვილი შერწყმა და ამავდროულად, იგი არის კულტურის არსებობის ფორმაც. რაც შეეხება ტექსტის მიმართებას ჟანრობრივ მრავალფეროვნებასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის, დისკურსულ ანალიზში ძალზე ხშირად გამოიყენება ჟანრის ცნება. აღნიშნული ტერმინი თავიდან ლიტერატურათმცოდნეობაში გამოიყენებოდა ისეთი ნაწარმოებების განსასხვავებლად, როგორებიც არის, მაგ. ესე, ნოველა რომანი და ა.შ. ბახტინმა ტერმინი „ჟანრის“ უფრო ფართო გაგება შემოიტანა, რომელიც გასცდა ლიტერატურის ფარგლებს.

ჟანრის ცნება, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა პოეტიკასა (ლიტერატურული ჟანრები) და რიტორიკაში (ორატორული ჟანრები), ნაკლები ყურადღების ცენტრში იყო ლინგვისტიკასა და დისკურსის ანალიზში. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ბახტინმა შესძინა ჟანრის ცნებას აქტუალობა დისკურსში და მკაფიო ფუნქციით დატვირთა ანალიზის თეორიაში. „საუბრისას ჩვენ ყოველთვის დისკურსის ჟანრებს ვიყენებთ....პრაქტიკაში ჩვენ მათ დარწმუნებითა და მოხერხებით ვიყენებთ.... ეს დისკურსის ჟანრები ჩვენ თითქმის ისევე გვაქვს ბოძებული, როგორც ჩვენი მშობლიური

ენა... ჩვენი მეტყველება ისევეა დისკურსის ჟანრებით აგებული, როგორც ამას გრამატიკული ფორმები ახერხებენ“ (ბახტინი, 1984). ამრიგად, ბახტინის ნათქვამიდან გამომდინარე, ჩვენ აზრებს გამოვხატავთ ჟანრების საშუალებით, ისე რომ ამას ვერც ვგრძნობთ და გაცნობიერებულიც არ გვაქვს. დისკურსული ჟანრების ფლობისა და ცოდნის გარეშე უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა, ყოველგვარი კომუნიკაცია, რადგან ვერბალურ ინტერაქციაში მეტყველების ორგანიზება დისკურსული ჟანრებისა და, ამავდროულად, ენის სინტაქსური სტრუქტურების დახმარებით ხდება. ბახტინი აქვე გამოყოფს პირველად (მარტივ) და მეორად (რთულ) დისკურსის ჟანრებს: „დისკურსის პირველად ჟანრს მიეკუთვნება სპონტანური ვერბალური გაცვლები. ხოლო, დისკურსის მეორადი ჟანრები - რომანი, თეატრი, მეცნიერული დისკურსი - თავს იჩენს კულტურული (ძირითადად წერილობითი) გაცვლის გარემოებებში, როგორცაა მხატვრული, მეცნიერული, სოციო-პოლიტიკური, რომლებიც უფრო რთული და მეტად ღირებულნი არიან. შექმნის პროცესში ეს მეორადი ჟანრები შთანთქავენ და გარდაქმნიან პირველად ჟანრებს, რომლებიც, თავის მხრივ, სპონტანური, ვერბალური გაცვლის დროს შეიქმნა. პირველადი ჟანრები, ხდებიან რა მეორადი ჟანრების შემადგენელი ნაწილები, გარდაიქმნიებიან და განსაკუთრებულ მახასიათებლებს იძენენ“ (ბახტინი, 1984).

განსხვავებას დისკურსის პირველად და მეორად ჟანრებს შორის მეტად დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საჭიროა თავიდანვე გაირკვეს და განისაზღვროს გამონათქვამის ტიპი და ბუნება. ლინგვისტიკისა და ფილოლოგიისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გამონათქვამთა ჟანრების მრავალფეროვნებას და გამონათქვამის ბუნების შესწავლას- „ენა ცხოვრებაში იჭრება კონკრეტული გამონათქვამების საშუალებით (რომლებიც მას გამოხატავენ) და ცხოვრებაც ასევე, ამ კონკრეტული გამონათქვამების საშუალებით იჭრება ენაში“ (ბახტინი, 1986). რაც შეეხება სტილს, ბახტინის აზრით, იგი განუყოფელია გამონათქვამისა და დისკურსის ჟანრებისაგან : „იქ, რომელშიც არის სტილი, არის ჟანრიც ...სტილი უცილობლად დაკავშირებულია გამონათქვამთან და გამონათქვამის ტიპურ ფორმებთან, ანუ დისკურსის ჟანრებთან“ (ბახტინი, 1986). სამეტყველო ჟანრებთან დაკავშირებით კი ბახტინი აღნიშნავდა, რომ იგი წარმოადგენს „სამეტყველო ნაწარმოებების, ტექსტების ან გამონათქვამების ერთობლიობას, რომელსაც ერთი მხრივ გააჩნია სხვა ჟანრებისგან განმასხვავებელი

სპეციფიკური შტრიხები, მეორე მხრივ – გარკვეული საერთო მახასიათებლები, რაც განპირობებულია ჟანრების გარკვეული ჯგუფის ამა თუ იმ ფუნქციური სტილისადმი კუთვნილებით“ (ბახტინი, 1979:281). საყოფაცხოვრებო დიალოგი, მოთხრობა (ნარატივი), ინტერვიუ, რეპორტაჟი, მოხსენება, ლექსი, რომანი და ა.შ. ჟანრების ფილოლოგიური კლასიფიცირების მაგალითებია და ისინი თანაბარი დოზით გამოიყენება როგორც ლიტერატურათმცოდნეობაში, აგრეთვე სოციოლოგიასა და კომუნიკაციურ დისციპლინებში, მათ შორის, ყველაზე ბუნებრივად და მრავალსახოვანად ისინი გვხვდებიან ჟურნალისტიკაში, სადაც ჟანრებს საკმაოდ მყარი მახასიათებლები გააჩნიათ. ჟურნალისტური ფუნქციური სტილის ექსპრესიულ ლექსიკას ქმნიან კომპოზიციები, ჟარგონიზმები, ტერმინები და სატირის ენობრივი საშუალებები. ჟურნალისტური ტექსტისგან ადრესატი მოითხოვს ელასტიკურობას, ემოციურობას და ლაკონიურობას. ამასთანავე, ამგვარი ტექსტი უნდა იყოს მსუბუქად აღსაქმელი, რადგან მას სოციალური დანიშნულება აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტური ნაწარმოების თითოეულ სტილს და ქვესტილს აქვს ინფორმაციული, ანალიტიკური და მხატვრულ-პუბლიცისტური მიმართულება, უფრო ზუსტად კი-ჟანრები. არსებობს თუ არა მათ შორის განმასხვავებელი ნიშნები და რას წარმოადგენენ ისინი? როგორც რ. სურგულაძე წერს: „რაც შეეხება ჟანრებს, მიუხედავად მათი სპეციფიკისა, ისინი პრესის ინფორმაციულ და ანალიტიკურ ჟანრებთან მიმართებისას განსხვავებას არ ავლენენ“ (სურგულაძე, იბერი, 2004). ამ ფორმულირებას ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ, რომ იგივე ხდება მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრებთან მიმართებაში და მეორდება თვით ჟანრთა სახელწოდებებიც: ნარკვევი, ჩანახატი, ესე, პამფლეტი, ფელეტონი. მათი ენობრივი საშუალებები მდიდარია: იყენებს ჟარგონიზმებს, კომპოზიციებს, ნეოლოგიზმებს; განსაკუთრებულად ცხადად ეს ფელეტონის და პამფლეტის მაგალითებზე მოჩანს, როდესაც ეს ჟანრი იყენებს სატირას და მას მიმართავს საკუთარი ობიექტის მხილება-გამათრახებისკენ. პამფლეტის ჟანრის ინოვაციურობა თავისი წარმოშობითა და არსით პოსტმოდერნიზმს, როგორც კულტურულ პარადიგმას უკავშირდება. რაც შეეხება ფელეტონს, იგი როგორც ფუნქციური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, ყველა სხვა ჟანრზე მეტად გამოხატავს და განასახიერებს ჟურნალისტიკის პუბლიცისტურ არსს. ამ კუთხით ჩვენთვის საინტერესო იუმორისტული ჟანრის მასალებიც გახდა. კერძოდ,

საკვლევ პერიოდში გამოქვეყნებული ვლადიმერ გოგიას ლექსი-ფელეტონი - „მოყმე ვინმე საზღვრის პირსა“, რომელიც სარკაზმის ელემენტებითაა გაჯერებული და ზუსტად ასახავს საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში, თურქეთთან მიმოსვლის გააქტიურებასთან ერთად საზოგადოებაში წარმოჩენილ სტიქიური ვაჭრობის უკონტროლო სურვილებს; „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, მიმავალი საზღვრის პირას/ სკივრის ხელა ოთხი ჩანთა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა /შიდ ელაგა „დრელი“, „ფენი“, ათი ბურთი ფეხბურთისა,/ ხერხი „დრუჟბა ბეჭზე ედო, ჩვენი დროის ავთანდილსა/ მას ტანსა „ჯინსი“ ემოსა, ტუფლები „ადიდასისა“/ადიდასივე კოსტუმი იერს აძლევდა მძლავრისა- /გადამალული ქლიბები ჰქონდა უმსხოსი მკლავისა/მეზაჟეთ ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა...“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №112, 1990). ავტორს (ვ.გოგია) საბჭოური სისტემის რღვევის პროცესთან ერთად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თანამდევითავე თავისუფალი ვაჭრობის ფორმები აღიზიანებს და სირცხვილის გრძნობით ადავსებს, მით უფრო, აჭარაში, საიდანაც თურქეთის საზღვარზე გადამსვლელთა ყველაზე მეტი და „მრავალფეროვანი“ შემთხვევა ფიქსირდებოდა. ლექსის ავტორი შექმნილ ვითარებას დროებით მოვლენად მიიჩნევს და ფელეტონის პერსონაჟის მარგინალიზაციით, მისი კრიტიკის ქარცეცხლში გატარებით უქმნის მკითხველს ნეგატიურ დამოკიდებულებას თავისუფალი ვაჭრობის და „ხელის მოთბობის“ გზების მიმართ. გაივლის წლები, გავა დრო და საზოგადოება დარწმუნდება ამ შეფასების გადამეტებაში, რადგან ვაჭრობის, ეკონომიკის განვითარებით და ახალ დროებას მორგებული კოოპერაციული საქმიანობით გახდება შესაძლებელი თვითგადარჩენა. გიგანტური საბჭოთა ეკონომიკის გავლენების სფეროდან გამოსული დამოუკიდებელი საქართველო, პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოთაგან ერთ-ერთი პირველი გაივლის დემოკრატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების გზას. ამ პერიოდში ხომ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებმა სამმაგი ტრანზიცია გაიარეს: კოლონიალიზმიდან პოსტკოლონიალიზმზე (დეკოლონიზაცია); ტოტალიტარიანიზმიდან პოსტტოტალიტარიზმზე (დემოკრატიზაცია) და დაგეგმილიდან საბაზრო ეკონომიკაზე (ეკონომიკური ლიბერალიზაცია). ასევე განსხვავებულია ის გზები, რომლითაც ეს ტრანზიციის პროცესი თავს იჩენს ინტარეგიონულ დონეზე. როგორც ბრიტანელი სოციოლოგი, მაიკლ ბურავოი მოხსენებაში „პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის ანალიზი“ შენიშნავს,

თითოეული პოსტსაბჭოთა სახელმწიფო მიჰყვება „რამდენიმე ტრაექტორიას“ (<https://bit.ly/3uN5kLj>). ტრანზიციის ამ პროცესების გავლენებს შორის რეგიონული განსხვავებების გასაგებად აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ საერთო საბჭოთა მემკვიდრეობის მიუხედავად, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები წარმოადგენენ ძალზედ განსხვავებულ კულტურებს და ტრადიციებს, რაც კონტრასტშია მმართველობის წინა, საბჭოთა გამოცდილებასთან და ძლიერ განსხვავდებიან განვითარების დონეების მიხედვით (სმითი, 1999:6). ქართული ნაციონალიზმის რადიკალიზაცია გარკვეულწილად იყო რეაქცია პოსტსაბჭოთა ეკონომიკურ, პოლიტიკურ კრიზისზე და ქართული საზოგადოების დანაწევრება სოციალურ კლასებად ბუნებრივი კონფლიქტებს იწვევდა. განსახილველი პერიოდის რეგიონულ მედიაში გვხვდება შოთა როყვას კიდევ ერთი საინტერესო ლექსი-ფელეტონი „ბიუროკრატიული ნანა“, რომელშიც ავტორი (შ. როყვა) „მათემატიკური სიზუსტით“ აღწერს XX საუკუნის 80-იანი წლების „ოქროს ხანას“ და ბიუროკრატიული ოჯახის პრივილეგიებულ აკვანს, სადაც ყველა ჩინოვნიკის შვილს უზრუნველი ბავშვობა და „დამსახურებული“ ფუფუნება ჰქონდა გარანტირებული; დაბადებიდან მოწიფულ ასაკამდე მოგვარებული ყველა ყოფითი საკითხი თუ პრობლემა და ამ ყველაფერს საფუძვლად მხოლოდ ერთი ფაქტორი - ბიუროკრატიული მაგია განსაზღვრავდა. „აბა, შრომა რად გინდა, ან ქარხანა ან ყანა/შენისთანებისათვის გაჩენილა ქვეყანა“(ჟრნ. „ჭოროხი“, №3, 1991) - ამ სიტყვებით აღწერს ავტორი დრომოჭმული საბჭოური ყოფის „ხიზლს“ და მკითხველს კიდევ ერთხელ არწმუნებს მოძველებული სისტემის შეცვლის აუცილებლობაში. შოთა როყვას მორიგი ლექსი - ფელეტონი „მე თურქეთში მივდივარ“ - ასევე გვაჩვენებს სარკაზმულ განწყობას: „აჩუ, აჩუ, ჩემო ცხენო, იქით უნდა გაგაქენო,/ განა, მართლა პატარა ვარ,/ ხომ იცი, რომ დიდი ვარ/ მიმაქვს თოფი, მიმაქვს „დრელი“/ხერხი, ჩვენი თავის მჭრელი/ჩითი-ჩუთა მიმაქვს ჭრელი/ და თურქეთში მივდივარ/ აქეთ მომაქვს „კურტკა“, ქურქი/გავაკვირვე ყველა თურქი /ქვეყნისათვის მეტად ურგი“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №93, 1990) და სატირული ლექსი „მარადონა ლანჩხუთში“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №115, 1990), რომლითაც ავტორი, შოთა როყვა ირონიულად გადმოგვცემს ქართულ ბაქი-ბუქობას და ამპარტავნულ ხასიათს: „იაუაო, იაუაო, აწი ჩვენთან მარადონაც კი ჩამუაო“.

ქანრების და ზოგადად, დისკურსის თავისებურებების ეს ვრცელი მიმოხილვა არ მოგვიყვანია შემთხვევით საკვლევ პერიოდის და მოცემული თემის განსახილველად. თითოეული განმარტება თუ ჰიპოთეზა, რომელიც ცნობილ მეცნიერთა გამონათქვამებიდან მივიღეთ, 1980-1990-იანი წლების პერიოდულ პრესაში განთავსებულ სხვადასხვა ტიპის ჟურნალისტურ მასალას მივუსადაგე. მით უფრო, რომ აღნიშნულ პერიოდში რეგიონული ბეჭდური მედია ცდილობს ყურადღება მიაქციოს ქანრობრივ მრავალფეროვნებას და მიუხედავად ოფიციალურ თანხმობის ისტორიულად განსაზღვრული ვალდებულებებისა, სატირულ-იუმორისტული მასალების გარდა, ასევე წარმოგვიდგენს არაერთ შემოქმედებით ნაშრომს, საინტერესო ვარიაციებს, იმპროვიზებულ მოსაზრებებსა და ლიტერატურულ-მხატვრულ პარალელებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საგაზეთო რუბრიკა „წიგნის თარო“, რომელიც გვთავაზობს ზაურ ფირცხალაიშვილის სტატიას „აჭარის მხატვრული ისტორია“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 84,1990) - ემენ დავითაძის წიგნის „სოფლის აღმაშენებლის“ გამოცემასთან დაკავშირებით. ავტორი (ზ. ფირცხალაიშვილი) მასალის დასაწყისშივე გვეუბნება, რომ “ამ წიგნში ამომწურავ პასუხს იპოვით აჭარაზე, ძველი დროიდან მე-17 საუკუნემდე. ეს არის აჭარის ისტორია მხატვრული სიტყვით დაწერილი, წიგნს არც მეცნიერული მასალები და დასაბუთებულობა აკლია. ფიქვნარ-ქობულეთის პირველი ბერძენი მოახალშენეები, რაც აჭარულ ელინისტური პერიოდის არგონავტების მითის თანატოლი თუ მასზე უხუცესი გონიო-ავსაროსის კომპლექსის, ბათუმის ციხის, პეტრა-ციხისძირის, ანუ ქაჯეთის ციხის მხატვრული თავგადასავალი, ცადაზიდული ელიას ციხის, თუ ხიხანის სწორუპოვარი ციტადელის სევდიან-ომახიანი წარსული, ოსმალთა წინააღმდეგ აჭარის ბრძოლა, თუ სელიმ ხიმშიაშვილის მოკვეთილი თავი ...“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №84, 1990) - აი, ყოველივე ის, რითაც გამოარჩევს კრიტიკოსი (ზ. ფირცხალაიშვილი) ნაწარმოებს. აქვე დასძენს, რომ წიგნის ბოლო თავი: „სიბრძნის ყულაბა“ და „ჯადოსნური სკივრი“ აჭარის მკვიდრი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენების მიკროანთოლოგიაა“ და გვთავაზობს ბოლოსიტყვაობას, რომელიც თავდაპირველად, ზარმაცი ყმის ამბავზე აგებულ ერთ არაკს გვიყვება - საკუთარი თავისთვის წყლის მოტანა რომ ეზარება და ბატონის ყველა ახირებას უსიტყვოდ ასრულებს, მანამ, სანამ ერთ დღეს ბატონი თავისთვის არ მოატანინებს წყალს (რაკი

დაინახავს, რომ ყმა სიზმარში გაიძახდა „მწყურია, მწყურია“) და შემდეგ უბრძანებს - „დაჯექ ახლა შე უგუნურო და დალიეო“. ამ არაკს თავად წიგნის ავტორი ემენ დავითაძე შემდეგნაირად განმარტავს: „ბავშვობიდან ოცნებად მქონდა მცოდნოდა აჭარა, მისი სევდიან-ომახიანი, ცრემლიან-მარილიანი ისტორია და თავგადასავალი, მაგრამ არა და არ ამიხდა ნატვრა, ერთი უბრალო მიზეზის გამო, არავინ მიიცალა ამგვარი წიგნის დასაწერად, არავინ ჰქნა ეს საქმე. ჰოდა, ასე მოვედი აგერ თითქმის ჩემს შუახნობამდე. (...) ამბობენ, სიბერე ბავშვობას ჰგავსო, ამიტომ ბავშვობის სინანული სიბერეშიც რომ არ გადამყოლოდა, ავდექ და თითონ დავწერე ასეთი წიგნი, რომ მერე დავმჯდარიყავ და თითონ წამეკითხა... იქნებ, ვინმეს კიდევ გასჩენია აჭარის ახლოს გაცნობის სურვილი? თუ გასჩენია, ვიდრე რამ უკეთესი დაიწერებოდეს, მცირე სამსახური იქნება ამ წიგნმა გაგიწიოთ. ბატონი მამული იყოს, ყმა მსახურები კი ჩვენ!. ამბავი საკითხავად რომ ადვილი ყოფილიყო, მხატვრული კილო ვარჩიე, ხოლო თვალკეთილობისთვის ფოტოებიც დავურთე, სამი დამოუკიდებელი წიგნი გამოვა... თუ ეს პირველი მოგეწონოთ, შემდგომი ორიც თქვენი მსახური იყოს“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №84, 1990). ვფიქრობ, აჭარის ისტორიის ასეთი მაღალი მხატვრული ხერხებით და მეთოდებით გადმოცემა ახალი მიმდინარეობაა იმდროინდელ მწერლობაში და ემენ დავითაძეც, აჭარის პროზაულ სივრცეში სრულიად ახალ სტანდარტს ამკვიდრებს. წიგნის რეცენზიის პრეტენზიის მქონე საგაზეთო სტატია კი საუცხოოდ გადმოსცემს ნაშრომის მთავარ სათქმელს.

კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც საკვლევი პერიოდის რეგიონულ ბეჭდურ მედიაში, კერძოდ, ლიტერატურულ ჟურნალში „ჭოროხი“ გვხვდება, თურქი ავტორის ისმაილ ქარას მშობლიურ მემლექეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებები და სახელდახელოდ დაწერილი წიგნია. ნაწარმოებში - „სადაც ჭოროხი მთავრდება“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №3-4, 1991)- თავდაპირველად, ავტორის მონათხრობს ვეცნობით: „დიდ მემლექეთში სტუმრობისას შემდგარ ყველა შეხვედრათა შორის ერთი ყველაზე საპატიო, ყველაზე საინტერესო და საპასუხისმგებლო იყო ჩემი შეხვედრა ქართველ მწერლებთან ბათუმში, მწერლის სახლში“. მიმოხილვიდან ვიგებთ, რომ ავტორი (ი.ქარა-შავიშვილი) პირადად შეხვედრია აჭარის ლიტერატურული კოჰორტის წარმომადგენლებს: ფრიდონ ხალვაშს, მამია ვარშანიძეს, ალექსანდრე ჩხაიძეს, ჯემალ ჯაყელს, ჯემალ ქათამაძეს, ქსენია

მკავიას, შოთა ზოიძეს, ალექსანდრე სამსონიას, შუმანა ფუტკარაძეს. ამ შეხვედრაზე წიგნის ავტორს ქალბატონი შუმანასადმი მოკრძალებული საყვედურიც გაუხმოვანებია - „თურქეთის დიდ ქალაქებში სტუმრობამდე ტაო-კლარჯეთის ქართულ სოფლებს უნდა ესტუმროთ, რასაც ქართული სულის გაღვივება და ხელმეორედ აღორძინების ფასი ექნება“-ო (ჟრნ. „ჭოროხი“, №3, 1991). ავტორი (ი.ქარა) თურქეთის ქართული სოფლების რეალობასაც აღწერს: „ჩვენებურები იქაც ბევრი არიან, ენა და იმედი იმათაც უნდათ. ისტორიულ შავშეთ-იმერთხევის სოფლები იცლება, მხოლოდ მოხუცებიდაა, ვინძლო, ქართველი მწერლების მისვლამ ახალგაზრდებს თვალი აუხილოს და შეაგნებინოს, რომ ყველაფერი თავის რჩენასა და საშოვარზე არ იწონება“(ჟრნ. „ჭოროხი“, №3, 1991). აღნიშნულ ტექსტს მაშინდელ საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის მართლაც დიდი ძალა ექნებოდა, რადგან მეზობელ ქვეყანასთან აჭარის რეგიონის განსაკუთრებული ბმა და ისტორიული კავშირების აღდგენა უპირველესად, ადამიანური, ნათესაური ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად გაღრმავებაში უნდა ასახულიყო. ჟურნალ „ჭოროხის“ ამავე ნომერში კი უკვე ისმაილ ქარასთან სატელევიზიო ინტერვიუს ჩანაწერს და ემენ დავითაძის მოდერაციით წარმართულ დიალოგს (სტენოგრაფიული სახით) ვეცნობით. ინტერვიუს მიზანი თურქეთის მოქალაქის ისმაილ ქარას (ქართული გვარი-შავიშვილი) წიგნის „ჭოროხის უღელტეხილი“ მიმოხილვაა, რომელიც იმერხეველი ერთი ღარიბი ქართველი კაცის ცხოვრებას ასახავს. „მისი ავტორი კალმითაც ისევ სამშობლო მხარეს, ისევ ქართველს დასტრიალებს, აკი ამაზე მიანიშნებს წიგნის სათაურიც „მაჭახლის უღელტეხილი“. ავტორის არაკეთილისმოსურნეები ამბობენ, ისმაილს ამ წიგნის ამა და ამ გვერდზე დიდი მემლექეთის ძაგება აქვსო, ის კი ვერ გაუგიათ, რომ ნაწარმოები დოკუმენტურ მასალაზე აქვს დაწერილი და გმირებს შეულამაზებლად ამეტყველებს. უფრო სწორად, იმას ათქმევინებს, რასაც ისინი ფიქრობდნენ მაშინ საბჭოეთზე“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №3, 1991) ...“წიგნში ზოგი რამ საბჭოურის ძაგებაც თუ არის, ეს დიდი მემლექეთის გინებას როდი ნიშნავს. განა თითონ დიდ მემლექეთში მცხოვრებთ მოსწონთ ყველაფერი რაც საბჭოეთიდან მათ სჭირთ? ზოგი ამგვარ რამეზე ჩუმად ფიქრობს, უფრო გაბედულები ხმამაღლაც ამბობენ, ჰოდა ასეთი ხმამაღალი ნათქვამია წიგნი „ჭოროხის უღელტეხილი“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №3, 1991). „სადაც საბჭოეთის კრიტიკა და ძაგება“ - ამ სიტყვებით სატელევიზიო ინტერვიუს რესპონდენტი (ი.ქარა-

შავიშვილი) კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ წიგნში („ჭოროხის უღელტეხილი“) ასახული რეალობა საქართველოში მოგზაურობისას ნანახი ადამიანების განწყობას ეყრდნობა და მათ სუბიექტურ მოსაზრებებს ავტორი (ი.ქარა) თავის ნათქვამად ვერაფრით მიიჩნევს. თურქი ავტორი ცდილობს თავის ნაწარმოებში არ გამოკვეთოს ნარატივი, რომელიც საბჭოთა კავშირში ქართველების იძულებით ყოფნას განამტკიცებს და აქცენტს ისტორიულ მიწა-წყალზე მცხოვრები ადამიანების საუკუნოვან განშორებასთან დაკავშირებულ ემოციებზე აკეთებს: „იქ რომ ჩვენი ხალხი ცხოვრობს ქართული ენის გარდა ქართულ წესებსაც ინახავს, ქართულ სიტყვას, ქართულ ამბავს, ერთმანეთს უყვებიან უნახავენ თქმულებებს, ლეგენდებს ქართულად, ქართულ ენაზე“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №4, 1991). და კიდევ ერთი საოცარი წინადადება სატელევიზიო ინტერვიუდან: „ჭოროხი ჩქარა მოდისო..რატომ იტყვიან ამას? ჭოროხი იმიტომ მიდის ჩქარა, რომ მასში ჩვენი სულია, ჩვენს სულს კიდევ გურჯისტანში ჩქარა უნდა ჩასვლა და იქაური ძმების მონახულება, იმიტომ მიდის ჭოროხი ჩქარა რომ ჩვენი სულებიც წაიყოლოსო“ - ასეთი თქმულებები ბევრია ჩვენში, გადაწყვეტილი მაქვს ყველა ცალკე ჩავწერო და მერე ცალკე წიგნად გამოვცე იქა, თუ ვერ მოვესწარ და ვერ დავბეჭდე, აქ გამოვგზავნი და ჩემი გურჯისტანი, ჩემი დიდი მემლექეთი ეპატრონება“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №3; 1991). ამ გულწრფელი ემოციით წიგნის ავტორი (ი.ქარა-შავიშვილი) კარგად ახერხებს არა მხოლოდ სატელევიზიო ინტერვიუს მაყურებლის და მსმენელის გულის მოგებას, არამედ სამუდამო კვალს ტოვებს დიდი მემლექეთის მონატრებული ძმების და დების გულებში, რომლებისთვისაც ყველა ახალი ამბავი და ნაბიჯი ძალიან ძვირფასია ქართულ-თურქული ურთიერთობების ახალ ფორმატში გადასვლის გზაზე.

საკვლევი პერიოდის რეგიონული მედიის საგაზეთო პუბლიკაციებში გვხვდება კიდევ ერთი წიგნის, „ემრულას“ განხილვა. ვ. ხიმშიაშვილის მოკლე საინფორმაციო მასალა რამაზ სურმანიძის წიგნის „ემრულას“ შესახებ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №71, 1990) ვრცლად აღწერს, თუ ვინ და რა ჩინის წარმომადგენლები ესწრებოდნენ ამ ღონისძიებას და მხოლოდ ორიოდ სიტყვით ეხება წიგნის თემატიკას- ემრულა მაღაყმადის ბრძოლას თავისუფლებისთვის. „აღინიშნა, რომ ამ მხატვრულ-დოკუმენტურ მოთხრობაში, ისტორიულ წყაროებსა და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული სამხრეთ

საქართველოს უბედურება, ცხადად არის წარმოჩენილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი გამოჩენილი სახალხო გმირის იმერხვეელი ემრულა მალაყმადის თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისთვის“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №71, 1990). ...“დასასრულს, სიტყვით გამოვიდა რამაზ სურმანიძე, მან მადლობა გადაიხადა წიგნის განხილვისათვის, ისაუბრა ნაწარმოების შექმნის ცალკეულ მომენტებზე და უპასუხა შეკითხვებს“ - აბსოლუტურად საბჭოური სტანდარტის ინფორმაცია, დაცლილი შინაარსისგან, თითქოს მხოლოდ კადრის ჩვენების ეფექტით შემოიფარგლება და რჩება შთაბეჭდილება, რომ ღონისძიების ორგანიზატორების დასახელებაა ამ დღის, ამ წიგნის და მისი ავტორის მთავარი სათქმელი. ასეთივე სტილითაა წარმოდგენილი კიდევ ერთი ინფორმაცია ქვეყნის კულტურული ცხოვრებიდან, კერძოდ - მასალა „აკადემიური სცენა-მოყვარულებს“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №75, 1990) საიდანაც ვიგებთ მხოლოდ იმას, რომ კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრში მიიწვიეს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მოყვარული მსახიობები თვითმოქმედი კოლექტივიდან, რომელიც უკვე 10 წელია არსებობს და რომელსაც ერთი წლის წინათ, სახალხო თეატრის სტატუსი მიენიჭა. აკადემიურ სცენაზე აჩვენეს ნოდარ წულეისკირის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „მსხვერპლი“; კოლექტივი აგრძელებს ახალ სპექტაკლებზე მუშაობას; იგეგმება სპექტაკლის დადგმა ფიროსმანზე, უკვე განახორციელეს ლაშა თაბუკაშვილის „ძველი ვალსი“ და „გვიან თენდება, დედა“. აქ სრულდება ინფორმაცია და რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მასალის ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში უკვე ახალი დროების განწყობა სუფევს, მაინც საბჭოური პათოსით ცდილობს შეახსენოს მკითხველს, თუ როგორი ღიაა ხელოვნებისთვის ყველა კარი და დარბაზი, როგორი საამურია შრომა და როგორ ფასდება მშრომელების შემოქმედებითი უნარები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსახილველი პერიოდის ბეჭდური მედიის ფურცლებზე 1989 წლიდან დაიწყო ღირსშესანიშნავი თარიღების, ახალი კალენდრის წარმოება, ახალი დღესასწაულების მიმოხილვა. განვიხილავ რამდენიმე მათგანს: აპრილის თემას ეხმაურება საგაზეთო რუბრიკა „ხალხური კალენდარი“ , ნ. კახიძის სტატიით „აპრილი“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №70, 1990) - სადაც ვკითხულობთ, რომ „თვეთა გაბაასების რეპერტუარში აპრილს, როგორც ბუნების განახლების თვეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.“ თვეების სიმღერის მიხედვით, მათი

ერთმანეთთან ქიშპობის სტრიქონები ვრცელდებოდა ხალხური გამოთქმების საშუალებით. განსაკუთრებით საინტერესოა ხალხური თქმულება წყლის კაცის შესახებ-ლეგენდის თანახმად, თითქოს აპრილის პირველ ორშაბათს ამოდის ნაპირზე წყლის კაცი, ქვაზე ჯდება და თმას ივარცხნის. თუ ამ დღეს მზიანი ამინდი იქნა და ეს კაცი გათბა, მთელი წელი მზიანი და ბარაქიანი მოსავალი იქნება“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №70, 1990). აპრილზე მსჯელობისას, გამონაკლისის სახით განიხილება 9 აპრილის ფაქტორი და აგრეთვე, მაღალმთიანი აჭარის ტრაგედია. ამ თითქოსდა თქმულებებზე აგებულ სტატიას ავტორი (ნ. კახიძე) იდეოლოგიური სენტიმენტებით და ოპტიმისტური პათოსით ასრულებს: „ნურასოდეს გამეორებულიყოს აპრილის თვის საშინელებანი! დაე, ყოველთვის სიხარულისა და ბედნიერების მაცნე ყოფილიყოს იგი“ „აპრილი“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №70, 1990). ნოდარ კახიძის მორიგი თვის, მაისის დახასიათებას ვეცნობით რუბრიკაში „ქართული ხალხური კალენდარი“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №82; 1990) და ვიგებთ, რომ სახელწოდება - მაისი ბუნების რომაულ ღმერთს მაიას უკავშირდება. ატლანტისა და პლეიონეს ასულის მითოლოგიზირება და მისი სახელის გაზაფხულის ბოლო თვისთვის დარქმევა თითქოს სიმბოლურიცაა. ლიტერატურული ნაწარმოებებიდან მაისი პირველად ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, ცურტაველის „შუმანიკის წამებაში“ გვხვდება: „დაკუალად ტანჯვაი ვარდობისა, თუესა ათცხრამეტსა“, „ეს თუე არს ვარდობისაი მაისი“ (ინგოროყვა,1924) და აქვე ვეცნობით აკადემიკოს კ. კეკელიძის განმარტებას - „ვარდობისაი წმინდა ქართული სახელია“, რომელიც აღნიშნავს ვარდის ან ზოგადად, ყვავილის გაშლის სეზონს“ (კეკელიძე,1923). მკვლევარი აგრეთვე მიუთითებდა ებრაული კალენდრის მეორე თვეზე, რომელიც ამავე სეზონზე მოდიოდა და ეწოდებოდა ზაიფ, რაც იმავე ყვავილთა თვის აღმნიშვნელია და ასევე, „პეტრეპავლობის მარხვას ქართველნი ვარდობად უწოდენ“(კეკელიძე, 1923). სხვადასხვა ისტორიასთან ერთად, 1 მაისი მშრომელთა საერთაშორისო დღეა, 7 მაისი რადიოს დღე და 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღე, 18 მაისი კი -მუზეუმების და ამ ჩამონათვალს ავტორი (ნ.კახიძე) ასე ასრულებს: „26 მაისი განსაკუთრებით ძვირფასია საქართველოსთვის, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღიდგინა საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობა და იგი დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა. 26 მაისის პოლიტიკური და ისტორიული

მნიშვნელობა დიდია, რადგან უკვე მეორედ აღნიშნავს საქართველო ამ დიდი თარიღს- „ქართველი ხალხი იბრძვის დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის. „დაე, ახალი ეროვნულ-პოლიტიკური წარმატებები მოუტანოს წლევეანდელმა და მომდევნო წლების მაისმა ყვავილობის და ვარდობის თვემ“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №82; 1990).

აღნიშნული პერიოდის მედიასაშუალებები სამოგზაურო ჟანრსაც მიმართავენ. იშვიათად, მაგრამ უკვე გვხვდება გლობალიზაციის შტრიხებით გაჯერებული პუბლიცისტური ნააზრევი, რომლებსაც ხან საინფორმაციო შენიშვნის ანუ ახალი ამბის სახე აქვს, ხანაც - მოგზაურობის ამსახველი ნახევრად ბელეტრისტული და ამდენივე დოზით სარეკლამო ხასიათი. აშკარად იკვეთება ახალი ტენდენციებიც, კერძოდ - პრაგმატული საერთაშორისო ურთიერთობების ყოფით კონტექსტებში გადატანის მცდელობები. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი: ნუგზარ ჯაფარიძის სტატია „სადილი ესპანეთის დედოფალთან“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №76, 1990) ასახავს ბერლინის კედლის ნგრევის შემდგომ აჭარელი ჟურნალისტის ევროპულ ქვეყნებში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. წესრიგის, სისტემურობის, კონკრეტული მუხტის ადამიანების სიმრავლით გამორჩეულ პოლონეთსა და გერმანიაში უამრავი საგულისხმო დეტალით მოხიბლულ ავტორს (ნ.ჯაფარიძე) არ ავიწყდება მოგვითხროს შთაბეჭდილებები ვარშავასთან ახლოს, 200 კმ. მდებარე ქალაქ ჩესტოხოვაში მდებარე სასტუმროდან, ყოფილი პარტიის საოლქო კომიტეტის შენობიდან: გრძელი დერეფნები, იდუმალეზა, საბჭოური კაბინეტები, დარბაზები ძლიერთა ამა ქვეყნის წარმომადგენლებისთვის, საბჭოთა ნომენკლატურული სივრცის ნაშთები, რომლის ნახვის შემდეგ ავტორი (ნ. ჯაფარიძე) დასძენს, რომ თავი შინ ჰგონია, რაშიც მისი სარკაზმი ვლინდება. პოლონეთი, საბაზრო ეკონომიკაზე გადასული ქვეყნის ამპლუაში, საკუთარ მოქალაქეებს თავისუფალი ვაჭრობის უსაზღვრო შესაძლებლობებს სთავაზობს და ისინიც თავს არ ზოგავენ, რომ სწორედ ვაჭრობის სტიქიური ფორმებით დაიმკვიდრონ თავი საბაზრო ეკონომიკისა და კაპიტალისტური ურთიერთობების პირობებში. გარდა ამ „უცნაურობისა“ ავტორი გვიზიარებს ჩესტოხოვაში მდებარე ყველა პოლონელის სალოცავის -იასნაია გორას მონასტრის ისტორიას, რომელიც ზუსტად 608 წლისაა და მასში ასვენია ღვთისმშობლის I-II საუკუნის სასწაულმოქმედი ხატი, მისი სახე წმინდა სემიტურია. ერთგან, ამბიონთან ახლოს მკერდზე სამაგრი ქართული დროშაც

აღმოაჩინეს, უამრავ ნივთსა და ყვავილს შორის, უფრო მეტიც, აქ 1989 წლის აპრილის პირველ კვირას თბილისელმა ქალმა თეთრი მძივი შესწირა მონასტერსო, - ავტორს უყვება პანი რეგინა და კითხულობს: ნეტავ სად არის ახლა, მასაც ხომ არ უწია სიკვდილმა მთავრობის სახლთან? „ვლოცულობთ საქართველოსთვისო“- ამბობს რეგინა, - ავტორი კი აგრძელებს თხრობას, რომლითაც ვიგებთ, რომ მაშინდელ პერიოდში, წინდახედული გერმანელები მაისიდან სექტემბრამდე წყვეტდნენ საბჭოთა ტურისტების შეშვებას, რადგან ამ დროს კაპიტალისტური წყობის სამყარო (კაპიტალისტური ქვეყნების დელეგაციები) სტუმრობს ქვეყანას და ავტორი (ნ.ჯაფარიძე) ისევ სარკაზმით დასძენს: „კიდევ კარგი, თორემ ავტომატური კიოსკებიც კი მწყობრიდან გამოვა იმ სასტუმროებში სადაც ქართველებს შეგვიშვებენ“... „პარტიული ბელადების ძეგლები პოლონეთში კარგა ხანია აღებულია, განმათავისუფლებელი ჯარისკაცები მონუმენტებზე მუხის რტოებით დგანან, მაღალი ძეგლებია, ვერ შეწვდები, სამაგიეროდ, პოსტამენტებია აჭრელებული სიტყვებით, რომლებსაც, მაღლობა ღმერთს, ენის არცოდნის გამო, ვერ მიხვდები“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №76, 1990) - შენიშნავს ავტორი (ნ.ჯაფარიძე) და მკითხველს უყვება, რომ კონკრეტული ფირმა, რომელმაც უზრუნველყო ეს რეისი, ახალდაფუძნებულია, მაგრამ ქველმოქმედებასაც ეწევა და კარგი რეკლამირების შემთხვევაში „ესპანეთის კვერცხისგულისფერი ანუ რქიანი ესპანეთის დედოფალი რა ყოფილა, თავად დიდი ბრიტანეთის სამეფო სახლი გვეწვევა საქართველოში, და იმათი „როლს-როისის“ ქიმზე ორი დროშა იფრიალებს, ბრიტანული და ქართული ეროვნული. ნეტა, იმ დღეს!“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №76, 1990). ასე ამთავრებს ავტორი(ნ. ჯაფარიძე) ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებს სტატიაში „ვარშავა-ბერლინი-ბათუმი 1990“ და მკითხველს ბევრ ახალ ინფორმაციასთან, მინიშნებასთან ერთად, პოზიტიურ სამომავლო ინტრიგასაც უტოვებს.

მარინა მითაიშვილის მიერ მომზადებულ მასალაში „სტუმრები ბლაგოევგრადიდან“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №80; 1990) კი ვეცნობით ინფორმაციას, რომ „აზრთა გაზიარებისა და თანამშრომლობის კეთილი სურვილით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს ბლაგოევგრადის (ბულგარეთი) უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორები და დეკანი ეწვივნენ. შედგა გაფართოებული შეხვედრა. სტუმრებმა ისაუბრეს ბლაგოევგრადის ინსტიტუტის რეფორმებზე, იმაზე, რომ ინსტიტუტმა უკვე უარი თქვა სწავლების იდეოლოგიზაციაზე და აქ მეცნიერული

კომუნიზმის ნაცვლად ისწავლება პოლიტოლოგია; ახალი ფილოსოფია- იდეოლოგიური ზეგავლენის გარეშე; აბიტურიენტი შესაბამის სპეციალობის მიხედვით ახარებს მხოლოდ ერთ გამოცდას. საუბრისას შეეხნენ სწავლების ფორმებს, სტუდენტისა და ლექტორის ურთიერთობას. სტუმრებმა დაათვალიერეს ინსტიტუტის აუდიტორიები, კაბინეტები და გაეცნენ მუშაობის სისტემას, სადაც ყველაფერი ისევ ძველებურად მიმდინარეობს, რადგანაც უძრაობის პერიოდთან შედარებით აქ ბევრი არაფერი შეცვლილა“ (გაზ.,საბჭოთა აჭარა“, №80; 1990). ავტორის ამ მინიშნებით ცხადი ხდება, რომ საზოგადოება დროის შესაბამის ცვლილებებს მოითხოვდა ცხოვრების ყველა სფეროში და მწვავედ განიცდიდა რეგიონის რეალობაში მდორედ მიმდინარე პროცესებს. ამ მოცემულობას, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა რეგიონული პრესა, რადგან უკვე ახლოს იყო ის ეტაპი, როდესაც მედიაპოლიტიკა სამოქალაქო აქტივიზმის, პატრიოტული განწყობების და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში მთავარი აქტორი გახდებოდა.

4.2. მედიატექსტის არქიტექტურა სტრატეგიული კომუნიკაციების კონტექსტში

დისკურსის განმარტებების და თეორიების მიმოხილვის პარალელურად, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა დისკურსი შეიცავს ორაზროვნების მომენტს, რის გასაფანტავადაც აუცილებელია მკითხველის მხრიდან ყურადღების კონცენტრაცია და ამასთანავე, საჭიროა ტექსტის და კონტექსტის მიღმა, ინტერაქციაში მყოფ პირს ჰქონდეს ენციკლოპედიური ცოდნაც, რაც ორაზროვნების არაერთგვაროვანი გავლენისადმი გამძლეობას განაპირობებს. ჟანრების ფილოლოგიური კლასიფიცირებიდან გამომდინარე, დგინდება მათი შინაარსობრივი თავისებურებებიც, რაც ძირითადად, საგაზეთო ჟანრების მრავალფეროვნებით გამოიხატება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პუბლიკაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ გაზეთის სტილზე. ჯერ კიდევ საბჭოთა ენათმეცნიერება ცნობდა მასობრივი მედიასაშუალებების პუბლიცისტური მიმართულების პრიორიტეტულობას: „პუბლიცისტური სტილი (იდეოლოგიურ-პოლიტიკური), მეტყველების ისეთი ფუნქციური სახესხვაობაა, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის ფართო სფეროს ემსახურება: პოლიტიკურ-იდეოლოგიურს, საზოგადოებრივ-ეკონომიკურს, კულტურულს, სპორტულს და სხვა.

მის გავრცელებას ხელს უწყობს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი-პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო. პუბლიცისტური სტილი უფრო სრულად ვლინდება გაზეთებსა და პოლიტიკურ ჟურნალებში, რის გამოც მას საგაზეთო ან საჟურნალო პუბლიცისტიკასაც უწოდებენ“ (ვინოგრადოვი,1952). აღნიშნულ ფორმულირებას ქართული მედიის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ნოდარ ტაბიძე ასე ეხმიანებოდა: „პუბლიცისტიკისთვის ნიშანდობლივია ჩანაფიქრის ლოგიკური კატეგორიებით გადმოცემა. ცნებებით აზროვნებას თუ შეენაცვლა სახეებით აზროვნება, მაშინ გზა ეხსნება სიტყვაკაზმული მწერლობის ნაკადს. ზემოთქმული ცხადია, არ გულისხმობს, რომ პუბლიცისტიკისთვის მიღებული იყოს მხატვრული ელემენტი, უფრო მეტიც, არის ჟანრები, რომლებშიც დიდი ადგილი ეთმობა ხატოვან მეტყველებას, ტროპს, მაგალითად, ფელეტონსა და ნარკვევში (...) „პუბლიცისტიკაში აუცილებლად უნდა მჟღავნდებოდეს ტენდენცია, ე.ი. ავტორის დამოკიდებულება აღწერილისადმი, თანაც, პირდაპირ. პირდაპირობაში ვგულისხმობთ არა მხოლოდ მსჯელობის ფორმით მოწოდებულ კლასიფიკაციას, არამედ ეპითეტ-მეტაფორებში, განსაზღვრებებში ჩაქსოვილ აზრს“ (ტაბიძე, 2011: 15).

დღეს, როდესაც „სიტყვაკაზმულ მწერლობაზე“ (ტაბიძე, 2011) და მხატვრულ ლიტერატურაზე მეტად ადამიანები მედიაპროდუქტებს მოიხმარენ და აანალიზებენ, გარკვეულ ყურადღებას იპყრობს ჟურნალისტური დისკურსი, რომელიც მედიატექსტების მეშვეობით იწარმოება და რომელიც თავის თავში აერთიანებს როგორც წერილობით, ასევე ზეპირ დისკურსს. საგაზეთო დისკურსი განსხვავდება სხვა ფორმატის მედიასაშუალებებისგან ჩვეული თავშეკავებული სტილით. მართალია, საკმაოდ მკაფიოა განსხვავება მხატვრულ დისკურსსა და მედია-დისკურსს შორის, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ „დიდი მწერლები ხშირად ჟურნალიზმიდან მოდიან და ეს ორი უკიდევანო სივრცე ერთმანეთს ხშირად აერთიანებს, რადგან კულტურის გამოხატვის უნარი და პოლიფონიურობა როგორც ლიტერატურის, ასევე ჟურნალისტური დისკურსის მახასიათებელია“ (სვანი, 2017). ჟურნალისტური დისკურსი არის ინტერაქციაში იმ მოვლენასთან, რომელიც იცვლება ძლიერი მედიატიზაციის შედეგად და აქედან გამომდინარე კარგავს ღირებულებას. ისმის კითხვა, ორაზროვნება ხომ არ არის პოლიტიკური შინაარსის ჟურნალისტური დისკურსის საგანი?

მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ რეგიონულ ლიტერატურულ ჟურნალში „ჭოროხი“ დაბეჭდილი თემურ ლანჩავას ლექსი „ვჭვრეტ გარინდებით“, რომელსაც გარდა ლიტერატურული ტექსტის სტანდარტის პრეტენზიისა, უთუოდ აქვს იმ ეპოქის მდგომარეობასთან შესაბამისი დისკურსის დადგენის და სათანადო გზავნილების მკითხველამდე მიტანის მცდელობა: „ვჭვრეტ გარინდებით, საქართველო ცხოვრობს სხვა გზებით, / ეძებს მომავალს დადინჯებით, უფრო სხვა გზებით/ გასაძლისია ძნელი თორემ ხვალ ცის ტატნობებს/ გაათბობს სხვა მზე, ქართველი რომ სურვილობს, ნატრობს/ იმ მზემდე უნდა მიღწევა და მიტანა ჩვენ ძვლებს/ ვინც ამას შეძლებს, მჯერა იგი ყველაფერს შეძლებს“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №2, 1991). ამ ტიპის ლიტერატურული მედია-ტექსტი, რომელიც კოდებისა და ნიშნებისაგან შედგება, შეგვიძლია განვიხილოთ რომან იაკობსონის მიერ „გრამატიკული პარალელიზმით“ და „გრამატიკის პოეზიით და პოეზიის გრამატიკით“ დალაგებული „სამეტყველო აქტებისა და ვერბალური კომუნიკაციის ექვსი შემადგენელი ფაქტორით: ადრესატი, ადრესანტი, კონტექსტი, გადასაცემი ინფორმაცია (გზავნილი), კონტაქტი და კოდი“(იაკობსონი, 1960). ზემოთ მოყვანილ ტექსტში („ვჭვრეტ გარინდებით“) ცალსახად ჩანს თითოეული კომპონენტის შესატყვისი მაჩვენებლები, რომლებსაც, ერთობლიობაში მივყავართ ცნება - კონტაქტთან, რაშიც იგულისხმება ფიზიკური ან ფსიქოლოგიური კავშირი ადრესანტსა და ადრესატს შორის. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მათ დაამყარონ წარმატებული კომუნიკაცია კონკრეტული პლატფორმის გამოყენებით, მედიასაშუალებების, კერძოდ- მედიის ენის მეშვეობით. ქვეყნის სოციალური და ნაციონალურ-კულტურული თავისებურებანი უშუალოდ ზემოქმედებს საზოგადოებრივი ენის პრაქტიკაზე, ენობრივი ურთიერთობის ფორმებზე, მასობრივი და პერსონალური ურთიერთობის სტილისტურ ნორმებზე. ცხადია, მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებებში, პუბლიცისტურ ნაშრომებში, ეპოქის მეტყველებასა და სტილში მჟღავნდება საზოგადოებრივი ფსიქოლოგია, ხასიათი და ბუნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიალოგი მკითხველთან ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა მასებზე ზემოქმედების მოსახდენად. დისკურსის გაგებასთან ახლოს მდგომი ტერმინი ”დიალოგი” გულისხმობს ადრესანტისა და ადრესატის როლების შესაძლო გადანაწილებას, როდესაც დისკურსის მონაწილე პირებს შორის დგება დიალოგი. ხოლო თუკი დისკურსის მთელი მსვლელობისას ან

მისი დიდი ნაწილის მანძილზე ადრესანტის როლი ერთსა და იმავე პირს აქვს აღებული, ამგვარ დისკურსს მონოლოგს უწოდებენ. საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროები, მეცნიერება, პრესა, პუბლიცისტიკა, ოფიციალური გარემო და ბელეტრისტიკა ქმნიან საკუთარ ფუნქციონალურ სტილს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სპეციფიკა კი არის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება, საჯარო გაცნობისთვის მისი დამუშავება, მასობრივი გავრცელება და ამა თუ იმ ცხოვრებისეული მოვლენის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ჟურნალისტების მიერ, თავიანთი მიზნების მისაღწევად გამოყენებული საკომუნიკაციო სტრატეგიისა და ტაქტიკის სხვადასხვაგვარობის გამო, აქტუალური რჩება მასობრივი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ზეგავლენის პრობლემა მკითხველის და მსმენელის ცნობიერებაზე, ანუ გამიჯვნა საზოგადოების ინფორმირებასა და მისი ცნობიერებით მანიპულირებისგან.

როდესაც ზეგავლენების სხვადასხვა მასშტაბებსა და სპეციფიკურ სფეროებში აპრობირებაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ გავავლოთ ასოციაციური პარალელი ტერმინთან „რბილი ძალა“ (ნაი, 2004). ეს ტერმინი საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში ჯოზეფ ნაიმ დაამკვიდრა. მისივე განმარტებით: „რბილი ძალა სახელმწიფოს ეროვნული რესურსი და უნარია, რომელიც მას საშუალებას აძლევს „ხისტი ძალის“ გამოყენების გარეშე, დადებითი განწყობებისა და დამოკიდებულებების შექმნით, გავლენა მოახდინოს საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებზე „ხისტი ძალისგან“ განსხვავებით, რომლის დროსაც ხდება სამხედრო შესაძლებლობების და ეკონომიკური სიძლიერის გამოყენება სახელმწიფოების, ჯგუფების თუ ინდივიდების მოქმედებებზე ზეგავლენის მოსახდენად (ნაი, 2008). „რბილი ძალა“ ერთგვარი კულტურული ძალაა, რომლის გამოყენებითაც სახელმწიფოები თანამშრომლობით, დარწმუნებით, მიმზიდველობით, და არა იძულებით, ახდენენ საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზებას. ჯოზეფ ნაი ყურადღებას ამახვილებს „რბილი ძალის რესურსებზე“, როგორცაა ქვეყნის კულტურა, ენა და ღირებულებები. ის ასევე ამტკიცებს, რომ „დღევანდელ გლობალურ ინფორმაციულ საუკუნეში, გამარჯვება დამოკიდებული არის არა იმაზე, თუ ვისი ჯარი გაიმარჯვებს, არამედ ვისი ამბავი მოიგებს.“ (ნაი, 2004). სწორედ „რბილი ძალის“ მნიშვნელოვანი ელემენტია კომუნიკაცია, რომლის პროცესშიც ხდება

გადაწყვეტილების მიღება, იდეების ჩამოყალიბება, მათი შეფუთვა და შემდგომ საზოგადოებისთვის მიწოდება, მათზე სათანადო ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

ზეგავლენის ტენდენციები განსაკუთრებით მკაფიოდ შეიმჩნევა მედიატექსტების სათაურებში, რომლებიც ძალიან ხშირად, წარმოდგენილი ტექსტის შინაარსის გასაძლიერებლად გამოიყენება. სათაური, თავისი ძლიერი პოზიციის წყალობით, ტექსტის მარჯვნივზე დომინანტს წარმოადგენს, ახდენს რა მის სემანტიკურ და კომპოზიციურ სტრუქტურირებას. მისი საშუალებით ავტორები მკითხველს სთავაზობენ ნაწარმოების ტრანსფორმირებულ იდეას და ავტორისეულ შეფასებას სიმბოლოებისა და მეტაფორების საშუალებით (ფაულერი და ბარქერი, 1974). სათაური, როგორც პარატექსტური ელემენტი, ერთდროულად ტექსტიგან დამოუკიდებელი, ავტონომიური ერთეულიც არის და მისი შემადგენელი ნაწილიც, რომელსაც სპეციფიკური დამოკიდებულება აქვს ტექსტის დანარჩენ ნაწილებთან. ეს თეორიული მიდგომა ეფუძნება იმ აზრს, რომ ნებისმიერი ტიპის ლიტერატურულ სათაურს შესწევს თვითინტერპრეტაციის უნარი (ჟენეტი 1988: 692). რამდენადაც სწორედ სათაურით იწყება ტექსტის ფორმალური თუ სემანტიკური მთლიანობა, გალპერინის თანახმად - „სრულყოფილ ტექსტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, რომლის შინაარსი და დასრულებულობაც შეესაბამება მის სათაურს, იგი კონსტრუირებული და ორგანიზებული უნდა იყოს განსაზღვრული წესების მიხედვით და ატარებდეს კომუნიკაციის კოგნიტიურ, ინფორმაციულ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დატვირთვას“ (გალპერინი 1981: 27). და თუ ამ მანიშნებლებით დავალაგებთ საკვლევი პერიოდის გამოცემების აქცენტებს, სათაურების სტრუქტურირების აღნიშნულ ტენდენციას სწორედ გასული საუკუნის 80-90-იანი წლებში დედაქალაქსა და რეგიონში გამომავალ ბეჭდურ მედიასაშუალებებში აღმოვაჩინოთ, როდესაც ცნობილი მოაზროვნეები და ავტორები თავიანთ მასალებს განსაკუთრებულად საინტერესო სიტყვათა თანწყობით ასათაურებდნენ. მაგალითად: გურამ ფანჯიკიძის „საქართველო ახლა ჰგავს ჩასაძირად განწირულ ძირგამომპალ ნავს“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №43, 1993); ჭაბუა ამირეჯიბის - „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №21, 1990); გურამ კალანდიას - „ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №43, 1993);

ჯემალ ქარჩხაძის - „როცა სამსხვერპლოზე შენი ქვეყანაა“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №8, 1993); რევაზ მიშველაძის - „მტერს მტერი დავარქვათ“ (გაზ. „ასი (100) მწერლის გაზეთი,“ №13, 1991) და სხვ.

გავრცელებული პრაქტიკით, საგაზეთო სათაურებში აქცენტი კეთდება სათაურის სტრუქტურულ და ინფორმაციულ თავისებურებებზე, მათ ენობრივ გაფორმებაზე და ლინგვისტილისტურ სპეციფიკურობაზე. აღნიშნულის დასტურად მოვიყვან აგრეთვე რეგიონული ბეჭდური მედიიდან შერჩეულ მასალებს, რომლებისთვისაც ავტორებს სხვადასხვა მნიშვნელობა სწორედ სათაურების მეშვეობით მიუნიჭებიათ: ავთანდილ დიასამიძის - „აპრილი ჩვენი მღელვარებისა“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა,“ №66, 1990); თემურ ქარჩავას - „ელირსა ვისმეს?“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №3, 1991); ემენ დავითაძის - „იმედის სიტყვა“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №96, 1989); დავით კაკაბაძის - „ადამიანი გარდაქმნის გადამწყვეტი ფაქტორია“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №84, 1989); ნიაზ ზოსიძის- „ნიუჟელი ტაკ ტრუდნა“ (გაზ. „აჭარა“, №98, 1991); ნუგზარ ჯაფარიძის- „18 მარტის სადღეგრძელო, ნათქვამი ფრიადოსანი პიონერის მიერ“ (გაზ. „აჭარა“, №99; 1991); ზურაბ ზოიძის - „თამრიკო ჭოხონელიძის ხმა რუსთაველის პროსპექტზე 9 აპრილს (ჟრნ. „ჭოროხი“, №2, 1991). საინტერესოა ასევე, მოწინავე სტატიების განვრცობილი წინადადებების ფორმის და შეფასებითი ხასიათის სათაურები: „სისხლისგან დაშრეტილი და დაფლეთილი სხეული თუმცა უტეხი და ამაყი სული, რუსული იმპერიის ზრახვები, მშვიდობიანი გადაშენება“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 66, 1989); „გულახდილი საუბარი კომკავშირელთა დელეგატებთან“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №71, 1990); „რთულ და შეუცდომელ გადაწყვეტილებათა დრო“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №80, 1990); „საქართველოს სპეტაკი სული“ (ჟრნ. „ჭოროხი“, №4, 1991).

აღნიშნული მაგალითებით შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ნებისმიერი ტექსტის დასათაურება როგორც ნაწარმოების ავტორის, ასევე მოცემული ეპოქის კულტურის მომხმარებლის მახასიათებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ და კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი მედიატექსტებით მომხმარებლებზე ზეგავლენის მოხდენის პროცესის მნიშვნელობას.

გლობალიზაციის საუკუნეში, თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები განაგრძობენ აუდიტორიაზე ზემოქმედების მეთოდების გამოყენებას, რომლებშიც

კვლავაც არ კარგავს აქტუალობას მედიასაშუალებების სხვადასხვა ლექსიკურ-სტილისტიკური თავისებურებანი, ისეთები როგორცაა ლიტერატურული ენის ჟარგონიზაცია, შეუსაბამო სიტყვების გამოყენება, უცხო სიტყვები, ენობრივი შეცდომები და მეტყველების კულტურის ნორმის დარღვევები, ენობრივი ექსპრესია, მეტაფორული გააზრება, მეტონიმები, ახალი მდგრადი გამონათქვამების ფორმირება, სიტყვათწარმომქმნელი პროცესები, ბიბლიური ლექსიკის გამოყენება, შემთხვევითობები, სინონიმები. „გაზეთი, როგორც მასობრივი ინფორმაციის ერთ-ერთი სახეობა, რომლის მეშვეობითაც ინფორმაციის გადაცემა უმთავრესად ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით- ტექსტობრივი მასალებით, აგრეთვე სხვადასხვა გამოსახულებებით ხდება, წარმოადგენს კომუნიკაციის სპეციფიკურ ტიპს და ის, ვერბალური, ვიზუალური სახის საინტერესო და ორიგინალური ფორმაა, სადაც კომუნიკანტებს (ადრესანტს და ადრესატს) შორის არ არის უშუალო კავშირი, იგი ფაქტობრივად დისტანტური ტიპისაა, ე.ი. ინფორმაციის გადამცემი (ადრესანტი) აქტიურია, მიმღები (ადრესატი)- კი პასიური“ (შოშიტაიშვილი, 2010). დისკურსის ანალიზის დროს, რიტორიკული ფორმების ზემოქმედებითი ბუნების მითითება საშუალებას იძლევა კომუნიკაციის პროცესს განსხვავებული თეორიული კუთხით შევხედოთ. ნიკლას ლუმანის მოსაზრებით, „მსოფლიო საზოგადოების სოციალური სისტემა მისი კომუნიკაციური ინტეგრაციისთვის მასობრივ მედიას წაიმძღვარებს, ისევე როგორც, მაღალ კულტურათათვის აუცილებელი წინაპირობა დამწერლობა იყო. ცხადია, საზოგადოების სტრუქტურები და კომუნიკაციის სახეები თანდათან და პატარ-პატარა ნაბიჯებით ვითარდებოდნენ, მაგრამ სწორედ ამის მეშვეობით შეძლეს მათ სტრუქტურულად მორგებულებიყვნენ ერთმანეთს. (...) ფაქტია, რომ მასობრივი მედიის გარეშე მსოფლიო საზოგადოების განვითარება შეუძლებელი იქნებოდა, ტექსტთა უბრალო გადაწერით აზრის რეპროდუქცია საჭირო კომუნიკაციურ კავშირთა დამყარების შესაძლებლობას მას ვერ მისცემდა“ (ლუმანი, 2017). ცალკეულ შემთხვევებში მედიადისკურსისთვის დამახასიათებელია ორაზროვნება და მკითხველისთვის შეიძლება გაურკვეველი იყოს ზოგიერთი ფაქტი. ეს კი შეიძლება განპირობებული იყოს კულტურათა შორის სხვაობით და ფონური ცოდნის დეფიციტით, რის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება, ბეჭდური მედიისთვის ანუ

პრესისთვის ტიპურ საკომუნიკაციო პროცესს, ის შესაძლებელია განისაზღვროს შემდეგი მახასიათებლებით:

- ✓ საჯაროობა (კომუნიკაციის მონაწილეთა შეუზღუდაობა);
- ✓ იგი გადმოიცემა პერიოდულად გამომავალი მედიის („გაზეთის“) გზით;
- ✓ არაუშუალობა (ერთობლივი საკომუნიკაციო სიტუაციის არარსებობა კომუნიკაციის ავტორსა და ადრესატს შორის);
- ✓ ცალმხრივობა (კომუნიკაციის როლების გაცვლის შეუძლებლობა გარდა მკითხველთა წერილებისა) (მალეკე, 1963)

სწორედ ამ მახასიათებლებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როდესაც საკვლევად შერჩეული პერიოდის ბეჭდური მედიის ფუნქციონირებაზე, გამომსახველობით ხერხებსა და ტრადიციულთან ერთად თანამედროვე მეთოდების გამოყენების მცდელობებს ვაფასებთ. ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ეპოქის მედიის გამომსახველობითი ხერხები და ენა, აგრეთვე მისი ტექნოლოგიური შესაძლებლობები. ზოგადად, ბეჭდური მედიის მიერ ჩამოყალიბებული ენა და სიტყვები, რომელთა მნიშვნელობის აღქმა დამოკიდებულია იმაზე თუ სად და როდის, როგორ კონტექსტში არიან ისინი გამოყენებულნი და აგრეთვე იმაზეც, თუ როგორია უშუალოდ მოსაუბრის, მთხრობლის პირადი განწყობა, მისი მდგომარეობა. გაზეთი, როგორც წესი, მიმართავს პირობითობას, რაც გულისხმობს მოსაუბრის სუბიექტურ მსჯელობას და მისეულ შეფასებებს ისეთი სიტყვების გამოყენებით, როგორცაა „სწორია“, „დასანანია“, „აუცილებლად“ და.ა.შ. მედია იყენებს იმ სიტყვებს, რომლებიც სამეტყველო აქტებს ძალაუფლებას ანიჭებენ (შეკითხვები, ბრძანებები, ბრალდებები, მოთხოვნები, რომლებშიც სიტყვა თვითონვე ასრულებს მასში ნაგულისხმევ ქმედებას). მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიტანოთ გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ 1990 წლის რეფერენდუმში მონაწილეობის მოწოდება, რომელიც გაზეთის მოწინავე სტატიის სათაურადაა გამოტანილი - “დიახ! იტყვის მთელი საქართველო“ (გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, № 61, 1990); ან კიდევ - რეგიონის სამთავრობო სტრუქტურის საინფორმაციო ბიულეტენში დაბეჭდილი მოწოდება „საქართველო ერთიანი და განუყოფელი უნდა იყოს!“ (ჟრნ. „ქრონიკა“, №2, 1993); ასევე, ლიტერატურულ ჟურნალში ავტორის (მ.ბალაძე) მიერ გაცხადებული მისია: „ვინც ახლოს ვდგავართ ღმერთთანა!“ (ჟრნ.

„ჭოროხი“, №3, 1991). როგორც ვხედავთ, ასეთ მაგალითებში ხშირად გამოიყენება ალიტერაცია, როგორც სიტყვების თამაში, კალამბური, მეტაფორული თხრობა, სენტენციები. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს კომუნიკაციის ცალმხრივობისგან გამომდინარე დომინანტურ ზეგავლენასთან, რაც განსახილველი პერიოდის რეალობაში სრულიად ბუნებრივ პროცესად ითვლებოდა.

წარმოდგენილ ნაშრომში არაერთხელ გავუსვით ხაზი დომინანტ იდეოლოგიებს, მედიასაშუალებებს, ავტორებს, პოლიტიკოსებს, ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, მკითხველებს. აღვნიშნეთ, რომ მითური ეკვივალენტობა მკითხველის სამეტყველო კოდებსა და გაზეთის წერილობითი დისკურსის კოდებს შორის შესაძლებლობას აძლევს გაზეთს დიალოგი გამართოს მკითხველთან. ეს კი აყალიბებს მკითხველთა წარმოსახვით გაერთიანებას, მკითხველის ერთგულებას რომელიმე გაზეთის მიმართ, იმ პრინციპებთან, რომელიც წარმოდგენილია მიმდინარე დისკურსში და ქმნის მისთვის მშობლიურ, ნაცნობ გარემოს, რომელშიც საერთო ხდება გაზეთისა და მისი მკითხველის იდეოლოგიური ღირებულებები. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იმდროინდელ მედიაში აქტიურდება დიალოგისებური ხერხი, რომელიც ხელს უწყობს საუბრის წარმართვას გაზეთსა და მკითხველს შორის. იქმნება ისეთი სურათი, თითქოს ორივე მხარეს კარგად ესმის, რის შესახებ საუბრობენ და არც ერთ მათგანს არ სჭირდება საუბრის თემის ღრმა ანალიზი. გაზეთები თავიანთ მასალებში დისკურსულ სტაბილურობას წარმოაჩენენ ოფიციალური ენისა და სერიოზული ტონის გამოყენებით, რომელშიც გაერთიანებულია ჟურნალისტის მოზომილი შეფასებები და ობიექტური რეპორტაჟები, ასევე, მზა მასალების მიმღებთა აზრი. რაც არ უნდა გასაგები იყოს საგაზეთო მასალის დისკურსი, მკითხველი მაინც გვევლინება ტექსტის მნიშვნელობის კონსტრუირების აქტიურ მონაწილედ, რადგან იგი „არა მარტო შიფრავს ანუ ახდენს ნიშნებისა და მნიშვნელობების დეკოდირებას, არამედ ეძიებს იმ კოდებსაც, რომლებიც საჭიროა მოცემული დისკურსის გააზრებისათვის“ (ჰოლი, 1980). მკითხველი აგრეთვე, ამოწმებს იმ მითურ მნიშვნელობებს, რომლებსაც წარმოშობს ტექსტის აქცენტები, რადგან იგი კოდირებული მნიშვნელობების არა მხოლოდ მომხმარებელი, არამედ ტექსტში ნაგულისხმევი მნიშვნელობების მწარმოებელიცაა. „სოციოლოგიური მიდგომა, რომელიც ცნობილია კოდირებისა და დეკოდირების მოდელის სახელით, აღწერს იმ ხერხებს, რომელთა

მეშვეობით ხდება გზავნილების კოდირება მისი ავტორის (მაგალითად ჟურნალისტის) მიერ და მოგვიანებით, დეკოდირება მიმღების (მკითხველის) მიერ. თავდაპირველად, ერთი და იგივე კულტურულ სოციუმში მცხოვრები როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები, საზიარო კოდებით სარგებლობენ, ისეთებით, როგორცაა ენა, ჟესტები და შემთხვევა. მაგრამ „ვინაიდან გამგზავნისა და მიმღების მიდგომები კოდების მიმართ ვერ იქნება ზუსტად ერთნაირი, ამიტომ ძნელია იმის მტკიცება, რომ კოდირების ავტორის მიერ ნაგულისხმევი მნიშვნელობა ზუსტად იქნება დეკოდირებული „გამშიფრების“ მიერ“ (სვანი, 2017). ამ მხრივ, უკვე 1989 წლის „საბჭოთა აჭარაში“ ვხედავთ ჩარჩოების მოშლას, მახასიათებლების რყევას, სტერეოტიპების რღვევას და შინაარსის და ფორმის აღრევის პრეცედენტებს.

ნაშრომის III თავში სათანადო აქცენტებით უკვე განვიხილეთ 1989 წლის 9 აპრილით გამოწვეული მედიატექსტების ჟანრობრივი და შინაარსობრივი სახეცვლილებები. თუმცა, აჭარის რეგიონთან მიმართებით, ამ ტენდენციას დაემატა 1989 წლის 19 აპრილს მაღალმთიან აჭარაში სტიქიური მოვლენების შედეგად დატრიალებული ტრაგედიაც, რასაც, ბუნებრივია, გაზეთი გვერდს ვერ აუვლიდა. წაბლანას ტრაგედიის კვალდაკვალ, ადგილობრივ მედიაში გაჩნდა სახელდახელო რუბრიკა „გლოვობს საქართველო“, რომლის ფარგლებშიც იბეჭდებოდა ტრაგიკულობის ელემენტებით გაჯერებული ტექსტები, ასეთივე ტიპის სათაურებით: გ. ჯიბლაძის „დიდი უბედურება დაგვატყდა თავს“ და ფ. ხალვაშის ემოციური ტექსტი „სამინელება“(გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №78,1989); რუბრიკაში „ჭირსა შიგან გამაგრება“ დაბეჭდილი ჯ. ქათამაძის ლექსი „ეს რა ჟამი დაგვიდგა“(გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №79; 1989); შ. ზოიძის „გლოვის დღე“ და „ვაიმე შვილო, სადამდის, საქართველო ტირის“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 82, 1989); ფ. ხალვაშის ლექსი „ორი ამოკვნესება“ სიტყვებით: „გულს მირეკავს ჯავრი, გადალეკილ სახლთა, საქართველოს განა, მწუხარება აკლდა?“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 83; 1989) და სხვ.

ვფიქრობთ, ამ განწყობების რეზონანსულობა და მწუხარების ამსახველი ემოციების ხშირი განმეორება მასების ცნობიერებას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს. ამ ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგი კი ხდება ის, რომ ვიწრო ჩარჩოში მოქცეული ნეგატიური მუხტი შემოფარგლავს მკითხველის აზროვნებას და ხდის მას მორჩილს, დამთმობს და აპათიურს, რაც უარყოფითად აისახება ადამიანების სამოქალაქო

აქტივიზმის ხარისხზე. საბოლოო ჯამში კი, ასეთი ტენდენცია აფერხებს და შერჩევითს ხდის საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. საზოგადოებრივი აზრი და საერთოდ, საზოგადოება თითქმის ყველა დროში ანგარიშგასაწევი ძალა იყო. მით უფრო, ყველა გარდამავალ პერიოდში, როდესაც ინგრეოდა ერთი სისტემა და მეორეს შექმნამდე ხდებოდა მიმდინარე პროცესების გადააზრება. სწორედ ამ დროს იყო საჭირო სტრატეგიული კომუნიკაციის დამყარება საზოგადოებასთან, რათა მათთვის გასაგები და მისაღები ენით, ოპტიმალური ფორმულირებებით მომხდარიყო ახალი დროის გააზრება და მასთან შესაბამისი ადაპტირება. რა თქმა უნდა, 1980-1990 წლებში, საბჭოთა ეპოქის რეალობაში ძნელად თუ ვინმე მიიჩნევდა ამ დისციპლინას მასობრივ აუდიტორიასთან ურთიერთობის საშუალებად. თუმცა, როგორც მოცემული პერიოდის ბეჭდური მედიის აქცენტების შესწავლამ გვიჩვენა, უკვე არსებობდა მოთხოვნა რელევანტური ნარატივისა და გზავნილების შემუშავების, მეტნაკლებად სანდო საინფორმაციო არხების და სწორი სამიზნე აუდიტორიების გამოკვეთისთვის.

როდესაც ინფორმაციის სანდოობაზე ვამახვილებთ ყურადღებას, უნდა აღვნიშნოთ გასული საუკუნის 80-90 -იანი წლების მედიის დამოკიდებულება ინფორმაციის არსისადმი, რომელიც კლასიკური გაგებით არის ცნობა/შეტყობინება და იგი გადაიცემა ადამიანის მიერ ზეპირი, წერილობითი ან სხვა სახით. დადასტურებულია, რომ ცნობებისა და შეტყობინებების გაცვლის პროცესი თითქმის ყველა ცოცხალ ორგანიზმს შორის მიმდინარეობს. ინფორმირება კი არის პროცესი, რომლის დროსაც სუბიექტი ახდენს ცნობის/შეტყობინების მიწოდებას სხვა სუბიექტებისათვის. რაც შეეხება ტერმინს, კომუნიკაცია - ეს ის პროცესია რომლის დროსაც ხდება ინფორმაციის მიწოდება (გაცვლა) უკურეაქციის მიღების მიზნით. სწორედ აქედან იწყება მედიასაშუალებების მთავარი ფუნქციის ფორმირება იმ თვალსაზრისით, რასაც კომუნიკაციის ზეგავლენის მიზნით გამოყენება ჰქვია. ინფორმაცია, ინფორმირება, კომუნიკაცია ზემოქმედების მექანიზმებია. მაგალითად, სოციალური ზეგავლენა არის პროცესი, რომლის შედეგადაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ცვლის სხვა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მოსაზრებებს, რწმენას ან უბიძგებს კონკრეტული ქმედებებისაკენ კომპრომისის, კონფორმიზმის, შიშის, მანიპულირების გზით. ეს პროცესი გარდაუვალია ნებისმიერი კომუნიკაციის პროცესში, თუკი, გუსტავ

ლე ბონის არ იყოს: “ადამიანებს გავლენისაგან თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ სიმარტოვეში შეუძლიათ“ (მარეკე, 2014). მასების მართვის თვალსაზრისით, აქტიურად გამოიყენება -მტკიცების, გამეორების, გავრცელების მეთოდი. ჩვენ ნაშრომში არაერთხელ ნახსენები რეზონანსულობა და განგრძობადობაც სწორედ აქედან მომდინარეობს და ძლიერდება სიმბოლოებით და მაგიური სიტყვებით. სტრატეგიული კომუნიკაციების წარმოებისთვის დღემდე უმნიშვნელოვანეს დატვირთვას იძენს ზუსტი ნარატივისა და გზავნილების ჩამოყალიბება, რომელიც ემყარება მოტივის, კონტექსტის, პრობლემების გამოკვეთას, მათი გადაჭრის გზებს და საბოლოო მიზანს. კარგი ნარატიული პროდუქტის მთავარ ინდეგრირენტებად ხომ ღირებულებები, ისტორია, იდენტობა და მომავლის ხედვა ითვლება.

მედიის, როგორც მძლავრი პროპაგანდისტული ინსტრუმენტის აღქმამ, რომელსაც იყენებენ ელიტები საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციისა და მისი წინასწარ შეჯერებული პოზიციონირებისთვის, წინ წამოსწია მედიის, როგორც გზავნილთა შემქმნელის როლი. აქვე კიდევ ერთხელ შეგვიძლია მოვიყვანოთ ამერიკული პოლიტიკური სკოლის წარმომადგენლის, სტენლი კოენის ფორმულირება: „მედია შესაძლოა არ კარნახობდეს ხალხს “რა იფიქრონ”, თუმცა ის “გასაოცრად წარმატებულად” კარნახობს აუდიტორიას “რაზე იფიქრონ”(კოენი, 1995) გამომდინარე აქედან, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მედიაპოლიტიკა კლასიკური გაგებით, არის კონკრეტულ დროსა და გარემოში მმართველი ინსტიტუციების მიერ უახლეს გამოწვევებთან ადაპტირებული, მიზანმიმართული დისკურსის ჩამოყალიბება, მისი მორგება გამომსახველობით ხერხებზე, რელევანტურ ინსტრუმენტებსა და ჟანრობრივ კლასიფიკაციაზე და გაშვება იმ სივრცეში, სადაც უნდა აღიძრას ნაგულისხმევი მნიშვნელობები - აუდიტორიის დარწმუნების, ცნობიერების ტრანსფორმირების და საბოლოოდ, მისი ქცევის შეცვლის მიზნით. ფაქტობრივად, ეს არის თანამედროვე კომუნიკაციულ ცოდნეობაში დამკვიდრებული და უკვე ფართოდ გავრცელებული სტრატეგიული კომუნიკაციის მახასიათებლები, რომლებიც დღითიდღე უფრო პოპულარული და ეფექტიანი გზა ხდება მასებზე ზემოქმედების თვალსაზრისით. შეგვიძლია მოვიტანოთ სტრატეგიული კომუნიკაციის განმარტებებიც, რომელთა მეშვეობით ვიგებთ, რომ: „სტრატეგიული კომუნიკაცია წარმოადგენს ორგანიზაციის

მისიისა და მიზნების შესაბამისად სამიზნე აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდების ღონისძიებათა სისტემას, რომელიც აუდიტორიის ცნობიერებაზე, აღქმაზე, მოლოდინებსა და ქცევაზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად“ (ჯანგიანი გ., 2020) და ასევე: „დღევანდელ კომპლექსურ სამყაროში ორგანიზაციები ერთმანეთს ეჯიბრებიან მომხმარებლის თუ სამიზნე აუდიტორიის ყურადღების, აღტაცების, სიახლოვის, მოკავშირეობის და ერთგულების მოპოვებაში“ (ჰალაჰანი, 2004).

XX საუკუნის მოდერნული საზოგადოების პირობებში ზემოთაღნიშნული დისციპლინები ჩამოყალიბდნენ ვიწრო ფუნქციურ სპეციალობებად. თუმცა, XXI საუკუნის დასაწყისში, მათ უწევთ პოსტმოდერნისტულ გარემოში ოპერირება, რომელიც უკვე მოითხოვს ჰოლისტიკურ მიდგომებს ორგანიზაციული ფენომენის შესწავლის საკითხში. ტერმინი სტრატეგიული კომუნიკაციები აქტიურად გამოიყენება საზოგადოებასთან ურთიერთობის სინონიმად და პოლიტიკური დარწმუნების ინსტრუმენტად. ტერმინი სტრატეგია სულ უფრო ხშირად გამოიყენება ტერმინ „ცვლილების მართვასთან“ კომბინაციაში. გაგლაირდე (1986) ამტკიცებს, რომ კულტურული ღირებულებები განსაზღვრავენ სტრატეგიას და კულტურას განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება ცვლილებების პროცესში. ჰეტჩი (1997) ყურადღებას ამახვილებს კულტურულ ცვლილების პროცესში „სიმბოლიზაციის“ როლზე, როდესაც კომუნიკაციის პრაქტიკა და საზოგადოებასთან ურთიერთობები სიმბოლოებით იმპროვიზების ეტაპებზეა გათვლილი. სწორედ სტრატეგიული კომუნიკაცია აღწერს, თუ როგორ იქმნება ორგანიზაციული სიმბოლოები კომუნიკაციების პროცესში და რა შედეგებზე გაყავს მას კომუნიკაციების მწარმოებელი მხარეები. ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ სწორედ ამდაგვარ თანამედროვე ტენდენციებთან გაგვევლო პარალელები და გვეპოვა საერთო ნიშნები შინაარსით განსხვავებულ, თუმცა მთავარი მიზნებით ერთმანეთთან მჭიდრო კორელაციაში მყოფ დისციპლინებს -კომუნიკაციებს, კულტურას, მედიას და პოლიტიკას შორის. ამავე თვალსაზრისით განვიხილეთ და ნაშრომის მთავარ ღირებულებად მივიჩნიეთ მედიატექსტის არქიტექტურის სტრატეგიული კომუნიკაციების კონტექსტში განხილვა.

ზოგადი დასკვნები:

- ❖ 1989-1991 წლებში რეგიონული პრესის მაგალითზე მედიისა და პოლიტიკის დისკურსის კულტუროლოგიურ და ლიტერატურათმცოდნეობით ჭრილში განხილვამ გვაჩვენა XX საუკუნის პოსტსაბჭოთა საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციისა და ახალი რეალობის ფორმირების პროცესში მედიის და კონკრეტულად, აჭარის რეგიონში მოქმედი მედიასაშუალებების ფუნქციების ახალი პერსპექტივები. მედიაპოლიტიკის ფორმულირებით, ჩვენი კვლევისთვის საინტერესო გახდა, თუ როგორ ვითარდებოდა ის პროცესები, რომლებიც ახასიათებდა საქართველოს უახლეს წარსულს XX საუკუნის 1980-1990 -იან წლებში და რითაც, კოლექტიურმა და კომუნიკაციურმა მეხსიერებამ გადაფარა ისტორიული მეხსიერების ნარატივები, დაუპირისპირდა არსებულ და „ზემოდან“ მიმდინარე იდეოლოგიურ ნაკადებს, ფორმულირებულ შეფასებებს, მცნებებს, არგუმენტებს და თუნდაც, ფაქტებს. დავადგინეთ, თუ რა მნიშვნელობა მიენიჭა ბეჭდური მედიის ფურცლებზე ინფორმაციული ხასიათის მასალის პარალელურად გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებსა და ლიტერატურულ ტექსტებს ახალი მოცემულობის გადააზრების პროცესში.
- ❖ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე დეზინტეგრაციულ პროცესებთან და ახალ იდენტობათა ძიებასთან საქართველოს დაკავშირება პოსტმოდერნის ეპოქით შეცვლილ კულტურის შინაარსსაც დავუკავშირეთ და დავადგინეთ, რომ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში პოსტმოდერნიზმის არსებობამ ქართულ კულტურაში ახალი ქართული იდენტობის ფორმირება განაპირობა. ასევე დავაზუსტეთ, რომ პოსტსაბჭოთა ქართულ კულტურაში 1990-იანი წლებისათვის პერიოდული ბეჭდური გამოცემების პოლიტიკა ზუსტად შეესაბამებოდა პოსტმოდერნიზმის ეპოქის ყველა ძირითად ნიშანს, მათ შორის: პოსტმოდერნული კულტურული პროცესისათვის დამახასიათებელ დეკონსტრუქციას, კარნავალურობას და სიმულაციას; ლიტერატურული და მედიური ნარატივები კი ქართული საზოგადოების თავისუფლების იდეის ირგვლივ გაერთიანებისთვის ძალისხმევად შევაფასეთ.
- ❖ მოყვანილი სტატიების გაანალიზებით გამოვკვეთეთ პოლიტიკური დისკურსი, ლიტერატურული ნარატივი. ასევე, მიმოვიხილეთ ახალი ეპოქის თარიღების და კულტურულ-ლიტერატურული ნარატივის მნიშვნელობები, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა გარდამავალ ეპოქაში მედიის მნიშვნელობასა და მის როლზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესში.

❖ პრაქტიკული მაგალითებით განხილული მედიათეორეტიკოსების მოსაზრებები: „მედია ყოველთვის იცვლის ფორმას და იღებს იმ სოციალურ და პოლიტიკური სტრუქტურების ელფერს, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება“ (სიბერტი, პეტერსონი, შრამი, 1956) და „რაც უფრო დემოკრატიულია საზოგადოება, მით უფრო მეტი ინფორმაციითაა ის უზრუნველყოფილი“ (კოვაჩი, როზენსტილი, 2001) ქართული მედიის სისუსტეების ლოგიკური მიზეზების ახსნას დავუკავშირეთ. ვინაიდან მედიას აქვს რეალობის დადასტურების, ამბისთვის ვალიდურობის მინიჭების ძალაუფლება და კონკრეტულ შემთხვევაზე მედიადისკურსის კონცენტრირებული ყურადღების გამახვილების უნარი, ყურადღება სტიუარტ ჰოლის მიგნებაზე გავამახვილოთ, რითაც თეორეტიკოსი მედიის დღის წესრიგს საჯარო იდიომების გამოყენებას უკავშირებს და მას ყოველდღიური კომუნიკაციის „შეთანხმებულ ღირებულებებს“ (ჰოლი, 1980) უწოდებს. სწორედ ასეთ შეთანხმებებაზე დაყრდნობით, მედიაში გადმოცემული პოპულარული დისკურსი გაბატონებული კულტურული წესრიგის ნაწილი ხდება, რომელშიც აქტიურად მიმდინარეობს მნიშვნელობების წარმოება და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების შერჩევითი აღწერა (ჰოლი, 1978).

❖ მედიის ფუნქციების და ინსტრუმენტების: 1.მეთვალყურეობა 2. საზოგადოებრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა 3. მსოფლიოს ახალი ამბებით უზრუნველყოფა; 4.კულტურის გავრცელება; 5. გართობა; 6.გაყიდვა (ბერტრანი, 2004: 23-24) განხილვით განსაკუთრებული აქცენტით დავახასიათეთ კულტურის გავრცელების მეთოდი და ამ პროცესში პუბლიცისტური ხერხების გამოყენება, რისთვისაც გამოვიყენეთ ნოდარ ტაბიძის ფორმულირება, რომელიც პუბლიცისტის ინსტრუმენტებად მიიჩნევდა: „1 ცნებებით აზროვნებას; 2. ტენდენციის გამომჟღავნებას პირდაპირ, შეუნიღბავად; 3. აქტუალურობას; 4. განზოგადებას - ყოველივე ეს კი მოაზრებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტით აუდიტორიაზე უშუალო ზემოქმედების მიზნით“(ტაბიძე, 2011:14).

❖ ყურადღება გავამახვილოთ კულტურის, როგორც მნიშვნელობებისა და სიმბოლოების სისტემის კონცეპტუალიზაციაზეც, რომელიც მიზნად ისახავს სემიოტიკური და სხვა სახის გავლენებისაგან თავის დაღწევას და დავუკავშირეთ ანტუან აბრამ მოლის მოზაიკური კულტურის იდეებსა და ადამიანის მიერ სამყაროს კულტურის მოზაიკურ, კალეიდოსკოპურ აღქმას: „კულტურა - ესაა ხელოვნების წიაღის ინტელექტუალური ასპექტი, რომელსაც ადამიანი თავისი სოციალური ცხოვრების მანძილზე ქმნის“ (მოლი, 1973) სწორედ ამიტომ

მივიჩნიეთ მნიშვნელოვნად გამოგვეყო მედიისა და კომუნიკაციის გავლენა ტრადიციული ჰუმანიტარული კულტურის თანამედროვე „მოზაიკურ კულტურად“ (მოლი, 1973) გარდაქმნის პროცესზე. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მედიატექსტის ფენომენს, რომელიც არის „ნიშნებისა და კოდების აღმნიშვნელი სისტემა, რომელიც არსებითია კომუნიკაციის აქტისთვის“ (ფისკე, სალივანი, ჰერტლი, 1983).

❖ ვინაიდან რიტორიკული ანალიზი შეიძლება გამოყენებულ იქნას პრაქტიკულად ნებისმიერი ტექსტის შესწავლის პროცესში, ვეცადეთ დეტალურად განგვიხილა ის პოსტულატებიც, თუ როგორ მივიდა რიტორიკული ანალიზი მედიატექსტამდე და ამ შემთხვევაში გამოვიყენეთ რობერტ ტ. კრეიგის კომუნიკაციის შვიდი "ტრადიცია: 1. რიტორიკული; 2. სემიოტიკური; 3. ფენომენოლოგიური; 4. კიბერნეტიკული; 5. სოციოფსიქოლოგიური; 6. სოციოკულტურული და 7. კრიტიკული (კრეიგი, 2007), რითაც დავადგინე, რომ თითოეული ეს ტრადიცია კომუნიკაციის თეორიას ჭეშმარიტად "დიდ კარვად" აქცევს და აკავშირებს მას სოციალურ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან და ხელოვნებასთან.

❖ კვლევამ გვაჩვენა, თუ როგორ შეუწყო ხელი ქართულ რეალობასა და მედიაში მიმდინარე პოსტმოდერნისტულმა დისკურსმა საბჭოური უძლველობის მითის დამსხვრევას და ახალი იდენტობის ფორმირებას. კვლევისას ასევე, გამოიკვეთა 1990-იანი წლების მედიის იდეოლოგიური ხასიათი, საზოგადოებისა და მედიასაშუალებების ურთიერთკავშირი. მედიატექსტების გამოწვლილვითი აღწერით დადასტურდა მათი პირდაპირი კავშირი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებთან. ვინაიდან საკვლევ ემპირიულ მასალას წარმოადგენდა 1980-90-იან წლებში გამომავალი რეგიონული სახელისუფლებო პერიოდული გამოცემები - „საბჭოთა აჭარა“, „ჭოროხი“, „ქრონიკა“- ქართულ მედია გარემოში მათი ნიშის და განსხვავებულობის გამოკვეთის პროცესი განსაკუთრებით საინტერესოდ წარიმართა. ამ პროცესმა გვაჩვენა, რომ თითოეული გამოცემის სარედაქციო პოლიტიკასა და ცალკეული ავტორების აქცენტებში ნათლად აისახა იდეოლოგიური განწყობების ტრანსფორმირების პროცესები.

❖ სხვადასხვა თეორიულ და ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით დაფიქსირდა ასევე, მედიის, ლიტერატურისა და კულტურის ურთიერთმიმართება, რითაც დავადგინეთ მომხმარებელზე /მკითხველზე, მსმენელსა თუ მაცურებელზე ზემოქმედების გაფართოების ტენდენციები. ამ

კუთხით, შევეცადეთ პარალელები გაგვევლო კომუნიკაციების .თანამედროვე ტენდენციებთან და გვეპოვა საერთო ნიშნები შინაარსით განსხვავებულ, თუმცა, მთავარი მიზნებით ერთმანეთთან მჭიდრო კორელაციაში მყოფ საზოგადოებასთან ურთიერთობის დატვირთვის მქონე დისციპლინებს - მედიას, კულტურას და პოლიტიკას შორის. ამავე თვალსაზრისით განვიხილეთ მედიატექსტის არქიტექტურის სტრატეგიულ კომუნიკაციებთან დამაკავშირებელი კონტექსტი. ამ პროცესში კი გამოიკვეთა პუბლიცისტური ჟანრის მნიშვნელოვანი მახასიათებლები, დისკურსისა და კულტუროლოგიური ასპექტების მარკერები, რომლებიც პუბლიცისტურ ტექსტებს ლიტერატურათმცოდნეობის და პოლიტოლოგიის საკითხებთან აახლოებენ.

❖ ისტორიულ-ფუნქციური, ტიპოლოგიური და სტრუქტურული მეთოდების გამოყენებით განხორციელებულმა პუბლიცისტური და ლიტერატურული ტექსტების ანალიზმა კი მოგვცა საშუალება აბსოლუტურად სხვაგვარად და კონტექსტურად დაგვეჩვენა 1989-1991 წლების რეგიონული ოფიციალური ბეჭდური მედიის ტრანსფორმირების, მედიაპოლიტიკის შინაარსის, საზოგადოების განწყობების და ღირებულებების საერთო ქსოვილის რღვევის და გარდაუვალი ცვლილებების პროცესის დასაწყისი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე, 2007: აბაშიძე გ., „კიტა აბაშიძის „პოლიტიკური რომანტიზმი“ - ქართული მწერლობა, ტ. 28, გვ. 688-716, თბილისი, „ნაკადული“, 2007;
2. ალექსანდერი, 2004 „Cultural Trauma and Collective Identity“, London 2004;
3. ანდერსონი, 2003: ანდერსონი ბ., „წარმოსახვითი საზოგადოებები“, თბილისი: ლოგოს პრესი, 2003;
4. არისტოტელე, 1981: არისტოტელე., „რიტორიკა“, თბილისი, რედ. აკაკი ურუშაძე, თარგ. თამარ კუკავა, გვ. 25, 1981;
5. ასმანი, 2001: Assmann A., “Four Forms of Memory” (H. 4, pp. 34-45), 2001;

6. ასმანი, 2007: Assmann J., "The cultural memory. Writing, memory and Political Identity in Early High Cultures", (p,56) Munich, 2007;
7. ასმანი, 1991: Aleida Assmann / Dietrich Hart (eds.) Mnemosyne. Forms and Functions of cultural memories, p. 289., Frankfurt a / M, 1991;
8. ბალზაკი, 1973: ბალზაკი ო. დ., "შაგრენის ტყავი", რჩეული თხზულებანი, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", გვ.66-68, თბილისი, 1973;
9. ბარბაქაძე, 2015: ბარბაქაძე ც., „ახალი რიტორიკის (ნეორიტორიკა) თეორიული საფუძვლები“, 2015;
10. ბარნი, პარკერი, 2013: Burn A., Parker D., Analysisng Media Texts, Routledge, 2013;
11. ბაქრაძე, 1995: ბაქრაძე ა., "დაწუნებული გზა", გამომცემლობა "სარანგი", თბილისი, 1995;
12. ბაქრაძე, 1990: ბაქრაძე აკ., „მწერლობის მოთვნიერება“, გამ. სარანგი, თბილ.1990;
13. ბახტინი,1986: Бахтин М. М., "Формы времени и хронологи в романе", кн. "Литературно-критические статьи", (121-122) Москва, 1986;
14. ბახტინი, 1979: Бахтин М.М., „Эстетика словесного творчества“, Москва, 281-307, 1979;
15. ბეიტსი, 1979: ბეიტსი თ. რ. „გრამში და ჰეგემონიის თეორია“, გვ. 351 – 366, 1979;
16. ბერგერი, 2014: ბერგერი ა., „მედიის და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები: თვისებრივი და რაოდენობრივი მიდგომის შესავალი“, მესამე გამოცემა, SAGE, 2014;
17. ბერეკაშვილი, 1952: ბერეკაშვილი თ., „თანამედროვე დემოკრატია : ღირებულებები და იდეალები“ : ბროშურების სერია ჟურნალისტებისთვის, თბილისი, 2000;
18. ბერტრანი, 2004: ბერტრანი კ.ჟ., „მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები“, გვ.,22-24, თბილისი, 2004;
19. ბერძენიშვილი, 2019 : ბერძენიშვილი ა., „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები“ , ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019;
20. ბილიგი, 1995: Billig, M., "Banal Nationalism" (43 pg). London: Sage Publications, 1995;
21. ბოდრიარი, 2000:Бодрийяр Ж., "Реквием по масс-медия"; статья; Электронная библиотека,2000;
22. ბოდრიარი, 1981: Boudrillard J., " Simulacres et Simulation", Paris, 1981;
23. ბურდიე, 1991: ბურდიე პ., „ენა და სიმბოლური ძალა“, 1991;
24. ბურკე, 2006: Burke P., " What is Cultural History?" Polity Press Ltd., 2006;
25. ბუხრიკიძე, გვახარია, ნიჟარაძე, ქარუმიძე, ლორთქიფანიძე 2011: ბუხრიკიძე დ., გვახარია გ., ნიჟარაძე გ., ქარუმიძე ზ., ლორთქიფანიძე ა., „კულტურის პოლიტიკა პოსტსაბჭოთასაქართველოში“, (<http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2265613.html>) 2011;
26. გაბინაშვილი, 2018: Gabinashvili I., " Determination od socio-cultural processes into the Media and their impact on society"; Journal L'Associacion 1901 "SEPIKE", P: 72-77; e-ISSN:2372-7438; Los Angeles(USA), 2018;
27. გალპერინი, 1981: Гальперин И. Р., „Текст как объект лингвистического исследования. Москва Гальперин И.Р. (1981). Текст как объект лингвистического исследования. М.: Наука, 1981;
28. გვახარია,2008: გვახარია, გ., „ტოტალიტარიზმი და კულტურა.სოლიდარობა“ №5.გვ.100-107, 2008;
29. გელნერი,2003: გელნერი ე., „ ერები და ნაციონალიზმი“, თბილისი: ნეკერი, 2003;
30. გერსამია, 2001: გერსამია მ., „ანალიზის ელემენტები მედია-ტექსტში“, თბ. 2001;
31. გიი, 1999: Gee J. Paul. „An Introduction to Discourse Analysis: Theory and Method, Publisher: Routledge, 1999

32. გოგოლაძე, ტოკლიკიშვილი 2008: გოგოლაძე მ. ტოკლიკიშვილი ლ. „თავისუფალი მედია-მშობლები და მესაფლავეები“ , „სიტყვა“ , №1-53, 2008;
33. გორგილაძე, 2011: გორგილაძე ზ., „ასი ლექსი“, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2011;
34. გრამში, 1992: გრამში ა., „ციხის დღიურები“, 1991;
35. დავითაშვილი, 2003: დავითაშვილი ზ., „9 აპრილი“ (გვ. 303-305), თბილისი, 2003;
36. დავითაშვილი, 2003: დავითაშვილი., „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“ , ღია საზოგადოება - საქართველო, თბილისი, 2003;
37. დერიდა, 1992: დერიდა ჟ., "ლიტერატურის აქტები", 1992;
38. ედელმანი, 1988: Edelman M., "Constructing the Political Spectacle"]" – Chicago: University of Chicago Press, 1988;
39. ეკო, 2012: ეკო უ., „ვარდის სახელით“, გამომცემლობა „დიოგენე“. თბილისი, 2012;
40. ელული, 1973: Ellul, J. (1973). Propaganda: The Formation of Men's Attitudes. New Yourk: Vintage Books. მოპოვებული <https://www.ratical.org/ratville/AoS/Propaganda.pdf>-დან, 1973;
41. ენუქიძე, 2000: ენუქიძე რ., „ტექსტის ლინგვისტიკა“, თბილისი, 2000;
42. ვერჩი: 1998: Wertsch J.V., „Texts of Memory and Texts of History“, 1998;
43. ვეჟბიჯკაია 1996: Вежбицкая А., „Язык и Культура. Познание“ /перевод с английского. Москва, 1996;
44. ვიმერი, დომინიკი 2015: Wimmer, R.D., Dominick, J.R., “ Mass Media Research: An a. Introduction“, 2015;
45. ვინოგრადოვი, 1952: Виноградов В., „Вопросы языкознания“ საენათმეცნიერო ჟურნალი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილება, 1952;
46. ვოლკანი, 2007: Volkan, V., „Massive Trauma. Review of French Psychoanalysis“ 4: 1041-1054, 2007;
47. ვოლკანი, 1991: Volkan, V.D., „ On Chosen Traum“. In: Mind and Human Interaction, Vol.4, Pp: 3-19; 1991;
48. ზერუბაველი, 2003 : Zerubavel, E. „ Calendars and History: A Comparative Study of the Social Organization of National Memory.“ In J. K. Olick (Ed.), States of Memory: Continuities, Conflicts, and Transformations in National Retrospection. Durham and London: Duke University Press, 3-88-89 2003 ;
49. ზერუბაველი, 2004: Zerubavel E., „ Time Maps, Collective Memory and the Societal Shape of the Past. Chicago and London, 2004;
50. თევზაძე, 2009: თევზაძე გ., „განჯადობა- ხუთი ესე თანამედროვე საქართველოს შესახებ“, 2009;
51. თევდორაძე, 2011: თევდორაძე ნ., „ტექსტის ლინგვისტიკა“, თბილისი, 2011;
52. თუშმალიშვილი 2017: თუშმალიშვილი გ., ; „მედიაპოლიტიკა სიტყვიერი, ბეჭდვითი და გამოსახულებითი კომუნიკაციების შესახებ“, 2017;
53. თხილავა, 2006: თხილავა., ე. „ნამდვილი დენდი“, ქუთაისი, 2006;
54. იაკობაშვილი, 2007: იაკობიშვილი ლ., „პოლიტიკური პერფორმანსი და პერფორმატიული პოლიტიკა“, „წერილები ქართულ იდენტობაზე“, თბილისი, 2007;
55. იაკობსონი, 1960: Jakobson R. LIngustics and Poetics – In: „Style in Language“, ed. T.A. Sebeok, New york, 1960;
56. ინგოროყვა, 1924: ინგოროყვა პ., „ქება ქართულისა ენისა“ და „ქართულისა ენისათჳს“ ჟურნალი „კავკასიონი“, №1-2, 1924;
57. ირემაძე, 2019; ირემაძე თ., „ჰეგელის რელიგიის ფილოსოფია“, თბილისი, 2019;
58. კალანდაძე, 2014: კალანდაძე ა., ლექსები „ქართული ენა“, გვ417, თბილისი, 2014;

59. კაპანაძე, 2004: კაპანაძე გ., “ქართული მედია და დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში”, რედ. ნ. ტაბიძე, გ. აბესაძე, თბილისი, 2004;
60. კასტელსი, 1887: კასტელსი მ., „ინფორმაციული საუკუნე: ეკონომიკა, საზოგადოება და კულტურა“-ტრილოგია, 1887;
61. კვაჭანტირაძე, 2010: კვაჭანტირაძე მ., „ტრავმული მეხსიერება“, თბილისი, 2010;
62. კიკვიძე, 2011: კიკვიძე ზ., „პოსტმოდერნიზმი და ქართული ლიტერატურული დისკურსი“, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011;
63. კეკელიძე, 1923: კეკელიძე კ., „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ორტომეული, 1923;
64. კლდიაშვილი დ., თხზულებანი, „განათლება“, თბილისი, 1988: 447;
65. კრესი, 1985: Kress G., “Ideological Structures in Discourse”, Handbook of Discourse Analysis. Vol 4, London: Academic Press, 1985;
66. კოენი, 1995: Cohen S., „State Crimes of Previous Regimes: Knowledge, Accountability, and the Policing of the Past.‖ Law & Social Inquiry 7-50, 1995;
67. კოვაჩი, როზენსტალი 2006: კოვაჩი ბ, როზენსტალი ბ., „ჟურნალისტიკის ელემენტები : რა უნდა იცოდნენ ახალი ამბების სფეროს მუშაკებმა და რას უნდა მოელოდეს მათგან“ საზოგადოება, გამომცემლობა „იმპრესი“, თბილისი , 2006;
68. კოული, 1997: კოული „ისტორიულ-კულტურული ფსიქოლოგია“ , მოსკოვი, 1997;
69. კრეიგი, 2007: კრეიგი რ., "საკომუნიკაციო თეორია, როგორც სფერო", თბილისი, 2007;
70. კუპერი, 2003: Kuper A., “Culture. The Anthropologists’ Account. Harvard University Press, 2000;
71. ლაკაპრა 2001: LaCapra, D., „ Writing History, Writing Traum“, . JHU Press, 2001;
72. ლებანიძე, 2004: ლებანიძე გ., „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“, თბილისი, 2004;
73. ლიპმანი, 1963; Lippman W., The Essential lippman, ed .Clinton Rossiter and James lare new york:Ramdom House, 1963;
74. ლუმანი, 1994: Луман Н., „ Понятие общества“, В кн.: Проблемы теоретической социологии. С.-Петербург, ТОО ТК «Петрополис», С.31, 1994;
75. ლუმანი, 2007: ლუმანი ნ., „საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია“, სამეცნიერო სერია „ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები“ , თარგმანები, ტ.1. გამომცემლობა „არხე“ თბილისი, 2007;
76. მაკლუენი, 1962: Mcluhan M., „The Gutenberg Galaxy: The Making of Typographic Man“, 1962;
77. მაკლუენი, 1964: Mcluhan M., „Understanding Media“, The Extentions of man, 1964;
78. მაკლუენი, 2003: Маклюен М “Понимание Медиа:Внешние расширения человека” “Канон-пресс-Ц”; ”Куч-ково поле”; Москва; 2003;
79. მაისაშვილი, ტორაძე 2019: მაისაშვილი ხ, ტორაძე მ., „მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები“ ,2019;
80. მაისურაძე, 2011: მაისურაძე გ., „ ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები“, გვ-5, 1st ed. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011;
81. მაისურაძე, 2014: მაისურაძე გ., „დაკარგული კონტექსტები“. “Closer”, გვ. 79-88, თბილისი. 1(2), 2014;
82. მამარდაშვილი, 1989: მამარდაშვილი მ., „ყველაფერს თავისი ლოგიკა აქვს“. „თბილისი“. 139 1989;
83. მამარდაშვილი, 1992: “ჩახშული ფიქრი“- საუბრები ანი ეპელბუანთან, გამომც. „ჩელმი“, თბ., 1992.

84. მანი, 2004: Mann, M., "The Dark Side of Democracy: Explaining Ethnic Cleansing", Cambridge: Cambridge University Press; 2004;
85. მაკკუელი, 1986: McQuail D., "Mass Communication Theory", 6th edition, პ-85, 2005;
86. მაცაბერიძე, 2019: მაცაბერიძე მ., „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019;
87. მინსკი, 1986: Minsky M. L. „The society of mind“, New York: Simon and Schuster, 1986;
88. მოლი, 1973: Моль. А., „Социодинамика культуры“, М. 1973;
89. ნაი, 2008: Nye J., „Smart Power and the “War on Terror”, Asia-Pacific Review, 15:1, 1-8. 2008;
90. ნაი, 2004: Nye, J. S.. „Soft power: The means to success in world politics“, Cambridge, MA: PublicAffairs, 2004;
91. ნორა, 2002: Nora P., "Between Memory and History"/ The Regents of the University of California.) 2002;
92. ორუელი, 2017: ორუელი ჯ., „1984“ გამომცემლობა პალიტრა L, მთარგმნელი, დავით აკრიანი, 2017;
93. ოქროპირიძე. 2008: ოქროპირიძე უ., „აჭარა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საწყის ეტაპზე (1988.X – 1989.9.04) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ.191-206, ბათუმი, 2008;
94. პოსტმანი, 1985: Neil Postman. Amusing Ourselves to Death. First published in 1985, London: Penguin Books, 2005;
95. რეპკოვა, 2006: რეპკოვა ტ., „ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში“, თბილისი, 2006;
96. როჯერსი, ევერეტი, ჰარტი, ვილიამი, მიიკე, იოშიტაკა 2002: Rogers, Everett M.; Hart, William B.; Miiike, Yoshitaka "Edward T. Hall and the History of Intercultural Communication", 2002;
97. სიბერტი, პეტერსონი, შრამი, 1998: Сиберт Ф., Петерсон Т., Шрамм У. Четыре теории прессы. М.: Фонд Кар-егги, 1998;
98. სმიტი, 1999: Smith, G., "The Post-Soviet States", გვ. 6, 1999;
99. სურგულაძე რ; იბერი ე, „მასობრივი კომუნიკაცია“, თბ.2003;
100. ტაბიძე, 1977: ტაბიძე ნ., „ილია ჭავჭავაძის „ივერია“, (1877–1886), გამომც. „განათლება“, გვ.212-232, თბილისი, 1977;
101. ტაბიძე, 2011: ტაბიძე ნ., „პუბლიცისტიკის საკითხები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, წ-1, თბილისი, 2011;
102. ტარდი, 1969: GABRIEL T., „ON COMMUNICATION AND SOCIAL INFLUENCE“. Edited by Terry N. Clark. Chicago: University of Chicago Press, 1969;
103. ფისკე, 2010: Fiske, J. "Introduction to Communication Studies. Second Edition“, Routledge, 2010;
104. ფროიდი 2005: Freud., „Group Psychology and Analysis of Ego“, Fischer Verlag. Vienna 62-117, 2005;
105. ფუნტესი, 1992 : ფუნტესი კ., „კულტურა, როგორც ისტორიის მთავარი გმირი“, 1992;
106. ფუკო, 2017: Foucault M., Of Other Spaces, Cultural Reader, 2017;
107. ფურცელაძე, 1998: ფურცელაძე ვ., „ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება“, ნაწილი პირველი., გამომც. „სამშობლო“, თბილისი, 1998;
108. ქარუმიძე, 2011; ქარუმიძე ზ., „პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი“, 2011;

109. ქარჩხაძე, 2005: ქარჩხაძე ჯ., „პუბლიცისტიკა“, თბილისი, .2005
110. ქორიძე, 2016: ქორიძე თ., „კაცი არ ყველა სწორია“, 1st ed. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2016;
111. ქორიძე, 2002: ქორიძე თ., „დიდი წვრილმანები“, გამომცემლობა K&T, 2002’
112. შადსონი, 1997: Schudson M., "Lives, laws, and language: Commemorative versus non-commemorative forms of effective public memory." *Communication Review (The)* 2, no. 1: 3-17, 1997;
113. შათირიშვილი, 2005: შათირიშვილი ., „ნარატივის აპოლოგია“, თბილისი: ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი, გვ88, 2005;
114. შეიგალი, 1999: Шейгал Е.И. Язык и власть // Языковая личность: проблемы лингвокультурологии и функциональной семантики. – Волгоград: Перемена, 1999;
115. შველიძე 2013: შველიძე დ., „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში“ (1987-1992 წ.წ). თბილისი, 2013;
116. შოპენჰაუერი, 2012: შოპენჰაუერი ა., „ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები“, მთარგმნ. ზ. ხასაია, გამომცემლობა Carpe diem, თბილისი, 2012;
117. შტომპკა 2004: Sztompka, P., „The Trauma of Social Change“, University California Press Ltd. London, (pp.300-345), 2004;
118. ჩიქოვანი, 2017: Chikovani N., “ Soviet Time in Post-Soviet Memory: How the New Memory has been Constructed in Georgia. *Time and Culture*“ , 2017;
119. ცაგარელი, 2012: ცაგარელი ლ., „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი ,2012; წიფურია, 2008;
120. წიფურია, 2016: წიფურია ბ., „ქართული ტექსტი საბჭოთა / პოსტსაბჭოთა / პოსტმოდერნულ კონტექსტში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016;
121. წერეთელი, 1959: წერეთელი ა., „ ქართული საბჭოთა პორტრეტული ქანდაკება, 1921–1941“, თბილისი, 1959;
122. ჭავჭავაძე, 1984: ჭავჭავაძე ი., მსოფლიო ლიტერატურა, თხზულებები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984;
123. ჯანელიძე, აბაშიძე 1993: ჯანელიძე ო. ანაშიძე ზ., „საქართველო და ქართველები“, 1993;
124. ჯგერენაია, 2018: Jgerenaia E. Sabanadze., “Georgia: Between a State and Homeland in: Giga Zedania (Ed.) *Modernization in Georgia, theories, discourses and realitie*“, Peter Lang, p.271-301, 2-2018;
125. ჯონსი, 2013: ჯონსი ს., „საქართველო პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. თბილისი: “I.B. Tauris & Co Ltd.” 2013;
126. ჰაბერმასი, 1981: Habermas, J., „Modernity versus Postmodernity“, *NGC* 22, Winter, 2-12, 1981;
127. ჰალბვაქსი, 1992: Halbwachs M., “On Collective Memory”, Chicago, USA, 1992;
128. ჰანტინგტონი, 1996: „ცივილიზაციების შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“, 1996;
129. ჰარისი, 2001: Харрис З., „ Психология Массовых Коммуникаций“, Пер. сангл./ Харрис З. 4-е изд.-СПб.: Нева-2001;
130. ჰეგელი, 2017: ჰეგელი გ., „ გონის ფენომენოლოგია „ თბილისი, გამომცემლობა Carpe diem კარპე დიემ, თარგმანი პაპუაშვილი შ, 2017;
131. ჰოლი, 1996: Hall E., “Questions of cultural identity”, 1996;

132. ჰოლი, 1980: Hall S., "Encoding / Decoding." In: Hall, D. Hobson, A. Lowe, and P. Willis (eds). Culture, Media, Language: London: Hutchinson, pp. 128–138, 1980;

133. ჰოპკინზბერგი, 1971: Hohenberg J., Free press, free people:the best cause, new york:free press,1971;

ელექტრონული რესურსები:

1. ადამაშვილი მარიამ „მარიამის ბლოგი“ „მედია და მისი განვითარების ტენდენციები“ <https://bit.ly/2SyibSE> (ბ.ნ: 25.01.2021
2. ავტორთა კრებული, „ქართული კულტურის დღევანდელი მდგომარეობა და მისი განვითარების კონცეფცია“. თბილისი, 2012 წელი. <https://bit.ly/2X4TPQU> (ბ.ნ.: 15.06.2021)
3. ბრიტანიკა- ენციკლოპედია -ჰოლოკოსტი : <https://www.britannica.com/search?query=holocaust>
4. ბერეკაშვილი, 2010: ბერეკაშვილი თ., „ პოსტმოდერნიზმი და მასობრივი კულტურა*“ <https://bit.ly/3ikDgL2>
5. გრამში: <https://ka.kyaaml.org/cultural-hegemony-3026121-6417> <https://ka.nsp-ie.org/antonio-gramsci-7700>
6. თავისუფლება -რადიო, მითები ზვიად გამსახურდიას შესახებ <https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-giorgi-arkania-mitebi-zviad-gamvakhurdiaze/28400373.html>
7. თევზაძე გიგი, განჯადობა, ხუთი ესეე თანამედროვე საქართველოს შესახებ, 2009. <http://documents.tips/documents/gigi-tevzadze-2009-five-esseys-on-contemporary-georgia-georgian.html> (22.06.2021)
8. თსუ-ის კულტურის კვლევების მიმართულების ელექტრონულ საიტი, „მასობრივი კულტურა“ <https://bit.ly/2LG8rA2>
9. იმნაიშვილი, 2010: იმნაიშვილი ა., „ XX საუკუნის 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა თაობის ქართული პროზის პოსტმოდერნისტული ტენდენციები“ , <https://bit.ly/3g4Svoo>
10. კვირიკაშვილი ნინო- „კულტურის საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში“, გვ.1 <https://bit.ly/2WHQAj> (ბ.ნ: 15.06.2021
11. ნემსაძე ა., -მულტიმედია, როგორც სიმბოლური გარემო <https://www.facebook.com/439531609404740/posts/1225600394131187/>
12. ორუელი ჯ., <http://www.online-literature.com/orwell> 1984 /ბ,ნ: 25.01.2021)
13. რეხვიაშვილი ჯ., „9 აპრილიდან 9 აპრილამდე“ <https://www.radiotavisupleba.ge/a/31189953.html> (ბ.ნ: 12.04.2021)
14. სართანია ქ., „ბრძოლა და მსხვერპლშეწირვა: საქართველოს უახლესი ისტორიის ნარატივები“, <https://jam-news.net/ge/brdzola-da-mskhverplshewirva-saqartvelos-uakhlesi-istoriis-narativebi/>
15. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ.გვერდი, „მასობრივი კულტურა“- <https://bit.ly/2XwIkUw> (ბ.ნ:15.06.2021)
16. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ.:ლოგოს პრესი, 2004 ;
17. ტარდი გ., ოქსფორდის აკადემია, <https://academic.oup.com/sf/article-abstract/48/4/542/2228995?redirectedFrom=fulltext> GABRIEL TARDE ON COMMUNICATION AND SOCIAL INFLUENCE. Chicago: University of Chicago Press, 1969 (ბ.ნ: 21.06.2021)
18. ტუსა სერ ჯონ., ვებგვერდი: „კულტურა და კრეატიულობა“, ტუსა სერ ჯონ., <https://bit.ly/2IdmwCI> (ბ.ნ:15.06.2021)
19. „ხარება.ნეტ“-„მასობრივი კულტურა(ნაწილი I)“ <https://bit.ly/2FX0CCd> (ბ.ნ:15.06.2021)

20. ჯანელიძე ო., „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 30 წლის გადასახედიდან“, მოხსენება Georgian Foundation for Strategic and International Studies Facebooke ლაივიდან <https://www.facebook.com/GFSIS/videos/266336808463976> (ბ.ნ: 26.05.2021)
21. ფუნტესი კ., - <https://global.britannica.com/biography/Carlos-Fuentes> ენციკლოპედია ბრიტანიკა, (ბ.ნ: 21.06.2021)
22. ჰოლოკოსტი, - ვებგვერდი he Holocaust Chronicle web site. <http://www.holocaustchronicle.org/Index.html> <https://www.macat.com/>

კვლევები, ნაშრომები, ბეჭდური გამოცემები:

1. „ასი (100) მწერლის გაზეთი, 1991: გაზეთი „ასი (100) მწერლის გაზეთი“, №13, 1991;
2. „აქარა“, 1991: - გაზეთი „აქარა“, 1991, № 44,60,61,65, 76.77.83,85,87,89,94,100;
3. ბაქრაძე, 1989: ბაქრაძე ა., „აზროვნების წესი უნდა შეიცვალოს“, ლიტერატურული საქართველო, № 17, თბილისი, 1989: 11;
4. გამსახურდია, 1921: გამსახურდია კ., „სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს“, "სოციალისტ-ფედერალისტი", თბილისი, №70, 1921 ; (მაისი 25, გვ.2-3);
5. გვახარია გიორგი: „ტოტალიტარიზმი და კულტურა“, საქართველოს სახალხო დამცველის პერიოდული გამოცემა „სოლიდარობა“, თბილისი, 2008;
6. ვინოგრადოვი, 1952; „საბჭოთა ენათმეცნიერება ახალ ეტაპზე“ , გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, თბილისი, 1952;
7. კრებული „ცივილიზაციური მიებანი“, №11, თსუ-ინტეკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა, თბილისი, 2013;
8. „ლიტერატურული საქართველო“, 1989: გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1989; № 44,48;
9. კაპიტანოვი, 2019: კაპიტანოვი ლ., „1989: მეხსიერების ცვლილება“, კვლევა, თბილისი, 2019;
10. პეტრიაშვილი გ. გაზეთი „თბილისი“, №87 „ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ“, 1990;
11. ჟურნალი „მატიანე“. 7 აპრილი, 2017 წ, №-1-2 (19-20) ზვიად გამსახურდიას მიმართვა 1991 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლის წინ მიტინგზე დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით;
12. „საბჭოთა აქარა“, 1989: გაზეთი „საბჭოთა აქარა“, 1989, №66,74,76,77,78,81,82.83,84, 85,86,87,96,99,100,112,120;
13. „საბჭოთა აქარა“, 1990: გაზეთი „საბჭოთა აქარა“, 1990, №61, 66,67,68,70,71,72,74,75,76.77.78. 80,82,83, 84,86,92,93,112,115;
14. „საქართველოს კომუნისტი“, 1990: გაზეთი „საქართველოს კომუნისტი“, 1990; №87,122;
15. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, №18,98,70;
16. სართანია, 2019: სართანია ქ., „1989 წელი: საპროტესტო აქციები და მათი გავლენა საქართველოს უახლეს ისტორიაზე“, თბილისი, 2019;
17. სვანიძე ნათია, „სვეტის ტრანსფორმაცია ქართული პრესის დემოკრატიზაციის პროცესში“, სადოქტორო დისერტაცია, სსიპ -თსუ, თბილისი, 2018;
18. სემიოტიკა, 2008: ჟურნალი სემიოტიკა, № 3, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2008;
19. „ქრონიკა“, 1991: საინფორმაციო ბიულეტენი „ქრონიკა“, 1991; №2, 3, 4;
20. „ქრონიკა“, 1993: საინფორმაციო ბიულეტენი „ქრონიკა“, 1993; №2;
21. შოშიტაიშვილი ნინო, „ტელემედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა“, სადოქტორო დისერტაცია , თსუ, თბილისი, 2010;
22. „ჭოროხი: 1991: ჟურნალი „ჭოროხი“, 1991; №2,3,4.